# ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№1 (43)

იანვარი, 2017 წელი



ნომრის ავტორები
ნინო თარხნიშვილი & მაია ენჯელოუ

პოეზია
ნიკა ლაშხია
გიორგი ჩუთლაშვილი

პროზა
მირიან რჩეულიშვილი
ზურაბ გოგიძე
გელა ჟურხული

მწერლის ცხოვრება
კონსტანტინე კიკნაძე – ვლადიმირ მაიაკოვსკიზე

ნობელი – 2016
ლელა კოდალაშვილი – ბობ დილანზე

ახალი თარგმანები
ვერგილიუსი
ნიკოლაუს ლენაუ


Maya Angelou

ფასი 2 ლარი

**№1 (43) იანვარი, 2017 წელი**

# ახალი საუნჯე

## ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, ნინო თარხნიშვილი, ანი კოპალიანი, მანანა მათიაშვილი, ქარდა ქარდუხი, ნიკა ლაშხია, გიორგი ჩუთლაშვილი, მირიან რჩეულიშვილი, ზურაბ გოგიძე, ბექა ქურხული, კონსტანტინე კიკნაძე, ლელა კოდალაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, დათო ბარბაქაძე

**გამომცემლობა «საუნჯე»**
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

# 1. ნომრის ავტორები

# ნინო თარხნიშვილი

## თარხანა (ასოციაციობანას ეთამაშებოდა ეკა ქევანიშვილი)

*დღეს დილით წინ მეჯდა. გუშინაც. ამ ოცი წლის წინაც – ყოველთვის სადღაც ახლოს იყო – ხან გვერდით, ხან წინ, ხან უკან. რა დავწერო მასზე? ერთი სამსახური, ერთი საქმე, ერთი აუდიტორია, წიგნი, შვილები, მეგობრები, დარდი, სიხარული... ჩამოთვლას აზრი არა აქვს, იმდენი რამეა საერთო – ნინო თარხნიშვილმა ყველაფერი მაშინ გადაწყვიტა, როდესაც ჩემსავით რეპორტიორობა და მწერლობა ერთად გადაწყვიტა და იმ 1996 წლის ცხელ ზაფხულში, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსს მიადგა – გამოცდებზე. მეც იქ ვიყავი. მაშინაც, როცა პირველი მინიატურები წაგვიკითხა კვერცხების გახეთქილ გულებზე. და მერე და მერე უფრო, ერთბაშად რომ მოაწყდა წერის სურვილი და ჯერ ერთი წიგნი გაჩნდა, მერე მეორე, მერე მესამე. მაშინ ამელი ერქვა – სწორედ ამ ფსევდონიმით დაწერა «ქალთარაფერა».*

*ნინო თარხნიშვილი გარეთ ატლასია და შიგნით ათასი. მაგრამ მაგას რომ მიხვდე, ასე ჩემსავით სადმე მის შორიახლოს უნდა იდგე და აკვირდებოდე, როგორ მოკუჭავს ხოლმე ერთ დიდ ამბავს რვა წინადადებაში და ისე გადაუგდებს სოციალურ სივრცეს, ვითომც არაფერი, ვითომ ერთი ამოახველა – ხშირად სწორედ ასე ჩნდება მისი ტექსტები – ან რომ ძალიან მოსწონთ და ან რომ ძალიან აღიზიანებთ. თვითონ კი, უუუფო, იტყვის და ხელს აიქნევს, ჩაბღუჯავს მიკროფონს და წავა საქმეზე. საქმეზე რომ მგონია და უცებ 150 ნომერი ავტობუსიდან მოიწერება რამე ამბავს*

*საქვეყნოდ და უცებ შენც იქ აღმოჩნდები. ეგრე იცის – შეგაძვრენს თავის ტექსტებში და მერე შენი საქმეა, თავს დაიხსნი თუ იქ დარჩები. ამბები კი ან ყანდაარელ მკვდრებზეა, ან მეზობელ ღმერთზე, ან პეკინელ საყვარელზე ან.. ან.. რა გავიხსენო, რაზე წერს ხოლმე – მისი ტექსტები უნდა ნახოთ, ისე ძნელია გამოცნობა. მე თუ მკითხავთ, ნინო თარხნიშვილი დიდი ავანტიურისტი მწერალია – უცნაურად გულჩვილიც და მოულოდნელად სასტიკიც. მე თუ მკითხავთ, ორი საჭირო თვისება უკვე აქვს, რომ თავისი მთავარი ტექსტი დაწეროს.*

**ასოციაციობანა - ბავშვობა**

ჩემი ბავშვობა ჩემი მშობლების სახლია. უფრო ზუსტად, ბინა. მშობლების სამოთახიანი ბინა. ბინა, რომელსაც ექვს წლამდე ჰქონდა შეღებული კედლები. დედას და მამას საძინებელი იყო ლურჯი. ჩემი და ბებიაჩემის მწვანე. მისაღები ოთახი იყო ლიმონისფერი. ერთ საღამოსაც, ავდექი და ამ ფერად სახლში, რომლის კედლებზეც ფანქრებით ადამიანებს ვხატავდი ბუშტებით ხელში, დავიწვი. აი, ჩემი მახსოვრობაც სწორედ ამ საღამოდან იწყება. იყო შემოდგომა. ოქტომბერი. ვიყავი 3 წლის. მეცვა კუბოკრული შარვალი. ხელში მეჭირა ორი ცოცხალი ყვითელი წიწილა, რომელიც მამამ იმ დღეს თბილისობაზე მიყიდა. საბჭოთა საქართველოში ცენტრალური გათბობა ნოემბრის შუა რიცხვებში ირთვებოდა, ამიტომ წიწილებს რომ არ შესცივნოდათ, დედამ და ბებიამ ელექტრო-გამათბობელი ჩართეს და ზედ კოპლებიანი ჩაიდანი შემოდგეს. გამათბობელს ფეხი წამოვდე. ადუღებული წყალი ზედ გადავისხი და გამწარებული გამათბობელზე დავეცი. მახსოვს დედა, რომელსაც ჰქონდა დიდი მუცელი, ორსულად იყო, იდგა მუხლებზე და ღრიალებდა. მე მამას ვეწვინე ხელებზე და ვკვნესოდი: ოღონდ დედამ არ იტიროს, ოღონდ დედამ არ იტიროს. არ მტკივა. არაფერი არ მტკივა. დედამ არ იტიროს...

მერე დაწყებული კითხვის ნიშნები. გადარჩება? ვერ გადარჩება? შანსი მინიმალურია. დედა საავადმყოფოს უშველებელ პალატაში,

თავთან მიზის, ჩემი ხელი უჭირავს. ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე... ცხრა დღე. დედას დიდი მუცელი აქვს. დედასთვის ნერვიულობა არ შეიძლება, მაგრამ დედა ცხრა დღე სკამიდან არ ამდგარა, არ დაუძინია.

მე მაწამებენ. მაშინ არ ვიცოდი, რომ ამას წამება ერქვა. ახლა ვიცი, რომ ეს წამება იყო. ჭრილობების გადასახვევად საპროცედურო ოთახში ყოველ დღე გავყავარ ექთნებს. სისხლითა და ლიმფით გაჟღენთილ, ალაგ-ალაგ მიკრულ საფენებს მახევენ. მახევენ ისე, თითქოს მართლა მკვდარი ვიყო და ვერაფერს ვგრძნობდე. საპროცედურო ოთახში, რომლის კედლებიდანაც ალაგ-ალაგ თეთრი კაფელია ჩამოცვენილი, ყვითელი ნათურა კონწიალობს. თითზე ბეჭედი მიკეთია. დედამ მომცა. ამას უყურე და აღარ გეტკინებაო. ვუყურებ იასამნისფერთვლიან ბეჭედს და მგონი, მართლა ყუჩდება ტკივილი... წლების მერე, როცა დედა თავის ოქროს ბეჭდებს გაყიდის, ამ ბეჭედს მე მაჩუქებს...

რეაბილიტაციას თვეები დასჭირდა. გიორგი დაიბადა. დედა სამშობიაროშია. ვდგავარ სამშობიაროს ფანჯარასთან, დედას შეხვეულ ხელს ვუქნევ და ვეძახი, დე, აი, მირჩება ხელი, ფრჩხილებიც ამომდის.

ბავშვობა ასე კადრებად მახსოვს. უფრო ზუსტად, ბავშვობის მძაფრი განცდები მახსოვს ასე კადრებად. შიშები. აი, მახსოვს ფანჯარასთან აკრული დედა. ღამე. მამა იგვიანებს. ვწევარ

საწოლში და ვფიქრობ, ასამდე დავითვლი და დაასიგნალებს. 200-მდე დავითვლი და დააკაკუნებს. 500-დე დავითვლი და 436 – მამა კარს აღებს. კედლისკენ ვბრუნდები. ყველანი სახლში ვართ.

ერთხელ მამა დაიკარგა. ერთხელ რა, 1989 წლის 9 აპრილის ღამეს. მამა მილიციელია. დედას ლურჯი კაბა აცვია, ქუჩაში დგას და გიჟივით მქროლავ მანქანებს ხელებს უქნევს. მანქანას არავინ უჩერებს. მანქანებიდან გადმოყოფილი მეგაფონებიდან ყვირიან: «ხალხი დახოცეს რუსთაველზე, ხალხი დახოცეს»... მამა ღამით მოვიდა. უცნაური სუნი მოიყოლა სახლში. რაღაცნაირი მწარე. დაეგდო ლოგინზე და დაიძინა.

ამ ემოციების მიღმა კი ჩემი ბავშვობა იყო ბედნიერი. ძალიან ბედნიერი. მშობლებმა რემონტი გააკეთეს. ფერად კედლებზე ყვავილებიანი შპალერი გააკრეს, ჩემი დახატული ფანქრის ადამიანები შპალერს ქვევით მოაქციეს და მეც გავიზარდე...

და ვიქეცი გოგოდ, მოზარდ გოგოდ, რომელსაც შეყვარებული არ ჰყავდა და მის ყველა მეგობარს ჰყავდა შეყვარებული. ბევრი თაყვანისმცემელი. უფროსკლასელები, გვერდით ეზოელები, დიდი ბიჭები... და მე არ მყავდა არც შეყვარებული, არც თავყვანისმცემელი და მაშინ გადავწყვიტე, ვაკოცებ მხოლოდ იმას, ვინც ჩემი ქმარი გახდება და წლების მერე, ასეც მოხდა...

## ფული

მეგონა, რომ ფული სულ იქნებოდა. ალბათ იმიტომ მეგონა ასე, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ფული სულ მქონდა. იმ 90-იანებში, ქვეყანა რომ სულს ღაფავდა, სასმელ-საჭმელი რომ სანატრელი იყო და გასათბობად მეზობლები ერთმანეთში დადიოდნენ, ჩვენს ოჯახს ფული ჰქონდა. ბევრი არა, მაგრამ იმდენი კი გვქონდა, რომ საჭმელი არ მოგვკლებოდა, იმპორტული ტანსაცმელი გვცმოდა (ჩეკებზე ნაყიდი) და მეზობლებს სწორედ ჩვენთან, დიდი და თეთრი ნავთის გამათბობლის გარშემო გადაეგორებინათ გაყინული ზამთრები.

სტუდენტობისასაც სულ მქონდა იმდენი ფული, რომ მეგობრები კაფეში დამეპატიჟებინა. რომ დავქორწინდი, მამას ჯერ კიდევ ჰქონდა იმდენი ფული, რომ მე და ჩემს ქმარს (რომლის შემოსავალი თვეში 200 ლარი იყო) შვილის გაზრდაში დაგვხმარებოდა და არაფერი გაგვჭირვებოდა. არ გვიჭირს ახლაც. იმიტომ, რომ ვმუშაობთ, ბევრს ვმუშაობთ, მაგრამ უჭირს მამას. ჰოდა, აი, ბოლო წლებია, მინდა მქონდეს უბრალოდ ფული კი არა, იმდენი ფული, რომ მამას თავისი დრანდალეტი მანქანის შესაკეთებლად ფული მივცე. ჩემი მშობლები წამლის საყიდლად ფასდაკლებებს არ ელოდებოდნენ. დედაჩემს ნიშნობის ბეჭდის გაყიდვა არ უხდებოდეს, საუკუნეები რომ ეკეთა არათითზე... ანუ, ბევრი ფული კი არ მინდა, იმდენი ფული მინდა, რომ საღამოობით ტახტზე რომ მივჯდები, თავში არ გამიელვოს იმ დღით ნანახმა კადრმა, როგორ იყრის დედა საფულეში გადარჩენილ ხურდებს. აი, მინდა, იმდენი ფული მქონდეს, რომ ყოველი თვის დასაწყისში დედაჩემს და მამაჩემს ვაძლევდე 200 ლარს კი არა, 2000 ლარს. ანუ, რა გამოვიდა? მინდა მქონდეს 2000 ლარით მეტი შემოსავალი. თურმე, რა ცოტა მდომებია...

## თავისუფლება

მე თავისუფლება დავკარგე. აი, ასე, ერთ დღეს ავდექი და თავისუფლება დავკარგე. თარიღიც კი შემიძლია გითხრა, როდის დავკარკე თავისუფლება, საათიც კი. 2003 წლის 27 სექტემბერს, შუადღის სამის ოც წუთზე. მზიანი დღე იდგა. მერე მოიღრუბლა და მაგრად იქუხა. ამ დღეს არ წაურთმევია ჩემთვის თავისუფლება არც დედას, არც მამას, არც ქმარს, არავის. ეს თავისუფლება წამართვა გოგომ, რომელიც იწონიდა 3 კგ-სა და 600 გრამს. არა, გატყუებ, არც მას წაურთმევია ჩემთვის თავისუფლება. მე წავართვი საკუთარ თავს თავისუფლება. და აგერ უკვე 13 წელია ვარ ასე თავისუფლებაწართმეული.

თავისუფლება არ არის სახლიდან თავისუფლად გასვლა.

თავისუფლება არ არის თავისუფლად მუშაობა.

თავისუფლება არ არის სეირნობა.

თავისუფლება არ არის ბევრი ფული.

თავისუფლება არ არის დიდი სიყვარული.

თავისუფლება შინაგანი სიმშვიდეა. შინაგანი თავისუფლება, რომელიც იმ წამს დამთავრდა, როცა ჩემი შვილი დაიბადა...

და მას მერე ვშფოთავ. და მძიმედ მაწევს ეს ზღვარგადასული პასუხისმგებლობა შვილის მიმართ, რომელმაც თავისუფლება დამათმობინა. ეს ის ერთადერთი შემთხვევაა, როცა საკუთარი სურვილით მივისაჯე «პატიმრობა». და ამ ტყვეობას შვილი და მის მიმართ ზღვარგადასული სიყვარული და პასუხისმგებლობა ჰქვია და შენ ვეღარასდროს იქნები მარტო, მაშინაც კი, როცა შენს შვილთან შეიძლება ათასობით კილომეტრი გაშორებდეს... ჩემი მთავარი სათქმელი შვილისთისაც ესაა. ეცადოს დიდხანს, ძალიან დიდხანს შეინარჩუნოს თავისუფლება. შინაგანი სიმშვიდე.

მაგრამ მე ხომ უკუღმართი ადამიანი ვარ. კიდევ ერთი თარიღია ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ისევ თავისუფლებას და ისევ ჩემს შვილს უკავშირდება. 2003 წლის 6 თებერვალი. ზამთრის ყინვიანი დღე, როცა ორსულობის ტესტმა მაჩვენა, რომ მუცელში შვილი მეჯდა და იმ დღეს მე გავთავისუფლდი. გავთავისუფლდი შიშისგან, რომ არასდროს მეყოლებოდა შვილი. ზოდიაქოების ნაკლებად მჯერა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მართლა ვამართლებ ჩემს ზოდიაქოს, ტყუპებს. შვილი, რომელმაც თავისუფლება მომაპოვებინა და თავისუფლება დამაკარგვინა...

**შვილი**

ოჰ, ეს შვილი. ყოველთვის გადაჭარბებული მეგონა ხოლმე იმ ქალების წუწუნი, რომლებიც თავის შვილებს ემდუროდნენ, წუწუნებდნენ მათ გამო. ოღონდ მე ჩემ შვილს არ ვემდური და არც ვწუწუნებ. უბრალოდ საკუთარ თავთან ვჭიდაობ ხოლმე მის გამო. საკუთარ თავს ვეწუწუნები. ადრე თუ კაცზე ვწერდი, ახლა ამ ბავშვს გადავეკიდე. ვწერ, ვწერ გაუთავებლად. საკუთარ თავს ვეკითხები ათას სისულელეს. პასუხი კი გვერდით ოთახში ზის, ან წიგნში თავჩარგული, ან კომპიუტერში თავჩარგული და მაშინ გამოდის ოთახიდან, როცა ან ჩაი უნდა, ან წყალი, ან ორი-სამი სიტყვა აქვს სათქმელი ჩემთვის, საქმიანი. ჰოდა ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს:

ნეტა, რას ფიქრობს ჩემზე? ან თუ ფიქრობს საერთოდ, როგორი ქალი ვარ. აი, დედა კი არა, ქალი.

რას ფიქრობს ჩემს ცხოვრებაზე. ფიქრობს რომ ბედნიერი ვარ თუ პირიქით?

რას ფიქრობს ხოლმე, როცა მამამისს ვეკიდები და ვეხვეწები, აუ, აი, აქ, ზურგზე, ხერხემალთან ჩამაჭირე რა თითები, აი, აქ, აი, აი აქ, ძალიან მტკივა.

ის კიდევ მეწუწუნება, ოო, დავიღალე. რას ფიქრობს ხოლმე ასეთ დროს, ფიქრობს, რომ მოვილიეთ ჩვენი სიყვარული და ახლა უსიყვარულოდ, უფრო სწორად, შეჩვეული სიყვარულით ვცხოვრობ თუ ფიქრობს, რომ უბრალოდ მართლა დაღლილია მამა?

რას ფიქრობს ხოლმე, როცა ყურმოკრულ მუსიკაზე უნიჭოდ ვცეკვავ და ის კიდევ ცერად მიყურებს.

ფიქრობს, რომ ამ ასაკში ასეთი ცქმუტვა დებილობაა

თუ ფიქრობს, რომ რატომაც არა, დედა ხომ ასე ახალგაზრდაა?

რას ფიქრობს ხოლმე, როცა ვწევარ ტახტზე მოკეცილი, კედლისკენ გადაბრუნებული?

ფიქრობს, რომ დავიღალე თუ ფიქრობს, რომ ზარმაცი ვარ.

რას ფიქრობს ხოლმე, როცა ძილის წინ, ღამის მაისურის გადაცმამდე, სულ ორი წამით, თვალს მოკრავს ჩემს მოჩლაჩულ მუცელს?

ფიქრობს, რომ უშნო ვარ, თუ ფიქრობს, რომ მამას ალბათ მართლა უყვარს ეს ქალი. საერთოდ ფიქრობს ჩემზე რამეს?..

მე არ მგავს ეს გოგო. არც უნდა მგავდეს. ძლიერია, ყველა ბრძოლაში მიგებს. ყველა ომს იგებს. და ჰო, ისეთი თითები აქვს, როგორ თითებზეც სულ ვოცნებობდი. თეთრი და გრძელი.

და ერთს ვწუხვარ, ჩემი თვალები ვუსახსოვრე. ლეკვის თვალები. არც იმას მოსწონს. დგას ხოლმე სარკის წინ და იზიდავს თვალის კუთხეებს საფეთქლებისკენ.

მე ახლა ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი მიდგას შვილთან ადაპტაციისა. ჯერ კიდევ ორი წლის წინ, სათამაშო მოედანზე, სასრიალოებზე რომ სრიალებდა და საქანელებზე ქანაობდა, ახლა არც კი იხედება იქით. ჯერ კიდევ შარშან, თოჯინებით (მართალია მონსტრებით) რომ თამაშობდა, ახლა ყუთში აწყვია მისი სათამაშოები და აღარც ახსოვს, ოდესმე თუ არსებობდნენ ისინი. მომყვება გვერდით და რომ ვთხოვ, ხელი მომკიდოს, არ ესმის, იმიტომ, რომ ყურსასმენები უკეთია და რომც გაიგოს, არ მომაკიდებინებს ხელს. ადრე მე რომ მივდიოდი ჩქარი ნაბიჯით და ის ცუქცუქით მომდევდა, ახლა ის მირბის ასე და მე მივდევ ხოლმე, დამიცადე დეე, ძახილით. ქუჩის ვიტრინის წინ

ჩავლილები, თვალს რომ მოვკრავ, შეშინებული ვიხედები მისკენ, ვინ მომყვება გვერდით, ასეთი დიდი... და წარმომიდგენია, რა ხდება მასში. როცა ყოველ დღე იცვლება, ეცვლება გარეგნობა, ხასიათი, გემოვნება, ინტერესები... და მერე ვფიქრობ, რა ძნელია ახლა მის ადგილას ყოფნა, რა ძნელია, როცა სხეულიდან ბავშვობა ამოგდის და მის ადგილას იქ სახლდება სხვა, დიდი ადამიანი...

## ღმერთი

ღმერთი აი, აქაა. აი, აქ, აი, ახლა შენ რომ ამ ნაწერს კითხულობ, შენ გვერდით ზის და ისიც შენთან ერთად კითხულობს ამ ჩემს ბოდიალს. ეს მარიტამ, ჩემმა შვილმა მასწავლა, წლების წინ, როცა პატარა იყო. ერთხელ მკითხა, დე, ღმერთი სად არისო? რა ვიცი, როგორც ამბობენ, ჩვენ გვერდით არის, სულ თან დაგვყვება-მეთქი, ვუპასუხე. სკამის კუთხისკენ ჩაიწია. რას აკეთებ-მეთქი? – ვკითხე. თუ სულ თან დაგვყვება, იქნებ დაიღალა და სკამზე ჩამოჯდომა უნდაო... ორცხობილა ჩაკბიჩა, ფანქარი შეათამაშა ხელში და მაგალითის გამოყვანა გააგრძელა: 87-12=75... მას მერე კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ ღმერთი აქვე, ჩვენს სახლში, ან, მაქსიმუმ, ჩვენ მეზობლად ცხოვრობს. ღმერთისკენ მიმავალ გზაზე შუამავლები არ გვჭირდება. იმიტომ, რომ ღმერთი აქვეა, მაგალითად, შოკოლადის კარაქიან პურში. შვილის კისერში. მეგობრის გამომცხვარ ვაშლის პუდინგში. საყვარელი კაცის თუნდაც ხვრინვაში. მესამე თაროზე შემოდებულ უელბეკში და ა.შ...

## კაცი

კაცზე იმდენი ვწერე თავის დროზე, თითქოს სათქმელი გამომელიაო. კაცია რა. ორი თვალით, ორი ყურით, ერთი ცხვირით და ტუჩებით. მაგრამ მთლად მასეც არ არის, ორი ხელი ხომ აქვს, ჰოდა, ამ ორიდან ერთი ხელი რკინისგან აქვს აწყობილი. ბევრ არ ვილაპარაკებ ამ კაცზე. უბრალოდ, ერთ ამბავს მოვყვები. ერთ დღეს მოუკვდა ჩემ კაცს ცალი ხელი. მარცხენა. სხვებმა დამამშვიდეს, კიდევ კარგი, მარჯვენა არ იყოო, მაგრამ ხელი

ხელია და მე ის მარცხენა ხელიც მიყვარდა. მიყვარდა მისი ხუთივე თითი, სათითაოდ რომ ჩამოვუვლიდი ხოლმე და დავკოცნიდი. დარდს არ ვიმჩნევდი, ჩემს კაცს კიდევ უფრო მეტად რომ არ ედარდა და ვამხნევებდი, ნუ გეშინია, დაბრუნდება, სად წავა-მეთქი. მაგრამ გულის სიღრმეში მეც მეშინოდა, რომ ჩემი კაცის მარცხენა ხელი სამუდამოდ გადაიკარგა ჩვენი ცხოვრებიდან. მაგრამ ერთ დღეს, ხელის დაკარგვიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საღამოთი, ტახტზე რომ ვიყავით მიწოლილები და ჩემი კაცი მარჯვენა ხელით თმაზე მეფერებოდა, კარზე ჩუმი, მორიდებული კაკუნი გაისმა. უხალისოდ წამოვფრატუნდი, ვინ უნდა იყოს-მეთქი და... კარში იდგა მარცხენა ხელი. რაღაცნაირად იდგა, მორიდებით. თან რომ უნდოდა შემოსვლა და თან შემოპატიჟებას ელოდა. ხელი დაბრუნდა-მეთქი, გავძახე ჩემს კაცს, ჩუმად... და ახლა აქვს ჩემს კაცს მარცხენა ხელი 18 ჭანჭიკით შეერთებული. აბა, წარმოიდგინეთ, განა ბევრ ქალს ჰყავს ასეთი «რკინისხელიანი» კაცი?

## სიბერე

მე არ მეშინია სიბერის. იმიტომ, რომ სიკვდილის მეშინია. ახალგაზრდა სიკვდილის. ჰოდა, ამიტომ მინდა ღრმა სიბერემდე ვიცოცხლო. აი, იცი, როგორ სიბერემდე? ყველას რომ თავს მოვაბეზრებ, ჩემი სიკვდილით გული რომ არავის დასწყდება. ჩემს შვილსაც კი. იმიტომ კი არ მინდა ასე ღრმა სიბერემდე სიცოცხლე, რომ ეს სიცოცხლე მიყვარს ძალიან, არა, იმიტომ მინდა ღრმა სიბერემდე სიცოცხლე, რომ დარდი არავის დავუტოვო ჩემი წასვლით.

და კიდევ: ჩემი სიბერის ხომ არ მეშინია, მაგრამ ჩემი მშობლების სიბერის მეშინია სიკვდილივით. ჩუმ-ჩუმად ვაპარებ ხოლმე თვალს ხან ერთისკენ, ხან მეორისკენ და ერთის სიგამხდრე და მეორის ყელზე შემოხვეული მომჩვარული კანი სულ უფრო და უფრო მეტად მახსენებს მათ მოახლოებულ სიბერეს. და მეშინია. მეშინია მარტო დარჩენის. მარტო როგორ დავრჩები, როცა შვილი

მყავს, ქმარი მყავს, ძმა მყავს და სხვები, მაგრამ მშობლები რომ მიდიან, მიაქვთ შვილების წარსული, ახალგაზრდობა, ბავშვობა და ტოვებენ სასტიკად მწარე მოგონებებს.

## საქმე

საქმე, რომელსაც მე ვაკეთებ, არ არის ადვილი. მეტიც, ძნელია. ძალიან საპასუხისმგებლო, მაგრამ ამასთანავე ძალიან მრავალფეროვანი. არც კი წარმომიდგენია, რა ვიქნებოდი, რომ არა ჟურნალისტი. ზოგჯერ ძალიან დამღლელი, ზოგჯერ სანერვიულო, ზოგჯერ სატირალი, ზოგჯერ საშიში, მაგრამ ყოველთვის საინტერესო, არასდროს მოსაბეზრებელი. ურთიერთობა უამრავი ტიპის ადამიანთან. უამრავი ინფორმაციის გადახარშვა. ტყუილ-მართლის ჩიჩქვნა, თხრა, ხანდახან ტალახის ზელა, მერე მიღებული ინფორმაციის ფაზლივით აწყობა და დღის ბოლოს წერტილის დასმა. აი, ესაა ჩემი საქმე. საქმე, რომელიც თუკი არ გიყვარს, ერთ კვირასაც ვერ გაქაჩავ. ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ, ნეტავ, კიდევ რამდენი წელი შევძლებ, რომ ვიყო აქტიური რეპორტიორი, ვირბინო მიკროფონით და ჩამწერით? მერე ვიწყებ წლების თვლას და ვამბობ, ჰაჰა, კიდევ 10 წელი? 13 წელი? 50 წლის ნინო კიდევ შეძლებს აქეთ-იქით სირბილს, რესპონდენტების დევნას? პასუხი არ მაქვს. თან ალბათ სასაცილოც ვიქნები პატარ-პატარა გოგო-ბიჭებში გარეული 50 წლის ქალი. ჩვენთან რეპორტიორობა რატომღაც ხომ პატარა გოგო-ბიჭებთან ასოცირდება...

და თუკი ძალიან არ გამიგრძელდება სიტყვა ჩემს საქმეზე, ჩვენი პროფესიის ერთ სიძნელეზე ვიტყვი, არც ომზე, არც ტყვიები ზუზუნზე, არც დარბეულ აქციებზე, ერთ ძალიან რიგით სიძნელეზე: ერთხელ, სამსახურიდან დაბრუნებული,

საპირფარეშოში შევიკეტე და ვიტირე. დავტიროდი რიგითი რეპორტიორის ბედს. დავტიროდი იმის გამო, რომ იცის თუ არ იცის, შეუძლია თუ არ შეუძლია, უნდა წეროს. ტირილამდე კი, მოსაღამოებულზე, ვიჯექი ერთი მყუდრო კაფის მძივებიანი აბაჟურის ქვეშ, ხის მაგიდასთან და ველოდებოდი რესპონდენტს, რომელიც ბოლო 15 წელია, ნიუ-იორკში ცხოვრობს და იქ წარმატებული ტიპია. ინტელექტუალებში, ელიტაში ტრიალებს, მის გემოვნებას, მის აზრს მსოფლიოს ცნობილი კოლექციონერები პატივს სცემენ და აღიარებენ... ჰოდა, ვიჯექი აბაჟურის ქვეშ, რესპონდენტის ცხვირწინ, ის მელაპარაკებოდა ქართულად და მე მისი არ მესმოდა. საერთოდ არ მესმოდა. არცერთი სიტყვა. არაფერი არ მესმოდა დედამიწის ზურგზე. არ მესმოდა იმიტომ, რომ მელაპარაკებოდა Chassie Post Gallery-ზე, კიდევ Joyce Goldsteine Gallery-ზე, კიდე Apex Art.NY-ზე, კიდევ Suite 106-ზე, კიდევ ძალიან ბევრ ტიპზე, რომლებიც როგორც ჩანს, საარაკოდ ცნობილი ტიპები არიან ხელოვნების დარგში, აი, ისეთი ტიპები, ერთს რომ შეიხედავენ White Cube-ში, მოჭუტულ თვალს შეავლებენ კედელზე ჩამოკონწიალებულ ტილოს, სხვათაშორის ამოღერღავენ, Wow, Nice... ოქროს კალმით ჩეკს გამოწერენ და ტილო მეორე დღეს მათი პენტჰაუსის რომელიმე კედელზე კიდია. მელაპარაკებოდა ჩემი რესპონდენტი ძალიან შორ, მიუწვდომელ ხელოვნებაზე და უცებ ვიგრძენი, როგორ გავხდი გამჭვირვალე. როგორ გადმომცვივდა ყურსასმენები, როგორ წაიშალა წინასწარ ჩამოწერილი ტრაფარეტული კითხვები ბლოკნოტის ფურცლებიდან, როგორ ჩამოვცილდი ხის მაგიდას და ჩემს ჭიქა კოკა-კოლას, როგორ ავფრინდი, როგორ გადავაფრინდი გვერდით მაგიდაზე რაღაც უგემოვნოდ მოკოცნავე წყვილს და გავფრინდი შორს იმ კაფიდან, იმ რესპონდენტისგან, რომელიც ისევ იჯდა ჩართულ ხმის ჩამწერთან, ისევ გატაცებით ლაპარაკობდა თავის საყვარელ საქმეზე და ვერც კი შეამჩნია, რომ ერთი რიგითი რეპორტიორი მას შუა ინტერვიუდან გაუქრა, გაუფრინდა. გაუფრინდა იმიტომ, რომ უცებ მოენატრა თავისი შვილი, რომელიც სახლში, ელოდებოდა და რომელსაც დაპირდა, რომ ისტორიას ერთად ისწავლიდნენ...

## ოცნება

ოცნება? ჩემი ოცნებები იცი როგორი მარტივია ხანდახან? აი, მაგალითად, მაღაზიის ვიტრინაში ჩამოკიდებული ჭრელი კაბით შემოიფარგლება. ან კიდევ დილით, ერთი საათით მეტი ძილით. ან კიდევ, აუ, ნეტა, უკვე საღამო იყოს და სახლში ვიყო. ან კიდევ, ნეტა ახლა ეს უნიტაზი არ მქონდეს გასახეხი და ა.შ. ისე კი, სინამდვილეში, ჩემი დიდი ოცნება ერთ დიდ შიშს უკავშირდება: სიბრმავეს. ვოცნებობ, რომ სიკვდილამდე არ დავბრმავდე. დანარჩენ ოცნებებს მოევლება. თან აუცილებლად. მე ისეთი ოცნებები მაქვს, მიწაზე რომ მყარად დგანან. ასეთი ოცნებები კი აუცილებლად ხდება.

## კომპლექსი

ჰო, მაქვს კომპლექსი. არასრულფასოვნების კომპლექსი. იმიტომ, რომ მე პერფექციონისტი ვარ. და მგონია, რომ იმას, რასაც ვაკეთებ, ისე ვერ ვაკეთებ, როგორც უნდა ვაკეთებდე. მაგალითად, მაქვს იმის კომპლექსი, რომ ისეთი დედა არ ვარ, როგორიც უნდა ვიყო. ისეთი დიასახლისი არ ვარ, როგორიც უნდა ვიყო. ისეთი ცოლი არ ვარ, როგორიც უნდა ვიყო. ისეთი პროფესიონალი არ ვარ, როგორიც უნდა ვიყო. სულ მეტს და მეტს ვთხოვ საკუთარ თავს და ხშირად, ეს მეტის და მეტის მოთხოვნა ისე მღლის და ისე მფიტავს, რომ ხელს ჩავიქნევ ხოლმე და ვიტყვი, რაც არის, ეგ არის. ვეძებ ამ სრულყოფილებას საკუთარ თავშიც და როცა ვხვდები, რომ მე არ ვარ სრულყოფილი, ვიწყებ საკუთარი თავის დაცინვას. და დავცინი საკუთარ თავს სადღაც გულში და ჩუმად კი არა, არამედ ხმამაღლა, ყველას გასაგონად. რომ ნიკაპზე ხიჭვები ამომდის, რომ თმაში ჭაღარა იღრიჯება, რომ ჩამოწლაწულ მუცელს ჯინსებში ვიყოლებ... და მერე წერენ და წერენ სხვები, რომ აბა, რას ამბობ ნინო, შენ ლამაზი ხარ, ულამაზესი ხარ, ძალიან ლამაზი ხარ, მიგზავნიან ვირტუალურ გულებს, მიგზავნია ვირტუალურ კოცნებს და ამ დროს მე მინდება, გავიხადო ტანსაცმელი და

დავადუმო ისინი. ჩავახრევინო თავები და ზურგი შევაქცევინო და გულში ვათქმევინო, უიი, ჰოო, მართალი ყოფილა ეს გოგოო...

## სხვა ნინო

სხვა ნინო არ არსებობს. არც იარსებებს, სანამ არ მოვკვდები. და მერე იქნება სხვა ნინო – ჭიებისგან შეჭმული ნინო, ჩონჩხად ქცეული ნინო და ბოლოს, შორეულ მოგონებებში დაკარგული ნინო. გაქექილ ფოტოებზეღა შემორჩენილი.

## მეგობრობა

მეგობრობა სიცილია. ისეთი სიცილი, როგორი სიცილითაც სხვებთან ვერასდროს გაიცინებ. ვერ გაიცინებ ასე მშობლებთან, რადგან მათ ასეთი ხუმრობები არ ესმით. ვერ გაიცინებ შვილთან, რადგან ფიქრობს, რომ ასეთ ხუმრობებზე მხოლოდ ბებრები იცინიან. ვერ გაიცინებ კოლეგებთან, რადგან მათ შეიძლება იფიქრონ, რომ სიკრეტინეა, რაზეც იცინი. შეიძლება ვერ გაიცინო ქმართანაც კი, რადგან როცა შენ მასთან ხუმრობ, მას, მაგალითად, შეიძლება, შენთან სექსი უნდოდეს და ამ შენს დებილურ ხუმრობაზე, რომელზეც მარტო შენი მეგობრები იცინიან, აღარ მოუნდეს შენთან სექსი და გაბრაზდეს ამაზე. მეგობრები კი არასდროს ბრაზდებიან. პირიქით, შენს სისულელეებზე მაგრადაც იცინიან და გთხოვენ, აუ, თარხან, მიდი კიდე გააკეთე ასე რა. და მეც ვაკეთებ. აი, ესაა ჩვენი მეგობრობა. მე ასეთი მეგობრები მყავს.

## წერა

წერა ისაა, რასაც ყოველდღე ვაკეთებ. ერთი იმიტომ, რომ წერა ჩემი პროფესიაა და მეორე ის, რომ გარშემო, რასაც ვხედავ, რასაც განვიცდი, ყველაფერზე მეწერინება. ერთადერთი, რაც დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, ეს არის ის, რომ მე შემიძლია წერა.

შემიძლია წერა მაგალითად, კოკა-კოლას ბოთლზე, რომელიც ძალიან მიყვარს. შემიძლია წერა მეზობლის ცუდად გაფენილ წინდებზე, შემიძლია წერა გაფუჭებულ ყურსასმენებზე და ყველაფერზე, რაც ჩემ გარშემო ხდება. და მგონია, რომ იმ რამდენიმე განცდიდან, რომელიც ცხოვრებაში ბედნიერებას მანიჭებს, ერთ-ერთი სწორედ წერაა. ამ დროს მგონია, რომ საკუთარ თავს რამდენიმე სანტიმეტრით ვშორდები, იქვე გვერდით ვჯდები და ვუყურებ ნინოს, რომელიც წერს. ვზივარ ჩუმად, რომ ხელი არ შევუშალო და დროდადრო მისი ნაწერისკენ ვაპარებ თვალს. ჩემს თავში მხოლოდ მაშინ ვბრუნდები, როცა წერტილს ვსვამ და ნაწერს თვალს ვავლებ. და თუ ჩავთვლი, რომ ის, რაც დავწერე, კარგი გამოვიდა, ვდგები ფეხზე, დაძაბულ კისერს უკან ვწევ და თითქოს ლოდებით გამოტენილი ჩანთებისგან გამეთავისუფლებინოს ხელები, ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობ... ხელები კი კანკალებენ... მინდა, რომ არასდროს დავკარგო ეს უნარი. თუნდაც არავის ვაკითხებდე, თუნდაც არაფერს განსაკუთრებულს არ ვწერდე, მაგრამ სულ ვწერდე. 12 წლის წინ, როცა წერა დავიწყე, ერთი მძიმე ტვირთისგან გასათავისუფლებად დავიწყე წერა, ჰოდა, მას შემდეგ, განტვირთვაა ჩემთვის წერა... და როცა რაიმე განსაკუთრებით მაწუხებს, თუნდაც ისეთი რაღაც, რაც პირადად მე არ მეხება, ვჯდები და ვიწყებ წერას და ამ უარყოფითი ენერგიისგან ვთავისუფლდები. ანუ, რა გამოვიდა, თერაპია ყოფილა ჩემთვის წერა და ერთ დღეს ეს უნარი რომ დავკარგო, ალბათ შემჭამს ერთდროულად დარდი, მონატრება, სიყვარული... ყველაფერი ის, რაზეც ვწერ.

## ცდუნება

ალბათ, ერთადერთი ცდუნება არსებობს დედამიწაზე, რომელსაც ვერასდროს დავნებდები – დავწვე სხვა კაცთან. სხვა ცდუნებები არ არსებობს. ყოველთვის გამოვაღებ მაცივარს ღამის პირველ საათზე, გავიკეთებ მსუყე ბუტერბროდს და დავნებდები ამ ყველაზე ბანალურ ცდუნებას...

## წიგნი

რაც თავი მახსოვს, წიგნი სულ არის. და ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სიბრმავის მეშინია, სწორედ წიგნია. ნეტა ვის ექნება იმისი თავი, რომ დამიჯდეს და წიგნები მიკითხოს და მერე ალბათ წიგნების ყნოსვაღა მომიწევს. ჯერ იყო წიგნები ბავშვობის სახლში, მზისგან გახუნებულები, მამაჩემის ნაკითხები, ჩანიშნულები. მერე იყო ბიბლიოთეკის წიგნები, ვაჟა-ფშაველას ბოლოდან, გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკიდან. ერთ დღეს რომ დაიწვა, ნახევარი ბიბლიოთეკა რომ დაიბუგა და მეორე ნახევარი ისე გაიჭვარტლა, რომ სახლში წამოღებულ წიგნებს ბოლის სუნი ჰქონდა, მე კი გამურული თითები, ლოყები, ცხვირი... წიგნი სულ არის. ხან ჩანთაში, ხან საწოლთან, ხან ტრანსპორტში, ხან სადმე, მოსაცდელში. და მაინც, არსებობს რამდენიმე წიგნი ჩემს ცხოვრებაში, რომელიც რატომღაც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. დამამახსოვრდა არა მხოლოდ მისი შინაარსით, არამედ დამამახსოვრდა კადრებიც, როცა ამ წიგნებს ვკითხულობდი: «პეპი» – წიგნი დედამ ჩამომიღო თაროდან. მამაჩემის ნაქონი. ერთი პერიოდი ჩვენს სახლს ტარაკნები შემოესივნენ, მათ შორის წიგნებსაც და რომელიღაცა გვერდზე ტარაკნის კვერცხები ვიპოვე. «7 წლის ვიყავი; «ტრისტანი და იზოლდა» – 12 წლისას ზედა მეზობელმა მაჩუქა, ციალამ. გაუთხოვარი იყო. დააყოლა, სასწაული სიყვარულის ისტორიაო. ორ დღეში ფეხები გავიპარსე; «პატარა უფლისწული» – ჩემი რუსი მეზობელი სტავროპოლში წავიდა საცხოვრებლად და თავისი ბიბლიოთეკა გაყიდა. ჩემებმა რაღაც წიგნები იყიდეს, მათ შორის «პატარა უფლისწული» რუსულად. ეს წიგნი 13 წლისამ წავიკითხე და მას მერე გავხდი გაცილებით კარგი, ვიდრე ვიყავი. სამი წლის წინ მარიტასთან ერთად წავიკითხე ის, ამჯერად ქართულად, და მე რომ ვტიროდი და კითხვისას სუნთქვა მეკვროდა, მარიტას

ეცინებოდა. ალბათ პატარა იყო ამ წიგნისთვის; «პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი» – 14 წლისამ გამოვაძვრინე თაროდან. ზამთარი იყო და შუქი არ გვქონდა. მილიონგვერდიანი წიგნი ორ ღამეში წავიკითხე. სანთლის წვეთები ახლაც ეტყობა იმ წიგნს. რა თქმა უნდა, კვაზიმოდო მეც შემიყვარდა; «ნატვრის ხე» – ჩემს მარიტას ამ წიგნის გამო ჰქვია მარიტა; გოგოლის მოთხრობები – ათივე თითი დავიჭამე. როცა რამეზე ვდარდობ თუ ვნერვიულობ თუ განვიცდი, თითებს ვიჭამ ხოლმე; აკუტაგავას მოთხრობები – ის ჩემმა მეგობარმა 1989 წელს დაბადების დღეზე, «კომუნისტში» გახვეული მაჩუქა. წიგნი თხელყდიანი იყო და თეთრ ყდაზე ყავისფერ და შავ ფერებში მგონი ხის აბსტრაქცია ეხატა. წიგნი ჩუქებიდან შვიდი წლის თავზე, ანუ 17 წლისამ წავიკითხე. გაზაფხული იყო. ალბათ სწორედ ამ დროს ყვავიან იაპონიაში საკურები. ჩემი ძაღლი ლეკვი იყო და მე რომ ამ წიგნს საწოლზე წამოწოლილი ვკითხულობდი, ის მუცელთან მყავდა დახვეული; «სამი მეგობარი» – ჩემი მეთვრამეტე ზამთარი იდგა. საძინებლის ლურჯ პუფზე ვიჯექი, კრემისფერი ჟაკეტი მეცვა, ხელები სახელოებში მქონდა შემალული და მციოდა; «მარტოობის ასი წელი» – სახლის ბიბლიოთეკიდან მაკულატურას ვარჩევდით მე და მამა. ყავისფერყდიანმა ამ წიგნმა ზაფხულის ერთი ღამე წაიყოლა. იმ ღამეს ზუსტად ისე წვიმდა, როგორც მაკონდოში; «პლატფორმა» – 4 თუ 5 წლის წინ წავიკითხე. მას მერე გავხდი უფრო მეტად გაფუჭებული, უფრო მეტად ზნედაცემული :დდ ...ჩემმა ქმარმა ეს ცვლილება წიგნის დამთავრებიდან მეორე ღამესვე შეამჩნია – «სრული გასხივოსნება» – ორი წლის წინ გამასხივოსნა. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ჯონათანს. მისი ფოტოები შევისწავლე. კაი ტიპია...

ახლა, ამჟამად, აღმოსავლელ მწერლებსა ვარ შესეული...

## არჩევანი

მე ცხოვრებაში კარგი არჩევანი გავაკეთე და ამის გამო მადლობელი ვარ საკუთარი თავის. ავირჩიე კარგი კაცი, ავირჩიე

კარგი პროფესია. ხომ არის ასეთი გამოთქმა, არჩევანი რომ მქონდეს, ამას გავაკეთებდი, იმას გავაკეთებდი... არჩევანის საშუალება რომ მქონდეს, საკუთარი თავის თვისებების არჩევანის საშუალება, ვიქნებოდი უფრო თავისუფალი, უფრო ლაღი, უფრო მშვიდი... და მერე ყველაფერი კარგად იქნებოდა.

## დედამიწა

აი, მიწაში რომ ჩავალ, მინდა, რომ დედამიწის ერთ უპატარავეს, უმცირეს ნაწილში, ჩემი ნაფეხურები დავტოვო. ცოტა ამბიციური განაცხადია და ზუსტად ვიცი, ეს ასე არ იქნება, მაგრამ მაინც...

## ბესტსელერი

ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, ისე, როგორ უნდა მოვკვდე, რომ ბესტსელერი ვერ დავწერო-მეთქი და მერე ვიწყებ ხალისს, ხუმრობას ამ ყველაფერზე – აი, «გრეის 50 ელფერის» მსგავსი რამე რომ დამაწერინა, რას ავშენდებოდიიით, რა, ჰო, ცოტა მეტი დრო, ცოტა მეტი გაფრენა და ერთი მსგავსი წიგნის «გამოცხობაც» შეიძლება. მერე ერთი კარგი მთარგმნელი, უცხოელი გამომცემელი და ეგაა. ინტელექტუალურ ბესტსელერს ვერ გავქაჩავ, თორემ სექსი და წერა კი შემიძლია, ჰა, ჰა, ჰა...

## ერთხელ

ერთხელ ალბათ წავალ სტამბოლში და ბოსფორის ხიდის ქვეშ თევზს ვიყიდი...

## ოდესმე და ბოლოს

ოდესმე და ბოლოს მარიტა იამაყებს ჩემით. ახლაც ამაყობს, ჩუმ-ჩუმად, მაგრამ ერთ დღეს ხმამაღლა იამაყებს...

# მინიატურები

## მამაჩემი გახდა

მამაჩემი გახდა. გაუხდა მკლავები. ბეჭები. კისერიც გაუხდა. და ჩამოეკიდა ზედ ტანსაცმელი. ზოგი თავისი. ზოგი ჩემი ძმის გამონაცვალი. ზოგიც ჩემი ქმრის.

გახდა მამაჩემი და წვრილ კანჭებზე წამოცმულ შარვალში გაქრა. ზამთრის ქურთუკში ხომ სულ დაიკარგა. ვიღაცის გამონაცვალი მანქანაც გაუფუჭდა გამხდარ მამაჩემს. დაჟანგებული გულიდან ზეთი გამოუვიდა და დადგა მანქანა.

აღარ ღმუის, აღარ თახთახებს, აღარც ქშინავს. და თითქოს ისიც გახდა მამაჩემივით და მიეგდო რვასართულიანი კორპუსის ქვეშ, ნაძვის ძირში – დაღლილი. დაქანცული.

მოიწყინა გამხდარმა მამაჩემმა. მაზუთიანი თითები გადააჭდო ერთმანეთს და ჩამოჯდა ტახტზე, ვერაფერი გავუგე, ამის დედაცო.

დედამ უთხრა გამხდარ მამაჩემს, ნუღარ მისტირი მაგ ჯართს, გავყიდოთ, ცოტა ფულს ხომ მაინც მოგცემენო...

მაგრამ ენანება გამხდარ მამაჩემს ეს ჯართი რეზინის ბორბლებზე. იმიტომ, რომ მამა ფიქრობს, რომ ამ ჯართის გამოა ის ჯერ კიდევ საჭირო ჩვენთვის: ჩვენ რომ ვმუშაობთ, მამას დაჰყავს ჩვენი შვილები ხან სკოლაში, ხან ინგლისურზე, ხან ფიზიკაზე...

ან როცა ყინავს, ქარი უბერავს და ჩემი კაცი ათასობით კილომეტრს იქითაა გადაკარგული, ამოიცმევს მამა გაქექილ ბოტასებს, ამოქოქავს ჟანგიან მანქანას, გაახურებს, გაათბობს და მე და ჩემ გოგოს სახლის კარამდე მიგვარახრახებს.

ჰოდა, დედა, ვერ ჩააბარებს მამაჩემი ამ ჟანგიან მანქანას ჯართში, იმიტომ, რომ მე და ჩემ გოგოს გამხდარი მამაჩემიც გვჭირდება და ეს ჯართის გროვაც.

## კაცი, რომელიც შეშით თბება

მის სახლს რომ მიაგნო, ჯერ მაღაზია «კარამელი» უნდა გაიარო, ნუცუბიძეზე. მერე აუყვე ნაცრისფერ აღმართს, ალაგ-ალაგ, აქეთ-იქით, კარალიოკები რომ აყრია ბატონებივით.

თეთრი ტაქსი ღმუილ-ღმუილით მიუყვება ოღროჩოღრო გზას და მივყავართ ჩვენ: მე, ოპერატორი და კამერა. საქმე გვაქვს ამ აღმართზე. სახლში მივდივართ კაცთან, რომელიც შეშით თბება და ამ შეშას მისთვის შემოდგომობით გამგეობა ეზიდება.

კაცი უნდა ჩავწეროთ. კადრები გადავიღოთ. გავატარ-გამოვატაროთ. შეშა ვაჩეხინოთ. ნაკვერჩხალი ვაჩხრეკინოთ. ადვილი ხომ არ არის ვიდეოსიუჟეტის მომზადება კაცზე, შეშით რომ თბება 21-ე საუკუნის ერთ დიდ ქალაქში...

ღუმელი ბოლავს. იასამნისფრად შეღებილი ფიცრის კარი ზანტად ჭრიალებს. ნათურა ბჟუტავს. ცოლი მეზობელ ქალთანაა გადასული, საბნის კერვაში ეხმარება. ვახშმის ფულისთვის. ბიჭი, რომელიც მეცამეტე წელში დგას, სკოლაშია.

ფარდით გატიხრულ ცხრა კვადრატულ ვითომ ოთახში, ფეჩი რომ ხრჩოლავს, ეს ბოლი თუ უღიტინებს ყელში ალბათ, და ღმერთს ახველებს. მარიამიც რაღაცნაირად იშმუშნება ამ გაჭვარტლული, ჩამოფხავებული კედლიდან, ჩვილს იკრავს გულში და ფანჯარაში გახედვას ცდილობს უშედეგოდ. იმ ფანჯარაში, შუშის ნაცვლად Skyler-ის თეთრი პარკი რომ აუკრავს კაცს, რომელიც შეშით თბება და წამდაუწუმ თავს იმართლებს: «ცოტა საქმეა? დილაობით ბიჭს სკოლაში თბილად რომ უშვებ»... ბიჭს, რომელსაც კლასში შესულს წიგნებთან ერთად შეშის მძიმე სუნიც შეაქვს და იქნებ ვინმე ცხვირსაც უბზუებს...

იასამნისფრად შეღებილი კარი ზანტად ჭრიალებს. გაჭვარტლულ კედელზე ჩამოკიდებული მარიამი პატარა ჩვილით თვალს გვაყოლებს, იასამნისფერ კარში ის და მისი ჩვილი დღეს ვერ

გამოვლენ. ვერც ხვალ და ვერც ზეგ. კაცი, რომელიც შეშით თბება, მის იმედზეა, ვერ მიატოვებს.

## პალტოს ძიებაში

დადგა სეზონი, როცა ვეღარ იტყვი «პალტო ნე ნადა» და შეუდგები გზას, რომელმაც იმ მაღაზიამდე უნდა მიგიყვანოს, სადაც პალტოს იყიდი.

პალტო უნდა იყოს თან თბილი, თან მსუბუქი, თან სადა და თან იაფი. ამიტომ გზა, რომელსაც პალტომდე მიყავხარ, ვერაფრით იქნება იოლად გასავლელი.

ტვიდის პალტო იქნება მხრებში ვიწრო.

გაბარდინის პალტოს ღილებს ოთხის ნაცვლად, ორი ნახვრეტი ექნება.

დრაფის პალტოს სარჩულად მკვდარი ნაცრისფერი ედება.

მაუდის პალტო ეღირება მილიონი და თან საშინლად არ მოგიხდება. უფრო ზუსტად, რა თქმა უნდა, ძალიან მოგიხდება, მაგრამ შენ გადაწყვეტ (გადაწყვეტ იმიტომ, რომ ყიდვის ტრაკი არ გაქვს), რომ მასში ბეჩავ, დაჩაგრულ ქალს ჰგავხარ, ქმარმა რომ ძეხვზე გამოაგდო, ზამთრის ყინვაში და სასწრაფოდ გაიხდი პალტოს, რომელიც მილიონი ღირს.

და განაგრძობ გრძელ გზას, რომელმაც იმ პალტომდე უნდა მიგიყვანოს, მომდევნო სამი წლის განმავლობაში თან გვერდებს რომ მოგითბობს და თან მოდიდანაც არ გადავა.

პალტოს ძიება ძნელი საქმეა. ეკლიანი და სევდიანი. მითუმეტეს მაშინ, როცა სახლში, საკიდზე ერთი სტაფილოსფერი პალტო კონწიალობს და გულში ფიქრობ, რომ ამ ერთ ზამთარსაც, მეოთხე ზამთარსაც გადაგაგორებინებს სტაფილოსფერი, ბურძგლიანი, საძაგელი პალტო.

## მაინა

რაზე და ვისზე დავწერო, თუ არა კალატოზებზე, ჩემი სახლის წინ სახლს რომ აშენებენ, ზურგები რომ წითლად უელავთ, მტვერში ამოგანგლული გადაჭრილი ჯინსის შორტები რომ აცვიათ, ხელებზე რომ წითელი ხელთათმანები უკეთიათ და სულ რომ ერთმანეთს ეძახიან, ხმამაღლა, ხორხის ამოგლეჯვამდე: მაინა, მაინა...

დგანან და აშენებენ აგურის სახლს სხვებისთვის. თვითონ კი...

ნეტა თვითონ როგორი სახლები აქვთ? ან ვინ ელოდებათ სახლში? საღამოობით რას ჭამენ ვახშმად? ფული თუ ჰყოფნით შვილის სათამაშოსთვის? ან ხორციანი სადილისთვის? ცოლები თუ ეწუწუნებიან იმის გამო, რომ ფული არა აქვთ კაბის საყიდლად?

შუადღისას კალატოზები ჭამენ პურს და ძეხვს. აყოლებენ ბოთლით წყალს. პურს და წყალს კი მათთვის მეშვიდე სართულზე ამწე ეზიდება, ზუსტად ისე, ნელი ტაატით, როგორც სინკარებს სართულებს შორის ჩასატანებლად. და ეძახიან მუშები ამწეს: მაინა, მაინა! იშვერენ ცისკენ დაღლილ ხელებს, ცისკენ კი არა, ამწეკრანისკენ, კიჩოზე რომ პური კიდია...

საღამოობით ვხედავ ხოლმე კალატოზებს გამოწყობილებს, სველი ხელებით დაწყობილი თმით, მიკუჭული მაისურებით (დილით რომ ცოლმა დაუუთოვა), მიდიან და მიაფრატუნებენ ფეხებს სახლისკენ. დაღლილ ფეხებს, დაღლილ ხელებს, იმიტომ რომ დღეს მათ სახლი აშენეს, აგურის სახლი...

ჩემ სახლში კი ანთია შუქი. დღეს არც აგურები მიზიდავს, არც ცემენტი მომიზელია, მხოლოდ რამდენიმე კაცს ვესაუბრე ტელეფონით და მერე ერთი ოთხწუთიანი სიუჟეტი შევაკოწიწე. შუადღისითაც მსუყედ ვჭამე... და ახლა ვკვნესი, ოჰ, როგორ დავიღალე...

## წერილი ტერორისტს

გამარჯობა, ბატონო ტერორისტო, ან ქალბატონო.

გწერ იმ ქუჩიდან, სადაც ერთი მწვანე ფიჭვი და ერთიც ოქროსფერი ჭადარი დგას. დგას ერთნაირი სახლები. კუბიკები. მეც ასეთ სახლში ვცხოვრობ.

როგორ გიკითხო, ბატონო თუ ქალბატონო ტერორისტო? ტროტილი ხომ არ შემოგაკლდა? ყავა ან ჩაი?

ბატონო თუ ქალბატონო ტერორისტო, ამ საახალწლოდ რა გეგმები გაქვს? ვის რა სჩუქნი ან ვინ რას გჩუქნის? მე საჩუქრების სია უკვე ჩამოწერილი მაქვს. ჩემთვის არა, სხვებისთვის:

ჩემს გოგოს, რომელსაც თოვლის პაპის აღარ სჯერა, X box უნდა. ალბათ Lego-საც ვუყიდი. კაცს შარშან ნაჩუქარი ჯემპრი იდაყვებზე გაეცრიცა და მგონი, ისევ ჯემპრს ვაჩუქებ, ფული თუ მეყო, სუნამოსაც...

რაიმე საინტერესო კერძის სწავლასაც ვაპირებ, იქნებ წელს მაინც გავაოცო სტუმრები. სამსახურშიც ბლომად საქმე მაქვს. სხვათაშორის შენც ჩემ საქმედ იქეცი. ხან სიუჟეტს ვაკეთებ შენზე. ხან ამბებს ვთარგმნი. ხან სტატიას ვწერ.

ქალბატონო ტერორისტო, აი, სულ მაინტერესებს, ეგ ქამარი მძიმე არ არის? და ის მართალია? თავის აფეთქებამდე შაჰიდი ქალები ღიღინებენო? რა ვიცი, ათასი ჭორ-მართალი დადის თქვენზე და დავინტერესდი.

ბატონო ტერორისტო, შეყვარებული გყავს? რა ფერის თვალები აქვს? თმა? მე ქმარი მყავს და შვილიც. თუმცა, ეს ხომ უკვე მოგწერე. გოგო სკოლაში დადის, გრძელი თმა აქვს და ლამაზი თითები... შენი მეშინია.

ჩემი ქმარი ახლა სტამბოლის აეროპორტშია. წინ ცხრა საათის საფრენი გზა უდევს. შორეული აზიისკენ... შენი მეშინია.

ორ შიშს ვაღიარებ ხმამაღლა: ფრინველების შიშსა და შენს შიშს. დანარჩენ შიშებს მოვუხერხებ რამეს.

ბატონო თუ ქალბატონო ტერორისტო, იმედია, თავი არ მოგაბეზრეთ. უბრალოდ, მინდოდა მეთქვა: ამდენი იმიტომ ვწერე, რომ შენი მეშინია. თავს ნუ გაუფრთხილდები, არც პატივს გცემ, არც ნახვამდის, მშვიდობის შენ რა გესმის, გისურვებ სიკვდილს. ოღონდ მარტო სიკვდილს. ჩვენ არ მოგყვებით.

**ოდა ღრძილებს (ანუ არცერთი სიტყვა კბილებზე)**

პურის გულიც კი ხიჭვად ერჭობათ, არაფერს ვიტყვი პურის ქერქზე.
მანდარინს ვსრუტავ, როგორც ჟენია (ბებიაჩემი)
და ჩენჩოებს ხელისგულში აი, ასე ვყრი – ტფუ.
ჩაის ვაგრილებ ღამის ყინვაში.
ცივ წყალს ვათბობ რადიატორზე...
ერთი კვირაა, ექვსი გული სცემს – ერთი მკერდში,
ხუთიც ღრძილებში.
ერთი კვირაა ხუთ კბილს დასტირის სისხლის ცრემლებით
ჩემი ღრძილები.
ალაგ-ალაგ სოდიანი წყლით დაამდებიან
და მერე ისევ იწყებენ ქვითინს.
თბილ ღრმულებისკენ ენა ისე მიილტვის, და ისე ვარდება,
როგორც... როგორც... როგორც...
როგორც კაცი ქალის საშოში.
ჩაიში ვალბობ ორცხობილას,
ენით სასაზე ვასრეს ლუკმას
და ნელი ღეჭვით, ყბის კანკალით
ხორხისკენ ვუშვებ ნაცოდვილარ, უგერგილო კერძს.

## *ამონარიდები*

**(როსტომ ჩხეიძე, გიორგი ლობჟანიძე, ნინო ვახანია, შოთა იათაშვილი)**

*«ნინო თარხნიშვილის მინიატურები ძალზე საინტერესოა. მათი მანერა იმით არის მომხიბვლელი, რომ პარადოქსებზეა აგებული და ამავე დროს არც ლირიზმი აკლია, არც დრამატიზმი, არც იუმორი თუ ტრაგიზმი და თანაც მოულოდნელი, ნოველური ფინალებით არის სავსე. ავტორი ახერხებს ტევად ჟანრად აქციოს მინიატურა. ამრიგად, მისი შემოქმედება ძალზე კარგი მასალაა კრიტიკისათვის. ამიტომ არ მიკვირს, რომ მის თხზულებებს აქამდეც ბევრი გამოეხმაურა და მერეც არ დააკლდება რეზონანსი»* ***(როსტომ ჩხეიძე)***

*«ნინოს კრებული რომ წავიკითხე, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს უფრო მეტად შემიყვარდა ჩემი ცოლი. ეს იმიტომ, რომ ნინო შესაძლოა ძალზე კონკრეტულზე წერს და მისი მინიატურები ერთგვარად ეგოცენტრულიც კი არის, მაგრამ ის, რითიც დამუხტულია ეს თხზულებები, თავისთავად განაზოგადებს ამ განცდებს»* ***(გიორგი ლობჟანიძე)***

*«ნინო თარხნიშვილი დაკარგული სიტყვების შემგროვებელია, გატეხილი სიტყვების შემწებებელი. სხვისი გატეხილი სიტყვებისა საკუთარი ნაღველით. სიტყვების ჯადოქარი, რომელიც თავისი დარდით სხვის ნაღველს კურნავს, რომელსაც ჩინებულად გამოსდის დასამახსოვრებელი, გულში ჩამწვდომი მინიატურების წერა»* ***(ნინო ვახანია)***

**საკუთარი სქესის სალხინებელში (*შოთა იათაშვილი)***

როგორც წესი, ადამიანები ცხოვრებაში სიგიჟეს მალავენ, ნაწერებში – იგონებენ. მაგრამ მოგონილ სიგიჟეს მოკლე ფეხები აქვს – შორს ვერ მიდის. იმ ადამიანურ სიღრმეებში ვერ მიდის, სადაც ნებისმიერი გარეგნულად მოწესრიგებული ინდივიდი,

ნებისმიერი პრაგმატისტი და ჩინოვნიკიც კი გიჟია, შლეგია, შფოთიანია. დამწყები ლიტერატორისათვის ეს ლიტერატურული სიგიჟე ერთგვარ სასინჯ ქვასაც კი წარმოადგენს. იქ, სადაც პროფესიონალიზმი დიდი დოზით ჯერ არ არსებობს და ტექსტის ქმნისას მისი ფაქტორი ნაკლებად განმსაზღვრელია, მით უფრო რელიეფურად ჩნდება, თუ რამდენადაა ახალგაზრდა ავტორი საკუთარ, თუ საერთოდ, ადამიანთა სულიერ არეულობაში კალმის ფათურისაკენ მოწოდებული.

«ჩვენი მწერლობის» 2006 წლის მე-11 ნომერში იმ ნინო თარხნიშვილის ლიტერატურული დებიუტი შედგა, რომელიც აპირებს გახდეს 27 წლის და რომელიც უკვე იხვეწება, ამაზე მეტს ნუღარაფერს დააწერინებენ მისი ცხოვრებისეული ფაქტების შესახებ, ვინაიდან, როგორც ჩანს, წერა მისთვის ძალიანაა ამ გარეგნული ფასადის განგრევა და ფარული, იდუმალი – ვნებებით, ისტერიკებით, სიხარულიანი შიშებით და შიშიანი სიყვარულებით გამოტენილი ბინის აღწერა. ეს ბინა ყველაზე სიმბოლურად მის მინიატურაში «ჩემი მისამართია სალხინებელი» არის ნაჩვენები.

*«ჩემი ჭერი სულით ავადმყოფის იატაკია,*
*ჩემი იატაკი მღვდლის ჭერი...*
*მე სალხინებელში ვცხოვრობ...*
*მოკლედ შუაში ვარ,*
*და მე რა შუაში ვარ...»*

თითქოს ნაცნობი, კლასიკური სენდვიჩისებური მოდელია, თითქოს ფროიდის ქვეცნობიერის, ცნობიერისა და ზეცნობიერის მოდელთანაც აჩენს მსგავსებას, მაგრამ ერთი განსხვავებით: აქ ყველაფერი ამოყირავებულია. სამოთხე ქვემოთაა, ჯოჯოხეთი ზემოთ, ზეცნობიერი ქვემოთ, ქვეცნობიერი ზემოთ... მხოლოდ და მხოლოდ პროტაგონისტის მდგომარეობა არ იცვლება: იგი კვლავაც შუაშია, კვლავაც სალხინებელშია და დაჟინებით სთხოვს ვიღაცას (ვის?), ნამდვილი წერილები (არა იმეილი, არა აკადნუსხურით) მოსწეროს ხშირ-ხშირად მას.

მასთან მოსაღწევმა გზავნილმა კი, როგორც ირკვევა, მეტად სახიფათო გზა უნდა გაიაროს: პატარა შეცდომა და სულით ავადმყოფის მიერ შესანსლული შეიძლება აღმოჩნდეს, პატარა შეცდომა და მღვდელს ლოცვაში შეიძლება ხელი შეუშალოს, პატარა შეცდომა და ადრესატის ქალიშვილი შეიძლება გააღვიძოს... და რაც მთავარია, «მიდი და ეძებე ამ დიდ ქალაქში, სადაც ცხოვრობს პირველ სართულზე მღვდელი, მესამეზე სულით ავადმყოფი და შუაში მე...»

ნინო თარხნიშვილის ეს მყარი სალხინებელი ამოყირავებული სამოთხე-ჯოჯოხეთით სწორედ ის ზუსტი ლიტერატურული სიგიჟეა, რომელიც მას ორსული მატლის ბებიაქალად დააყენებს, მსოფლიოში პირველ იმ მოღალატე ძაღლად აქცევს, რომელიც ფერებს ხედავს, სხვისი გატეხილი სიტყვების შემწებებლად და საკუთარი სიტყვების მლეწავად ამუშავებს...

თანაც, მთელი ეს უკუღმართობები (გარეგნულიც – მინიატურა «მატლში» პოსტსკრიპტუმი თავშია და არა ბოლოში, მეორე მინიატურას კი საერთოდაც «ნეგატივი» ჰქვია), არც მეტი – არც ნაკლები, ქალური, მდედრული, დედური შიზოფრენიებია, გადამეტებული თუ ნაკლულოვანი სიყვარულით გამოწვეული. ამ ტექსტების მოწყვლადი ბუნება მაფიქრებინებს, რომ სამომავლოდ იგი პოეტური ფორმებისაკენ უფრო შეიძლება გადაქანდეს, ვიდრე სხვა ლიტერატურული ჟანრებისაკენ. ხომ ყველამ ვუწყით, რომ საუკეთესო პოეტი ქალები, სხვაგანაც და ჩვენშიც, როგორც წესი, არა მეტაფიზიკურს ან რეალისტურს, არამედ საკუთარი სქესის ნევროტული ბედნიერება-უბედურების მუტაციას არიან მიცემულნი. ანუ, ნინო თარხნიშვილისებურად რომ ვთქვათ, სალხინებელს. საკუთარი სქესის ამ სალხინებელში დედობრივი გრძნობა თითქმის ყოვლისმომცველია (ზოგ პოეტ-ქალთან შეუმდგარი, ზოგთან შემდგარი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ყოვლისმომცველი), და ამიტომაცაა, რომ მშობიარობის შემდეგ მატლი წითელლოყებიან ვაშლში ცხოვრობს და ბებიაქალ-ავტორს

დედას ეძახის, ამიტომაცაა მინიატურა «ის დღე»-ში ასეთი ამოძახილი:

«– ფაფა?

გიჟი არა ვარ? აბა რა ვარ! – საკუთარი შვილის ფაფას რომ დაწვავ, მაშ რა ხარ?»

ჰო, ასეა. მე ბოლომდე ვეთანხმები ავტორისეულ შეფასებას. ნინო თარხნიშვილი მთელი თავისი მონაცემებით ლიტერატურული გიჟია და მინდა გზა დავულოცო ამ ზიგზაგიან გზაზე, გზაზე, რომელიც სიყალბეს ვერანაირად ვერ იტანს. მით უმეტეს, რომ მან თავის ლიტერატურულ საყუდარს – საკუთარი სქესის სალხინებელს – უკვე მიაგნო.

***«ჩვენი მწერლობა», #14, 7 ივლისი, 2006 წელი***

# მაია ენჯელოუ

**მაია ენჯელოუ** იყო მარგერიტ ენ ჯონსონის, ცნობილი ამერიკელი პოეტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ფსევდონიმი. მაია 1928 წელს დაიბადა მისურის შტატის ქალაქ სენტ ლუისში აფროამერიკელების ოჯახში. სულ პატარა ასაკში ძმასთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა არკანზასში, პატარა ქალაქ სტემპსში, ბებიასთან, რომელიც საკუთარ მაღაზიას ფლობდა. სწორედ სტემპსმა და ბებიამ მოახდინეს ყველაზე დიდი გავლენა მაიას ჩამოყალიბებაზე, რაც კარგად ჩანს კიდეც მის პირველსა და ყველაზე მნიშვნელოვან ავტობიოგრაფიულ წიგნში «ვიცი, რად

გალობს გალიის ჩიტი». რთული და დრამატული ბავშვობის გავლის შემდეგ (მაია და მისი ძმა განუწყვეტლივ იტანჯებოდნენ მშობლებთან სიშორის გამო; ხოლო რვა წლის მაია დედის საყვარელმა გააუპატიურა) მაიას კიდევ უფრო რთული პერიოდი დაუდგა – 17 წლისა მარტოხელა დედად იქცა და შვილი რომ ერჩინა, არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა: მეძავის, საროსკიპოს მენეჯერის, სტრიპტიზის მოცეკვავის, მცხობლის და ა.შ. თუმცა მან საბოლოოდ მოახერხა ამ წყეული წრის გარღვევა და ნიუ-იორკში გადასახლდა, სადაც მწერლისა და სცენარისტის ძალიან წარმატებული და მრავალფეროვანი კარიერა შეიქმნა. მაიას ლექსები არამხოლოდ არაჩვეულებრივი მუსიკალურობითა და შინაგანი ცეცხლით გამოირჩევა (მისმა აუდიოჩანაწერებმა ორჯერ მოიპოვა «გრემი» «წლის საუკეთესო არამუსიკალური ჩანაწერების» ნომინაციაში), არამედ ის აფროამერიკელთა საერთო სატკივარს გამოხატავს და შეიძლება ითქვას, რომ მათ არაოფიციალურ ჰიმნებადაც იქცა. სწორედ ნიუ-იორკში გაიცნო მაიამ მარტინ ლუთერ კინგი და მისი თავგადაკლული მიმდევარი და შავკანიანთა უფლებების აქტიური დამცველი გახდა. რობერტ ფროსტის შემდეგ მაია ენჯელოუ იყო პირველი პოეტი, რომელმაც ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე წაიკითხა თავისი ლექსი. 1993 წელს იგი ბილ კლინტონის ინაუგურაციაზე წარსდგა და «დილის მაჯისცემაზე» წაუკითხა საზოგადოებას.

მაია წერდა: «ახალგაზრდობაში საზოგადოებისაგან უპატივცემულობას ვგრძნობდი, რადგან შავკანიანი ვიყავი, ღატაკი და ქალი. მამაკაცებისაგან კი იმიტომ, რომ ულამაზო ვიყავი». თუმცა სიცოცხლის ბოლო წლებში მან მოახერხა ამერიკის შეერთებული შტატების საკულტო ფიგურად ქცეულიყო.

მაია ენჯელოუ გარდაიცვალა 2014 წელს, მარტში, ამერიკის საუკეთესო პოეტის ტიტულით.

# ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი (ფრაგმენტი ავტობიოგრაფიული რომანიდან)

ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა

## წინასიტყვაობა

*ოპრა უინფრი*

თხუთმეტი წლის ვიყავი, როდესაც «ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი» ჩამივარდა ხელში და ჩემთვის ნამდვილ აღმოჩენად იქცა. მესამე კლასიდან მოყოლებული, ძალიან ბევრს ვკითხულობდი, მაგრამ ეს წიგნი იყო პირველი, რომელმაც ჩემი გულის სიღრმემდე ჩააღწია, შიში და მოწიწება მაგრძნობინა. ნუთუ შესაძლებელი იყო, რომ ამ ნაწარმოების ავტორს, მაია ენჯელოუს, ჰქონოდა ზუსტად ისეთივე ცხოვრებისეული ისტორიები, ისეთივე განცდები, მისწრაფებები და სამყაროსეული აღქმა, როგორიც მე, ერთ საბრალო, შავკანიან მისისიპელ გოგოს?

პირველივე გვერდიდან მომნუსხა:

*«რად მიყურებ ასე? დიდხანს*
*არ ვაპირებ აქ დგომას.*
*გინახულე, რომ გისურვო*
*ბედნიერი აღდგომა»*

ბავშვობაში ეკლესიაში სწორედ მე წარმომათქმევინებდნენ ხოლმე სააღდგომო და ასევე, საშობაო ლექსების კუპლეტებს. სწორედ მე ვიყავი გოგო, რომელსაც კითხვა ასე ძალიან უყვარდა; რომელსაც სამხრეთელი ბებია ზრდიდა; რომელიც ცხრა წლისა გააუპატიურეს და ამის შესახებ სიტყვა არ დაუძრავს. მივხვდი, რა მიზეზით იცავდა მდუმარების აღთქმას მაია ენჯელოუ წლების მანძილზე.

მის ყოველ სიტყვას ვებღაუჭებოდი.

ყოველი გვერდი იმ მიგნებებითა და შეგრძნებებით იყო სავსე, რომელთა გამოთქმაც ჩემს ძალას აღემატებოდა. ვფიქრობდი, აი, ქალი, რომელიც მიცნობს, მიგებს. «ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი» ჩემს თილისმად იქცა. მოზარდობის პერიოდში ჩემ გარშემო ყველას ჩავჩიჩინებდი, ეს წიგნი წაეკითხა. მისი ავტორი ჩემი საყვარელი მწერალი, ჩემი შორეული კერპი გახდა.

ვიცი, ღმერთის ხელი ერია იმაში, რომ ათი წლის შემდეგ მე, დამწყებ რეპორტიორს, დამავალეს ინტერვიუ ჩამომერთმია მაია ენჯელოუსთვის, რომელმაც ის-ის იყო ლექცია ჩაატარა ბალტიმორის ერთ-ერთ კოლეჯში.

– პირობას გაძლევთ, – დავიჟინე, – პირობას გაძლევთ, რომ თუ გამესაუბრებით, ხუთი წუთის მეტს არავითარ შემთხვევაში არ წაგართმევთ.

პირობის თანახმად, ზუსტად 4 წუთისა და 58 წამის მერე ოპერატორს ვუთხარი: «გადაღებულია!» სწორედ ამ დროს მაია ენჯელოუმ თავი ჩემკენ შემოატრიალა, გვერდზე გადახარა და თვალებაციმციმებულმა ღიმილით მკითხა:

– ვინ ხარ შენ, გოგონი?

ჩვენ შორის ჯერ მეგობრული განწყობა გაჩნდა, მერე კი განუყრელ მეგობრებად ვიქეცით. და ბოლოს, როცა იგი გამომიტყდა, რომ თავის ქალიშვილად მთვლიდა, მივხვდი, ოჯახი ვიპოვე.

ჩრდილოეთ კაროლინის შტატში, უინსტონ-სალემში, ველი როუდზე მდებარე სახლის სამზარეულოში ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ კითხულობდა ლექსებს, ჩემი ბავშვობის ლექსებს, პოლ ლოურენს დანბერის პოეზიას – «შავკანიანი, თვალებციმციმა პატარა ბავშვი». ეს ჩემი საყვარელი ადგილი იყო: სამზარეულოს მაგიდას ვუჯექი, ან მაიას მივუცუცქდებოდი ფეხებთან, ანდა კალთაში ჩავუდებდი თავს და ხმამაღლა, მთელი გულით ვიცინოდი. ხარბად ვისრუტავდი მთელ მის ცოდნას, ყველაფერს, რისი სწავლებაც შეეძლო: მის მომხიბვლელობას, სიყვარულს,

რომლითაც მასთან ყოფნისას მუდამ სავსე მქონდა გული. იშვიათად მომხდარა, რომ მაიასთან სატელეფონო საუბრისას თან ჩანაწერები არ მეკეთებინოს. «როდესაც სწავლობ, ასწავლე», – ხშირად ამბობდა ხოლმე იგი, – «როდესაც იღებ, გაეცი». მე გულმოდგინე შეგირდი ვიყავი, მისგან ყოველთვის და ყველაფერს ვსწავლობდი ჩვენს ბოლო საუბრამდე, რომელიც მისი სიცოცხლის უკანასკნელ შაბათდღეს შედგა. «მე ხომ ადამიანი ვარ, – გამუდმებით იმეორებდა ხოლმე, – არაფერი ადამიანური არ მეუცხოვება.»

მაია ენჯელოუ წერდა ისე, როგორც ცხოვრობდა. მას ესმოდა, რომ საკუთარი თავის შესახებ სიმართლის გაზიარება აახლოვებდა დიდსა და ზოგადსაკაცობრიო – სწრაფვის, უარყოფის, უსაფრთხოების, იმედის, გაოცების, წინასწარზრახვის, საიდუმლოებისა და, რაც მთავარია, თვითაღმოჩენის სიმართლესთან; სიმართლესთან, რომლის საშუალებითაც ადამიანი არკვევს, ვინ არის სინამდვილეში და როგორია ის თავისუფლება, რომელიც სიყვარულს მოაქვს. და ამ ორივე მარადიული სიმართლის შესახებ მისი ცხოვრების პირველ ავტობიოგრაფიულ აღწერაშია მოთხრობილი.

ძალიან მიხარია (და დარწმუნებული ვარ, მასაც გაუხარდებოდა), რომ მკითხველთა მთელი ახალი თაობა გაეცნობა მაია ენჯელოუს ცხოვრების ისტორიას, რომელიც მათ საკუთარი ბიოგრაფიის შექმნის ძალას მისცემს.

არა აქვს მნიშვნელობა, პირველად კითხულობთ ამ ამბავს (როგორც მე – მრავალი წლის წინ) თუ ძველ მეგობართან დაბრუნდით (ასეთი შეგრძნება მაქვს ახლა, როდესაც კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს ამ გვერდებს), შეამჩნევთ, რომ ასეთი ახალგაზრდაც კი, მაია გვთავაზობს მოტივს, რომელიც წითელ ხაზად გასდევს მთელ წიგნს, მოტივს, რომელიც მის სირინოზის ძახილად, იმ მანტრად იქცა, რომელიც მის ყველა საუბარში,

ლექსში, ნამუშევარსა და, რაც მთავარია, ცხოვრებაში ჰპოვებს გამოძახილს.

ის ამაყად, გაბედულად და ხშირად ამბობდა:

«ჩვენ კი უფრო ვგავართ ერთმანეთს, ვიდრე განვსხვავდებით».

სწორედ ეს სიმართლე ხსნის, თუ რატომ გვიჩნდება თანაგანცდა, რატომ გვერხევა სულის სიმები ყველა ჩვენგანს, როდესაც გალიის ჩიტი გალობს.




*«რად მიყურებ ასე? დიდხანს*
*არ ვაპირებ აქ დგომას...»*

სიტყვები კი არ დამვიწყებია, ყურადღების მოკრება მიჭირდა. უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები იტაცებდა ჩემს გულისყურს.

*«რად მიყურებ ასე? დიდხანს*
*არ ვაპირებ აქ დგომას...»*

შევძლებდი თუ არა ლექსის დასასრულის ზუსტად გახსენებას, იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი ოფლისაგან დასველებულ ცხვირსახოცს ჰგავდა, მუჭში მოქცეულს ღონივრად რომ ვჭმუჭნიდი და რაც მალე მივუგდებდი მას გარშემომყოფებს, მით უფრო მალე შევძლებდი მუშტად შეკრული ხელების გახსნას და ხელისგულებს ნიავი გამიგრილებდა.

*«რად მიყურებ ასე? დიდხანს...»*

ფერადკანიანთა მეთოდისტური საკათედრო ტაძრის მთელი საბავშვო განყოფილება ღრეჭითა და კრეჭით აქილიკებდა ჩემს სახელგანთქმულ გულმავიწყობას.

კაბა, რომელიც იმ დღეს მეცვა, ლავანდისფერი თავთისაგან იყო შეკერილი და ყოველი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვისას შრიალებდა. და ვინაიდან ჰაერს გამალებით ვყლაპავდი, რომ ჩემი შერცხვენა მისთვის ამომეყოლებინა, ისიც კატაფალკაზე შებმული სამგლოვიარო ლენტივით ტკაცუნობდა.

როდესაც ვუცქერდი, დედუ როგორ კერავდა ამ კაბას, ქობაზე ფურფუშებს როგორ ამაგრებდა და წელს კოხტად ანაოჭებდა, წარმომედგინა, რომ მასში გამოწყობილი კინოვარსკვლავს ვემსგავსებოდი (ქსოვილი აბრეშუმისა იყო და ეს თუ გადაფარავდა მის საშინელ შეფერილობას). როდესაც მას ჩავიცვამდი, მეც ერთ-ერთ იმ საყვარელ, პატარა თეთრკანიან გოგონად ვიქცეოდი, რომელიც სამყაროსთან იდეალური თანაარსებობის განსხეულებულ ოცნებას ჰგავდა. «ზინგერის» საკერავ მანქანაზე ჰაეროვნად გადაფენილ ამ ქსოვილს ჯადოსნური ძალა ჰქონდა, როდესაც ადამიანები მასში გამოწყობილს დამინახავდნენ, ჩემთან მოირბენდნენ და მეტყოდნენ: «მარგარიტ (ზოგი კი – «ძვირფასო მარგარიტ»), თუ შეიძლება, გვაპატიე, ვერ გიცანით»; მე კი დიდსულოვნად ვუპასუხებდი: «რაღა თქმა უნდა, ვერ მიცნობდით. რაღა თქმა უნდა, მიპატიებია!»

რამდენიმე დღის განმავლობაში ამაზე ფიქრიც კი სახეში შემოფრქვეული «ანგელოზის მტვერივით[1]« მაბრუებდა. მაგრამ აღდგომის დილასისხამის მზემ ნათელჰყო, რომ ჩემი კაბა თეთრკანიანი ქალის გახუნებული იასამნისფერი ძველმანისაგან გამოჭრილი უბადრუკი და უშნო ნაცოდვილარი ყოფილა. სიგრძეც ბებრული ჰქონია, თუმც მაინც ვერ ფარავდა ჩემს «ბლუ სილის» ვაზელინით გაპოხილსა და არკანზასის წითელი თიხით მოთხუპნულ, გაძვალტყავებულ ფეხებს. გახუნებული კაბის ფონზე კანი ტალახიანს მიგავდა და მთელი ეკლესია ჩემს გაჩხიკინებულ წვივებს მისჩერებოდა.

განა გაოცებისაგან პირს არ დააღებდნენ, როდესაც ერთ დღესაც ამ შავბნელ, მაჯლაჯუნა სიზმარს თავს დავაღწევდი და იმ ყვავების

ბუდის ნაცვლად, რომელიც თავზე მედგა ხოლმე (თუ დედუ თმას არ დამისწორებდა), ჩემი ნამდვილი გრძელი და ქერა დალალები ჩამომეშლებოდა; ცისფერი თვალებით ყველას მოვნუსხავდი და ბოლოს და ბოლოს შეწყვეტდნენ მითქმა-მოთქმას, რომ მამაჩემი ალბათ ვიღაც ჩინელია («ჩინელი, ანუ ჩინური ფაიფურისგან გამოძერწილი?» – ვფიქრობდი მე) და მისგან მერგო ეს პატარა და ჭრუტა თვალები. მერეღა მიხვდებოდნენ, თუ მათსავით სამხრეთულად რატომ არ ვუქცევდი და მათ მდაბიურ კილოკავზე რატომ არ ვლაპარაკობდი; რატომ ვუბზუებდი ცხვირს შებოლილ ღორის კუდსა და დინგს. მიხვდებოდნენ, რომ მე ნამდვილი თეთრკანიანი ვიყავი და ზღაპრის ბოროტმა დედინაცვალმა, რომელსაც გულზე მოხვდა ჩემი უბადლო სილამაზე (ან კი რა გასაკვირია?!) ზორბა, თმახუჭუჭა და დიდფეხება ზანგის გოგოდ გადამაქცია, რომელსაც კბილებს შორის იმხელა ღრიჭო ჰქონდა, მსხვილი ფანქარი გაეტეოდა.

«რას მიყურებ ასე...» – მღვდლის ცოლი ჩემკენ გადმოიხარა, მისი გრძელი, ყვიციანი სახე ერთიანად მოენაღვლიანებინა თანაგრძნობას. «გინახულე, რომ გისურვო ბედნიერი აღდგომა», – ჩურჩულით მიკარნახა მან. მე, რაც შეიძლება, ხმადაბლა, სულმოუთქმელად მივაყარე: «გინახულერომგისურვობედნიერიაღდგომა». ქირქილი ისე ეკიდა ჩემ თავზემოთ, როგორც გაბერილი ღრუბელი, რომელიც, სადაც იყო, თავსხმა წვიმით გამლუმპავდა. ორი თითი მკერდამდე ავწიე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტუალეტში გასვლის ნებას ვითხოვდი და ფეხაკრეფით გავემართე ეკლესიის უკანა კარისკენ. ბუნდოვნად მესმოდა სადღაც, ჩემ თავზემოთ, როგორ ჩურჩულებდნენ ქალები: «ღმერთო, დალოცე ყრმა ჩვილი» და «დიდება უფალს». თავაწეული, თვალებგახელილი მივდიოდი, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. მერხების მწკრივი სანახევროდ მქონდა გავლილი, როდესაც მთელმა ტაძარმა ერთხმად დაიქუხა: «სად იყავ, როცა მათ აწამეს ჩემი უფალი?» და მე ბავშვების რიგთან ჩავლისას ვიღაცის დადებულ სარმას წამოვედე. წავიბორძიკე და ოინბაზს

რაღაცის თქმა დავუპირე, ეგებ დაკივლებაც, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ ფეხებს შორის მწვანე ხურმა თუ ლიმონი გამომეზარდა, რომელმაც წვეთა დაიწყო. ენაზე მწკლარტე გემო გამიჩნდა და ამ სიმწარეს ზედა ტუჩზეც ვგრძნობდი. კარისაკენ მიმავალს ფეხებს ცხელი სითხე მიმდუღრავდა და საკვირაო წინდებში ჩამდიოდა. ვცდილობდი, რომ შემეჩერებინა, უკან შემებრუნებინა, გასაქანი არ მიმეცა მისთვის, მაგრამ როდესაც ტაძრის კარიბჭეს მივაღწიე, მივხვდი, რომ, თუ ნებაზე არ მივუშვებდი, ეს შეკავებული სითხე თავის ქალამდე ააღწევდა, ჩემს საბრალო თავს ძირს დათხლეშილი საზამთროსავით გააპობდა და ტვინის ნაფლეთები, ნერწყვი, ენა და თვალები ირგვლივ მიმოიფანტებოდა. ასე რომ, ეზოში გავვარდი და ბედს მივენდე. შარდვა-შარდვითა და ტირილ-ტირილით გავრბოდი, ოღონდ არა იქვე, ეკლესიის უკანა ეზოში მდგარი ჩეჩმისაკენ, არამედ საკუთარი სახლისაკენ. კარგად ვიცოდი, რომ ამისთვის მაგრად გამწკეპლავდნენ და საძაგელ ბავშვებსაც კიდევ ერთი მიზეზი მიეცემოდათ, რომ კბილი გაეკრათ ჩემთვის. და მაინც ვიცინოდი, ნაწილობრივ, მოგვრილი შვების გამო; რაღაც უზარმაზარ სიხარულს ვგრძნობდი და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სულელურ ეკლესიას დავაღწიე თავი, იმის გამოც, რომ თავის გასკდომა ამცდა.

სამხრეთელი ზანგი გოგოსთვის გაზრდას მხოლოდ ტკივილი მოაქვს და ყველა იმ ცვლილების გაცნობიერება, რომლებიც მის თავს ხდება, ხორხთან ჟანგიანი სამართებლის მობჯენას ჰგავს.

ზედმეტი თავის ტკივილია და მეტი არაფერი.

**1.**

როდესაც ამ პატარა, ნესტიან ქალაქში ჩამოვედით, მე სამი წლის ვიყავი, ბეილი კი – ოთხისა; თითოეულ ჩვენგანს წელზე ბარათი ჰქონდა შებმული, რომელიც მას, «ვისაც მიემართებოდა», განუმარტავდა, რომ ჩვენ მარგარეტ ჯონსონი და ბეილი ჯონსონ-უმცროსი ვიყავით, კალიფორნიის შტატის ქალაქ ლონგ ბიჩიდან

მოვდიოდით და გზა არკანზასის ქალაქ სტემპსისაკენ გვქონდა აღებული, სადაც მისის ენი ჰენდერსონი მოგველოდა.

ჩვენმა მშობლებმა გადაწყვიტეს, ბოლო მოეღოთ თავიანთი ბედნავსი ქორწინებისათვის და მამამ თავის დედასთან, ბებიაჩვენთან, გამოგვისტუმრა. ვაგონის გამყოლი, რომელსაც ჩვენთვის თვალყურის დევნება დაავალეს, მეორე დღეს არიზონასაკენ მიმავალ მატარებელში გადაჯდა – ჩვენი ბილეთები კი ჩემს ძმას პალტოს შიდა ჯიბეზე ქინძისთავით ჰქონდა მიმაგრებული.

მგზავრობის ამბები ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამხრეთით შავკანიანთა დასახლებაში გადავინაცვლეთ, ღმერთმა აშკარად მოწყალე თვალით გადმოგვხედა. ზანგმა მგზავრებმა, რომლებიც მუდამ სადილით გაძეძგილი კალათებით მოგზაურობენ, შეგვიბრალეს «საწყალი პაწია უდედმამო არსებები» და წინა დღით შემწვარი ქათმის ხორცითა და კარტოფილის სალათით ამოგვყორეს.

წლების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ იმ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები თურმე ათასობით შეშინებულ შავკანიან ბავშვს გადაუკვეთავს, რომლებიც მარტოდმარტო მიემგზავრებოდნენ ჩრდილოეთში თავიანთ ახლად წელმომაგრებულ მშობლებთან ანდა პირიქით, უკან უბრუნდებოდნენ სამხრეთის პატარა ქალაქებში მცხოვრებ ბებიებს, როდესაც ურბანული ჩრდილოეთი მათ დედ-მამას დაპირებულ ოქროს კოშკებს ცხვირწინ აცლიდა.

ქალაქი ჩვენც ისევე შეგვეგება, როგორც მანამდე ეგებებოდნენ სიახლეებს მისი მაცხოვრებლები. ანუ ერთხანს ფრთხილად, მაგრამ ცნობისმოყვარეობის გარეშე გვაკვირდებოდა, მერე კი, როდესაც აღმოაჩინა, რომ უსაფრთხონი (და ბავშვები) ვიყავით, გულში ისე ჩაგვიკრა, როგორც ნამდვილი დედა ეხვევა გაშვილებულ ბავშვს – თბილად, მაგრამ არცთუ ძალიან მშობლიურად.

ბებიასა და ბიძასთან ერთად იმ მაღაზიის უკან ვცხოვრობდით, რომელსაც უკვე ოცდახუთი წელი იყო, რაც ბებიაჩემი ფლობდა.

საუკუნის დასაწყისში დედუმ (ასე ვეძახდით ბებიას ჩამოსვლიდან ორიოდე დღის შემდეგ) გადაწყვიტა, სადილის მიყიდვა დაეწყო მხერხავებისათვის, რომლებიც აღმოსავლეთ სტემპსის ხე-ტყის საწყობში შრომობდნენ და მუშებისათვის, რომლებიც დასავლეთ სტემპსში ბამბის საწმენდ დანადგართან ღვრიდნენ ოფლს. ხორცის ხრაშუნა ღვეზელებმა და ცივ-ცივმა ლიმონათმა, ასევე ბებიას სასწაულებრივმა უნარმა, ერთდროულად ორგან ყოფილიყო, მისი ბიზნესი ააყვავა. თუ თავიდან მოძრავი დახლით ხელში თავად დარბოდა ერთი ქარხნიდან მეორემდე, მერე ზუსტად შუა გზაზე ჩადგა ფარდული, რომ ყველას, ვის ხარჯზეც ცხოვრობდა, თავად მოეგნო მისთვის. რამდენიმე წლის განმავლობაში ასე აპურებდა მუშებს. შემდეგ კი ზანგური უბნის შუაგულში დიდი მაღაზია წამოჭიმა. დროთა განმავლობაში ეს მაღაზია ქალაქის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მასპინძლად იქცა. შაბათობით მისი კარიბჭის ჩრდილში დალაქები კრეჭდნენ თავიანთ კლიენტებს, ხოლო ტრუბადურები, რომლებიც განუწყვეტლივ დაწანწალებდნენ სამხრეთის ქალაქებში, მის წინ გრძელ სკამებზე ჩამოსხდებოდნენ და ტუჩის გარმონისა და სიგარების ყუთისაგან დამზადებული გიტარის ჰანგებს მდინარე ბრაზოსის შესახებ სევდიან სიმღერას აყოლებდნენ.

მაღაზიის ოფიციალური სახელწოდება «ჯონსონის უნივერსალური სავაჭრო დაწესებულება» გახლდათ. აქ

იშოვებოდა ყველა ძირითადი პროდუქტი, ნებისმიერი ფერის საქსოვი ძაფი, კომბინირებული საკვები – ღორებისათვის, სიმინდი – ქათმებისათვის, ნავთი – ლამპისათვის, ნათურები – მდიდრებისათვის, ფეხსაცმლის ზონრები, თმის სახვევები, ბუშტები და ყვავილების თესლები. თუკი რამეს დახლზე ვერ იპოვიდი, შეუკვეთდი და გაგიჩენდნენ.

ვიდრე ჩვენ მაღაზიის ნაწილი გავხდებოდით და ის კი – ჩვენი ცხოვრებისა, იმ გასართობ ციხესიმაგრეში ვიყავით გამოკეტილი, რომელშიც მაღაზიის მეპატრონეს თავისთვის სახლ-კარი ჰქონდა მოწყობილი.

ყოველ წელს ვხედავდი, მაღაზიის გარშემო მინდვრები როგორ შეიფერებოდა ხოლმე ჯერ მწვანე-მუხლუხოსფრად, მერე კი თანდათანობით თეთრად გადაიპენტებოდა. ზუსტად ვიცოდი, რამდენი დრო იყო დარჩენილი მანამ, სანამ ჩვენს წინა ეზოში დიდი ფურგონები ჩამოდგებოდა და დილაბნელზევე დაიტვირთებოდა ბამბის მკრეფავებით, რომლებსაც შემდეგ მონათმფლობელთა ყოფილი პლანტაციებისკენ წაასხამდა.

ბამბის კრეფის სეზონზე ბებიაჩემი დილის ოთხ საათზე დგებოდა (მაღვიძარა არასოდეს დასჭირვებია), ძვლების ჭრიალით ჩაიმუხლებდა და ძილნარევი ხმით გალობდა: «მამაო ჩვენო, მადლობელი ვარ, რომ ახალი დღე გამითენე. მადლობელი ვარ, რომ ლოგინი, რომელზეც წუხანდელი ღამე გავატარე, საუკუნო სარეცლად, საბანი კი შესამოსელ სუდარად არ მექცა. უწინამძღვრე ჩემს ფეხებს, რომ ერთნაირად დაძლიონ ფართო შარა და მიხვეულ-მოხვეული ბილიკი, შეეწიე ჩემს ენას, რომ მაგრად ამოიდოს ლაგამი. დალოცე ეს სახლი და მისი ყველა მკვიდრი. მადლობა შენ სახელითა შენითა და შენი შვილის, იესო ქრისტესი, ამინ».

ვიდრე ბოლომდე გაიმართებოდა წელში, ის უცვლელი თანამიმდევრობით ჩამოთვლიდა ჩვენს სახელებს, მერე თავის დიდრონ ტერფებს შინნაკეთ ჩუსტებში წაჰყოფდა და თუთქით

მორეცხილ შიშველ იატაკზე გაფლატუნდებოდა, რათა ნახშირის ლამპა აენთო.

მაღაზიაში მოპარპალე ლამპის შუქი ჩვენს სამყოფელს რბილ, სიზმარეულ საბურველში ხვევდა, რაც ჩურჩულისა და ფეხაკრეფით სიარულის სურვილს მიღვიძებდა. მთელი ღამის განმავლობაში ერთმანეთს ერეოდა ხახვის, ფორთოხლისა და ნავთის სუნი და მხოლოდ მაშინღა იფანტებოდა, როცა კარს ხის თამასას ჩამოვხსნიდით და მაღაზიაში ერთდროულად შემოვუშვებდით დილის სუსხიან ნიავსა და ადამიანებს, რომლებსაც უკვე რამდენიმე მილი გამოევლოთ, რომ ფურგონში ადგილი გაენაღდებინათ.

– ორი სარდინის კონსერვი, დაო;

– დღეს ისე ჯარასავით ვიბზრიალო, მოგეჩვენოს, რო სარგადაყლაპულივით დგეხარ;

– ყველის ნაჭერი და სოდიანი კრეკერები მაიტა;

– ეგ სუქან-სუქანი არაქისიანი ბრინჯი მამაწოდე, აბა!

ეს ხმა ალბათ ბამბის მკრეფავს ეკუთვნოდა, რომელიც მინდორში საგზალს წაიძღვანდა. სამუშაო კომბინეზონის წინსაფართან ყავისფერი ქაღალდის ცხიმიანი ტოპრაკი უქანავებდა. ვიდრე შუადღის მზე მუშებს ქანცს გააცლიდა და შესვენებას აიძულებდა, ის ამ საგზლით ჩაიტკბარუნებდა ხოლმე პირს.

მაღაზიის ამ მშვენიერ განთიადებს მუდმივად თან ახლდა სიცილის, ხუმრობის, ბაქიაობისა და კვეხნის ხმები. ერთი კაცი ორასი ფუნტი ბამბის დაკრეფას იქადდა, მეორე – სამასისა. ბავშვებიც კი არ აპირებდნენ შინ ასე ორმოცდაათი-სამოცდაათი ცენტის გარეშე დაბრუნებას.

ვისაც წინა დღეს ყველაზე მეტი ბამბა დაეკრიფა, მეორე განთიადის გმირად ითვლებოდა. თუკი იწინასწარმეტყველებდა, დღეს ბამბა მინდორზე მეჩხრად იქნება მიმოფანტული და მისი ბურთები

წკირებს წებოსავით მიეკვრებაო, ყველა მსმენელი ერთსულოვანი ბუზღუნით დაუკრავდა კვერს.

როგორც კი ხუთცენტიან ფასდაკლებებს გამოვაცხადებდით, იატაკზე ბამბის შესაგროვებელი ცარიელი ტომრების ჩოჩიალისა და ძილღვიძილში მყოფი ადამიანების საუბრის ხმას ერთბაშად სალარო აპარატის ტკაცატკუცი ჩამოსხეპდა.

თუკი დილასისხამის ხმებსა და სუნებს ზებუნებრივი ელფერი დაჰკრავდა, ნაშუადღევს არკანზასული ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს უბრუნდებოდა. ჩამავალი მზის შუქზე ადამიანები ცარიელ ტომრებზე უფრო მეტად დაჩოჩიალებდნენ.

მაღაზიაში დაბრუნებული ბამბის მკრეფავები ფურგონის ძარიდან ჩამოაბიჯებდნენ და ყველაფერზე ხელჩაქნეულნი მიწაზე ჩაიკეცებოდნენ ხოლმე. რამდენიც არ უნდა დაეკრიფათ იმ დღეს, საკმარისი მაინც არ იყო. მათი გასამრჯელო ბებიაჩემის ვალსაც კი ვერ გაასტუმრებინებდათ, არათუ იმ უზომოდ გაბერილ გადასახადს, რომელიც მათ სახელზე ქალაქის ცენტრში თეთრკანიან რწმუნებულთან ინახებოდა.

მეორე დილას სიცილსა და ხუმრობას უკვე წუწუნის ხმები ანაცვლებდა, წუწუნებდნენ ყველაფერზე: ოჯახზე, სასწორზე, რომელიც იტყუებოდა, გველებზე, ბამბის მოსავლის სიმწირესა და მტვრიან რიგებზე. წლების შემდეგ ისეთი შეუსაბამო მრისხანებით გავაქიაქე ერთი სტერეოტიპული ტილო, რომელზედაც მხიარულად მომღერალი ბამბის მკრეფავები იყვნენ აღბეჭდილი, რომ ჩემმა მეგობარმა შავკანიანებმაც კი მიგანეს და მითხრეს, რომ ჩემმა პარანოიამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ისინი. მაგრამ მე კარგად მახსოვს ბამბის უვარგისი, პატარა ნაყოფისაგან დასერილი ხელები, თვალიდან არ მშორდება ის ზურგები, მხრები, მკლავები და ფეხები, რომელთაც პატრონებისათვის სამსახურის გაწევა აღარ შეეძლოთ.

ზოგი მუშა თავის ტომარას მაღაზიაში გვიტოვებდა და მეორე დილას წაიძღვანდა ხოლმე, ზოგს კი სახლში მიჰქონდა გასაახლებლად. მუდამ გული მეწურებოდა, როდესაც წარმოვიდგენდი ნახშირის ლამპის შუქზე მთელი დღის შრომით გახევებული თითებით როგორ კემსავდნენ ხეშეშ ქსოვილს. სულ რამდენიმე საათში უკან, და ჰენდერსონის მაღაზიაში, უნდა დაბრუნებულიყვნენ, სანოვაგე შეეძინათ და კვლავ ფურგონებში ახორხლილიყვნენ. მერე მომდევნო დღე წამოეწეოდათ, რომელსაც ისევ მთელი წლის სამყოფი სარჩო-საბადებლის შოვნის მცდელობაში გალევდნენ და ბოლოს ძლივძლივობით მიხვდებოდნენ, რომ სეზონის დასასრულსაც ზუსტად ისეთივე ჯიბეგაფხეკილები შეხვდებოდნენ, როგორც – დასაწყისს, სამი თვის განმავლობაში ოჯახის შესანახავად საჭირო ფულისა თუ სხვა სახსარის გარეშე. ბამბის კრეფის სეზონზე ყველაზე მძაფრად სწორედ ნაშუადღევს გაცხადდებოდა ხოლმე სამხრეთელ შავკანიანთა ცხოვრების სისასტიკე, რომელსაც დილაობით აქაურების ღვთით კურთხეული გონებაშეზღუდულობა, გულმავიწყობა და ლამპის მბჟუტავი სინათლე აფერმკრთალებდა.

**2.**

ბეილი ექვსი წლისა იყო, მე კი მასზე ერთი წლით უმცროსი გახლდით, როდესაც უკვე სულმოუთქმელად ვაბულბულებდით გამრავლების ტაბულას. ასეთი სწრაფი ანგარიში მხოლოდ წლების შემდეგ ვნახე – სან-ფრანცისკოში აბაკუსს დიდი ოსტატობით იყენებდნენ ჩინელი ბავშვები. ჩვენი მუცელგაბერილი, ზაფხულობით ჩანაცრისფრებული ღუმელი, ზამთრის მოახლოებისთანავე ვარდისფრად აგუზგუზდებოდა და თუკი ისე გავსულელდებოდით, რომ შეცდომების დაშვებას გავბედავდით, მაშინვე მკაცრ დისციპლინურ სასჯელად გვექცეოდა ხოლმე.

ძია უილი, უზარმაზარ «ჭ»-სავით (იგი ბავშვობიდან ხეიბარი იყო) ჩამოჯდებოდა და გულდასმით ამოწმებდა ჩვენ მიერ ლაფაიეტის ოლქის დაწყებით სკოლაში მიღებული განათლების დონეს. ძიას

სახის მარცხენა მხარე ქვემოთ ჰქონდა ჩამოწეული, თითქოს ქვედა კბილებზე ჭოჭონაქი ჰკიდიაო, მისი მარცხენა ხელი მცირედით თუ აღემატებოდა ბეილის ხელს, მაგრამ ჩვენს ყოველ მეორე შეცდომასა თუ მესამე შეყოყმანებაზე მისი გოლიათური მარჯვენა ქეჩოში გვწვდებოდა და საბრალო მსხვერპლებს თვალისდახამხამებაში მოგვისროდა გავარვარებული, გაზინთული ღუმელისაკენ, კბილატკიებული ეშმაკივით რომ ქოთქოთებდა. არასოდეს არაფერი დაგვშავებია, თუმცა ერთხელ ლამის თვითონ დავიწვი თავი, რადგან შიშმა ისე ამიტანა, რომ ღუმელზე შეხტომას ვაპირებდი, რათა ერთხელ და სამუდამოდ დამეძლია მის მიმართ ძრწოლა. ბავშვების უმეტესობის მსგავსად, მეც ვფიქრობდი, რომ თუ ყველაზე საშინელ საფრთხესაც კი ნებაყოფლობით ჩახედავ თვალებში და გამარჯვებას იზეიმებ, მასზე სამუდამოდ გაბატონდები. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემს განწირულ სულისკვეთებას წინ გადაეღობნენ. ძია უილიმ ჩემი კაბის კალთა ჩაბღუჯა და შემაჩერა, თუმცა იმდენად ახლოს ღუმელთან, რომ გავარვარებული რკინის სუფთა და მშრალი სუნიც კი ვიგრძენი. «გამრავლების ტაბულა» მისი არსის გაუაზრებლად გვქონდა დაზუთხული, უბრალოდ იმის ხარჯზე, რომ ნიჭიერები ვიყავით და თანაც, აბა, სხვა რაღა დაგვრჩენოდა?!

ხეიბრობა ბავშვის თვალში ისეთი უსამართლო ტრაგედიაა, რომ მისი შემყურე თავს უხერხულადაც კი გრძნობს. იგი, ბუნების ყალიბისაგან სულ ახლახან ჩამოსხმული, ინსტინქტურად ხვდება, ბეწვზეა გადარჩენილი, რომ დედაბუნების მორიგ ხუმრობად არ

იშვა. და სწორედ ეს გადარჩენილის შვება აიძულებს, საბრალო ინვალიდის მიმართ თავისი განცდები შეუწყნარებლობითა და კრიტიკული დამოკიდებულებით გამოხატოს.

დედუს დაუსრულებლად და ყოველგვარი ემოციის გარეშე შეეძლო მოეყოლა, როგორ გაუვარდა სამი წლის ძია უილი ხელიდან მომვლელ ქალს. აშკარა იყო, ძიძის მიმართ მას არავითარი წყენა არ ჩაუტოვებია გულში და არც თავს იდანაშაულებდა. ამ უბედურ შემთხვევას მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ნების გამოვლინებად მიიჩნევდა. არასოდეს სწყინდებოდა შეეხსენებინა ამ ისტორიით ისედაც გაბეზრებული ადამიანებისათვის, რომ უილი «ასეთი არ დაბადებულა».

ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ორფეხა, ორხელა, ძალ-ღონით სავსე შავკანიანი მამაკაცები მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელ სარჩოს ძლივს შოულობდნენ, ძია უილი, თავისი გატკიცინებული პერანგებით, გაკრიალებული ფეხსაცმელებითა და საჭმლით გამოტენილი საკუჭნაოთი ნამდვილი «გასაწკეპლი ბიჭი» იყო და ყველა უმუშევარი და უფულო მასზე იფხანდა ენას. ცხოვრება მხოლოდ იმას არ დასჯერდა, რომ ხეიბრად მოავლინა ამქვეყნად, კიდევ ორმაგი სარმა დაუდო იმით, რომ ამაყი და მგრძნობიარე შექმნა. ამიტომაც არ შეეძლო თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს სულაც არ განიცდიდა საკუთარ სახიჩრობას და ვერც თავს იტყუებდა, რომ ადამიანებს სულაც არ აფრთხობდათ მისი სიმახინჯე.

მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც გულმოდგინედ ვარიდებდი თვალს, ერთადერთხელ შევესწარი, როგორ თამაშობდა საკუთარი თავისა და სხვების წინაშე სრულფასოვან ადამიანს.

ერთ დღეს სკოლიდან დაბრუნებულს ჩვენს წინა ეზოში მუქი ფერის მანქანა დამხვდა. შინ შევვარდი, რომ უცნობი ქალი და კაცი (როგორც შემდეგ ძია უილიმ თქვა, «ლითლ როკის» სკოლის მასწავლებლები) შემეთვალიერებინა, მაღაზიის სიგრილეს შეფარებულნი «დოქტორ პეპერს» რომ სვამდნენ. ვიგრძენი, რომ

ჩვენს თავს რაღაც უჩვეულო ხდებოდა, აი, ისეთი, გამორთული მაღვიძარა რომ დარეკავს.

არა, თავად ახლად მოსულებს უჩვეულო არაფერი ეტყობოდათ. გამვლელები თუ ყოველდღე არა, საკმაოდ ხშირად მაინც გადმოუხვევდნენ ხოლმე მთავარი გზიდან, რათა სტემპსის ერთადერთ ზანგურ მაღაზიაში თამბაქო და უალკოჰოლო სასმელები ეყიდათ. როდესაც ძია უილს შევხედე, მაშინვე მივხვდი, რამ ამირია თავგზა. ბიძაჩემი დახლის უკან სრულიად გამართული იდგა, არც წინ იყო გადმოხრილი და არც კედელზე საგანგებოდ მისთვის მიჭედებულ პატარა თაროს ეყრდნობოდა. გამართული იყო! ჩემკენ მოპყრობილ მის მზერაში ერთდროულად მუქარა და მუდარა გამოკრთოდა.

მე მოწიწებით მივესალმე უცნობებს და ძია უილის ხელჯოხის ძებნაში მთელი ოთახი მოვათვალიერე. არსად ჩანდა.

– უჰ... ეს...ეს... უჰ, ჩემი ძმისწულია. ის... უჰ... სკოლაში იყო, – მერე წყვილს მიუბრუნდა, – ხომ იცით... ჩ-ჩ-ჩ-ჩვენს დრ-რ-როში ბავშ-შ-შ-შვები ჯერრრრ სკოლაში თამაშ-შ-შ-შობენ მთელი დღე და თან სულზე არ-რ-რ-იან შ-შ-შინ რ-რ-როდის დაბრუნდებიან, რომ ახლა აქ გგაერ-რრ-თონ.

მოსაუბრეებმა გაუღიმეს, ძალიან მეგობრულად.

ის მე მომიბრუნდა:

– გად-დ-დი გარეთ, ითამაშ-შ-შე, დაო.

ქალმა გაიცინა და ნაზი არკანზასული კილოთი თქვა:

– ასეა, მისტერ ჯონსონ, ბავშვობა ცხოვრებაში ერთხელაა. თავად თქვენ თუ გყავთ შვილები?

ძია უილიმ ისეთი მოუთმენლობით შემომხედა, როგორიც მანამდე მის სახეზე არასოდეს მენახა, მაშინაც კი, ნახევარი საათი რომ წვალობდა, რათა თავისი მაღალყელიანი ფეხსაცმლის თასმები მარყუჟად გამოესკვნა.

– ვერ..რ..რ გაიგონე, რრ...რაც გითხარი? გ..გ..გარეთ გგადი და ითამაშშშ...შე-მეთქი, დაო.

ვიდრე ოთახიდან გავიდოდი, თვალი მოვკარი, როგორ მიეყრდნო თაროებს, რომლებზეც «გარეტ სნაფის», «პრინც ალბერტისა»და «სპარკ პლაგის» საღეჭი თამბაქოს კოლოფები იყო ჩამწკრივებული.

– არ..რ...რა, მემ... არც შ...შვილი, არც ცოლი, – მან ხრინწიანი ხმით გაიცინა, – მ..მ..მოხუცი დედა და ორ..რი პატარა ძმისშ..შ..შვილი მყავს მოსავლელი.

არ მწყენია, რომ ვიღაცისთვის თავის მოსაწონებლად გამოგვიყენა. ის კი არადა, თუკი მოინდომებდა, სტუმრების წინაშე მისი ქალიშვილის როლსაც სიამოვნებით ვითამაშებდი. მხოლოდ იმ მიზეზით არა, რომ ჩემი ნამდვილი მამა ნაკლებად მეხატებოდა გულზე, იმიტომაც, რომ ვხვდებოდი, ძია უილის შვილი რომ ვყოფილიყავი, უფრო დალხინებული ცხოვრება მექნებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ წყვილი თავის გზას გაუყვა. სახლს ამოფარებული ვხედავდი, მათმა წითელმა მანქანამ როგორ დააწიოკა წიწილები, მტვრის ბოლი აადინა წინა ეზოს და მაგნოლიების უკან გაუჩინარდა.

ძია უილი ხელისცეცებით მიიკვლევდა გზას თაროებსა და დახლს შორის გრძელ, ჩაბნელებულ დერეფანში, სიზმრიდან ახლად გამორკვეულს ჰგავდა. მე გასუსული ვიდექი და ვაკვირდებოდი: ხან ერთ მხარეს გადაქანდებოდა და ხანაც მეორე მხარეს მიეჯახებოდა რამეს, ვიდრე ქვანახშირის საწვავის ავზთან არ მივიდა. მერე მის უკან, ჩაბნელებულ ნიშაში, შეჰყო ხელი, იქ დამალული ხელჯოხი თავის ღონიერ მუჭში მოიქცია და მთელი ძალით ჩამოესვენა ხის საბიჯგს. აშკარად კმაყოფილი იყო თავისი ნამოქმედარით.

ვერაფრით მივხვდი, რატომ მოიქაჩლა ასე თავი იმის გამო, რომ იმ წყვილს (რომელსაც, როგორც მერე თქვა, არ იცნობდა) «ლითლ როკში» თან სრულფასოვანი მისტერ ჯონსონის ხატება წარეტანა.



ალბათ ყელში ამოუვიდა თავისი ხეიბრობა, როგორც პატიმარს ბეზრდება ციხე და დამნაშავეს – ბრალეულობის შეგრძნება. ყელში ამოუვიდა თავისი მაღალყელიანი ფეხსაცმელები და ხელჯოხი, დაუმორჩილებელი კიდურები და ენაბრგვილობა; უკვე ატანა აღარ შეეძლო ზიზღითა თუ სიბრალულით აღსავსე მზერისა, რომელიც მუდამ მისკენ იყო მიმართული და რომელიც ასე, ტანჯავდა ხოლმე. და გადაწყვიტა, რომ ერთ შუადღეს, შუადღის ერთ პატარა მონაკვეთში, ამ ყველაფრისთვის თავი დაეღწია.

მე ამას მივხვდი და არასოდეს, არც მანამდე და არც შემდეგ, არ მიგრძვნია უფრო მეტი სიახლოვე მასთან.

სტემპსში გატარებული იმ წლების განმავლობაში გავიცანი და შემიყვარდა უილიამ შექსპირი. ის ჩემი პირველი თეთრკანიანი სიყვარული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მომწონდა და პატივს ვცემდი კიპლინგის, პოს, ბატლერის, თეკერეისა და ჰენლის შემოქმედებას, ჩემი ახალგაზრდული და თავგანწირული მგზნებარება მაინც სხვებს ეკუთვნოდა: პოლ ლოურენს დანბერს, ლენგსტონ ჰიუზს, ჯეიმზ უელდონ ჯონსონსა და დიუ ბოისის «ლოცვას ატლანტისათვის». მაგრამ სწორედ შექსპირი იყო ის, ვინც «როცა ზიზღს ვხედავ ბედისა და კაცის მზერაში» დაწერა. ეს შეგრძნება კი, ოი, როგორი ნაცნობი იყო ჩემთვის. თავს ვიმშვიდებდი, რომ მისი თეთრკანიანობა დაუძლეველ ბარიერს არ აღმართავდა ჩვენ ორს შორის იმ მიზეზით, რომ ბოლოს და ბოლოს, იგი დიდი ხნის მკვდარი იყო და როცა საქმე ასეა, უკვე ბევრი რამე კარგავს მნიშვნელობას.

მე და ბეილიმ გადავწყვიტეთ, რომ «ვენეციელი ვაჭარი» დაგვედგა, მაგრამ მერე მივხვდით, რომ დედუ აუცილებლად გამოგვკითხავდა პიესის ავტორის შესახებ და ჩვენც მოგვიწევდა გვეღიარებინა, რომ იგი თეთრკანიანი იყო, ამის შემდეგ კი სულაც ვეღარაფერს გვიშველიდა ის, რომ შექსპირი მრავალი წლის წინ გარდაიცვალა. ასე რომ, ბოლოს არჩევანი ჯეიმზ უელდონ ჯონსონის «შესაქმეზე» შევაჩერეთ.

**3.**

სულ მალე ჩემთვის იოლ საქმედ იქცა ფქვილის ნახევარ-ნახევარი ფუნტობით აწყვა, მერე ამოსაღები ნიჩბის წონის გამოკლება და დახარისხებული ფქვილის ქაღალდის თხელ ტომრებში ფაქიზად ჩაყრა. თვალის ზომით ვატყობდი, თუ რამხელაზე უნდა ავსებულიყო ვერცხლისფერი ჩამჩა ფქვილით, კორმით, ღერღილით, შაქრითა თუ სიმინდის კაკლით, რათა სასწორს ზუსტად რვა უნცია თუ ერთი ფუნტი ეჩვენებინა. თუკი ზედმიწევნით სწორად ავწონიდი საქონელს, მადლიერი კლიენტი ტკბილ სიტყვას არ დაიშურებდა: «და ჰენდერსონს ჭკუით სავსე შვილიშვილები ეზრდება», მაგრამ თუკი ჩემი გონება სხვაგან ქროდა, რომელიმე არწივისთვალიანი ქალი აუცილებლად მომცემდა შენიშვნას: «ტომარა აავსე, ბალღო, ჩემს ხარჯზე ნუ მოინდომებ გამდიდრებას.»

და მეც ჩუმად, მაგრამ ჯიუტად ვისჯიდი თავს. კლიენტის ყოველი ენამწარე შენიშვნის შემდეგ პირს აღარ ვაკარებდი ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეულ «კისს», ტკბილი შოკოლადის დრაჟეს, რომელიც ამქვეყნად ყველასა და ყველაფერზე მეტად მიყვარდა, ბეილის გარდა, და კიდევ, ალბათ, ანანასის კონსერვისა. ანანასის სიყვარულს ლამის ჭკუიდან გადავყავდი. იმ დღეზე ვოცნებობდი, დიდი რომ გავიზრდებოდი და მხოლოდ ჩემთვის მთელ ყუთს ვიყიდდი.

მიუხედავად იმისა, რომ სიროფში ჩაწყობილი ეგზოტიკური ოქროსფერი რგოლებით სავსე თუნუქის ქილები ზამთარ-ზაფხულ

თაროებზე გველაგა, მათი გასინჯვა მხოლოდ შობის დღესასწაულზე შეგვეძლო. ანანასის კონსერვის წვენს დედუ მოშავო ხილის ნამცხვრებში ურევდა, რგოლებს კი ღრმა და მძიმე, გამურულ ტაფებში ჩააწყობდა, ზედ ტკბილ ცომს მოასხამდა, გამომცხვარს ამოაყირავებდა და ხილი ზემოთ მოექცეოდა ხოლმე. მე და ბეილის თითო-თითო მორჩენილი რგოლი გვხვდებოდა. მე ჩემსას საათობით ვინახავდი, იქამდე ვაქუცმაცებდი, რომ ბოლოს მისგან მხოლოდ ჩემს თითებზე შერჩენილი სურნელიღა რჩებოდა. მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი ლტოლვა ანანასის მიმართ იმდენად წმინდა იყო, საკუთარ თავს კონსერვის მოპარვისა (აკი შემეძლო) და მისი ბაღში ჩუმად ჭამის ნებასაც არ ვაძლევდი. თუმც, სინამდვილეში ასე იმიტომ არ ვიქცეოდი, რომ ვფრთხილობდი, ვაითუ, ანანასის სურნელი ამყოლოდა და გავეყიდე, შარის თავი კი ნამდვილად არ მქონდა.

ვიდრე ცამეტი წლისა არკანზასს სამუდამოდ დავემშვიდობებოდი, მაღაზია ჩემი საყვარელი სამყოფელი იყო. დილაობით მიტოვებული და ცარიელი, იგი უცნობის მიერ მოძღვნილ გაუხსნელ საჩუქარს ჰგავდა. წინკარის გაღება მოულოდნელი ძღვენისათვის ლენტის შემოცლას მაგონებდა. განთიადი ფეხაკრეფით შემოიპარებოდა მის კედლებში (პირი ჩრდილოეთსაკენ ჰქონდა) და სკუმბრიით, ორაგულით, თამბაქოთი და ძაფის გორგლებით სავსე თაროებზე დაიბუდებდა. ღორის გადამდნარი ქონით სავსე დიდი კასრის გლუვი ზედაპირი ზაფხულის შუადღის მზეზე ჩარბილდებოდა და ჩასქელებულ წვნიანს ემსგავსებოდა. ნაშუადღევს, სკოლის შემდეგ, მაღაზიასთან დაბრუნებული, ვგრძნობდი, რომ დაღლილი მხვდებოდა. მესმოდა, როგორ შესუსტდებოდა გულისცემა მთელი დღის ნაჯაფარს. მაგრამ ძილის წინ, როდესაც ყველა გაიკრიფებოდა, ვინც საღამოს ქვითრების გამო საჩხუბრად, მეზობლებზე საოხუნჯოდ ანდა უბრალოდ, «და ჰენდერსონის მოსაკითხად» შემოიარა, მაღაზიას კვლავ მომავალი ჯადოსნური დილის

მოლოდინი ეუფლებოდა და მთელ ოჯახს ამ მოლოდინის წამლეკავი ტალღები გადაედებოდა ხოლმე.

დედუ ხრაშუნა კრეკერების ყუთებს დახსნიდა და ჩვენ მაღაზიის სიღრმეში, ხორცის განყოფილებაში, ჩამოვსხდებოდით. მე ხახვს ვჭრიდი, ბეილი სარდინების ორ, ხანდახან კი სამ კონსერვს გახსნიდა და თუნუქის კოლოფის კიდეებზე ზეთის წვეთები და მეთევზეთა ნავების სურნელი ჩამოიღვენთებოდა ხოლმე. ეს ვახშამი იყო. საღამოობით, როდესაც ასე მარტონი ვიყავით, ძია უილის აღარც ენა ებმოდა, აღარც ხელები უკანკალებდა და საერთოდაც თავისი «სნეულების» ერთ ნიშანსაც კი აღარ ავლენდა. და მიმწუხრის ეს მყუდროება იყო მტკიცება იმისა, რომ აღთქმა, რომელიც ღმერთმა ბავშვებს, ზანგებსა და ხეიბრებს დაუდო, კვლავ ძალაში რჩებოდა.

წიწილებისათვის სიმინდის დაყრა და კორმის, საჭმლის ნარჩენებისა და ცხიმიანი ჭურჭლის ნარეცხისაგან ტახებისათვის სალაფავის მომზადება ჩვენი საღამოს სამზადისის განუყოფელი ნაწილი იყო. ბეილი და მე სიბნელეში ალალბედზე მივტყაპუნობდით ღორების ბაკისაკენ და ღობეზე მიდგმული კიბის ქვედა საფეხურზე შემდგარნი ჩვენდამი მადლიერებით სავსე კერატებს გულისამრევ ნარევს ვუსხამდით. ისინი თავიანთ ნაზ ვარდისფერ დრუნჩებს სალაფავში ურევდნენ, მიწას ჩიჩქნიდნენ და კმაყოფილებით ღრუტუნებდნენ. საპასუხოდ ჩვენც ნახევრადხუმრობით ჩავუღრუტუნებდით ხოლმე. მათი არ იყოს, მადლიერი ვიყავით ბედისა, რომ დღის ყველაზე უსიამოვნო საქმე უკან მოვიტოვეთ და მისგან ფეხსაცმელზე, წინდებსა და ხელ-ფეხზე შერჩენილი აყროლებული სალაფავის ლაქებიღა შეგვრჩა.

ერთ საღამოს, როდესაც ბავშვები საღორეში ვიყავით, წინა ეზოდან (მას სამანქანო გზას ეძახდნენ, ოღონდ ის იყო, რომ მანქანა არ გვყავდა) ცხენის ფეხის ხმა შემომესმა და კისრისტეხით გავიქეცი, რათა მენახა, ვინ გვესტუმრა ამხედრებული იმ ხუთშაბათ საღამოს, როცა თვით მისტერ სტიუარტიც კი, ხმაამოუღებელი, ღვარძლიანი კაცი, რომელსაც საკუთარი ცხენი ჰყავდა, თავის სახლში, ბუხრის წინ განისვენებდა, ვიდრე დილასისხამი მინდორში სამუშაოდ არ მოუხმობდა.

ყოფილი შერიფი დაუდევრად გადამჯდარიყო თავის ულაყზე. მისი დარდიმანდული პოზა ცხადყოფდა, რომ ამ კაცის ზეგავლენა და ძალაუფლება პირუტყვზეც კი ზემოქმედებდა. რაღა ლაპარაკი უნდოდა, რომ ზანგების თვალში ათასჯერ მეტად ემგვანებოდა ყოვლისშემძლეს.

მისი დუდღუნი მყიფე ჰაერს ათრთოლებდა. მაღაზიის გვერდით მიმალულ ბეილისა და მე გვესმოდა, როგორ უთხრა მან დედუს: «ენი, უილის გადაეცი, აჯობებს თუ ამ საღამოს სარდაფში დაიძინებს. ვიღაც დამთხვეულმა ზანგმა დღეს თეთრკანიან ქალბატონს შეურაცხყოფა მიაყენა. ბიჭები თქვენთანაც აპირებენ შემოვლას». ახლაც კი, როცა მას შემდეგ ამდენმა წელმა ჩაირიხინა, არ მავიწყდება შიშის ის შეგრძნება, რომელმაც ცხელი, მშრალი ჰაერით ამივსო პირი და ტანი ამიმჩატა.

ბიჭებიო? მათი ცემენტის სახეები და სიძულვილით მოელვარე თვალები ტანსაცმელს ზედ შემოგაწვავდნენ, თუკი შაბათ დღეს ქალაქის ცენტრის მთავარ ქუჩაზე მოხეტიალეს თვალს მოგკრავდნენ. ბიჭებიო? თითქოს ახალგაზრდობა არასოდეს მიჰკარებოდა მათ სხეულსა და სულს. ბიჭებიო? არა, ეს კაცები სამარის მტვრით იყვნენ დაფარულნი; ყოველგვარ სილამაზესა და შეგნებას იყო მოკლებული ეს ეპოქა, ძველი ზიზღის სიმახინჯითა და გახრწნილებით სავსე.

განკითხვის დღეს წმინდა პეტრემ ყოფილი შერიფის კეთილი განზრახვის დამოწმება რომ მთხოვოს, ერთ სიტყვასაც ვერ

წამომაცდენინებს მის სასარგებლოდ. ჩემი ყურთასმენა შეურაცხყო მისმა რწმენამ, რომ ბიძაჩემსაც და ყველა სხვა შავკანიან კაცსაც, რომლებიც კლანის განზრახვის შესახებ შეიტყობდნენ, თავიანთი სახლების ქვეშ, ქათმის სკორეში, ჩამალვა მართებდათ. ისე, რომ დედუს მადლობას არ დალოდებია, ყოფილმა შერიფმა თავისი ცხენი ადგილიდან მოწყვიტა, გული დააჯერა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და თავად ის კეთილი მემამულე გახლდათ, რომელმაც თავისი რჩეული, შეწყალებული ყმები იმ მიწა-წყლის კანონის კლანჭებიდან იხსნა.

ყოფილი შერიფის ცხენის ფლოქვების თქარუნი ჯერაც აზანზარებდა მიწას, რომ დედუს უკვე ყველა ნახშირის ლამპა აენთო. მან ხმადაბალი, მაგრამ დაძაბული საუბარი გამართა ძია უილისთან და მე და ბეილი მაღაზიაში შეგვიხმო.

გვიბრძანა, რომ საკუჭნაოს სათავსოები კარტოფილისა და ხახვისაგან დაგვეცალა და მათ შორის გამყოფი ჯებირები მოგვეშალა. შემდეგ კი ძია უილიმ გულისგამაწვრილებელი და შიშისმომგვრელი სიზანტით გადმომცა თავისი რეზინისბუნიკიანი ხელჯოხი და დაიხარა, რომ უკვე გაერთიანებულ, დაცარიელებულ სათავსოში ჩაწოლილიყო. მთელი საუკუნე გავიდა, ვიდრე იგი გულაღმა გაიშოტებოდა, ჩვენ კი მის სხეულზე, როგორც კეცზე, ფენა-ფენა კარტოფილსა და ხახვს მოვაყრიდით. ბებიამ ჩაბნელებულ მაღაზიაში სალოცავად მოიყარა მუხლი.

ძალიან გაგვიმართლა, რომ «ბიჭებს» იმ ღამეს ჩვენი სახლი არ დაულაშქრავთ და დედუსთვის მაღაზიის გაღება არ უბრძანებიათ, თორემ აუცილებლად იპოვიდნენ ძია უილის და აუცილებლადვე გაასამართლებდნენ მას ლინჩის წესით. იგი ისე კვნესოდა მთელი ღამის განმავლობაში, თითქოსდა მართლა რაღაც საზარელ დანაშაულში ყოფილიყო გახვეული. ბოსტნეულის საბნიდან გულისგამგმირავი გმინვა აღწევდა და მე წარმოვიდგინე მისი მარჯვნივ მოქცეული ყბა და დორბლი, რომელიც პირდაპირ თვალებში ჩასდიოდათ კარტოფილის ახალ ბოლქვებს და იქვე ჩაყინულნი ნამის წვეთების მსგავსად დილის სითბოს ელოდნენ.

## მაინც აღვდექი

შენ შეგიძლია გააშავო ჩემი წარსული
იხმარო შენი ჩახლართული, რთული ფანდები,
შენ შეგიძლია ტალახივით ამზილო ფეხქვეშ,
მაგრამ, მტვრის მსგავსად, მე კვლავ აღვდგები.

ჩემი სილაღე ასე მწარედ რად გხვდება გულზე?
რად ვამჩნევ სევდას, შენს მზერაში ელდად გაკრთობილს,
როცა დავდივარ ისე, თითქოს შუა ოთახში,
ზედ სავარძელთან ჭაბურღილი მედგას ნავთობის.

მსგავსადნაკლული მთვარეების, მსგავსად მზეების,
ტალღის გოროზი აზვირთების და შემართების,
მსგავსად იმედის გაღვიძების და გადარევის,
მაინც აღვდგები!

შენ რა გეგონა – რომ მნახავდი ფეხქვეშ გათელილს,
დაღლილი მზერით და მორჩილად მოხრილი ქედით?
შენ რა გეგონა – ჩამოვყრიდი მხრებს უსასოოდ,
დავნებდებოდი შავ ნაღველს და ცრემლებს ვაფრქვევდი?

ნუთუ ეს ჩემი ქედმაღლობა ასე გაოგნებს?
მე მომიტევე, თუკი გულში ეკლად გესობა;
როცა ვიცინი ისე, თითქოს ოქროს მაღაროს
გვირაბით ჰქონდეს შესასვლელი ჩემი ეზოდან.

შენ შეგიძლია, რომ დამხვრიტო შენი სიტყვებით,
ტანზე დამატყო შენი მზერის განაბასრევი,
შენ შეგიძლია, მომკლა კიდეც მაგ სიძულვილით,
მაგრამ მე მაინც, ჰაერივით, ისევ აღვდგები.

ნუთუ ეს ჩემი მაცდურობა ასე გაცბუნებს?
ნუთუ შენს თვალებს ვეოცები და ვენავსები,

როდესაც ვცეკვავ ისე, თითქოს თეძოებს შორის,
მათ შესართავთან საგანძური მაქვს ალმასების?

ქოხმახებიდან, ისტორიის სირცხვილს რომ მალავს,
მე კვლავ აღვდექი,
ნამყოდან, ჩემი ტკივილით რომ იკრებდა ძალას,
მე კვლავ აღვდექი,
ეს მე ვარ შავი ოკეანე, მძლავრი და ლაღი,
ვარხევ და ვახვევ აღელვებულ, ბობოქარ ტალღებს.
უკან დარჩენილ ღამეების შიშით და ბრაზით
მე კვლავ აღვსდექი,
იმ განთიადში მტრედივით რომ კრიალებს ცაზე,
მე კვლავ აღვდექი,
ჩემშია ჩემი წინაპრების ძალი და ღონე,
მე ვარ ოცნება, იმედი ვარ და სასო მონის.
მაინც აღვდექი,
მაინც აღვდექი,
მაინც აღვდექი.

*ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა*

## მქადაგებელო, არ მიმავლინო

მქადაგებელო როცა მოვკვდები
არ მიმავლინო მარშით
იმ რომელიმე მოზრდილ გეტოში
რომ მოუწყვიათ ცაში
სადაც ქცეულა ვირთხების კერძად
ჯიქივით ზორბა კატა
ხოლო საუზმე ყოველ კვირადღეს
ხაში არის და ფაფა

ვიცნობ იმ ვირთხებს ხშირად მინახავს
მსხვერპლს რომ დასდევენ მარდად
ფაფაც იმდენი შემიჭამია
გორა დადგება ნაღდად
(მთაც შეიძლება კი გამოვიდეს)
ამიტომ მინდა კვირას
სხვანაირ რწმენას რომ მინერგავდე
ახალს და გასაკვირალს

მქადაგებელო გთხოვ ნუ აღმითქვამ
ოქროთი სავსე ქუჩას
და რძეს უფასოს მას მე არ დავლევ
პირს მოვიმუწავ ურჩად
ოთხი წლის მერე ჩემს ცხოვრებაში
რძე უკვე აღარ არი
და აღარც ოქრო არ დამჭირდება
როცა ვიქნები მკვდარი

ნამდვილ სამოთხეს მე ვუწოდებდი
მხოლოდ იმ ადგილს სადაც
ოჯახი მშვიდი იქნებოდა და
უცხო ხალხი კი სადა
წელიწადის დრო – სულ შემოდგომა

ხოლო მუსიკა – ჯაზი
ან ეს აღმითქვი ან დავიტოვებ
იმ დაღს რომელიც მაზის

*ინგლისურიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა*

## დამახსოვრება

შენი ხელების სიმსუბუქე
ეთამაშება ჩასახლებულ ჩემს თმაში
ფუტკრებს, შენი ღიმილი დასრიალებს
ჩემი ლოყის დაფერდებაზე. მერე,
როცა ზემოდან წევხარ ალმოდებული, მოტკრციალე
ლოდინად მყოფი, იდუმალი მისტერია ძალას ხმარობს
ჩემს საღ აზრებზე.

ხოლო როცა გამოიღებ
საკუთარ თავს და მასთან ერთად მთელ ჯადოსნობას
და მხოლოდ შენი ვნების
სუნი რჩება ჩემს მკერდზე, მაშინ,
მხოლოდ მაშინ ვისრუტავ ხარბად
იმწამიერ შენს არსებობას.

## ჩემგან წავიდნენ...

ჩემგან წავიდნენ და ცოლებს უთხრეს,
რომ ცხოვრებაში არასდროს არცერთს
არ შეხვედრია ჩემნაირი,
მაგრამ... ჩემგან წავიდნენ მაინც.

უამბეს, ენით ალოკილს რომ მიგავდა სახლი,
რომ სიტყვაძუნწი არ ვყოფილვარ, როცა მათ ვახლდი,
რომ თან მდევდა იდუმალი ყოველთვის ქარი,
მაგრამ... ჩემგან წავიდნენ მაინც.

ყველა კაცს პირზე ჩემი ქება ეკერა კვლავაც,
ახსოვდათ ჩემი გაცინება, ჭკუა და გავა,
სიამოვნებით დარჩებოდნენ ორი-სამი ღამითაც, ალბათ,
მაგრამ...

*ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა*

## წარმავალი დრო

შენ კანს აისის სურნელი ასდის
ჩემსას კი მუშკის,

ერთი გვიხატავს გარდაუვალ
ბოლოს საწყისის.

ხოლო მეორე დასასრულის
უეჭველ საწყისს.

## თავდაჯერება

მომეცი ხელი

და აავსე ოთახი ჩემით
რომ გაგიძღვე და
გაშმაგებული პოეზიის გაღმაც მოგდიო.

დე სხვები დატკბნენ
მარტოობით
სიტყვებთან ყოფნის

და სიყვარულით
სიყვარულის, გადაკარგულის.

მე კი მხოლოდღა
მომეცი ხელი.

## როცა მოდიხარ

როცა მოდიხარ, დაუკითხავად,
დიდი ხნის წინათ გადავიწყებულ
ოთახს მახსენებ,
რომელშიც ჩემი მოგონებები განისვენებენ;

როცა მთავაზობ, როგორც ბავშვს ჭერში,
მოქუჩებას წარსულ დღეების;
სამშვენისებს ფარულ კოცნების;
სამკაულებს ნასესხები სიყვარულების;
საიდუმლო სიტყვების სკივრებს –

მაშინ ვტირივარ.

## ძილგამკრთალი

არის ღამეები, როდესაც ძილი
დამალობანას მეთამაშება,
ქედმაღლურად და დაუდარდებლად.
და ყველა ხრიკი,
მის დასაძლევად რასაც ვიყენებ,
მასვე მსახურობს
და სრულიად ურგები ხდება,
როგორც ღირსება, თავშელახული,
და უფრო მეტ ტკივილს მაყენებს.

## შეუპოვარი და საზარი ჭეშმარიტება

ჩვენ, ჩვენი მოდგმა პატარა და ეულ ცდომილზე
მიზეზობრივი სივრციდან რომ მოარღვევს სივრცეს
გამოღწეული ვარსკვლავებს და გულგრილ მზიანებს
იმ ადგილისკენ ყველაფერი სადაც გვანიშნებს
რომ შეგვიძლია და გვევალება
აღმოვაჩინოთ შეუპოვარი და საზარი ჭეშმარიტება

და ჩვენ როდესაც ამას მივხვდებით
მშვიდობისმყოფელ იმ დღეს როდესაც
ისტორიული მუშტებისგან დავიხსნით თითებს
როცა ჩვენს მტევნებს შემოერტყმება
ანკარა და ცივი ჰაერი

როცა მივხვდებით
როდესაც ფარდა ჩამოფარავს სცენაზე ბოღმას
და ჩამოვიბანთ სიძულვილით შემურულ სახეს
კოლიზეუმზე და ბრძოლის ველზე
როდესაც აღარ დაეცემიან ჩვენი რჩეული და იშვიათი გოგო-ბიჭები
და უცხო მიწის სისხლიან მოლს არ დაეფინება
დაფლეთილი ჩვენივე ხორცი
როცა შეწყდება ხარბი ღელვა ეკლესიების
და ტაძრებში უწყვეტი კვნესა
როცა დროშები მხიარულად დაირწევიან
როცა მსოფლიოს ბანერები ათრთოლდებიან
მშვენიერი, მსუბუქი ბრიზით

როცა მივხვდებით
და ჩამოვყრით შაშხანებს მხრიდან
როცა ბავშვები თოჯინებს ხელში დააკავებენ საზავო დროშას
როცა სიკვდილის მაღაროებს შორს მოვიტოვებთ
როცა ეპოქა შეძლებს შესვლას მშვიდობის მწუხრში
როდესაც საღვთო რიტუალები სულს არ შეგვიკრავს

შემწვარი ხორცის გუნდრუკის კმევით
როდესაც ბავშვურ ზმანებებიდან წიხლებით აღარ გაგვაძევებენ
შუაღამის მაჯლაჯუნები

როცა მივხვდებით
ვაღიაროთ რომ
არც მისტიური სრულყოფილებით წამომართული
პირამიდები დიდებულ ქვებით
არც კოლექტიურ მახსოვრობაში
მარადიულ მშვენიერებად
დაკიდებული ბაბილონის ბაღები და არც
დაისის მიერ ულამაზესად განათებული
ვეებერთელა კანიონები

აღარც დუნაი მორაკრაკე ევროპაში ცისფერი სულით
აღარც ფუჯის მთის ქათქათა ქიმი წამომართული მზის
ამოსვლისას
არც მშობლიური ამაზონი და მისისიპი
განურჩევლად რომ შექმნა ბუნებამ
თავის სიღრმეში და ნაპირებში
აღარ არიან ერთადერთი საოცრებანი ამ სამყაროში

როცა მივხვდებით
ჩვენ, ჩვენი მოდგმა ამ ციცქნა და უთვისტომო დედამიწაზე
ვინაც თავს ვაღწევთ ყოველდღე ბომბებს, ხმლებს, დანისპირებს
რომლებიც ჯერაც სიბნელეში ვეძებთ სიმშვიდეს
ჩვენ, ჩვენი მოდგმა, მატერიის ამ ულევ მტვერში,
ვინაც მოვისვრით ბაგეებით ჭირვეულ სიტყვებს
სიტყვებს რომლებშიც ჩვენი ყოფა საეჭვო გვიჩანს
სწორედ იმავე ბაგეებს ძალუძთ
რომ გადმოღვარონ ისე ნატიფი ტკბილი სიმღერა
რომ შეიკუმშოს გული ღელვისგან
და სხეული კრძალვით დადუმდეს

ჩვენ, ჩვენი მოდგმა ამ პატარა მოტორტმანე დედამიწაზე
რომელთა ხელებს ძალუძთ დარტყმა ისე უწყალოდ
სიცოცხლე წვენად გამოსხლტება ცხოვრებისაგან
სწორედ იმავე ხელებს ძალუძთ ისე შეხება ისე სალბუნად
ნაზი სიმედგრით
რომ ქედუხრელი კისერს დახრის გახარებული
და გულზვიადი ბედნიერად თაყვანს მოგაგებს
ამ ქაოსიდან, ქაოსური უარყოფებით,
ვხვდებით რომ ჩვენში ღვთის წილია ეშმას კი არა

როცა მივხვდებით,
ჩვენ, ჩვენი მოდგმა, ვინც ჭირვეული, მღელვარე ტანით
ვიშვით ამქვეყნად, ამ პლანეტაზე
გვაქვს ძალა მივცეთ ფორმა ამ მიწას
ვქმნით ამინდს სადაც ყველა ქალი და მამაკაცი
შეძლებს ცხოვრებას თავისუფლად გარეშე ყალბი
ღვთისმოსაობის
ავადმყოფური შიშის გარეშე

როცა მივხვდებით,
ვართ ვალდებული ვაღიაროთ რომ შეგვიძლია
რომ სასწაული ჩვენა ვართ სწორედ,
ამ სამყაროში ჭეშმარიტი საოცრებანი
ეს კი მოხდება, მხოლოდღა მაშინ
როცა მივხვდებით.

## ანგელოზის ფრთაშენახები

ჩვენ, სიმამაცეს მიუჩვეველნი
გამოდევნილნი სიამისაგან
ვცხოვრობთ ეულნი ნიჟარაში დაკლაკნილები
ვიდრე დატოვებს სიყვარული საკუთარ ტაძარს
მაღალს და წმინდას
და მოვა ჩვენთან
რომ თავისუფალ ცხოვრებაში გადაგვისროლოს.
ჩამოდგა უკვე სიყვარული
და მატარებლით გვეწვია გზნება
მოგონებები ანტიკური ისტორიების
სიამეების და ტკივილების.
თუკი ვიქნებით ისევ მამაცნი
შიშის ბორკილებს გააძევებს სიყვარული
ჩვენი სულიდან.
ჩვენ აგვაგლიჯეს ჩვენი სიმორცხვე
სიყვარულის შუქის ნათელში
გავკადნიერდით ვიყოთ მამაცნი
და უცაბედად დავინახეთ რომ სიყვარული
საზღაურია ყველაფრის რაც ვართ
და ოდესმე რაც კი ვიქნებით.
ჯერ კიდევ მხოლოდ სიყვარულია
რაც გვანიჭებს თავისუფლებას.

*ინგლისურიდან თარგმნა ქარდა ქარდუხმა*

# 2. პოეზია

# ნიკა ლაშხია

## სიყვარული

ამ აქტს როცა სჩადიხარ,
ღმერთი თვალებს ხუჭავს,
შეგიძლია ვარსკვლავები მოპარო...

## დაობლება

მზეს აეფარა დედაჩემი,
მამა კი მთვარეს,
ჩემი და-ძმები
ვარსკვლავების ამარა დარჩნენ...

## * * * (დროა გამოგყვე...)

დროა გამოგყვე,
სანამ ზამთრის ქუჩებს მიყვები,
რადგან გაზაფხულს
ნაკვალევის არ შესწევს ძალა...

## ბავშვები

ის ღობის იქით,
ეს ღობის აქეთ,
დგანან და ერთმანეთს უმტკიცებენ,
რომ ერთ-ერთი მათგანის ეზოში
უფრო დიდი თოვლი მოვიდა...

## თოვლი

ნუ გეშინია ამ ანგელოზის,
მას ჩვენთან დიდხანს არ უყვარს ყოფნა...

## * * * (ნისლი ჩამოწვა...)

ნისლი ჩამოწვა, თეთრი ზამთარი
ნაცრისფრად იქცა პოეტის ხელში...

## შვილის სიკვდილი

*ეძღვნება 4 წლის სოფიას,*
*რომელმაც გულის ოპერაცია ვერ გადაიტანა...*

მშობლებმა საქანელა ჩამოხსნეს,
ვერ აიტანეს მისი ქარით რწევა...

## პატიმარი

ფარდა გაწია,
გასაქცევად მოემზადა,
რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა,
გისოსები არ ირხეოდა!

## ფანჯრები

იმ სახლში, ის ქალი
სრულიად მარტო ცხოვრობს
და არ იცის,
რამდენი ხანია ერთად ვცხოვრობთ...

## მონაზონი

ამ ერთფეროვან წლებს რომ მოვრჩები,
იმ ვარსკვლავთან მიმიყვანე,
შენს ლოდინში რომ დავიმეგობრე...

## დასნეულება

რა იყო ის, რაც სისხლში მქონდა გამჯდარი?
ეს იყო ზმნა!
ჩემი ცხოვრების მოუსვენრობა
ლოგინს მიება...
ვწევარ, როგორც მძიმე,
როგორც მრავალწერტილი
და ველოდები ძახილის ნიშანს,
როდის იელვებს,
რომ კითხვის ნიშნებს,
რაც კი ვაგროვე, ბოლო მოეღოს,
დეფისად ვიქცე...

## * * * (გამორთე ელექტროღუმელი...)

გამორთე ელექტროღუმელი,
ბევრს წერს!
საერთოდ ყველაფერი გამორთე!
უკვე ყელშია ქვითრები!
ქვითრები, როგორც დადასტურება,
თუ რამდენი ვიცხოვრე ამ თვეს...

## * * * (შემობრუნდება, დარჩება და არაფერს იტყვის...)

შემობრუნდება, დარჩება და არაფერს იტყვის,
მე მხოლოდ ლურჯი ზღვა შემრჩება, როგორც ბიბლია,
რასაც ჩავიდენ, რასაც შევძლებ, რასაც მოვიმკი,
თითქოს საკუთარ თავს ვაგროვებ მტვრიანს, სილიანს...
მიფრინავს ჩუმად აივნიდან ქაღალდის თოვლი...
ის დღესაც მოვა, მოვა ხვალაც, ყოველდღე გამცემს,
თითქოს საკუთარ ჩრდილში მრჩება სიტყვები სწორი
და მიღმა მიწის მხოლოდ ძვლების ნაწილებს ვამჩნევ,
ვამბობ დილამდე მიმაცილებს როგორმე ღამე,
შემობრუნდება, დარჩება და არაფერს იტყვის,
თითქოს სხეულში შეხორცებულ ქსოვილებს არღვევს,
მტოვებს იმისთვის, რომ დაბრუნდეს, მტოვებს და მიდის...

# იარე

დაღლილი გზები ისვენებენ, შუაღამეა...
ქუჩაში ღამის ანაბარა ძაღლები დგანან...
იქნებ, იმ ხეებს იქით უნდათ, სადაც ქარია,
იმ ხეებს იქით ცარიელი ფანჯრები ჩანან...
ვდგავარ, სიგარეტს ისე ვქაჩავ, თითქოს სამყაროს
შექმნა ამ წუთას დავასრულე, ახლა ღმერთი ვარ!
აი, ეს ღმერთი როგორ უნდა გადაგაყვარო,
ღმერთი, რომელიც წამითაც კი აღარ შეცვლილა?!
რაც შენ წახვედი, ძველებურად უსმენს მიკ ჯაგერს,
თრიაქის ბოლით იკვებება, მარხულობს თითქმის,
შესაბამისად, არ უნთებენ სანთლებს, ჩირაღდნებს,
რასაც დათესავს, იმასვე იმკის.
დგას აივანთან, თვალს აყოლებს გამვლელ-გამომვლელს,
წვიმაში მარხავს სურვილებს და მარხავს იარებს,
სანამ არსებობ, ვერაფერი ვეღარ გამოლევს,
იარე!

# მიკ ჯაგერი და მამაჩემი

გაგორდი,
ჰარი-ჰარალე კრუნჩხვასავით უვლის
მამაჩემის სიგარეტით გამურულ ოთახს,
ერთი კარი გვაშორებს,
აქ ჯიმი მორისონის პოსტერი კიდია კედელზე,
იქ «ორერას» კვარტეტი ავსებს მამაჩემის ცხოვრებას...
დღიდან დღემდე იცვლება ყოფიერება, უფრო რთულდებიან
გზები,
სიზმრებში კი საერთოდ არ მიმართლებს,
მაგრამ ჯიუტად ვცდილობ გავიღვიძო
და დავტკბე სისხლის მიმოქცევით...
ისევ საწერკალმით ვაბრუნებ
კასეტის ლენტებს, მიყვარს ეს პროცესი...
სიზმრებს დავუბრუნდები,
ხშირად მესიზმრება ბავშვი, რომელიც აკვანს არწევს
ცარიელ დაფასთან და დროდადრო უსასრულობაში
წასულ მშობლებს ხატავს, რომლებმაც ვერ თქვეს
სად წავიდნენ,
ბავშვი გარბის...
გვერდით სიგარეტით გამურულ ოთახში
მიკ ჯაგერს უსმენს მამაჩემი
და მე ვგრძნობ, მის თვალებში როგორ იშლება საბჭოთა ცემენტი,
რამაც კედელი აღმართა,
უნდა დაინგრეს!
მეღვიძება,
რა კარგი იყო,
მიკ ჯაგერს უსმენდა მამაჩემი...

# გიორგი ჩუთლაშვილი



## სორაიას ჩაქოლვა

1
ოთახში ვტივტივებ, ცარიელი თვალებით,
და ნახევრად ცარიელი არყის ბოთლით ხელში...
სორაიამ მიმატოვა, სანამ ჩაქოლავდნენ.
ჩემი ჩრდილის შემდეგ ჩემი მეტამორფოზის დროც დადგა...
ახლა ჩემი ჯერია, ახლა მეც უნდა ჩავიქოლო...

2
სორაიას დაჩხვლეტილი ლოყები და პატარა ცხვირი ჰქონდა.
ის მხატვარი იყო გათხოვილი, მაგრამ ქმარი არ უყვარდა.
ქმარი ხშირად სცემდა და ფუნჯებს და საღებავებს უნადგურებდა,
მაგრამ მასთან დაშორებას მაინც ვერ ბედავდა, ეშინოდა.
შიშის მიუხედავად შეძლო სხვა კაცის შეყვარება,
ის სხვა კი მე ვიყავი.
მე და სორაიამ ერთმანეთი ქუჩაში გავიცანით,
როცა ის გამოპარული იყო იაფფასიანი საღებავების და ტილოს
საყიდლად...
იასამნისფერი კაბა ეცვა, გაზაფხულის შებინდებას ჰგავდა...
მაგ დროს მე კოსმონავტობაზე ვოცნებობდი,
მაგრამ თავს ტელევიზორების შეკეთებით ვირჩენდი...
მე და სორაია კვირაში ერთხელ ვხვდებოდით ერთმანეთს...
ხშირად საღამოს 6 საათის მერე, ზოგჯერ დილით, როცა
ანგელოზი, ძილბურანში მყოფი,
ცის შუაგულში ჩიტებს არიგებდა,
როგორც ფოსტალიონი წერილებს...
მერე ესკიმოსებივით, რომლებიც გრძელ ზამთარს
თოვლისგან აშენებულ თავშესაფრებში ატარებენ,
ისე ვატარებდით დროს ერთმანეთთან,
ჩემი სამოგზაუროდ წასული მეგობრის
ერთოთახიან ბინაში, ერთი საბნის და ერთ ჭერქვეშ
სადაც ოთახის ჭერი ისეთი დაბალი იყო,

საბნის მაგივრობასაც გვიწევდა ხანდახან...
მას ძალიან მოსწონდა, როცა ჩემი ენა მის ენას ეხებოდა
კოცნის დროს, ჩვენ მაშინ ორ ენაზე გამოგვდიოდა
ჩვენი სიყვარულის თარგმნა
(ერთი სიყვარული, ორ ენაზე).
ჩვენს სხეულებზე ბევრჯერ დარწეულ
ჩამქრალ ნათურას კი სინათლე ხშირად ისე უჩანდა,
როგორც ჩვენ ფეხები გვიჩანდა მოკლე საბნიდან...
ეს სიყვარული ძალიან სახიფათო იყო ორივესთვის, მაგრამ
მაინც ვახერხებდით...
მე ხომ ადრე ბრალი დამდეს ტერორიზმში,
რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა, და ძლივს გამოვძვერი
სიტუაციიდან.
სორაია ხშირად მესაუბრებოდა საკუთარ ოცნებებზე.
მას ძალიან უნდოდა ამსტერდამში, ვან გოგის მუზეუმში
წასვლა და ტილო «კარტოფლის მჭამელები»-ს ნახვა,
რომლის რეპროდუქცია მისი სამზარეულოს
მესამე კედელს ამშვენებდა
იქამდე, სანამ ქმარმა დანით არ დაუჭრა...
სორაია მხოლოდ ერთხელ ვნახე ცრემლმორეული,
როცა საკუთარი ნახატი მაჩუქა და ჩამეხუტა.
ეს ჩვენი შეხვედრის ბოლო დღე იყო...
ჩვენ ორი წელი ვხვდებოდით ფარულად ერთმანეთს...
მისი ჩაქოლვის ამბავი ტელევიზორით შევიტყვე,
როცა ვიღაცის სახლში ტელევიზორის შეკეთებას მოვრჩი
და ჩავრთე შესამოწმებლად, სწორედ მაშინ...
ვიცი, არ უნდოდა ჩემი დატოვება.
სორაიამ ჩაქოლვამდე დამტოვა...
მე ახლა ჩემს ოთახში ვტივტივებ ცარიელი თვალებით...
ის კი ალბათ წყლიანი თვალებით იყურება
სხვა სამყაროდან, საიდანაც წეროები არ მოფრინავენ...

## აორთქლება

1
ახლა პირიდან ორთქლი ამომდის...
ერთხელ პირიდან ასე სულიც ამომდიოდა...
წვერიც ამომდის ყოველდღე და
მაკრატლით ვიჭრი...
მაგრამ ყელში ამოსულ ამ ცხოვრებას
რა მოვუხერხო?
ჩემი ხელით ვერ შევიმოკლებ...
ხმა გავარდება, მერე თოფი
ან კიდევ პირიქით...
მერე ჩემს ნაპირს მოადგებიან
უსახელო თეთრი გემები...
მერე სამხილებს აღმოაჩენენ
ცხოვრებაშესწავლილი ადამიანები
ვიღაცის თვალში.
იქილიკებენ. იხარხარებენ კიდეც...
ახლა ვხვდები, მართლა არ ღირს
ასე გარისკვა...
არც ამ ცხოვრების დამოკლება,
არც დაგრძელება ჩემი წვერივით...

2
ცივა. პირიდან ორთქლი ამომდის.
პირი გამიშრა. ხელის თითებსაც
ვეღარ ვგრძნობ, მახსოვს, რომ წინა წელს
სწორედ ასე, ზამთარს ვერ ვგრძნობდი.
გამოსამშვიდობებელ წერილს გიწერ,
მაგრამ არაფერი გამომდის,
შუბლსაც ვეღარ ვკრავ,
არადა, გუშინ როგორ შემეძლო,
ბათინკის თასმებსაც ისე მშვიდად

ვკვანძავდი, თითქოს მიწაზე ცას ვაბამდი,
რომ ჯერ არ გამხსნოდა...

## პური და დრო

პურს ვჭრი, საპურე უნდა გავავსო...
ბავშვებს შიათ, დაჭერობანას თამაშს მორჩნენ,
ხელებს იბანენ...
ჩემი სიბერის შესახებაც გაუგიათ და
ერთმანეთს ყურში რაღაცას ეჩურჩულებიან...
ალბათ გამომრჩა მათთვის სიკვდილზე
რაღაც მომეთხრო...
გრამატიკული შეცდომებივით
მხრებს ვისწორებ და ბავშვებს ვპირდები
რომ ხვალიდან მათთან ერთად ვითამაშებ
«დროის თამაშს»,
მე დრო ვიქნები, მათ კი უნდა გამომიზოგონ,
ამ პურის მსგავსად, რომელიც, შეიძლება,
არ გვეყოს...

# საფლავის ქვა

ქვის საამქროში
ჩემთვის საფლავის ქვის შეკვეთას ვაძლევ
ქვის ხელოსნებს...
მინდა, რომ ყველაზე მძიმე ქვა შემირჩიონ,
უკვე ახლოს ვარ მიზანთან, დროს ველოდები...
თანხაზე პრობლემა არ არის,
სესხს ავიღებ ბანკიდან...
ქვაზე მხოლოდ სახელი და გვარი მინდა
რომ ეწეროს.
მთავარია, ქვა ყველაზე მძიმე იყოს.
უბრალოდ მინდა, რომ სიმძიმის გარეშე
არ დავრჩე იქ, სადაც მოვხვდები...
სიმძიმე, რაც აქამდე მაფხიზლებდა,
იქაც გამყვეს...
იქაც რომ არ მოვეშვა... არ მოვდუნდე...
და რომ არ აღმომხდეს სიტყვა:
«ამოვისუნთქე»

## უხამსი წინადადება

ამ დღის წინადადებაც უხამსია...
გრძნობს, რომ დავნებდები,
ხელს არ ავუქნევ, მუშტს არ მოვუღერებ...
ფოტოს გამჟღავნებასაც არ მაცდის,
არადა ფოტოში შენ უნდა გამოჩნდე ცოტახანში
ჩემს სახლთან ახლოს და გამიღიმო...
ეს უხამსი დღე კიდევ მაიძულებს, რომ ვიჯდე
და ვწერო ეს სტრიქონები გაუთავებლად...
სადაც ჩემი თავიც გამოჩნდება ალბათ
დღეს ან ხვალ,
ან ვიღაცის ცა, ან ჩემი მეგობარი გოგოს
პერანგის ღილები... ან სილვია პლათის
ძუძუსთავები...
დრო კი არ ითმენს, პოსტკლასიკური
ტკივილების დრო წავიდა...
ახლა მუსიკაც უხმოდ მძვინვარებს...

«ტოიოტას ჯიპს
ჩემს ქუჩაზე ძაღლი გაეკიდა და
მე წერა დავიწყე»

## არ იზრდებიან ჩემი ლექსები

არ იზრდებიან ჩემი ლექსები,
არც სიგრძეში, არც სიგანეში,
ხმაც არ ეცვლებათ...
ისევ გაუგებრად საუბრობენ
მარტოობაზე,
სიკვდილ-სიცოცხლეზე,
ადამიანურ ურთიერთობებზე.
არაადამიანურ ურთიერთობებზე.
სიყვარულის ნახევარ განაკვეთზე...
ზოგჯერ შენზეც საუბრობენ მოსაწყენად.
გაფრენას საერთოდ არ ცდილობენ,
ზღვაშიც არ გადიან.
არც მძიმდებიან,
სიმსუბუქეზე ხომ საუბარიც
ზედმეტია!
მხოლოდ ახალ მზერას
ირგებენ
საკუთარ სხეულებზე.
ჩემს თვალებში
ვეღარ ეტევიან და
გასაკვირიც არაფერია, რომ
საერთოდ
ვეღარ მიტანენ...

(რას ვიფიქრებდი, რომ ჩემს ლექსებს
თვალს ვერ გავუსწორებდი!)

არ იზრდებიან ჩემი ლექსები!
და ამით დამცინიან ალბათ...
ზოგჯერ კოშმარებს ნახულობენ
და ხრამშიც იჩეხებიან,

მაგრამ გამოღვიძება მაინც არ უჭირთ.
არ იზრდებიან ჩემი ლექსები
და მიწას შლიან თქვენს ფეხებთან,
წყალს ასხამენ თქვენს წისქვილებზე,
თევზაობენ თქვენს თვალებში
და როცა ანგელოზებს იჭერენ, არ ბრმავდებიან...

მე ხშირად მიფიქრია,
რომ ჩემი ლექსებიდან
რომელიმე მათგანი სიცოცხლეს
თვითმკვლელობით დაასრულებს,
სტრიქონებს გამოიჭრის,
სიტყვას გამოიფატრავს...
მაგრამ ისიც შემიძლია
თამამად ვთქვა რომ
რომელიმე მათგანი შესაძლოა:
რელიგიური,
კოსმონავტი,
არქიტექტორი ან
ფარმაცევტიც კი გახდეს...
ყველაფერი შესაძლებელია
გარდა იმისა, რომ ჩემი
ლექსები გაიზარდონ
და ხმა შეეცვალოთ...
არ იზრდებიან ჩემი ლქსები,
არც სიგრძეში, არც სიგანეში,
ხმაც არ ეცვლებათ...

## შეუბრუნებელი ძილი

ვერცერთ სიზმარში ვერ დავეტიე და გამომეღვიძა...
ალბათ გავსუქდი ან სიზმრები დამივიწროვდა
ჩემი ერთადერთი ცხოვრების მსგავსად,
რომელიც ისე მიჭერს და მწურავს,
თითქოს სულ აქ დარჩენის პირობა მიმეცეს მისთვის...
ძილის შებრუნებას ვაპირებდი, მაგრამ
ნელ-ნელა წამოვდექი საწოლიდან
და ხმამაღლა ვიფიქრე:
«ახლა სხვამაც შეიბრუნოს ძილი
და ძილში ზიდოს ყველა სიცოცხლე,
რაც ვერ მოზიდა გუშინ, გუშინწინ...»
ძილის შებრუნება
ბევრჯერ წაკითხული რომანის
ბოლო გვერდიდან კითხვის
დაწყებას გავს...
პერსონაჟები
ბოლო გვერდიდან
სიკვდილით თუ დაიწყებენ
ცხოვრებას,
სექსით, საუბრით ან, ჩაის სმით დაამთავრებენ.
წამოვდექი და გუშინდელივით აღარ ვჩქარობდი,
გუშინ გავრბოდი და დამნაშავეც მეგონა თავი,
რომ ეს ჰაერი გამოვღრღენი დიდი თაგვივით
და არ დავუთმე მას, ვისაც სუნთქვა ისე უჭირდა,
როგორც მე მიჭირს ჩიტების გუნდთან შეერთება
და შორს გაფრენა...

# 3. პროზა

# მირიან რჩეულიშვილი

# მეგი

*«აჰა, ესერა, მე გამცნებ შენ: განძლიერდი და მხნედ იყავ, ნუ შეძრწუნდები, ნუცაღა გეშინის. რამეთუ მე შენთანა ვარ, უფალი ღმერთი შენი, ყოველსა ადგილსა, სადაცა წახვიდოდი.»*

თავჩაღუნულმა ჩაამთავრა ბიბლიის კითხვა, წიგნი დახურა. შემდეგ თავი ასწია და შუშაბანდიდან შემოსულ მზის სხივებს მოუხუჭა თვალი. მხურვალება ლოყაზე ცხელი თაფლივით მოედო და ცოტა ხანს გააყუჩა.

მეგი მღვდელი იყო. მამამისის დანატოვარი მამულების უმეტესობა გაყიდა და ერთი დაფაცხავებული ეკლესია ააშენა. კედლებზე ზოგან ფანერები, ზოგან ფარდები ჰქონდა აკრული, მაგრამ მზის სინათლე წერტილებად აქა-იქ მაინც შემოდიოდა. ეგონა, ფული უკეთეს მასალაზე ეყოფოდა, მაგრამ – არ ეყო. ქალია, ქალაქში ბინძურმა მუშებმა რაღაცა მოატყუეს ალბათ, მერეც უნიათოდ ურაკუნებდნენ ჩაქუჩებს. სანაპიროზე ფული იყო მთავარი, მეგის კი სულაც არ ჰქონდა მდიდრული იერი და აბა მისი კეთილი ზრახვები ვის რაში აინტერესებდა?

მაგრამ მაინც შეძლო. მეგი ახლა უკვე აშენებულ ეკლესიაში იდგა, ცოტა ნერვიულობდა, ოდნავ ხელიც კი აუკანკალდა, ქადაგებისთვის ემზადებოდა. მისი მრევლი სულ რამდენიმე ადამიანისაგან შედგებოდა: ლოთი ილია, რომელიც შუადღის გაუსაძლის სიცხეს თავს ეკლესიაში აფარებდა, რადგან სხვაგან უკვე ყველგან კარი ჰქონდა ჩაკეტილი, მეგის მეზობლის ბავშვი ჰენრი, რომელსაც დედა ყველგან უშვებდა, ოღონდ სახლში არ მისულიყო, მეტად უცნაური შუახნის ქალბატონი ლაურა, რომელიც გამუდმებით თავის ქმარზე საუბრობდა და ყოველთვის მდიდრულად იყო გამოპრანჭული და კიდევ ნებისმიერი ვიგინდარა, ვინც ქუჩიდან აქ შემოეხეტებოდა.

თავიდან ქალაქშიც და სოფელშიც ცუდი ხმა გაუვარდა. მეგის ნაგებობა ბაბილონის შორიახლოს იყო, სოფლიდან წამოსული თვალს ვერ მოაცილებდი, ისე მედიდურად მოჩანდა გორაკზე შემდგარი ფიცრული ეკლესია. გვერდით მდგარი ხმელი მუხის ტოტები თითქოს მზრუნველობით თუ ბოროტებით ჰქონდა გადაფოფრილი – გააჩნია, როგორი თვალით შეხედავდი. ქალაქისკენ მიმავალი გლეხები ერთს გვარიანად გადააფურთხებდნენ ხოლმე ეკლესიის მხარეს და ისე აგრძელებდნენ გზას. ქალაქგარეთ გამოსული ელიტური საზოგადოება კი საერთოდაც არ იმჩნევდა და თვალს არიდებდა ამ სიმახინჯეს. ქალაქში ამბობდნენ, რომ მეგი ლესბოსელი და ნამუსახდილი ქალი იყო, რომელიც თავისნაირების მოგროვებას ამ ქოხმახში აპირებდა და ეკლესიის ფორმაც იმიტომ მისცა, რომ თავისი გულგრილობისა და უზრდელობისათვის კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. კაცებს დიდად არ ადარდებდათ მეგის ეკლესია, სხვა საქმეებით იყვნენ გართული. აი, მათი ცოლები კი ბოღმით სკდებოდნენ, რომ ეს უსირცხვილო ქაჯი ერთი ხელის მოსმით წამოაჯდათ თავზე. თანაც რაო, მღვდელი ვარო? ჭორები ვრცელდებოდა და ზიზღი ტრიალებდა, მაგრამ ყოველივე ამით ისევ თავად იხრჩობოდნენ. მერე, როგორც იქნა, დიაკონ ალექსანდრომდეც მივიდა ეს ამბავი და მრევლი გასუსული ელოდა, რა ღონეს იხმარდა მათი სულიერი წინამძღოლი.

მეგიმ ეს ყველაფერი იცოდა: ისიც, რომ დღე-დღეზე ეკლესიის კარს შეიძლება გაველურებული ბრბო მისწყდომოდა და კაცმა არ იცის, რას ჩაიდენდნენ. ამიტომ უფრო მეტი უნდა ექადაგა, მეტი ხალხი მოეზიდა, თუ მომხვდურებს ბევრნი დახვდებოდნენ, იქნებ გაენებებინათ თავი, ან თავის დაცვას მაინც შეძლებდა მრევლი. გულსა და გონებაში ქაოსი უტრიალებდა, ხოშხოშელა წაბლისფერი თმა წეღან რომ შეიკრა, ისევ მხრებზე ჩამოეშალა. მრევლი კი უკვე შეკრებილიყო და თავიანთ ადგილას ისხდნენ.

იატაკზე დაგდებულ ილიას ჰენრი წამოჯდომაში მიეხმარა, მანაც როგორღაც თავი გაასწორა და ბოთლით ხელში გაშეშდა.

ქალბატონმა ლაურამ საქციელი შეუქო პატარა ჯენტლმენს და თავის გვერდით შესთავაზა ადგილი. რამდენიმე სოფლელ ქალსაც მოეყარა თავი მეგის ეკლესიაში, განაბულები აცეცებდნენ თვალებს აქეთ-იქით. მეგიმ მბზინვარე თმა ისევ შეიკრა და სტუმრებს წარუდგა.

ყველას მიესალმა, დალოცა და ქადაგებას შეუდგა. ყველა განაბული უსმენდა. მისი ქრისტე ბევრად უფრო სხვანაირი იყო, ვიდრე მათ წარმოედგინათ. მეგის სიტყვები სილაღითა და სიყვარულით ივსებოდა, ის არ საუბრობდა მიმტევებლობაზე, ანდაც ბოროტებასთან ბრძოლაზე. არც ჭკუას არიგებდა ვინმეს, არც კაცობრიობის ცოდვებზე ამახვილებდა ყურადღებას. მის ბიბლიურ ცოდნას რაღაც განსხვავებული ელფერი დაჰკრავდა, მეგის ბაგედან სიმშვიდე და სიმყუდროვე მოედინებოდა. მიმტევებლობა ჭეშმარიტი ქრისტიანის აუცილებელ საქმიანობად კი არ გაასაღა, არამედ მოაზროვნე ადამიანის ფუნდამენტურ ჩვევად. მისეული სარწმუნოება არ იყო შორს, მასთან მისასვლელი გზა ტანჯვის ხიდზე არ გადიოდა, არამედ პირიქით, ძალიან ახლო და ხელჩასაჭიდი ჩანდა.

დასასრულს, აქა-იქ შეიმჩნეოდა ტკბილად მოღიმარი სახეები, ქალბატონმა ლაურამ მადლობაც კი გადაუხადა მეგის. დანარჩენები ოდნავ დაბნეულნი წამოდგნენ, წაბარბაცდნენ, თავი დაუკრეს მღვდელს და ბარბაცითვე გავიდნენ ეზოში. მეგი ქალბატონ ლაურას გაუძღვა კარისაკენ და მრევლთან გამოსამშვიდობებლად ეზოში გავიდა. ყველას პამფლეტები დაურიგა. ზოგმა გამოართვა, ზოგმა – არა, ქალებმა: ამას სახლში ვერ მივიტანთო, ერთმა კაცმა შემოუღრინა კიდეც და მეგიც ისევ ეკლესიაში შებრუნდა. კარი მიხურა, ურდულით გადარაზა და თვალებდახუჭული მიეყრდნო კედელს. უნდოდა ღრმად ჩაესუნთქა, იმის იმედით, რომ მთელი ტკივილი და ნერვიულობა ამოსუნთქვას გაჰყვებოდა თან, მაგრამ წინა რიგებიდან შრიალი მოესმა. წინ წაიწია ფეხაკრეფით და კედლის ჭრილიდან შემომავალ შუქზე კაცისა და ქალის ფორმები დალანდა.

მიუახლოვდა, ორნი ერთმანეთს კოცნიდნენ, ისიც დაინახა, რომ რამდენჯერაც კაცი კაბის ქვეშ შეყოფილ ხელს გაატოკებდა, ქალიც იმდენს წამოიკვნესებდა ხოლმე და მერე სიცილს აგრძელებდა.

– უკაცრავად... – ხმა ჩასწყდომოდა მეგის – ...უკაცრავად-მეთქი!

კაცმა ერთი გამოხედა ღიმილით და ისევ გააგრძელა თავის ქალბატონთან თამაში.

– შეწყვიტეთ ახლავე! – ეკლესიაში მრისხანედ დაირხა მეგის ხმა. – დაუშვებელია ამგვარი საქციელი!

– აქ რა... მართლა ეკლესია გაქვთ? – ამრეზით ამოხედა მამაკაცმა.

– აბა, თქვენ რა გეგონათ?!

– ჩვენ გვითხრეს, საროსკიპოაო – სულელური ღიმილით უპასუხა ქალმა.

– ახლავე დატოვეთ აქაურობა! – დაიყვირა მეგიმ, განზე გადგა და კარისკენ მიუთითა.

– და რომ არ დავტოვოთ, რა? – დამსკდარი ტუჩებიდან ჩაბუდებული ზიზღით გამოცრა კაცმა და მზით გადამწვარი სახე მიუშვირა მღვდელს. რაღაც ბნელი და ღვარძლიანი ბოღმა ამოდიოდა ამ კაცის თვალებიდან.

მეგი გაშრა, გაიყინა, თითი ისევ კარისკენ ჰქონდა გაშვერილი. წაბლისფერი ხოშხოშელა თმა ნელა ჩამოეშალა მხრებზე და მათზე არეკლილი მზის ბზინვარება უცნაურად მოუხდა აწყლიანებულ შავ თვალებს, ოფლმოდენილ ტუჩის კიდეებსა და სწორ გრძელ ცხვირს, რომელიც კარისკენ გაშვერილი თითივით მკაცრად ედგა სინათლით ავსებულ სახეზე. დაიბნა. ნამდვილად არ იცოდა, ახლა რა უნდა ექნა. შეეშინდა. სუნთქვა უჭირდა. მაგრამ კაცმა თავი დახარა, წამოდგა, თავისი ქალბატონიც ძალით წამოაყენა და გასასვლელისკენ გაემართნენ.

როცა გავიდნენ, მეგი შეეცადა, თმა ისევ შეეკრა, მაგრამ ტოტები ხელიდან უსხლტებოდა, მზეც უცნაურად დაადგა თავს, ჩაიკეცა, სახე ხელისგულებში ჩარგო და აქვითინდა. მერე საკუთარ თავზე გაბრაზდა და უფრო მეტად ატირდა. როცა დამშვიდდა, თვალები ანაფორით მოიწმინდა და სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. ეკლესიიდან გამოსული შეკრთა, რადგან წეღანდელი ურცხვი სტუმარი კიბეზე დახვდა ჩამომჯდარი. გვერდით ჰენრი მისჯდომოდა და რაღაცას ებაასებოდა:

– ...სოფლის დუქანი უნდა გადაწვათ – ურჩევდა ბიჭუნა.

– ჰო? – სრული სერიოზულობით ეკითხებოდა უცხო.

– კაცები იქ აღარ წავლენ, მამაჩემსაც აღარ დაუძახებენ, ისიც აღარ დათვრება და მე და დედას აღარ გვცემს. მე თვითონ გადავწვავდი, მაგრამ ნავთი ვერაფრით ჩავიგდე ხელში.

– ასე ძალიან გინდა იმ დუქნის გადაწვა? – სტუმარმა მხარზე ხელი დაადო ჰენრის.

– კი. მერე ჩემი დაც აღარ მცემს.

– შენი და რატომ გცემს?

– მეუბნება, მამას ჰგავხარ და შენც ასეთი გაიზრდებიო – თავჩაღუნული ბურტყუნებდა ჰენრი.

– გგონია, დუქნის გადაწვა საქმეს უშველის?

– რამდენს მალაპარაკებთ! გადაწვავთ თუ არა?

– კარგი, – უცნობმა ხელი მოაშორა ჰენრის მხარს – ვხედავ, სერიოზულ კაცთან მაქვს საქმე. დეტალებზე უნდა დავილაპარაკოთ.

– ფული ჯერ არ მაქვს, მაგრამ დიდი კაცი რომ გავიზრდები, აუცილებლად გადაგიხდით.

– მჯერა შენი. ხვალვე, არა?

– ჰო.

– კარგი, ხვალ მზიანი დღე იქნება. სიცხე დააჭერს. ცეცხლი ადვილად წაეკიდება. მაგრამ ხალხი ჩაქრობას შეეცდება. მაშინ მე იმათ სახლებსაც უნდა წავუკიდო ცეცხლი, რომ ყველანი დაიფანტონ და ყველამ თავის კარ-მიდამოს მიხედოს, ისე რომ დუქნის დარდი არავისა ჰქონდეს. მაგრამ მედუქნე და მისი მსახურები ხომ მაინც თავისას შეეცდებიან. გამოდის რომ მედუქნე უნდა დავაბა. მაგრამ მედუქნე კაი ჯანიანი კაცია, თან მსახურებიც არ დამაცდიან. გამოდის რომ მსახურები უნდა დავხოცო. თანაც სოფელში მხოლოდ ერთი წყლით სავსე ცისტერნა დგას. ხანძარი რომ გაჩაღდება, რიგში ჩამდგომი არავინ იქნება. წავა ჩხუბი და დავიდარაბა, ვინ იცის, იქნებ ვიღაცებმა ერთმანეთი დახოცონ კიდეც. სიცხეც თავისას იზამს, ცეცხლი სახლებიდან ეზოებზე გადავა, ეზოებიდან მამულებზე. ეს ხალხი თავშესაფრისა და ლუკმა-პურის გარეშე დარჩება. ნავთს მოგცემ, სოფელში რომ დაინახავ გაჩაღებულ ცეცხლს და აწიოკებულ ხალხს, მაშინ წაუკიდე დუქანს და მეც მალე მოვალ. ოღონდ სროლა თუ დაიწყეს, მიწაზე დაწექი და ჩემ გამოჩენამდე თავი არ ასწიო. თუ მოკლულს დაინახავ ვინმეს, იმასთან მიხოხდი და გვამს მოეფარე. ხვალ მზის ამოსვლაზე დავიწყოთ, რას იტყვი აბა?

ჰენრის ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ მაინც თავს იკავებდა ტირილისგან.

– აღარ გინდა დუქნის გადაწვა? – ჩაეკითხა სტუმარი.

– დუქნის კი, მთელი სოფლის არა. – ცრემლებს იწმენდდა ჰენრი.

– ვაჰ, მასე არ გამოვა, ხო გითხარი. ჩააქრობენ.

– აბა რა ვქნა?

– პატარა ცეცხლიდან დიდი წარმოიშვება, იქიდან უფრო დიდი, და გაიზრდება და გაიზრდება, სანამ ყველაფერს არ გადაწვავს თავის გზაზე. ბოროტებას ბოროტებით ვერ მოერევი – სტუმარი უკვე

თავისთვის ბუტბუტებდა. მერე ისევ ჰენრის გახედა – ...ეკლესიაში რისთვის დადიხარ?.. წადი და ილოცე. ღმერთს შეეხვეწე.

– მთელი წელია ვეხვეწები. – ახლა უკვე ღაპაღუპით მოსდიოდა ცრემლები ჰენრის.

– ეცადე, უფრო გულწრფელი იყო.

კაცმა მოიხედა, მეგი შენიშნა. ცოტა ხანს უყურეს ერთმანეთს, მეგი შეკრთა, ჰენრი წამოხტა, შერცხვა, მისი ცრემლიანი სახე რომ დაინახეს და დაღმართზე სირბილით დაეშვა. ახლა მეგიმ მოისვა სახეზე თითები, თვითონაც შერცხვა ცრემლების.

– ტირილი სირცხვილი არაა. – უთხრა სტუმარმა.

– ჰო, ქალებს მეტი რა შეუძლიათ... – ირონიულად უპასუხა მეგიმ. – საროსკიპოო, არა? მტირალა მღვდლის სახელიც გამივარდება ახლა...

– კაცებიც ტირიან – ისევ გამოხედა უცხომ – ადამიანს თუ გტკივა, ამაში სასირცხვილო არაფერია.

– რა გქვიათ?

– კოლტონი. კოლტონ უაითი.

– კოლტონ უაითი? ის კოლტონ უაითი? – ჩაეკითხა მეგი.

– არა მგონია, ვინმეს ჩემზე ბინძური სახელი ჰქონდეს სანაპიროზე.

– აქ ასე იციან. რასაც ხალხი ლაპარაკობს, ყველაფერი მართალი კი არ არის.

– როგორ არა, ზოგი არის, ზოგი არა... – გაბზარულმა ღიმილმა გაჰკრა კოლტონს სახეზე.

– ავხორცი და მკრეხელი რომ ხარ, თავად ვიხილე. ეჭვი მეპარება, მაგ ტყვია-წამალს სილამაზისთვის ატარებდე. საშიში ადამიანი ხარ, კოლტონ. ხალხს შენი ეშინია.

– თქვენ? თქვენც გეშინიათ? – კოლტონი წამოდგა, ერთი საფეხურით დაბლა იდგა, მაგრამ მაინც მღვდელზე ბევრად მაღალი იყო, ლამაზი კაკაოსფერი პიჯაკი კოხტად ედგა მსხვილ მხრებზე, სახიდან მრისხანება არ შორდებოდა.

– კი. მე ძალიან მეშინია თქვენი – ძლივს ამოიკნავლა მეგიმ და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან. – აქ რისთვის მოხვედით?

– რა ვიცი... – გაეღიმა კოლტონს – ...გასართობად.

– მაშინ რატომ აღარ მიდიხართ? – წეღანდელივით გაბრაზდა მეგი.

კოლტონი გაშეშდა. კი იცოდა, რატომაც დარჩა, მაგრამ ვერცერთი მიზეზი ვერ ამოთქვა. მეგის სილამაზემ მოხიბლა, მისმა უმწეო სიმამაცემ, შეებრალა კიდეც, შეეცოდა. შეეშინდა – ველურ ხალხს ყელში რომ ამოუვიდოდა, როგორ ამოანთხევდნენ თავიანთი უბედობისგან დაგროვილ ბოღმას ამ პატარა ქალზე. მეგის ასეთი თამამი საქციელი და ქედმაღლობა მშვიდად ნამდვილად არ ჩაივლიდა.

– რატომ? – თავისთვის გაიმეორა კოლტონმა, მეგიმ თითქოს იგრძნო კოლტონის თანადგომა – რა ვიცი აბა... შენ რატომ გინდა მღვდლობა?

– მე ბავშვობიდანვე სხვანაირად მესმოდა ბიბლია. ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი უფროსებს. მაგრამ ვერ ვბედავდი რაიმეს თქმას. ღმერთმა იმისთვის გამაჩინა, რომ ხალხს მისი სიტყვა გადავცე. ყოველთვის ეს მაღელვებდა და სხვა რამის კეთებაზე არც არასდროს მიფიქრია. შენ?

– რა მე?

– რისთვის გაგაჩინა ღმერთმა? – ჩაეკითხა მეგი.

კოლტონი შეტრიალდა. გორაკის ძირას სოფელს გადახედა, შემდეგ სანაპიროს ნაწილსაც შეავლო თვალი, გარშემო მიმოიხედა, მხრები აიჩეჩა, ხელებზე დაიხედა:

– მეტოქე სჭირდებოდა ალბათ – ისევ გაეცინა კოლტონს.

– ნუ მკრეხელობ! – გაუბრაზდა მეგი – როცა აქ ხარ, ნუ მკრეხელობ!

– ბარემ ჯვარზე გამაკარით, დედაო!

მეგის ოდნავ გაეღიმა, მაგრამ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. კოლტონიც სწორედ ამ სანუკვარი და ამოუცნობი სიმშვიდით ტკბებოდა, რომელიც სულ უფრო ნაზად იქარგებოდა მღვდლის სახეზე. თითქოს ქალის სული მთლიანად ნეტარების ბურუსს მოეცვა. მზისფერ თვალებში სიცოცხლე უდუღდა, ბრჭყვიალა მზე სულ უფრო მეტად დასთამაშებდა ხასხასა თმაზე, ხმა კი ათასი ზღვის სიღრმითა და მომნუსხველობით ჰქონდა შერბილებული.

– ბავშვობაში ჩემი ძმა ერთ ზღაპარს მიყვებოდა ხოლმე – განაგრძო კოლტონმა, როცა ორივენი კიბეზე ჩამოსხდნენ – უფლისწული გადაწყვეტს სახელმწიფოში ყველაზე ლამაზი ქალი მოძებნოს და ცოლად შეირთოს, რათა თავისი მდიდრული სასახლე უფრო მეტად დაამშვენოს და მოსიყვარულე მამასაც გული გაუხაროს.

ამიტომ თავიდან, უამრავ დიდგვაროვან და კეთილშობილ ოჯახს ესტუმრება, სადაც მართლაც ულამაზესი ქალიშვილები ჰყავდათ გასათხოვარი. მაგრამ ყოველთვის, როდესაც მსტოვარს გააგზავნიდა ამბის გამოსაძიებლად, აღმოჩნდებოდა რომ ყველა ოჯახს რაიმე დიდ ცოდვაში ედგა ფეხი. ქალიშვილები უწესოები იყვნენ, მათი ძმები ლაჩრები და ნათესავები მოღალატენი.

თავის ერზე გულგაცრუებულმა უფლისწულმა გადაწყვიტა უფრო შორს, სხვა ქვეყნებში წასულიყო. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ დღესაც მსტოვარმა ამბავი მოუტანა, რომ მათ შორიახლოს უზარმაზარი კოშკი ნახა. ბოლო სართულზე კი მთელ სამყაროში ყველაზე ლამაზი და კეთილშობილი ქალი ცხოვრობდა. მაგრამ კოშკს უზარმაზარი დრაკონი ჰყავდა მიჩენილი და ახლო არავის უშვებდა.

უფლისწულიც მაშინვე გაემზადა და დრაკონთან საბრძოლველად წავიდა. კოშკთან მისულმა ფანჯარაში შენიშნა ულამაზესი ქალი, რომელიც გაფითრებული იცქირებოდა ქვემოთ. უფლისწული შეებრძოლა დრაკონს და დაამარცხა კიდეც. მაგრამ როდესაც კოშკის კარი შეამტვრია, დაფეთიანებული ქალი თვალებაღვარღვარებული მივარდა დრაკონს და მუხლებზე დაემხო. ისეთი ხმით ტიროდა, რომ შორიახლო სოფლებიდან ხალხმა დაიწყო შეგროვება. დაბნეული უფლისწული სულელივით შეჰყურებდა უცნაურ სურათს.

– რაშია საქმე? – ჰკითხა ქალს – რატომ ტირი?

აღმოჩნდა, რომ ქალი დრაკონზე იყო შეყვარებული. შეშინებული კი კოშკიდან სწორედ იმიტომ იყურებოდა, რომ არ უნდოდა, მისი შეყვარებული მოეკლათ. ბევრი ეძახა უცნობ მეომარს, ბევრი უყვირა, მაგრამ ბრძოლაში გართულს, ვერაფერი გააგებინა.

უფლისწულს თავზარი დაეცა. გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნებულიყო და სამუდამოდ დაევიწყებინა ყველაფერი, რაც თავს გადახდა. მოგზაურობაში დიდი დრო გაატარა და სახლში დაბრუნებულმა შენიშნა, რომ მამამისის ბრწყინვალე სასახლე მხოლოდ გარედან ჩანდა ლამაზი, შიგნით ბოროტი და გაიძვერა ხალხით იყო სავსე. თავად მამამისიც არ იყო საუკეთესო მეფე და უამრავი საშინელი საქმე ჰქონდა ჩადენილი. როცა სარკეში ჩაიხედა, იმასაც მიხვდა, რომ უაზრო ახირების გამო თავისი ქვეყანა და ხალხი რამდენიმე წლით მიეტოვებინა.

ამ ზღაპრით ჩემს ძმას უნდოდა ერთი რამე აეხსნა ჩემთვის: ყველაფერი ისეთი არაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. არც სამყაროა ისეთი, როგორსაც ხედავ და არც შენ ხარ ისეთი, როგორიც გგონია. – ახლაღა შეამჩნია კოლტონმა, რომ მეგის მის მხარზე ჩამოედო თავი და თვლემდა. – არც მე ვარ საშიში და არც შენ ხარ ძლიერი.

– ჭკვიანი ბიჭი ყოფილა შენი ძმა – თავისთვის ჩაიბუტბუტა მეგიმ.

– ჰო. – დაეთანხმა კოლტონი და თვალებში ჩააცქერდა მღვდელს.

– საღამოვდება უკვე, დროა, სახლში წავიდე – გაეღიმა მეგის.

– ჰო. დროა. – ღიმილით დაუკრა თავი კოლტონმა – მეც ჩავალ სოფელში, ღამის გასათევს მოვძებნი.

– ხვალ დაესწრები ქადაგებას?

– ალბათ, კი – ტკბილად ჩასჩურჩულა კოლტონმა, სახე ახლოს მიუტანა და რბილ ტუჩებზე ნაზად აკოცა.

მეგი წამოდგა, ვითომც აქ არაფერიო და სახლისაკენ დაეშვა.

კოლტონი სოფლის დუქანს ღამიანად მიადგა. ხურდა ფული ბარზე დაყარა და კათხა ლუდი მოითხოვა. მაგიდის ბოლოში მჯდარი მსუქანი, ბინძური კაცის დაჟინებულმა მზერამ კათხის ჩაცლა არ დააცადა. მსუქანას ოფლისგან ერთმანეთზე შეწებებული წვერი მთელ სახეზე რგოლებად დახვეოდა. აქა-იქ გაჭაღარავებული ხუჭუჭა თმაც ჯაგარივით ეყარა თავზე, დიდი შუბლი ჩაშავებულ და ამოღამებულ თვალებს უჩრდილავდა. მზეზე დაწითლებული კისერი მოეშიშვლებინა და ბოტოტა თითებს ყელზე ისვამდა. კოლტონმა კათხა დადგა და ისევ ბარმენს მიუბრუნდა:

– ღამის გათევა ხომ შეიძლება თქვენთან?

ბარმენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და კიბეზე მიუთითა, რომელიც მეორე სართულზე ადიოდა. კოლტონს უნდოდა სმა გაეგრძელებინა, მაგრამ იმ კაცის მზერა მოსვენებას არ აძლევდა.

– რაო, – გასძახა კოლტონმა, – რას მომჩერებიხარ?

– არა, არაფერი, – უპასუხა ღიმილით, – რაო მღვდელმა ქალბატონმა, ვარგა რამედ?

კოლტონმა კათხა მოიყუდა, დაცალა და კიბისაკენ გაემართა.

– ...საათში მაინც რამდენს იღებს, არ იტყვი? არა მგონია, იაფი დაჯდეს... ფული ჯანდაბას, თუ ღირს, გადავიხდი, მაგრამ ის მაინც ხომ უნდა ვიცოდე, ჩემს ცოლს სჯობია თუ არა. – თავს არ ანებებდა კაცი.

– ბორის, შენ ცოლს ყველაფერი სჯობია, რასაც კი გული უცემს! – გასძახა ვიღაცამ.

– რა იყო, ენა ჩაგივარდა თუ იმ ქალში ჩაგრჩა? – მკლავში სწვდა კოლტონს – ან ფული რაზე გადავყარო, როცა მე და ჩემს ძმაკაცებს შეგვიძლია ავიდეთ და ჩვენი ისედაც გავისწოროთ?

კოლტონმა იდაყვში სტაცა ხელი და ისე ამოუტრიალა, რომ ძვლები სულ ტკაცატკუცით დაულეწა. მეორე ხელით კეფაში სწვდა და თავი ისე არტყმევინა, სანამ ცალი თვალი და კბილები არ დაატოვებინა მაგიდაზე. მერე ხელი შეუშვა და ბორისიც უგონოდ გაიშხლართა კოლტონის ფეხებთან, მანაც ზედ გადააბიჯა და დასაძინებლად წავიდა.

მეორე დღეს ადრიანად გაემართა ეკლესიისაკენ. ეზოში დიაკონი ალექსანდრო შენიშნა, რომელიც მეგის უყვიროდა და რაღაცას ეჩხუბებოდა. ნაბიჯს აუჩქარა, არც გაუგია, რას ლაპარაკობდნენ, ალექსანდროს ქეჩოში ხელი სტაცა და თავისკენ მოატრიალა. დიაკონს განცვიფრებით დაეჭყიტა თვალები:

– ... შენ? – ძლივს ისუნთქავდა ჰაერს – შენ? შენი ხელიც ურევია ამაში?!

– ჩემი ხელი ახლა შენს სიფათში აირევა – სხვათაშორის მიუგდო კოლტონმა.

– არ შეიძლება ქალი იყოს მღვდელი! – წეღანდელი გამწარებით გაჰკიოდა ალექსანდრო – ან ვინ აკურთხა? ვინ მისცა უფლება? ეს მხოლოდ მკრეხელობა და ღვთის გმობაა! ვისაც მოეპრიანება, ყველამ ეკლესია უნდა ააშენოს?!

– ბევრს იცნობ სანაპიროზე, ვინც ეკლესია ააშენა? – კითხვაზე კითხვით უპასუხა კოლტონმა.

– გამომიხვედი შენც ჭკუის კოლოფი! – აღელვებული იქნევდა ხელებს დიაკონი – ეს შენობა... უნდა დაინგრეს და ამ ქალმაც ანაფორა უნდა გაიხადოს. – დიაკონმა წინ წაიწია, მაგრამ კოლტონმა ხელი ჰკრა და უკან დააბრუნა.

– როგორ ბედავ, სასულიერო პირს ხელით შეეხო?! – აღშფოთებული იმეორებდა ალექსანდრო – ...როგორ ბედავ?! ახლავე მომეცალე გზიდან!

– შენ არც ამ ეკლესიას შეეხები, არც ამ ქალს. – ალექსანდრომ ისევ წინ წაიწია და კოლტონმაც ისევ ჰკრა ხელი. – ახლა ადგები, გაბრუნდები, და ისევ იმ სოროში შეძვრები, საიდანაც გამოძვერი.

ალექსანდრო გამწარდა, გაგულისდა, სისხლი მოაწვა და თვალები გადმოეკარკლა. ბრაზით უცახცახებდა მთელი სხეული, მუჭებშეკრული ტორტმანებდა ერთ ადგილას, ბოლოს დაიღრიალა და მარჯვენა მუშტი კოლტონს მოუქნია, მაგრამ მის მუშტს კოლტონის მუშტი შეხვდა და ტკივილისაგან გამწარებულმა წრეზე დაიწყო სირბილი. ხმაურზე ათიოდე კაცი მოგროვდა ეკლესიასთან.

– წყეულიმც იყავ, კოლტონ! წყეული!.. – ყვიროდა დიაკონი და ლოყებზე სიმწრის ცრემლები ჩამოსდიოდა. გულისჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაძვრინა, ხელზე დაიხვია, თავიც მოთოკა და ხელები ეკლესიისკენ გაიშვირა: – ვინაიდან შემოგვეპარნენ ზოგიერთნი; უღმერთონი, გარყვნილებად რომ აქციეს ჩვენი ღვთის მადლი და უარყოფენ ჩვენი ერთადერთი მბრძანებელისა და უფლის, იესო ქრისტეს წესს, რადგან იქცევიან ისევე, როგორც სოდომი, გომორი და მათი მოსაზღვრე ქალაქები, მათსავით მემრუშენი და უცხო ხორცს ადევნებულნი, აწ უკვე საუკუნო ცეცხლით დასჯილნი და ნიმუშად დადებულნი! იგივე მოგელით

თქვენ! აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ...მე დავბრუნდები კოლტონ!

გამწარებული დიაკონი გაბრუნდა და სწრაფი ნაბიჯით ჩაიარა დაღმართი.

– რატომ ვეზიზღებით ასე? – გაფითრებული იდგა მეგი.

– რა ქნას... – შემოტრიალდა კოლტონი – მღვდელი რომ იყო, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისება უნდა გაგაჩნდეს: თავდაჯერება და თავმდაბლობა. უბრალო კაცისთვის ამ თვისებების შეთავსება უფრო რთულია, ვიდრე ნემსის ყუნწში გაძრომა.

მეგის კოლტონის სიტყვა მოეწონა, მაგრამ მაინც წარბშეკრულმა ახედ-დახედა. თითქოს ანიშნა, შენც თავმოყვარეობა გძალავს, თუ თავი მასზე მეტი გგონიაო. მერე ხალხს მიუბრუნდა და ყველა ეკლესიაში შეიპატიჟა. ქადაგებას კოლტონიც დაესწრო. ოღონდ კართან იდგა, ჩრდილში, მრევლისგან მოშორებით. საუბრისას მეგი ხშირად გახედავდა ხოლმე კოლტონს, რომელიც ყველაზე მეტი გულისყურით ისმენდა მშვენიერი ქალისგან წარმოთქმულ ღვთის სიტყვას. მაღალი, წვრილი ფანჯრიდან თეთრად იჭრებოდა უდაბნოს მზე და თოვლივით ეფინებოდა მეგის თეთრ ანაფორას. ყველა გასუსული უსმენდა. რამდენჯერაც მეგი კოლტონს მიაშტერდებოდა, თვალები ისეთი ღრმა და მრავლისმეტყველი უხდებოდა, ხალხს ეგონა, სწორედ ახლა ჰკარნახობს ქრისტე ღმერთი ყოველ სიტყვასო.

– ...ჩვენ უნდა ვიწამოთ ღმერთი. – ამბობდა მეგი – ვიაროთ იმ გზით, რომელიც მან გაგვიკვალა. რატომ არის ამდენი უბედურება და ტკივილი ჩვენს სანაპიროზე? რატომ გაქვთ ნაწამები სახე თქვენ და თქვენს მეზობლებს? რატომ ივსება ჩვენი სოფლის დუქანი ყოველდღე ისეთი ადამიანებით, რომლებიც მზად არიან თავიანთი შრომით მოპოვებული უკანასკნელი გროშები სასმელში გადაყარონ? ისინი მთელი დღე წვალობენ, შრომობენ, ხნავენ და თესავენ, იმისათვის, რომ დღის ბოლოს რამდენიმე საათით

დაივიწყონ თავიანთი გაჯანჯლებული ცხოვრება. ვერცერთი თქვენგანი ვერ დააღწევს ამ სიმახინჯეს თავს, თუ ღმერთისკენ არ მიბრუნდება. ალბათ იკითხავთ – ჩვენ რა შუაში ვართ, ხომ მოვედით ეკლესიაშიო. ხომ დავდივართ ყოველდღე და ხომ ვაღიარებთ იესო ქრისტეს, ჩვენს მხსნელსო?

მაგრამ ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა. თქვენ საკუთარ თავებს ატყუებთ. ან ატყუებთ, კი? გულის სიღრმეში ყველამ კარგად ვიცით, ვინცა ვართ. ნებისმიერ უღმერთო ადამიანზე საშიში ფარისეველი ადამიანია, რომელსაც ღმერთის ადგილი ვერ უპოვია ცხოვრებაში, და ეკლესიაში მხოლოდ თავის საკანტუროდ მოდის. ხოლო აქედან გასული, ისეთივე ცოდვილი და სამყაროს სიტკბოებისაკენ მიდრეკილია, როგორიც მანამდე იყო. ჩვენ ხელახლა უნდა აღმოვაჩინოთ ღმერთი და ვიწამოთ მისი. თქვენ აღიარებთ ღმერთის არსებობას, მაგრამ ეურჩებით მას და არ ცხოვრობთ იმ წესით, რომელიც მან დაგვიტოვა. ეს სამყარო მართულია ღმერთის მიერ, ყოველი ტკივილი და ტანჯვა, რაც ცხოვრებაში დაგმართვიათ, მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ თქვენ ღმერთი განდევნეთ თქვენი ცხოვრებიდან.

როდესაც ბაგეებს ვხსნით, ვამბობთ, რომ გვწამს მისი, გარეგნულადაც – ვლოცულობთ, ვგალობთ, აღსარებას ვაბარებთ. მაგრამ შინაგანად? ისე ვიქცევით, თითქოს წმინდა წერილის შესახებ არაფერი ვიცოდეთ. სწორედ ესაა ჩვენს სანაპიროზე ხალხის უბედურების უდიდესი წყარო. ჩვენ ჩვენდაუნებურად მივატოვეთ ღმერთი. – ჩაამთავრა მღვდელმა.

ხალხი ოდნავ შეშინებული და შერცხვენილი უყურებდა მეგის. ის კი მედიდურად იდგა, თავდაჯერებული და თავმდაბალი.

– და ბოლოს – გააჩერა ფეხზე ძლივს წამომდგარი მრევლი – მინდა დიაკონ ალექსანდროზეც ვთქვა ორიოდე სიტყვა: შეუძლებელია, ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი სიძულვილით იყოს სავსე. თუ ადამიანი ნებისმიერი სახის სიძულვილს ქადაგებს, ანდაც ღვთის რისხვით გვაშინებს, მას არაფერი აქვს საერთო რელიგიური

ცხოვრების წესთან. ამით ის არც თავის თავს ეხმარება, არც გარშემომყოფებს, არც სოფელს და არც ქვეყანას. დაიმახსოვრეთ, ის, ვინც სიძულვილს ქადაგებს, რაღაცა არმიის შეკვრას ცდილობს, თქვენ კი არავის სათამაშო ჯარისკაცები არა ხართ!

მზე უკვე ჩადიოდა. მეგიმ პამფლეტები დაარიგა. ამჯერად ყველამ გამოართვა. მაღლობზე სასიამოვნო ნიავი წამოვიდა ზღვიდან, სახლში წასვლას არავინ ჩქარობდა. ყველამ თავისი წილი საგზალი ეზოში გაშალა, ერთმანეთს თავიანთ გასაჭირს უყვებოდნენ. თითქოს სანაპიროზე პირველად გამოეცნაურა ხალხი ერთმანეთს. კოლტონი განაბული იჯდა და უსმენდა ახალ ნაცნობებს. მეგი რაღაცას ყვებოდა თავის მამაზე, მაგრამ კოლტონს სიტყვა არ გაუგია. ჩამავალი მზეც კი ვერ ანებებდა თავს მის ქათქათა ანაფორას და თეთრ კბილებს, მზისგან შეწითლებულ ლოყებს რომ უმშვენებდა. წაბლისფერი თმა ისევ ჩამოეშალა, მაგრამ საუბარში გართულს აღარ შეუმჩნევია. კოლტონს მოსწონდა, როცა მეგი ნეკა თითით ისწორებდა თმას. მისთვის მხოლოდ ეს მოძრაობაც ძალიან ბევრს ნიშნავდა.

– კოლტონ... თქვენ კოლტონ უაითი ბრძანდებით, არა? – უცბად გამოაფხიზლა ქალბატონი ლაურას შეკითხვამ. მის მედიდურ იერში ოდნავი უხერხულობა იპარებოდა, რადგან მიწაზე მჯდომი არცთუ ისე კომფორტულად გრძნობდა თავს. ნება-ნება აბოლებდა სიგარეტს და დროდადრო ბუმბულს ისწორებდა ქუდზე.

– დიახ, მემ, გახლავართ – თავი დაუკრა კოლტონმა.

– თქვენ ხომ ომის ვეტერანი ხართ! ძალიან ბევრი მსმენია თქვენზე.

– ეჭვიც არ მეპარება, მემ.

– შენ ხარ უაითი? – თავი წამოყო ლოთმა ილიამ. კოლტონმაც თავი დაუკრა.

– ილია, როდის უნდა შეეშვა ლოთობას? – უსაყვედურა ლაურამ, როცა მისი სიმყრალე ეცა.

– ლოთობას?.. რა ლოთი მე ვარ. ლოთი რომანტიკოსი უნდა იყოს. მე რომ მართლა ლოთი ვყოფილიყავი, აქამდე თავს მოვიკლავდი, რომ მერე ხალხს სინანულით გავეხსენებინე. – ილიამ ისევ მოიყუდა ბოთლი.

– თქვენ ხომ გმირი ხართ, ბატონო კოლტონ – განაგრძო ქალბატონმა გლორიამ – აქ რამ მოგიყვანათ?

– ვეტერანი და გმირი ერთსა და იმავეს არ ნიშნავს, მემ.

– უკეთესი მმართველობა გვჭირდება ჩვენ. ქალაქის მერმა აუცილებლად უნდა იცოდეს თქვენ შესახებ. თქვენნაირი ადამიანები დაფასებას იმსახურებენ, და არა სოფელ-სოფელ ხეტიალს.

– მე ისევ ისე ვცხოვრობ, როგორც აქამდე ვცხოვრობდი, მემ. ერთ ადგილას არ შემიძლია დიდხანს გაჩერება.

– წესიერ მოქალაქეს სურს, პატივი მიაგოს ვეტერანს, რომელმაც სიცოცხლე გაწირა საშობლოსათვის. – ისევ წამოყო თავი ილიამ.

– საბედნიეროდ, ბატონ კოლტონს არ მოუწია სიცოცხლის გაწირვა და საღ-სალამათი დაბრუნდა.

– ცდებით, ქალბატონო გლორია – ბოთლი დაეცალა ილიას – ომიდან ცოცხალი არავინ ბრუნდება.

– ომი ყოველთვის შეცდომაა. – თქვა კოლტონმა – ჩვენ რომ ნორმალური მმართველობა გვქონოდა, საერთოდაც არ მოგვიწევდა სახელმწიფოსთან ბრძოლა. სამწუხაროდ, მხოლოდ ვეტერანებმა იციან, რომ ომს ყოველთვის მშვიდობიანი მოლაპარაკება სჯობს. მხოლოდ ვეტერანმა იცის, რა ძვირი ჯდება ქვეყნის არასწორი პოლიტიკა. ჩვეულებრივმა ხალხმა კი მარტო ის იცის, ერთმანეთს როგორ გაეჯიბრონ, ერთმანეთი როგორ დაამარცხონ, გლადიატორებივით ცხოვრობენ. გლადიატორთა არენაზე აშენებული ჯერ არავის არაფერი უნახავს. მე და ჩემმა ძმამაც ბრძოლის მეტი არაფერი ვიცოდით.

– თქვენ ხომ ორთაბრძოლაში მოწინააღმდეგის ლიდერი დაამარცხეთ. სხვანაირად ომი შეიძლება ვერც მოგვეგო – აგრძელებდა ლაურა.

– მე რა... ომი ჩემმა ძმამ მოგვაგებინა. მე ჩვეულებრივი მეომარი ვიყავი ბრძოლის ველზე.

– თქვენმა ძმამ... – ლაურამ შიშით გადახედა მეგის – თქვენს ძმაზეც ბევრი მსმენია. ოღონდ კარგი არაფერი მახსენდება, სამწუხაროდ.

– როცა ადამიანი ყურადღების ცენტრშია, დანარჩენებსაც ერთი სული აქვთ, თავიანთი ბინძური ხელები მას შეაწმინდონ. – უპასუხა კოლტონმა.

– ამიტომაც ვიკრიბებით აქ – ჩაეჭრა მეგი. – ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ხალხში სიკეთემ დაისადგუროს.

კოლტონმა თავი დაუკრა. წამოდგა, მუხასთან გადაჯდა და ქუდი თვალებზე ჩამოიფარა. მეგი თვალს ადევნებდა. კოლტონის სიარულის მანერა დაიმახსოვრა, ხელების მოძრაობა, მსხვილი მაჯები ჰქონდა, ძლიერი თითები, გადატყავებული იდაყვები და ხელის ზურგები. მძიმე ნაბიჯებით დადიოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს გარშემო სულიერი არა ჰყოლოდა არავინ. სახეშეჭმუხნულს, თითქოს ჩამავალი მზეც კი თვალებში აჭყიტებდა. აი, თვალები კი სრულიად სხვა სამყაროდან იყურებოდნენ. მეგიმ აშკარად იგრძნო, თუ როგორ იმოქმედა მისმა ქადაგებამ ხალხზე, მაგრამ კოლტონს თითქოს არაფერი უგრძვნია. მასზე თითქოს არაფერი მოქმედებდა. თითქოს მას უკვე ყველა პასუხი ხელში ეჭირა, ან პირიქით, ყველა კითხვა, მაგრამ პასუხები არსად ეგულებოდა. თავმდაბალი არ იყო, მაგრამ არც ამაყი, არც გულადი მეომრის იერი დაჰკრავდა, მაგრამ ლაჩარს ნამდვილად ვერ დაარქმევდი. მეგი დაჟინებით ცდილობდა, მაგრამ კოლტონის ადგილს მრევლში ვერსად პოულობდა. კოლტონი კაცი იყო. ძლიერი კაცი. ისეთი, როგორიც მეგის არასოდეს უნახავს. იქნებ ისეთიც კი, როგორიც მამამისი არასოდეს ყოფილა. მეგის ეგონა,

თუ ეჩვენებოდა, რომ სანაპიროზე ყველა კაცი ან მამამისისნაირი იყო: გლეხი, ბეჩავი და საწყალი, ან კიდევ ბოროტმოქმედი და გაიძვერა. კოლტონი კი თავისი ხასიათითა და იერით გამხმარ მუხას ჩამოჰგავდა, თავისი უსიცოცხლო და მსხვილი ტოტები რომ გადაეფოფრა ეკლესიაზე.

პიკნიკი დამთავრდა. ნელ-ნელა ყველა წავიდ-წამოვიდა. მეგი სათითაოდ გამოემშვიდობა ყველას, მერე კარზე მიყუდებული ცოცხი აიღო და ეკლესიაში შევიდა. კოლტონმა თვალი გააყოლა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. სოფელს გასცქეროდა შორიდან. აქედან ხალხი არ ჩანდა. წარმოიდგინა, ვითომ სოფელში არავინ ცხოვრობდა. ვითომ გზაზეც არავინ მიმოდიოდა. ქალაქიც შორს მიჩუმათებულიყო. უდაბნოს ყრუ ექოს ნიავი ზღვის ტალღებში ფანტავდა. არავინ არსებობდა, არც არავის უარსებია. არც ომში ყოფილა კოლტონი, არც ადამიანი შეხვედრია აქამდე არასდროს. სძულდა საკუთარი თავი, მარტოობაზე ოცნება სიამოვნებას რომ ანიჭებდა. მძიმედ დაარტყა ნაფაზი, სიგარეტი დააგდო, ფეხით გასრისა და ეკლესიაში შევიდა.

მეგი საკურთხეველთან იყო. ღონივრად იქნევდა ცოცხს და ცდილობდა, კოლტონზე არ ეფიქრა. იმედი ჰქონდა, რომ კოლტონი უკვე წავიდოდა. მაგრამ ეშინოდა, წუთი-წუთზე კარი რომ შემოეღო. კოლტონმაც შეაღო. კარის ხმაზე მეგი გაშეშდა. თვალები დახუჭა. ეგონა, კოლტონი ჯერ კიდევ მოშორებით იდგა და ვერც კი გაიგო, ისე მალე აღმოჩნდა მის მკლავებში. კოლტონმა წელზე მოხვია ხელები, შემდეგ მკერდზე, მისი ქათქათა მხრები კოლტონის უდაბნოსფერში ჩაიკარგა. მეგი მის სუნთქვას გრძნობდა ყელში, მის სქელ ტუჩებს, ბასრ წვერს თავის ლოყაზე. მთელ ზურგში ჟრუანტელმა დაუარა. გულისცემა სუნთქვას არ აცდიდა.

კოლტონმა მხრებზე დააწყო თავისი მძიმე ხელები, ნელა მოატრიალა, ცერით ლოყაზე მოეფერა, ტუჩებზე აკოცა, მეგის სახე და სხეული თითქოს მთლიანად ჩაიკარგა კოლტონის ხელებში.

მანაც თვალები განაბა და თხელი თითებით კოლტონის ლოყებს ჩაეჭიდა. მძიმე ხელები მთელ ტანს იპყრობდნენ, მეგის ეჩვენა, რომ მთელი სიმხურვალე, რაც გარეთ იდგა, ახლა მის სხეულში ჩაბუდებულიყო. კოლტონს შავად ჩაქუფროდა თვალები, როგორც შეპყრობილს, თუ გარეულ მხეცს.

– აქ არა... – ძლივს ამოთქვა გულამოვარდნილმა მეგიმ.

მაგრამ კოლტონმა ერთი ხელის მოსმით შემოაცალა ანაფორა და სხვა ყველაფერიც. მეგი მიხვდა, რომ უკვე არანაირი ბარიერი აღარ არსებობდა მათ შორის. თხელი თითები მთელი ძალით ჩაჭიდა ზურგზე და თვითონაც გამალებული კოცნიდა ყელში. სცადა მისთვის პიჯაკი გაეხადა, მაგრამ, თითქოს კოლტონმა არ დააცადა. ეჭვების გასაქარვებლად ძლიერად შემოეკრა ფეხებით კოლტონს. მეგიმ მალე მისი გამალებული გულისცემაცა და აჩქარებული სუნთქვაც შეიგრძნო თავის ტუჩებსა და სხეულში. ის კვლავაც არ იხდიდა ტანზე, მხოლოდ ღილები ჰქონდა ჩახსნილი და მკლავები აკაპიწებული. კოლტონის ტანი ისევე მოძრაობდა, როგორც მისი მძიმე ხელები; ნელა, დინჯად და მძიმედ, თითქოს მისთვის დრო არ არსებობდა და რასაც ახლანდელი ერქვა, ქალის ბრჭყვიალა თმასავით, ყველაფერი მკლავზე ჰქონდა დახვეული. მეგის მოეჩვენა, თითქოს სიშიშვლეში მიატოვეს. მაგრამ მზესავით მცხუნვარე მკლავები ნეტარების აბლაბუდასავით ჰქონდა შემოხვეული. ტანის დაძაბულობითა და ღელვით, თითქოს ჩანჩქერად მიედინებოდა სადღაც, და ბოლოს სიამოვნება ერთბაშად მოაწყდა დიდი ზღვის აქაფებული ტალღებივით.

ორივენი სკამზე წამოწვნენ, მეგიმ ანაფორა მიიფარა, კოლტონი თითქოს თვლემდა. ცოტა ხანს მიყუჩდნენ. მეგი ეკლესიის გუმბათში გამოპარულ სინათლის სხივს აშტერდებოდა. მოგონებებს მიეცა და მერე კოლტონს ჰკითხა:

– როგორ მიხვდები, რომ ქალი მართლა შეგიყვარდა? – ბავშვური ღიმილი დაუდიოდა სახეზე მეგის.

– არ ვიცი. – კოლტონმა ხელი ამოიდო თავქვეშ – მაგას ვერ მიხვდები. ეგ, ალბათ, უბრალოდ, უნდა იცოდე.

– რატომ არ გაიხადე წეღან? – უცბად შეეცვალა სახე მეგის, ჭერში იხედებოდა, მხოლოდ ერთხელ გააპარა თვალი კოლტონისკენ და ისევ მაღლა აიხედა.

– ა... არ ვიცი. – დაიბნა კოლტონი.

მეგი წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა და გასასვლელისკენ გაემართა.

– გაგაცილებ – გასძახა კოლტონმა.

– არა, იყოს. – მოკლედ მოუჭრა მეგიმ და ეკლესიიდან გავიდა.

ცოტა ხანში კოლტონიც წამოდგა, პიჯაკი გაისწორა, შარვალი შეიკრა, საკურთხეველზე ჯვარს შეხედა, პირჯვარი გადაიწერა და ეკლესიიდან გამოსული, ისევ სოფლის დუქნისაკენ დაეშვა. ხვალ მოვლენ შენს წასაყვანად. – გაფითრებული მისჩერებოდა ძმას.

მეორე დილით ისევ ადრიანად ავიდა ეკლესიასთან. მეგი უკვე იქ იყო, ეზოში იდგა გაფითრებული. კოლტონმა ახლაღა შეამჩნია, რომ ეკლესიის გუმბათი გადმოქცეულიყო. მის დანახვაზე მეგი ოდნავ შეტოკდა, ისევ გააგრძელა თავისი საქმე. მერე ცოცხი გვერდით გადადო და კოლტონს მიუახლოვდა.

– დიაკონის ნამოქმედარია, ზუსტად ვიცი – თქვა მეგიმ.

– ჰო, ეჭვიც არ მეპარება – დაუდასტურა კოლტონმა.

– არ ვიცი, რა ვქნა... – სახე აემღვრა მეგის. – სად მაქვს ამის ფული – სახეზე ხელები აიფარა მეგიმ, ცრემლები მოიწმინდა და ისევ კოლტონს მოუბრუნდა – გუშინდელივით აღარ მოიქცე, არასოდეს. მე არ მომექცე ასე. – მეგიმ ხელით ანიშნა კოლტონს, რომ იქ გაჩერებულიყო, სადაც იდგა. კოლტონი დამორჩილდა.

– მე წასვლა მომიწევს – თქვა მან.

– რა? – მეგის თავზარი დაეცა – ახლა რა გითხარი, ვერ გაიგე?

კოლტონი სიტყვებს ვერ პოულობდა. მეგის მოეჩვენა, თითქოს ამ კაცმა გახევებული დგომის მეტი არაფერი იცოდა. დღეს დილით თითქოს მთელი სამყარო ჩამოექცა თავზე და თავად უფალმაც კი მიატოვა.

ქალბატონი ლაურა ქოშინით ამოვარდა აღმართზე, უამრავი ხალხიც ფეხდაფეხ მოჰყვა.

– დედაო მეგი... – ძლივს ითქვამდა სულს – მე.. მე არ ვიცოდი, რა მექნა.

– დაწყნარდით, ლაურა – მეგიმ ცრემლები მოიწმინდა, სახეზე ხელები მოისვა და ხალხს წინ გადაეღობა.

– რა გინდათ? – დაიყვირა მან – რატომ არ დაგვანებებთ თავს?!

– რა გვინდა?! – გაისმა დიაკონი ალექსანდროს გამკივანი ხმა, ცოტა ხანში კი თვითონაც გამოეყო ბრბოს – ღვთის რისხვა დაგტყდომიათ თავს! თქვენ უფალი განარისხეთ! – მერე კოლტონს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა – ხომ გითხარი, დავბრუნდები-მეთქი.

– ჩვენ აქ კოლტონისთვის მოვედით, მამაო! – გაისმა ბრბოდან. კაცებს კვლავაც არ ადარდებდათ მეგი და მისი ეკლესია.

– მაგ ქალმა თუ უფალი განარისხა, ჩვენ ნუღა ჩავერევით! – დაიძახა ილიამ.

– მართალია! ჩვენ აქ კოლტონისთვის მოვედით!

– ...და რა დაგიშავათ კოლტონმა? – ალექსანდრო შურისძიების უკანასკნელ იმედს ჩაებღაუჭა.

– რა აღარ! ჩემი მეზობელი დაასახიჩრა! ჩემს შვილს სოფლის გადაწვას დაჰპირდა და ჩემ წინააღმდეგ აამხედრა! მღვდელი გაგვიუპატიურა! მეტი რაღა უნდა ექნა?!

ბოლო ფრაზამ ყველა გააჩუმა, კოლტონი სიძულვილით აივსო, უნდოდა, სათითაოდ მოეგრიხა ყველასთვის კისერი. ხელი

რევოლვერ ისკენაც წაიღო, მაგრამ უცბად გაშეშდა. მეგის მიაშტერდა. მის ხელში იყო კოლტონის ბედი. მეგის რამდენიმე სიტყვას შეეძლო, ეს ხალხი უკან გაებრუნებინა, ალექსანდროსთვის სიმართლე ეთქვა.

– ეს მართალია, დედაო? – მოტრიალდა დიაკონი.

მეგიმ კოლტონს გადახედა. ცოტა ხანს უყურა. ამ კაცის თავი და ბოლო ისევ გაუგებარი იყო. ერთი რამ კი დაიჭეშმარიტა – კოლტონი კეთილი კაცი არ იყო.

– თუ კოლტონს წაიყვანთ – უთხრა დიაკონს – მე და ჩემს ეკლესიას გაგვანებებთ თავს?

ალექსანდრო ცოტა ხანს იდგა ჩაფიქრებული, ბოლოს გადაწყვიტა, რომ სანაპიროზე კოლტონი უფრო დიდი საფრთხე იყო, ვიდრე მეგი და მისი ეკლესია. როგორც მწყემსს, საკუთარ ხალხზე უნდა ეზრუნა პირველ რიგში. გულზე დაკიდული ჯვარი ხელისგულში მოიქცია, ძლივს გაუსწორა მეგის თვალი და პირობა მისცა:

– ვფიცავ, რომ დღეიდან არცერთი სულიერი აღარ დაარღვევს თქვენს და თქვენი ეკლესიის სიმშვიდესა და პატიოსნებას. და

წყეულიმც ვიყო, თუ ეს პირობა დავარღვიო!

– მაშინ წაიყვანეთ.

დიაკონმა ხელით ანიშნა კაცებს, ისინიც კოლტონს მისცვივდნენ, ერთი-ორი კარგად მოსდეს, გაკოჭეს, ძელზე გააკრეს და დროგზე დადეს. მეგი დასისხლიანებულ კოლტონს მიუახლოვდა, თვალები ისევ ცრემლებით ევსებოდა:

– რატომ არ გაიხადე პიჯაკი? – ჰკითხა მეგიმ.

– არ მინდოდა ჩემი იარები დაგენახა. – კოლტონმა თვალის გასწორება ვერ შეძლო.

მათრახის ხმას ცხენის ჭიხვინი მოჰყვა და დროგი რიხინ-რიხინით დაეშვა დაღმართზე. სოფელი მალე უკან დარჩა. მზე დინჯად ჩადიოდა, გუმბათჩამოშლილი ეკლესია კი სრულიად შეუმჩნევლად იდგა გორაკზე. მეგის ისევ ჩამოეშალა წაბლისფერი თმა, გაბრუნდა. ეკლესიასთან მდგარი ხმელი მუხის ტოტები კიდევ დიდხანს აგონებდა კოლტონის მკლავებს.

ზურაბ გოგიძე

# მთვარის მჭამელები

ზედ ღამის ცაზე დადიოდა ქვეითი მგზავრი და მიჰყავდა აქლემი ლაგამში ხელჩაკიდებულს. იმ აქლემს კიდევ ზურგზე ჰყავდა, როგორცა ჩანს, სხვა მგზავრიც. ნელი ნაბიჯით, ნარნარი რწევით, არხეინად დააბიჯებდა პირუტყვი ვარსკვლავებს შორის, მორჩილი თავისი მეგზურის. ეს მოგზაური პატარა ქარავანი არა ყოფილა მდიდრულად კაზმული და არც საზეიმოდ გაფერადებული, არც სიღატაკედ დაძენძილი და არც შორი გზით გათანგული და გასავათებული. არც ფიქრი და ზრუნვა მოჰქონდა მეგზურს სახეზე. მხნედ და აუჩქარებლად მიიწევდა ღამის მნათობების მკრთალ, საამურ სხივებში. გეგონება, მხოლოდ სეირის თუ გართობისთვის დადის, სამყაროს კი არა და, ცასაო, და საჭიროება კი არც არაფერი რჯისო.

ღამე კი იყო წყნარი, ჩუმი, მშვიდობიანი. ცა იყო ღრმა, უძირო და უკიდეგანო. მშვიდობა სუფევდა იმის ყოვლისმომცველი წიაღის ოთხივ და უთვალავ მხარეში, ყველა კუთხე–კუნჭულში. არსად ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი, არსად ვარსკვლავების ამბოხება, არა ღმერთების წაკინკლავება და ზეციური ჯარების გადაადგილება, არსად ღრუბლების შფოთი და აჩქარება. რბილი, უწყინარი, საამური სინათლე ეღვრებოდა არემარეს იმ მოკრიალებული ვარსკვლავებიდან და ისე სისუფთავედ აბზინვარებდა ყოველ საგანს, თითქოს ყველაფერს თავისი საკუთარი ნათება ჰქონდა, ყველა შესაძლო საგანს, დიდსა და პატარას – სამყაროს მშვიდობიანი ჩანაფიქრის ნათება. და იმ ცის შუქში მშვიდობის დამტარებელსა ჰგავდა ის ქარავანიც და მშვიდობავე გეგონებოდა არემარე სამყაროს მარადიულ ზრახვად.

ზღაპარსა ჰგავდა არემარე და იყო მართლაც საოცრება.

ქარავანი გეზით თვით მთვარეს ემიზნებოდა, იმისკენ მიიწევდა. ახლოვდებოდა, დიდდებოდა მნათობის დანახვა და დიდებული მშვენიერება, და მგზავრის თვალთათვის სულ უფრო მეტად ჩანდა

იმისიც ღამეული მოღვაწეობა: გეგონება სუფრას, იმის სიმრგვალეს ცალი მხრიდან მისხდომოდნენ დარბაისელი მჭამელები, ქუდებით, ჰალსტუხებით, წვერ-ულვაშებით, თეთრი საყელოებით. ექვსნი. და უმადა სჭამდნენ მთვარეს. თითქოს ყველი და პური ყოფილიყო, კბეჩდნენ და ფქვამდნენ საკუთარ ყბაში. ისხდნენ იმ ნათელ, ჯადოსნურ სუფრასთან, ჭამდნენ და ხმას არ იღებდნენ, მდუმარებდნენ, მაგრამ არა გლოვობდნენ, მთვარის ჭამით კიდეც სულიერებას იამებდნენ, მაგრამ არა მხიარულობდნენ, არა მღეროდნენ. ღვინოსაც არა სვამდნენ.

ახლო მიუვიდა აქლემიანი კაცი, დადგა, უყურა, ისე გაიკვირვა იმათი საქმიანობა, თითქოს ახლა პირველად ხდებოდა ახლად გავსებული მთვარის ისევ უკუ დაცოტავება. ალბათ თავიც თუ მოიგიჟიანა, სიბრიყვედ, უმეცრებად, გაოცებად:

– ეს რა საოცრებასა ვხედავ, კეთილო ხალხო, – დაელაპარაკა მგზავრი მჭამელებს – ღმერთმანი, პირველადა ვხედავ მოკვდავთაგან მთვარის ჭამას!

– რა გასაკვირია, ძმობილო, პირველადა ხედავდე, – ჭამიდან ამის პასუხად მოიცალა ერთმა. – მთვარე ხომ ყველას არ ეჭმევა და არც ყოველღამ შეიჭმევა მოკვდავის ყბებით.

– მითხარივ, გეთაყვა, – კიდევ ცნობისმოყვარეობდა მგზავრი. – გამანდევ ამ საქმის ადათი და საიდუმლოება.

– რაღა რა, უცხო მოგზაურო, – პასუხობდა მეორე მჭამელი – ყოველ ჯერზე, რაკი მთვარე ბოლომდე გაივსება და სრული სიმრგვალით დამრგვალდება, აკი მაშინ მართებს ისევ დაცოტავება, კლებაში წასვლა. მაშ, როგორ გგონია, თუ არ მოვაჭამეთ, ისე როგორ დაიცოტაოს მთვარემ მუცელი?

– იქამდე შევჭამთ, – ახლა მესამემ განაგრძო, – ვიდრე ამას მარად უცვეთ თავის ნამგალზე არ დავიყვანთ და მერე ისევ ხელახლა ავსებას ვადროვებთ, ვიდრე კიდევ ბოლომდე დამრგვალდეს, თავიდან გახდეს საჭმელი.

– რა განგებას გაუმწესებიხართ ესოდენ მოღვაწეობად? ხმელეთიდან აქ როგორ მოსულხართ? – კიდევ ოსტატობით გაიკვირვებდა უცხო მგზავრი. – გამოდის, ქვეყნიერების რჩეული მოკვდავნი თქვენა ყოფილხართ, რომ ამხელა საჭირბოროტო საქმე თქვენზე დამდგარა.

– ჩვენ ხელოვანი ხალხი ვართ, – მეოთხემ შეიფერა, – ტინგიცობის აღმსარებლები. მთელი ცხოვრება ლექსები ვიცით, გესმის, ჯამბაზობა, დახატვები, წიგნების წერა. მოგეხსენება, რაც რომ ჩვენ-ჩვენ გამოვლილ ყოფაში ჯაფა გაგვიღია, სულიერება დაგვიხარჯავს აუდიტორიათა კეთილდღეობაზე, რომ იმათ მაგივრად სულ ჩვენა გვტკიებია დაჭინთულ მოფიქრებებში, დილამდე თრობაში, ყოველ ცისმარე მოღვაწეობაში. ყველა ამის გასამრჯელოდ მოგვერგო ხვედრად მთვარის ჭამა, გატანჯული ყოფის დაამება მნათობ ლუკმებით, ატკიებული სულიერების მორჩენა.

– მუცელსავსე და თავბედნიერი მოკვდავი განა მიხვდები. შენც მიტომ გიკვირს. რაც რომ ქვეყანაზე ყოფაში ჩვენ ლუკმები მოგვიკლია თანამოძმეების კეთილდღეობისთვის, ყოფის ყველა ხიბლი დაგვითმია, იმის შიმშილს არის, მთვარის ჭამაში ახლა რომ ვივსებთ და ვიამებთ.

– სწორედ წუხელის, გავსებული მთვარის ღამეში იყო, რომ ტივზე ვისხედით, პურსა ვჭამდით და ტინგიცობის ღმერთს ვადიდებდით და ვევედრებოდით. იმანაც გვისმინა, გზა მოგვცა და იმისი სასწაულით გამოვიდა, რომ ტივმა ცაზე გვატარა, აღმა-აღმა იცურა ღამეზე, იარა ვარსკვლავებს შორის და მთვარეს მოგვგვარა.

– ახალ მთვარეზე კი, რაკი ამის ჭამას მოვრჩებით, ისევ ტივი ჩამოივლის, ისევ ქვეყანას დაგვიყვანოს, ისევ ჭმუნვას და მოღვაწეობას დავუბრუნდეთ, ისევ აუდიტორიათა საკეთილდღეოდ.

– და სხვები ამოვლენ თავიდან საჭმელად, ჩვენი ამხანაგები, ტინგიცობის მცოდნენი და აღმსარებლები. განა მარტო ჩვენ ექვსნი ვიყოთ მუდამ ამ საქმეში, – მოგზაურს უხსნიდა მჭამელთაგან პირველი ოთხი.

– მე, მოგეხსენება, ჯამბაზი გახლავარ, – იმათმა მეხუთემაც განმარტა უფრო ფართოდ. – ოღონდ ცირკისა კი არა, დრამატული ჟანრისა, ტრაგედიები ვიცი, ხმამაღლა წაკითხვები. ესა, ჩემ გვერდით მელექსე ბრძანდება, იქით კიდევ დამკვრელი, მხატვარი და ისაც საქვეყნოდ დამსახურებული ფოკუზნიკი.

თავებს უკრავდნენ წარდგენილი მჭამელები, დრამატული ჟანრის ჯამბაზი კი განაგრძობდა:

– აგერ, აქეთა მხარეზე კიდევ გახლავთ მეზღაპრე, ესაც ჩვენი ამხანაგი. მაშ, ახლა გვიცოდე: იაფი ხალხი არა ვართ მთვარის მჭამელები.

ამათი მეზღაპრე არაფერს ამბობდა, ხმას არ იღებდა. არც მოგზაური ამჩნევდა იმას, გეგონება, არცა სცნობდნენ ერთი-ერთმანეთს.

– შენ რანაირი მოგზაური ხარ, უცხოვ, – მელექსემ ჰკითხა. – აკი, მოკვდავთაგან ტყუილა-უბრალოდ ბევრი არავინ იმოგზაურებს მთვარის სუფევის ცაზე?

– არც რომელიმე ტინგიცობასა ჰგევხარ მაინცდამაინც, რომ შენც მთვარის საჭმელად მოსულიყავ, – გამოთქვა მხატვარმა.

– შენი ამბავიც გაგვანდე, შენი მოღვაწეობისა, – დამკვრელმა სთხოვა.

– მთვარეს მე თვითონ არ გეახლებით, ჩემთვის ნუ გაირჯებით. მე მხოლოდ მეგზური ვარ, მსახური მთვარეული სულის, მოგზაური ჩემი ბატონისა. თუ კარგად დააკვირდებით აგერ, აქლემზე ბრძანდება ჩემი ბატონი და მთვარის საჭმელადაც ის მომიყვანია, თუკი მიიღებთ, – იმანაც თავისი უთხრა მჭამელებს.

მხატვარმა უნდობლობით წარბები შეიკრა და სიამაყით ცხვირი ჰაერში ქნა:

– ეს ლუკმა მხოლოდ ტინგიცობით მოიპოვება, შენი ბატონი კი რას მოღვაწეობს? ჩვენ საიდან ვიცით, რომ მასაც ერგება?

სხვები დუმდნენ. უყურა აქლემის მეგზურმა, წამით მრისხანებამ გაუელვა თვალებში, მაგრამ თავი დაიოკა და მდაბლად და მშვიდად განაგრძო თქმა:

– ჩემს ძვირფას ბატონს მკურნალმა წამლად დაუნიშნა მთვარის ჭამა და დარდებისაგან სულის დაამება, ეს ერთი გადარჩენაა მისთვის და თავის დადებადაც რომ დამიჯდეს, მაინც აღვასრულებ. პატიოსანი მსახურის სახელი ამას მავალებს.

ხვეწნას არა ჰგავდა ამისი ნათქვამი, ხალათის კალთები ხელებით აქეთ-იქით გაწია, დოინჯი შემოიყარა, ქამარში გარჭობილი კაი მათრახი გამოაჩინა და ისე დადგა. მოთმინებით, დაკვირვებით დაჰყურებდა და მოელოდა იმათგან პასუხს.

ერთმანეთს გადახედეს იმათ, რა პასუხი თქვან? არც ძალიან ემეტებათ ლუკმები უცხო ამხანაგისთვის, მაგრამ კიდეც უარის თქმა ერიდებათ: არც ისე უბრალო კაცი ჩანს უცხო მოხეტიალე. მათრახის დანახვაზე კი, სხვა რა გზა იყო, საბოლოოდ გადაწყდა საქმე.

– ჭამაში გამწესება აკი ტინგიცობის ღმერთის ნებაა, – ლუღლუღით გაბედა ჯამბაზმა, – ჩვენ განა რა ხელი გვაქვს, ჩვენ არც არფერი.

– ჭამოს, – უპასუხა მოხუცმა ფოკუზნიკმა, – რაკი აგრეა, რაკი სხვა შველა და გადარჩენა მისთვის არა ყოფილა.

– ჩვენ რა მოხელენი ვართ, დავუშალოთ, რა ჩვენი ბრალი იქნება, – უხალისოდ აჰყვა მელექსე.

– ყველას გვეყოფა. მეტი მჭამელი სულაც მეტი მხიარულებაა ასეთ საქმეში, – ესა თქვა დამკვრელმაც.

არ უკამათნია მხატვარს, მხოლოდ უჩუმრად იჯღანებოდა და ისევ ჩუმად იყო მეზღაპრე.

მაშინ აქლემთან მივიდა მსახური, დააჩოქა, გადმოსვა მგზავრი, თავისი ბატონი, თავიან-ფეხიანად ქსოვილში გახვეული და დამალული. იმას უყურა ექვსივემ. სიტყვის უთქმელად მოუახლოვდა მთვარეს უცხო მგზავრი ბატონი და მაშინ გადაიხადა ის ქსოვილები, და რაკი დაენახვა, დიდად გააოცა მჭამელები იმისმა ქალობამ. აბა, რა იცოდნენ, არც გაეგონათ და ვერც მოეფიქრებინათ დედაკაცის ყოფნა ასეთ საქმეში. წარბებიანად ჭყიტეს თვალები, ყბები ჭამაში გაუჩერდათ გაოცებულ პირის დაღებად. არაფერი კი უთქვამთ, რაღას იზამდნენ, ადგილიც მიუჩინეს თავიანთ შუაში. ჩაჯდა, მოეწყო ქალი-ბატონი, დარდებით ავადმყოფი, დაუწყო იმანაც მთვარეს ჭამა.

თანდათან, სათითაოდ, გაოცებიდან გონს ეგებოდნენ მჭამელებიც და დაუბრუნდნენ საქმეს. და ვიდრე ისინი საქმეში იყვნენ, მეგზურმა მსახურმა თავისი აქლემი უახლოეს ვარსკვლავს მიაბა თოკით, ცაზე იქვე გამვლელი ღრუბელი დაიჭირა, რბილად ქვეშ გაიფინა, წამოწვა მხართეძოზე, ყალიონი გამართა და გააბოლა, არხეინად დაელოდოს იმათ საქმიანობას.

ექვსივე მჭამელს თვალი უნებურად მეშვიდეზე გაურბოდა. ექვსივეს, თვით მეზღაპრესაც კი! ხარბად დაჰყურებდნენ, ურცხვად, არც თვალს მოარიდებდნენ. და რაკი ლუკმებით საამურად ძღებოდნენ, გუნება კიდევ მეტ სიამესა სთხოვდათ იმის ყურებაში გართულებს.

დაჰყურებდნენ თავიანთ მეშვიდეს, იმ ერთადერთს, და გაოცებით ხედავდნენ, თუ როგორ ლამაზდებოდა და მშვენდებოდა ის ყოველ ახალ ლუკმასთან ერთად. უცოცხლდებოდა სახის მეტყველება, თვალთა ნათება, სხეულის სუნთქვა, მოძრაობათა სინარნარე, კანის ხავერდოვნება და ვარდისფერი ტურფა შეფერილობა. თვალსა და ხელს შუა თითქოს მთელდებოდა, ხალასდებოდა,

ჯანმრთელდებოდა, მწიფდებოდა და წვნიანდებოდა ქალი მჭამელი და იმისი სიახლოვით კი თვრებოდა ექვსივე, აქამდე დარბაისელი, საღი და ფხიზელი მჭამელი თავისი საქმის.

მთვარის ამოჭმა ხომ გრძელი საქმეა, ნამგალზე დაყვანას ჯერაც ძალიან ბევრი აკლდა კიდევ. ესენი ჭამდნენ და ეძინა იქვე ღრუბელზე წამოწოლილ მსახურს. ღამე ღამეს მისდევდა, კლებულობდა მთვარის სიმრგვალე და უწყვეტად მოისმოდა უდარდელი ხვრინვა აქლემის მეგზურისგან.

და ერთიცა ვნახოთ, ნეტავ რა ღმერთი იყო რომ მჭამელებს გაუწყრა, რანაირად გამოვიდა თავხედობა და უღირსი აღტაცება იმათ თავებში, მაგრამ კი მოხდა, რომ დრამატული ჟანრის ჯამბაზი წამოხტა, ქალს დაწყებული ლუკმა აღარ ადროვა, უკნიდან წელზე სტაცა ხელები და თავისკენ მიიზიდა, მხატვარიც წამოხტა, ამან წინიდან ყურებზე სტაცა ქალსა, იმისი სახე და ტუჩები სათავისოდ დასწიოს და ცხვირ–პირში მოიმარჯვოს. და იმათ კვალად მელექსემ და დამკვრელმაც შეყვეს ხელები ამ ცუდ საქმეში.

– ამას რას სჩადიხართ, ძმებო! – შეშინებული იძახდა მჭამელი ფოკუზნიკი. – გონს მოდით! განა უწესობის ჩასადენად გვერგო მთვარის ჭამის კეთილი იღბალი!

ამათი მეზღაპრე მჭამელი კი ისევ ჩუმად იყო, არ ჩარეულა, მაგრამ აღარცა ჭამდა, კოპებშეკრული ყურადღებით აკვირდებოდა ამხანაგებისგან ბოროტების გათამაშებას.

ქალი გაძალიანდა, გაიღო შეძახილი. შეიქნა ხმაური, ძალდატანება და გამოეღვიძა მეგზურს თავისი ღრუბლიდან. ადგა, მათრახი მოიღერა – ილაშქროს ძალმომრეობაზე. რა დაინახეს, გაბედა და ამის დასაკავებლად წამოვიდა ბოროტთაგან ორი, მაგრამ ხელი ვერაფრით ავლეს, გეგონება, არცა ყოფილიყვნენ მეგზურის თავსა თუ სიახლოვეს. უკვირდათ ეს საოცრება, სულ ამაოდ წვდებოდნენ, თითქოს ჰაერს ეჯაჯგურებიანო. არცერთ ხელს მოჭიდება არა ჰქონდა იმის სხეულზე. სწორედ მაშინ ქალიც დაუძვრა თავის

მოძალადეებს, ზუსტად ისევე, ჰაერივით მოუხელთებლად ქმნილი. ჩადგნენ ჩახდილი და გაოგნებული მოძალადეების შუაში მეგზური და იმის ზურგს უკან ქალი ბატონი.

– ესა ხართ განა მთვარის მჭამელები?! – გაბრაზებით კი არა და, დაცინვით დაილაპარაკა მეგზურმა, – ეს არის მაშ, თქვენი ძმობა და ამხანაგობა?! აგრემც [მოგიხანთ] ერთიცა და მეორეც!

მთელი ეს ოინი სულ არა ჰგავდა უბრალო სეირსა და უწყინარ გათამაშებას: უცხო მგზავრების ჰაეროვანი მოუხელთებლობა, თავდაპირველი ქარაგმული საუბრები და სულაც დედაკაცის შემოსვლა ამათ მთვარეულ სიმყუდროვეში. ეშინოდათ მოძალადეებს, არ იცოდნენ რა გამოვიდოდა ამ ამბის გაგრძელებად, რა განჩინება და მსჯავრი მოელოდათ ამ თავხედობისთვის.

თვით არმოძალადე ორნიც, ის ორი მჭამელიც, ფოკუზნიკი და მეზღაპრე ყურადღებით შეჰყურებდნენ და მოელოდნენ გაგრძელებას. მეგზური კი მხოლოდ იგინებოდა, თვალებს ბრაზით აელვარებდა და ხელით მათრახს ატრიალებდა ჰაერში.

– ვინა ბრძანდები მოციქულო? ვისი გამოცდა და მსაჯულებაა ეს, რომ მოგვივლინე? – გაბედა, ჰკითხა ფოკუზნიკმა. – გვიბრძანევ გამოსყიდვა, საქმის გასწორება, – მუხლი მოიყარა ძლიერ შეწუხებულმა. – გვასწავლე, მოვიპოვოთ შენგან შენდობა, რომ ყოფის ამ მიწურულზე სულიერების დასაამებელი ლუკმები სიმწარედ არ გაგვიხდეს!

– შენი ამხანაგების გასწორება აღარსად არა სწერია და არსაიდან გამოვა, ძმობილო, – პასუხობდა მეგზური, – შენ კი ტყუილად დარდობ იმათ მაგივრად, შენ ხომ იმათი არ შეგერაცხება ბრალად. ჭამე მთვარე და შეირგევ არხეინად, აკი შენთან არა მაქვს ანგარიში.

დაიქნია მათრახი, დაუშინა მოძალადეებს და სულ თავდაყირა ჰყარა ციდან ხმელეთზე, ყური არ უგდო იმათ ტირილ-ყივილსა და ვედრებას.

რაკი ამეებს მორჩა, მეგზურმა ზურგი აქცია დარჩენილ მჭამელებს, აქლემი ახსნა ვარსკვლავს, დააჩოქა და ქალ ბატონს უშველა იმაზე ასვლა.

– რად მიეშურებით, – კიდევ წუხდა მოხუცი ფოკუზნიკი. – დარჩით. აკი, ქალბატონს სამკურნალო ლუკმა ერგება, აკი, ახალ მთვარემდე კიდევ ბევრია ამოსაჭმელი!

– მეორე მთვარეზე მოვალთ, სხვა მჭამელებთან საამხანაგოდ, თქვენ მერე, – უკვე გზაზე დამდგარი პასუხობდა მეგზური და აქეთ აღარ იყურებოდა.

წავიდა ქარავანი და იარა ვარსკვლავებს შორის ვიდრე გაუჩინარებამდე. თვალს არ აშორებდნენ ცაზე დარჩენილი მჭამელები, ორნი, არმოძალადეები. და რაკი დროც გახდა, განაგრძეს ჭამა. მაგრამ ემწარათ ლუკმები, მანამდე საამური მთვარის გემო.

– ნეტავ, რა იყო, ჰა? – ფოკუზნიკმა იკითხა ხმამაღლა, კაი ხნის შემდეგ – ვინ იყვნენ ის მოგზაურები? ან ვისი გამოცდა იყო ჩვენს თავს?

მეზღაპრე კი ლუკმასა ღეჭავდა და საეჭვოდა დუმდა. უცნაური იყო იმისი გულგრილობა: დაეთანხმოს მაინც, გაიზიაროს ამხანაგის შეშფოთება და ცნობისწადილი. მაგრამ არა, ღეჭავს მწარე ლუკმას, წარბსაც არ იხრის.

– ჰა, მეზღაპრევ, შენ როგორ იცი ეს ამბავი, როგორა გგონია? – არ ეშვებოდა ფოკუზნიკი და იმანაც, როგორც იქნა, ხმა ამოიღო ბოლოს:

– მთვარის მოციქულია ისა.

– ვინა?

– ის აქლემიანი კაცი, რაღა ვინ? მთვარის მსახური, ნაზირ-ვეზირი და აღმასრულებელი.

– და იმისი ბატონი? ის ქალი ვინღა?

– შორეული ქვეყნის ერთ დროს ბინადარი, მთვარეული სული, ალალ-მართალი, მაგრამ მოკვდავთაგან უსამართლოდ დევნილი და შერისხული, მთვარისთვის კი რჩეული და საფრთხილებელი სული მოკვდავთა შორის. ამიტომაც მსახურებს იმას მთვარის მოციქული ესოდენი ზრუნვითა და მოწადინებით.

– შენ ეგეები საიდან იცი? – უკვირდა ფოკუზნიკს. – მართლა ეგრეა განა? ტყუილად ხომ არ იგონებ?

– ტყუილი როგორ იქნება, აკი წიგნში წერია ეგენი, ზუსტად ასე, როგორც მე გეუბნები.

– რომელ წიგნში?

– ზღაპრების წიგნში.

– რომელ ზღაპრებისაში? – არ ეშვებოდა ფოკუზნიკი.

– აი, შენ რომ არა კითხულობ ხოლმე, იმაში.

იფიქრა ფოკუზნიკმა და მოიფიქრა:

– შენი მოგონილი ზღაპრისა იქნება. აბა, სხვა წიგნების კითხვა არც შენ არ იცი და.

ისევ არაფერს ამბობდა მეზღაპრე, უჩუმრადა ჭამდა მთვარეს, მწარეს. კიდევ იფიქრა ფოკუზნიკმა და კიდევ მოიფიქრა:

– მერე-და, დალოცვილო, თუკი წაკითხული გქონდა ეგ შენი მოგონილი, რატომ არ გაგვაფრთხილე? პატიოსნად დავუხვდებოდით სტუმარს, ჩვენი ამხანაგებიც გადარჩებოდნენ მათრახსა და სასჯელს.

იჩუმა, თვალიც მოარიდა, მხრები აიჩეჩა მეზღაპრემ. განა ამან ახსნას, განა ახლა განმარტოს, თუ რატომ არის, რომ ზოგჯერ ყველას აღმოგვხდება ბოროტება ამხანაგების თავზე, რომ ბოროტ მხიარულებას ვითამაშებთ ხოლმე ერთიმეორეზე? ფოკუზნიკმა კი ისევ იფიქრა, ახლა უფრო ბევრი იფიქრა და მოიფიქრა. ერთიც დაღეჭა მთვარის ლუკმა, დაიჯღანა, გადააფურთხა და თქვა:

– კაი ჩათლახიცა ხარ მეზღაპრევ, რომ იცოდე, ეს მთვარე მაინც რაღად გაამწარე, შენ თავს მაინც რას ერჩოდი? რა შეჭამს ახლა ამოდენას!

მაგრამ სხვა რა გზა იყო, მთვარე თავის უცვეთ ნამგალზე იყო დასაყვანი.

# ბექა ქურხული

## David Aya

*«მშიერ მგელს ვირი ესიზმრება,*
*მე კი ბავშვობა.*
*ერთხმად შევყმუით ცარიელ სულს –*
*ცარიელ სტომაქს...»*

*სოსო მეშველიანი*

*«Я в Тбилиси воровал немало,*
*а в Батуми заложили, гады...»*

*პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და*
*ბიძინა კვერნაძის საქვეყნოდ ცნობილი*
*«ასეთია ქურდი კაცის ბედი»-ს,*
*ბაქოელი სომეხის, ბოკას ვერსია.*

*და იქვე:*

*«Тише, ради Бога, люди, тише,*
*голуби целуются на крыше...»*

– Are you sure that you are a house painter?[2] – შუა ტანის შემელოტებული აღმოსავლეთ ლონდონელი კოკნი, ძველმოდური ულვაშებითა და ბაკენბარდებით ეჭვით ათვალიერებდა უჩვეულოდ მაღალ, გამხდარ და უცნაურ 20-22 წლის ბიჭს, რომელსაც ლურჯი სამუშაო კომბინიზონი კოჭებამდე ძლივს სწვდებოდა და მარცხენა ხელში ნეპტუნის სამკაპივით ამაყად ეჭირა გრძელტარიანი საღებავი ჯაგრისი.

– Yes... I am pppainter.[3]

ბიჭს, იმის გარდა, რომ უცნაური აქცენტი ჰქონდა, ენასაც უკიდებდა, მაგრამ იმას კი მტკიცედ და ჯიუტად ამტკიცებდა, რომ მღებავი იყო.

I am a really good house painnnter. Really...[4]

იმეორებდა ბიჭი და თავისი სიტყვების დასადასტურებლად განუწყვეტლივ უკანტურებდა ასევე უჩვეულოდ, ჟირაფად გრძელ კისერზე შემოდგმულ გრძელთმიან, პატარა, ლამაზ თავს.

ლონდონელი კვლავ ეჭვით, უნდობლად უყურებდა შემოდგომის მზიან დილას, მის თავზე დამტყდარ უცნაურ არსებას, თუმცა ხელი მაინც გაუწოდა.

My name is Duncan Barnsley.

My name is David Aya.

ბიჭი სწრაფად ეცა დანქანის ხელს და მისალმების ნიშნად, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაეჯაჯგურა.

– Are you Jewish?[5] – ჰკითხა დანქანმა – Are you a «Tottenham Hotspur» amateur?[6]

– Yeesss... Nnnooo... Yeessss, – ბიჭი მთლად აირია. სწორ პასუხს ეძებდა და არ იცოდა, რა ეპასუხა. დანქან ბარნსლმა გაკვირვებით და კიდევ უფრო მეტი ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ლურჯკომბინიზონიანი მღებავი და უცებ მიხვდა, რაც აკვირვებდა და აშფოთებდა. ბიჭის უცნაური გარეგნობა. უფრო სწორად, აღნაგობა. სიმაღლე არა, ბრიტანეთში სიმაღლით ვერ გააკვირვებ, ამ ბიჭს კი მართლაც უცნაური აღნაგობა ჰქონდა – თავისი სიმაღლისთვის არაბუნებრივად, არაპროპორციულად მოკლე ფეხები, გრძელი ტანი და კიდევ უფრო გრძელი კისერი. მოჭუტული, ბეცი თვალებით დაჰყურებდა ჩასხმულ, ჯანიან ინგლისელს და ცდილობდა ლამაზ, მეჩხერად ამოსულ წვერიან სახეზე, რაც შეიძლება, მეტი დამაჯერებლობა აღბეჭდვოდა.

– ااااااااا!.. აღმოხდა ბოლოს ამდენი დაძაბულობისაგან ახლადგამომცხვარ მღებავს და აღელვებისგან მარცხენა ხელში საღებავი ჯაგრისი შეათამაშა – ა?.. ა?.. ა?..

– What? What do you mean? I don’t understand[7], – ჰკითხა ამ დილაადრიან ამდენი გონებრივი დაძაბულობისგან უკვე

გვარიანად გადაღლილმა და დაბნეულმა დანქან ბარნსლიმ...

– Are you yourself a «Tottenham Hotspur» am... ammateur?[8] – უხერხულობის დასაფარად საერთო ენის გამონახვა გადაწყვიტა ლურჯ კომბინიზონში გამოწყობილმა მღებავმა.

– No, no, – აღშფოთდა ინგლისელი. – No, of course, I'm not. – My club is «West Ham»! Forever «West Ham»! And which is yours?[9]

– «Dinamo» თბილისი!

– What?.. «Dinamo» Tiflis? Are you Russian? It's a Russian club, isn't it? [10]

– Nnnnoooo!.. Nnnnoooo!.. – მღებავი მოულოდნელად ძალიან გაბრაზდა და ახლა უარყოფის ნიშნად დაიწყო გამალებით თავის ქნევა. Nnnnoooo!.. – Nnnnoooo!.. – დასჭექა მერე მოულოდნელად ომახიანად, თან ისე გამალებით იქნევდა თავს, რომ დარბაისელი ლონდონელი შეშფოთდა, ამ უცნაურ, გაურკვეველი წარმოშობის ტიპს კისერი არ გაუტყდეს, თავი არ გასძვრეს და შარში არ გავეხვიოო. – Nnnnoooo!.. – როგორც იქნა, ამოისუნთქა აღშფოთებისგან სულშეგუბებულმა და მერე კიდევ უფრო მოულოდნელი რამ განუცხადა გაოგნებულ დანქან ბარნსლის, – «Dinamo» Tbilisi is a Georgian club and once time 1981 year my «Dinamo» Tbilisi mother fucked your «West ham United»!.. Mother fucked! Fffucked!![11]

– What? – ინგლისელის დაძაგრულმა სხეულმა და გაფართოებულმა თვალებმა უცებ გამოაფხიზლა ლურჯკომბინიზონიანი მღებავი და იქვე გამოასწორა.

– No, your «West Ham United» f..f..f.f...[12] მაინც იეშმაკა და გინება აღარ დაასრულა f... f... f... mine... «Dinamo» Tbilisi, – როგორც იქნა, დაასრულა, თვალები დაახამხამა და შემრიგებლურად ტუტუცური ღიმილის თანხლებით დახედა ზემოდან «ვესთ ჰემის» ჯანიან გულშემატკივარს, რომელსაც ავეჯის საწყობი ჰქონდა შესაღები.

– O.K.! – სასწრაფოდ დაეთანხმა David Aya.

დანქან ბარნსლიმ სასწრაფოდ გადაუხადა ერთი დღის სამუშაოში 25 ფუნტი სტერლინგი, თავიდან რომ მოეშორებინა ეს ვიღაც დამთხვეული, რომელიც ამ დილას დაატყდა თავს და თავის საქმეზე წავიდა.

David Aya-მ როგორც კი დანქან ბარნსლი გაიგულა, სწორედ იმ კედელთან ჩაჯდა, რომელიც უნდა შეეღება. ჯერ შუა გაზაფხულის გემრიელ თბილ მზეს მიუშვირა სახე, მერე კი თვალებმოჭუტულმა ავად გააყოლა თვალი, მტკიცედ და საქმიანად მიმავალ დანქან ბარნსლის ფართო ზურგს და ჩადგმულ სხეულს და ამრეზით გადააფურთხა.

– შენს დედას... მაიცა! – ჩაიბურტყუნა ერთ ძველ, უცნაურ, მისთვის კი მშობლიურ ენაზე. ვერ მოენელებინა, რომ ინგლისელმა იძულებული გახადა «ვესთ ჰემის» სასარგებლოდ თავისი თბილისის «დინამოსთვის» შეეკურთხებინა...

უსიამოვნებები წინა ორშაბათს დაიწყო და მთელი კვირა გაგრძელდა. ბოლოს იძულებული გახდა, ჩრდილო ლონდონიდან, «Arsenal»-ის და «Tottenham Hotspur»-ის სამყოფელიდან East End-ში, აღმოსავლეთ ლონდონში, მუშათა კვარტალში, «West ham United»-ის, ამ უცნაური გუნდის სამშობლოში გადმოხვეწილიყო, რომელსაც ხუთიოდე მსოფლიო ჩემპიონი გაეზარდა, ევროპის თასების მფლობელთა თასიც მოეპოვებინა, მშობლიური მხიარული ინგლისის ჩემპიონობა კი ერთხელაც არ ღირსებოდა. David Aya-ს მართლაც ცუდად წაუვიდა საქმე. ისე გაიჭედა, შეიძლება დეპორტაციაც არ ეკმარებინათ და «Arsenal»-ის ლოთ და ცხვირგაწითლებულ კაპიტან ტონი ადამსივით, ინგლისური ვირების აბანოც ეხეხა. ჯერ მშენებლობიდან მოუწია წამოსვლამ, სადაც არალეგალურად მუშაობდა, შემდეგ კი ჩრდილოეთ ლონდონისკენ მოუწია დათესვამ, სადაც ბიჭებთან ერთად ოთახი ჰქონდა დაქირავებული.

იმ მშენებლობაზე, სადაც მუშაობდა, სულ არალეგალები იყვნენ დასაქმებული. დავიდს ერთი მოხეული ალბანელი გადაეკიდა და

ყველანაირად ავიწროებდა. ამოჩემებული ჰყავდა და ჩაგრავდა. ერთი-ორჯერ ხელიც გაჰკრა. ხან წყალზე აგზავნიდა, ხან სიგარეტზე. ჯანიანი იყო. ვირიშვილი მოხეული.

იმ დღესაც ცარიელი წყლის ბოთლი მიაჩეჩა და წყლის მიტანა მოსთხოვა...

– AI am busy... I don't have time... man... Leave me...[13] – სთხოვა David Aya-მ, ისე ჰქონდა იმ ალბანელისგან თავი მობეზრებული, რომ საკუთარ ხმაში დაჭერილ საწყალ, მავედრებელ ინტონაციებსაც აღარ გაუღიზიანებია. უკვე გადაღლილი იყო ამდენი ბრძოლითა და დაძაბულობით.

– Come on, go, go, bring it... quickly, quickly![14] – დამტვრეული ინგლისურით უხეშად გაუმეორა ალბანელმა და ხელი ჰკრა.

David Aya-მ ერთადერთი, რაც მოახერხა, ის იყო, რომ ბოთლზე ხელი აუკრა, ზურგი შეაქცია, სწრაფი ნაბიჯით გაშორდა და ზიზღით გადააფურთხა.

მოულოდნელად მის ზურგს უკან რაღაც გაურკვეველი ხმაურის შემდეგ ყრუ ბაგუნი და სხეულის დაცემის ხმა გაისმა. David Aya სწრაფად მობრუნდა და მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა, ენა კიდევ უფრო დაება და თავზარდაცემული იქვე დაჯდა.

მისი მდევნელი ალბანელი მძლავრი დარტყმისგან მიწაზე იყო გაშოტილი, ფეხები უშნოდ აეპლაკა და David Aya-სთვის ზურგში წასაყრელად მომზადებული «ატვიორტკა» ბრიტანეთის ნისლიანი ზეცისთვის მიეშვირა, თავზე კი უზარმაზარი, ზორბა, მხარბეჭიანი აფრიკელი ედგა, კვლავ საჩხუბრად მუშტებშემართული და დგომში ელოდა ნახევრად გულწასული ალბანელი, გონს როდის მოვიდოდა და წამოიწეოდა, რომ ერთხელ კიდევ დაეკატავებინა. მერე David Aya-ს გადაფითრებული სახე რომ დაინახა, ალბანელს თავი დაანება, მას ჩაუჯდა წინ, ფართოდ გაუღიმა, შავტუხა სახეზე

თეთრი კბილები გააკრიალა და მკერდში უზარმაზარი მუშტი ჩაიკრა...

– Don’t worry, მამუკ, Georgia, მამუკ, Tiflisi, მამუკ, Gldani, საძმო, brothers, ბოზიშვილი ვიყო... – უმეორებდა აფრიკელებისთვის დამახასიათებელი, ხორხისმიერი, მჟღერი ხმით და შიშისგან გადაფითრებულს და ვიღაც გლდანელი მამუკას ხათრით ბეწვზე გადარჩენილ David Aya-ს სახეში შესცინოდა.

– I’m DeDe, DeDe, Dede Amaa Ashanti, – ისევ ჩაიბრაგუნა განელმა მკერდში მუშტი, – and you? What’s your name?

– David, David Aya, – უთხრა თავისი სახელიც და ფეხზე წამოდგა. გრძნობდა, ჯერ კიდევ როგორ უცახცახებდა მუხლები. აფრიკელიც წამოიმართა. სიმაღლით თითქმის ტოლები იყვნენ, ორივე ორმეტრიანი იყო, მაგრამ Dede Amaa Ashanti-ს, David Aya-ს სიმსხო მარტო ერთი მკლავი ჰქონდა.

იმ საღამოს გათენებამდე სვამდნენ ერთად ყველაზე იაფფასიან ირლანდიურ ვისკის, ისიც განელმა იყიდა. მაგრად დაძმაკაცდნენ. გულაჩუყებული, გადარჩენილი და გადამთვრალი David Aya თავის უცნაურ და ძნელ ენას და სიმღერებს ასწავლიდა განელ Dede-ს.

აფრიკელმა, ეტყობა, ყველაფერი კარგად აითვისა, რადგან მეორე დილით პახმელიისგან თვალებდაელმებული და უცნაურად მოქანავე David Aya-ს ხელის აწევით მიესალმა და თავისი ფულბეს ტომის დამახასიათებელი ბარიტონით შესძახა.

– გა... გა... გამარჯობა, David!

თუმცა იმავე დილას გაირკვა, რომ არც David Aya-ს და არც მის გადამრჩენელ განელ Dede Amaa Ashanti-ს «გა... გა... გამარჯობის» დღე სულაც არ დასგომოდათ. ყბამონგრეულმა და

ტვინშერყეულმა ალბანელმა იმავე საღამოს მიაკითხა ექიმს, შემდეგ თავშეხვეული ტანჯული სახით მიადგა მშენებლობის უფროსს და მოახსენა, რომ გუშინ ორი კაცი დააესხა თავს, სასიკვდილოდ სცემა და ამიტომ ორი კვირა ვერ გამოვიდოდა სამუშაოდ და თუ საკომპენსაციო თანხას არ გადაუხდიდნენ, თავად მშენებლობის უფროსსაც ჩაუშვებდა გასტერბაიტერების გამოყენებისათვის და თანამედროვე დაქირავებული მონების შრომის გამოყენებისათვის თავად მასაც ციხეში უკრავდა თავს. მშენებლობის უფროსმა კბილების კრაჭუნით გადაუხადა ფული მოხერხებულ ალბანელს და თან მოსთხოვა, დაესახელებინა თავდამსხმელები. ჯერ ერთი, რათა დარწმუნებულიყო, რომ ალბანელი არ აბითურებდა და ნამდვილად სამშენებლო ტერიტორიაზე დაესხნენ თავს და მეორეც – მოულოდნელი ფინანსური დანახარჯით გაავებულს ვინმეზე ჯავრი რომ ამოეყარა. ამოიყარა კიდევაც. ალბანელმა დიდი სიამოვნებით დაადო ხელი David Aya-ს და Dede Amaa Ashanti-ს. გააფთრებულმა მშენებლობის უფროსმა სასწრაფოდ შეუკრა ბარგი David Aya-საც და განელსაც და გამომშვიდობებისას კიდევ ნახევარი საათი დაჰღრიალებდა თავზე მშენებლობის ჭიშკართან დაყუდებულებს. ის ახვარი ალბანელიც იქვე იდგა და კმაყოფილი აკანტურებდა თავს და ეჯღანებოდა. თავჩაღუნული David Aya თავის ძველისძველ ენაზე დედ-მამის სულს უტრიალებდა სასწრაფოდ გაბოზებულ ალბანელს, განელი კი პირდაპირ უყურებდა სიბრაზისგან გადიდებული თვალებით, ისე, რომ შავ სახეზე დაქაჩული თვალების გუგები თეთრად, გაავებით უკრიალებდა და ერთ მომენტში ყელში ცერა თითიც გამოისვა, რაც მთელ დედამიწაზე გავრცელებული საერთაშორისო ენით მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: სადაც დაგიჭერ, იქ გამოგღადრავ ყელსო.

Dede Amaa მობილურით თავის Ashanti-ებს დაუკავშირდა და მისი აღნაგობისთვის უჩვეულოდ დაბალი ხმით, სწრაფად ეუბნებოდა რაღაცას, ხორხისმიერი, გამყინავი და უცნაურხმოვნებიანი ფულბეს რომელიღაც დიალექტზე, რომელიც არანაკლებ ძველი

იყო, ვიდრე David Aya-ს მშობლიური ენა. ცოტა ხანში თავისმა განელმა ძმაკაცებმა და ნათესავებმა მოაკითხეს ყრუდ დახურული მიკროავტობუსით, რომლის კარიც ჟღრიალით გაიღო, იქიდან უამრავი აფრიკელი გადმოცვივდა, ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ დედეს და ისე სწრაფად შეათრიეს მანქანაში, რომ დევიდ აიასთვის გამოსამშვიდობებლად გაღიმება და ხელის დაქნევა ძლივს მოასწრო. მანქანა გნიასით დაიძრა. დევიდ აია მარტო დარჩა, მხარზე თავისი ჭრელი ჩანთა გადაეკიდებინა, დაბნეული ატრიალებდა თავს აქეთ-იქით, თვალები ცრემლებით გავსებოდა, რის გამოც კიდევ უფრო ბუნდოვნად ხედავდა, ვიდრე ოდესმე. ძალიან გულდაწყვეტილმა გააყოლა თვალი თეთრ მიკროავტობუსს. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ განელები მასაც შეიფარებდნენ და ახლა ძალიან მარტოსულად და მიუსაფრად იგრძნო თავი.

ის ღამე და კიდევ მეორე ღამე გარეთ ეძინა. კიდევ კარგი, არ ციოდა. მხოლოდ მეორე ღამის გარიჟრაჟზე, გამთენიისას გაუწვიმდა. მესამე დღეს, ჩრდილოეთ ლონდონში, მისი უფროსი ძმის ნაცნობებმა შეიფარეს, მაგრამ თვითონაც ძალიან ვიწროდ იყვნენ და დევიდ აიას აშკარად უხალისოდ დაუხვდნენ. სადღაც წყლის პირსაბანის ნიჟარის ქვეშ შეჭყუნეს, ისე, რომ ძილის დროს რამდენჯერმე მწარედ ხია თავი ნიჟარას. ბიჭები სუპერმარკეტების ქურდობით ირჩენდნენ თავს. ლუკმა-პურს ნამდვილად არ აყვედრიდნენ, მაგრამ დევიდ აია მაინც ზედმეტად გრძნობდა თავს, უფრო სივიწროვის გამო, ამიტომ ცდილობდა, რაც შეიძლება გვიან, უფრო დასაძინებლად მისულიყო და, რაც შეიძლება, ადრე გამოსულიყო.

დაბორიალობდა ქუჩაში უსაქმოდ და უაზროდ, ნახევრად მშიერი, გამოუძინებელი და გატანჯული. საშინლად ენატრებოდა თავისი სახლი, დედა, მამა და თავისი უფროსი ძმაც, რომელსაც სისხლი გაუშრო და რომელმაც მას შემდეგ, რაც უკანასკნელი თავანი ჩაუბარა, კიდევ ერთი იმდენი ვალი დაიდო და ლონდონში გამოუშვა. გამოუშვა, გამოარიდა მათ მშობლიურ, ძველისძველ,

შარიან და საშინელ ქალაქს, რომელსაც ჭუჭყიანი, აშმორებული და ამღვრეული მდინარე ჩამოუდიოდა და ორ ნაწილად ჰყოფდა.

ისლანდიის ამოფრქვეულმა ვულკანმა დაღუპა. აი, მთელი ევროპა რომ დაფარა ფერფლმა და რამდენიმე დღით ფრენა შეწყდა მთელ კონტინენტზე და «მილანი» – «ბარსელონა» იყო ჩემპიონთა ლიგაზე. «სან-სიროზე» იყო თამაში. «ბარსელონა» ავტობუსით ჩავიდა მილანში. რაც უნდა კომფორტული და ნავაროჩენი ავტობუსი ყოფილიყო და რაც უნდა რონალდინიო, მესი, ხავი, ინიესტა და პუიოლი, მაინც დაიღალნენ გზაში. თან «მილანიც» «მილანია», ხო? ერევნის «ბანანცი» ხო არ არის? არიფობა მოუვიდა დევიდ აიას, ეგ ვერ გათვალა და «ბარსელონას» ორიანი თქვა, თან ხელზე გამაზა და ზედ რაღაცებიც მიუმატა. მიუმატა და იმხელა ფული წააგო, მისმა ძმამ ვალის დასაფარად სახლი გაყიდა. სხვა გზა არ იყო, ვალის გადაუხდელობა დევიდ აიას ძველისძველ ქალაქში და მის ბებერ, დაძაბუნებულ, სიძველისგან ჭკუიდან გადამცდარ ქვეყანაში სიკვდილზე საშინელ ამბად, საოცარ სირცხვილად და შეურაცხყოფად ითვლებოდა. შეგეძლო ამ ბებრუხუნა სამშობლოსთვის გეღალატა, ძმაკაცის და ძმის სისხლი არ აგეღო, გეცრუა, მოგეპარა, გაგეყოდა, გელაჩრა, გაპარულიყავი და შიშისგან ჩაგეფსა, მაგრამ ეგ არაფერი, შენს ღირსეულ სახელს იოტისოდენა ჩრდილიც არ მიადგებოდა, გარშემო მყოფ და სრული იდიოტებისგან შემდგარ «სასტავად» წოდებულ საზოგადოებაში. სამაგიეროდ «მილანი» – «ბარსელონას», «ნაპოლი» – «უდინეზეს» ან მიოხენგლადბახის «ბორუსია» – გლაზგოს «სელტიკის» შედეგს ვერ გამოიცნობდი ან, უფრო სწორად, ვერ მოარტყამდი და მერე ფულს დროზე არ ჩაუტანდი ვიღაც გამოსირებულს, რომელმაც, შენგან განსხვავებით, გამოიცნო, რომ ტალაიატელა იმ დედაარღნიან თერთმეტმეტრიანს აიღებდა, რომელიც იმ ჩათლახმა, ორმწვანებანტიანმა ნიგერიელმა ჯეი ჯეი ოკოჩამ წესიერად ვერ დაარტყა და ამ ტუპიაკების, ლაჩრებისა და გამოსირებულების ბრიგადაშიც კი ყველაზე ბანძი და თითით საჩვენებელი კეთროვანი იყავი. შენზე ქვევით აღარავინ იყო,

იზგოი, ფუფლო და შენი სირცხვილი შენს შვილებს შვილიშვილებს და შვილთაშვილებს გაჰყვებოდა მთელ მეცხრე თაობამდე... მაგას რა აბლატავებს, მაგის ბაბუის ბაბუამ მე-6 კვარტლელ ბაბუინასთან ფუფლო გააკატავაო.

David Aya-მ ეს ძალიან კარგად იცოდა, აღარც ამხელა თანხის შეგროვება აღარ შეეძლო, ვეღარც უფროს ძმას ვეღარ უმხელდა, აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდა და ამიტომ სრულიად სერიოზულად ეკითხებოდა თავის ბავშვობის ძმაკაცს – ლექსოს, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა: მე-14 სართულიდან თუ გადმოვხტები, ხომ ნამდვილად დავიბრიდები, რო გადავრჩე და თან ფუფლო, თან ინვალიდი, ეგ უკვე ჯოჯოხეთის იქით არისო. ბავშვობის ძმაკაცმა: მაგ სახლის იქით მეორე მხარეს რაღაცას აშენებდნენ, არმატურებია ამოჩრილი და მაქეთ გადახტი, უეჭველი მოკვდებიო!.. – გაცეცხლებული იყო, მთელი ბავშვობა ამის თავანებს დასდევდა, თან გაიგო, რომ ბოლო თავანის დროს სერიოზულ კაიფში იყო.

David Aya-მ თავისი ძალიან ახალგაზრდა ცხოვრების დასრულება სამშენებლო არმატურებზე მაინც ვერ გარისკა. ვერ გარისკა ვერც თავანის ჩაუბარებლობა. ამიტომ სახლში წერილი დატოვა, სადაც ყველაფერი აღწერა და დაიბარა, თავს ვიკლავ, სწორედ იმ აშმორებულ, ტურტლიან და მღვრიე მდინარეში ვხტები, ჩვენს ბებერ და მანიაკ ქალაქს რომ ჩამოუდისო, და გაუჩინარდა.

David Aya-ს უფროსმა ძმამ და მისმა ბავშვობის ძმაკაცმა სამი დღე ეძებეს მდინარის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე და ბოლოს სრულიად შემთხვევით იპოვეს. მათი უბნის სიახლოვეს ქალაქს სასწაულად შემორჩენილ ფიჭვის ტყეში კარავი დაეცა და სიცივისგან, ნერვიულობისგან და შიმშილისგან აკანკალებული პატარა გაზქურაზე ცდილობდა გათბობას, თან ზედ ფიჭვის გირჩებს ხალავდა.

მისდა გასაკვირად, უფროს ძმას და ბავშვობის ძმაკაცს არ მოუკლავთ, მეტიც, არც კი უცემიათ, ისე უხმოდ წამოიყვანეს

სახლში თავის კარვიან, გაზქურიან, ახლადმოხალულ ფიჭვის გირჩებიანად, რაკი კვლავ ცოცხალი ნახეს, სიხარულით გადაუხადეს თავანი და ლონდონშიც გამოუშვეს.

დადიოდა ახლა ჩრდილოეთ ლონდონში მეფე ლირივით ყველასგან მიტოვებული და მარტოსული და ისე ენატრებოდა სახლი, თავისიანები, რომ იმის გახსენებისას, როგორ აპირებდა ახლადჩასხმული ბეტონიდან ამოჩრილ სამშენებლო არმატურებზე დაესხა ტვინი, ამ ორმეტრიან კაცს ლამის ტირილი დაეწყო. ეგ კი არა, ის ვიწრო, მყრალი და ანთხლეული მდინარეც საშინელ ნოსტალგიურ გრძნობებს უღვიძებდა, ერთ დროს სამუდამოდ გაუჩინარებას რომ ლამობდა, მაგრამ არმატურებისა არ იყოს, ვერ გაბედა და როგორც ვნახეთ, სწორადაც მოიქცა. David Aya-ს სულელურ ქვეყანაში შემოდგომის ნელი ჟინჟვლა და მოხალული ფიჭვის გირჩების სურნელი სევდიანად და ფილოსოფიურად კი, მაგრამ David Aya-ზე გაცილებით თავზეხელაღებულ ხალხსაც კი ვერ განაწყობდა სასიკვდილოდ.

და აი, ამ ქუჩა-ქუჩა წანწალის დროს ერთ მშვენიერ დღეს David Aya-მ სრულიად შემთხვევით 50 ფუნტი სტერლინგი იპოვა. მთელი 50 ფუნტი სტერლინგი. თამაზ ჭილაძე, ჩემი მასწავლებელი, ჩემი რა, ჩვენი – ჩემი ავქსენტა, იგივე ბაჩო კვირტიასი, ზაზა ასლანიძის, მანანა დოიაშვილის, რატი ქართველიშვილის, ირაკლა სოლომანაშვილის და ბასა ჯანიკაშვილის მასწავლებელი, ყოველთვის გვიმეორებდა, ამ ცოდვილ დედამიწაზე, ჩვენს არეულ ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ცა დედამიწად ჩამოვიდეს, არაგვი რიონს შეუერთდეს, ალაზანი და იორი უკან აბრუნდნენ ბორბალოს მთაზედ, მაგრამ ლიტერატურასა და მწერლობაში ნურას უკაცრავად, აქ ყველაფერი დასაბუთებული უნდა იყოსო. მწერალი თავისი ფანტაზიის, ტანჯვის, გამოცდილების ნამსხვრევებად ქცეული ლოდებისგან სრულიად რეალურ ამბებს უნდა აგებდესო. თავის მხრივ კი მგონია, თამაზ ჭილაძეს ცნობილი სტანისლავსკის «ნი ვერიუს» გავლენა ჰქონდა, ისევე, როგორც მე მაქვს არანაკლებ ცნობილი შუკშინის «ვერუიუს»

გავლენა. მოკლედ, რაც უნდა მოულოდნელი და დაუჯერებელი იყოს, იპოვა ამ David Aya-მ ეს 50 ფუნტი სტერლინგი. ჩელსიში რომ ეპოვა, იქნებ, უფრო არ დავეჭვებულიყავით, მაგრამ East End-ში იპოვა და ამიტომ აღმოხდა ალბათ უკვე კარგა ხნის გარდაცვლილ სტანისლავსკისაც «ნი ვერიუ» და მეც ასე უტიფრად დავარღვიე ჩემი ერთადერთი მასწავლებლის, თამაზ ჭილაძის ცნება. იპოვა და რაღას ვიზამთ ახლა – იპოვა, მორჩა და გათავდა. იღბლიანი კი იყო ეგ ჩვენი ძმა, რაც მართალია, მართალია. ოტო ფონ ბისმარკს ეთქვა თურმე: «ღმერთი დიდ იღბალს უგზავნის გადარეულებს, ლოთებს და ამერიკელებსო». David Aya თითქოს ამერიკელი არ უნდა ყოფილიყო, გიჟებისა და ლოთების საკმარისი ბედი კი არც მისთვის დაეშურებინა მაღალ და ყოვლადმოწყალე ღმერთს.

იპოვა 50 ფუნტი სტერლინგი, დაიხარა და აიღო. ამ 50-მა სტერლინგმაც ბევრი რამ გადაწყვიტა და შეცვალა ჯერ ძალიან კარგად, მერე კი ძალიან ცუდად, მაგრამ ამაზე მერე, ცოტა ხნის შემდეგ. მანამდე კი დევიდ აიამ ეს 50 ფუნტი სტერლინგი, ისე, რომ წამით ჯიბეშიც კი არ ჩაუდია, ეგრევე ხელით შეაფრიალა უახლოეს პაბში, რომ, როგორც მის მთიან, ზღვიან, უდაბნოიან, მიგლეჯილ-მოგლეჯილ და იმის მიუხედავად, რომ არავისზე ნაკლებად გადარეული არ იყო, ამერიკელებისა და ლოთებისგან განსხვავებით უიღბლო ქვეყნის შვილთ სჩვევიათ, ჯავრიან გონებაზე, ბოლო პენსამდე დაეხარჯა და გონების დაკარგვამდე, მაჯლაჯუნების შეძრწუნებამდე გამომთვრალიყო.

David Aya-ს გაფიქრება და აღსრულება ერთი იქნა. Week-end იდგა ლონდონს, შაბათი ან კვირა და დიდი ბრიტანეთის ნაჯაფარი, მთელი კვირის შრომით გადაღლილი და ღირსეული მოქალაქენი ასევე პულსის გაჩერებამდე და გულის წასვლამდე გამოთრობას ეპირებოდნენ. პაბი გადაჭედილი იყო. დევიდ აიამ მუჯლუგუნებით მიაღწია ბარამდე, პასუხად ლონდონელებმაც გემრიელად დაუთვალეს ნეკნები, მაგრამ დალევის დილიხორით შეპყრობილ აზარტულ გადამთიელს არც საკუთარი ნეკნების ტკაცუნი ესმოდა და ვერც ფერდების ტკივილი აბრკოლებდა.

– ერთი «Jack Daniel’s», თუ შეიძლება, – უთხრა David Aya-მ კეთილშობილ ბარმენს, რომელსაც სახე ვერცხლის უზალთუნივით უბრწყინავდა და შვებით ამოისუნთქა.

მესამე ჭიქის შემდეგ, გონს მოსულმა და სხვადასხვანაირი ლუდით გალუმპულმა David Aya-მ შენიშნა, რომ ბარის თანამშრომლები იმ კლიენტებს, ვინც ადრე მოვიდნენ და უკვე მოესწროთ ნეტარების იმ სტადიამდე მისვლა, რასაც სიმთვრალისგან გულის წასვლა, ჩაფსმა და რწყევა ჰქვია, ან უბრალოდ კორეელებივით, ჩინელებივით და იაპონელებივით მალალიტრაჟკები იყვნენ და მალე თვრებოდნენ, ერთობ ფაქიზად და რუდუნებით მიათრევდნენ მაღლა, მეორე სართულის ანტრესოლზე.

David Aya ყველა სიკეთესთან ერთად აზარტული და ცნობისმოყვარე გახლდათ და მოულოდნელ გამჭრიახობასაც გადმოუგდებდა ხოლმე ღმერთისგან რატომღაც სრულიად თავის ნებაზე მიშვებული შაითანი. ჯერ ბოლომდე არ დაეხარჯა თავისი, უფრო სწორად, სხვისი და ასე დაუჯერებლად ნაპოვნი 50 ფუნტი სტერლინგ, რომ უცებ სრულიად მიზანმიმართულად მოიმკვდარუნა თავი და ბარის მაღალი სკამიდან მოწყვეტით გადმოეშვა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ იმ ჭყლეტვაში იატაკამდე ვერაფრით მიაღწევდა. გარშემოჯარულმა ბრიტანელებმა თანაგრძნობით აღსავსე გინებითა და წყევლა-კრულვით ხელიდან ხელში გადააწოდეს ბარის დაცვის ბიჭებს, რომლებმაც ციმციმ აიტანეს მსუბუქი და ჰაეროვანი David Aya მეორე სართულზე. უკვე კარგი მთვრალი იყო და აქედან გამომდინარე, სულაც არ გასჭირვებია ალკოჰოლიზმის მოლიპლიპებულ გზაზე შემდგარი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის როლის თამაში.

David Aya-მ იგრძნო, როგორ ფრთხილად დააწვინეს რაღაც მატრასზე და თავი დაანებეს. მან ფრთხილად გაახილა ჯერ ცალი და მერე ორივე თვალი და დარწმუნდა, რომ რაც ივარაუდა, სწორად ივარაუდა. მისი უდიდებულესობა ინგლისის,

შოტლანდიის, ირლანდიის, უელსის, ავსტრალიის, პაპუა-ახალი გვინეისა და ნაურუელი კანიბალების დედოფლის, ელიზავეტა II-ის ქვეშევრდომები, უგონოდ მთვრალები, ბარის ბოდიგარდების მიერ ერთმანეთის გვერდიგვერდ სათუთად დაწყობილები მშვიდად და უშფოთველად ხვრინავდნენ, ფშვინავდნენ და ხრიალებდნენ. ზემოთ ჩამონათვალში კიდევ კანადა გამომრჩენია, კაცო, და რა დროს ნაურუელი კანიბალები იყვნენ... არა, კი არიან, მარა მაინც არ გაუტყდეთ პოლიტკორექტულობის ამბავში, რა ვიცი...

David Aya-მ ისიც დაინახა, რომ შედარებით გამოფხიზლებულთაგან რამდენიმე ადგა და ბანცალ-ბანცალით ისევ ქვევით ჩავიდა პირის გასასველებლად და სიმთვრალის შესაბრუნებლად. დანარჩენებს ისევ ეძინათ. თვითონაც ცოტა ხანს ჩასთვლიმა და დაესიზმრა, რომ ის და მისი ბავშვობის ძმაკაცი პროსპექტზე, მაიაკოვსკის ძეგლის გადაღმა, «ელ დეპოს» სახინკლეში უზარმაზარ ხინკლებს ხვრეპდნენ, ათოხლავებდნენ, ცივ-ცივ, კამკამა ლუდს აყოლებდნენ და გემრიელად ქაქანებდნენ...

კარგა გვიან გამოეღვიძა, ფრთხილად ჩაიხედა დარბაზში. იქ ხალხი შეცოტავებულიყო, სამაგიეროდ მეორე სართულზე იყვნენ, უფრო სწორად, ეწყვნენ თუU ელაგნენ ბლომად. მუხლამდი, როგორც ჩვენებიანთ კახელი ამბობს ხოლმე პურმარილზე: «სუფრა იყო მუხლამდიო», ან როგორც დედაჩემის «სიყვარული ყველას უნდა»-შია: «მე მიყვარს თოვლი. – მოვა, შარშან მუხლამდე იყო». აი, ასე, მუხლამდე იწვნენ ადამიანები და, რა თქმა უნდა, არავისაც არ მოსვლია აზრად მათი ჯიბეები და საფულეები შეემოწმებინა, იქნება და რამე გადაურჩა კეთილშობილი და ბედნიერი ბარმენის თვალშეუდგამ და ხარბ სალაროს, რომელსაც სახე ვერცხლის უზალთუნივით უბრწყინავდა.

ამ დღიდან David Aya-მ მეფესავით დაიწყო ცხოვრება. არა, მთლად უინძორების სამეფო სახლის წევრივით ვერა, მაგრამ არალეგალების მეფესავით კი. ეგრევე შეიცვალა მისი უფროსი ძმის

ნაცნობების ტონი, საქციელი და დამოკიდებულებაც. არა, ისევ ვიწროდ იყვნენ, მაგრამ რა შედარებაა. ამ ფულის ნაწილს პატიოსნად ხარჯავდა იმ ბარშივე, რომელსაც ყოველ შაბათ-კვირას სტუმრობდა. Week-end-zed, ბატონო.

ასე გაგრძელდა შემოდგომიდან გაზაფხულამდე, თითქმის ნახევარი წელი. აპრილის პირველ შაბათს, ერთ მოღრუბლულ და ნავსიან დღეს კი, რაღაც ბედად ბარში, რომელსაც უკვე ისეთივე მშობლიურად თვლიდა, როგორც თავის ნახევრად სპორტულ, ნახევრად კრიმინალურ კვარტალს, რაღაც ბედად შეაგვიანდა და როდესაც მიუახლოვდა, დაინახა პოლიციის მანქანების 4 ეკიპაჟი, რომელთაც რიგრიგობით გამოჰყავდათ ხელდაბორკილი ბიჭები. იმ ბინდბუნდში მოეჩვენა, რომ სულ მაღლები, შავთმიანები და სიმპათიურები იყვნენ ის დაპატიმრებულები და ეგრევე მოხია ადგილიდან. ავარდა თავის ოთახში, სასწრაფოდ ჩაყარა ტანსაცმელი თავის ჭრელ ჩანთაში, სიჩქარისგან კიდევ ერთხელ აარტყა თავი ბალიშივით შეჩვეულ წყლის საბან ნიჟარას და სულ გინებით გამოქუსლა იქიდან ისე, რომ არც ენა შეშლია და არც არავის გამომშვიდობებია.

ასე გადმოღწია East End-ში ლონდონელი მუშა ბიჭებისა და დიდი «West Ham United»-ის სამშობლოში, ისევ ქუჩაში და გროშ-კაპეიკის გარეშე დარჩენილმა. მის სამარადჟამოდ დამარცხებულ, უტვინო და პირამიდებივით უკვდავ სამშობლოში, იმ პირამიდებისა, რომლებსაც ერთი პერიოდი მასავით გადმოხვეწილი თანამემამულეები განაგებდნენ, მაგალითად – მარტყოფელი აბრამა სინჯიკაშვილი და ისე, რომ არც არავინ ეკითხებოდათ, ამ პირამიდებისათვის ფრანგების იმპერატორად გასულ კორსიკელ ბიჭს ნაპოლეონ ბონაპარტეს ეომებოდნენ. რა თქმა უნდა, ისევ მარცხდებოდნენ. ბონაპარტეს კიდევ ამ სინჯიკაშვილის დევნაში თავის ბოზი ცოლი ევგენია ბოგარნე კიდევ უფრო უბოზდებოდა და უკვე მისსავე, დაჭრილ და პარიზში დარჩენილ გვარდიელებთან ღალატობდა. ჰოდა მაგ David Aya-ს გაუგებარ სამშობლოში შავი დღისთვის ფულის გადანახვა ერთობ

სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა, იგივე დიდ ბრიტანეთისგან განსხვავებით და დიდ ბრიტანეთს კი რას გაუბედავდნენ და თავის ჭკუადამჯდარ, გამრჯე და მოხერხებულ სამხრეთელ მეზობლებს კი სულ მაგაზე დასცინოდნენ, ეგენი შავი დღისთვის ფულს ინახავენ და მთელი ცხოვრება შავ პურს ჭამენ, მერე რაღად უნდათ, საფლავში ხომ ვერ წაიღებენ ჩემისებიო. მოკლედ, თავანის გადაუხდელობის გაფუფლოების შემდეგ David Aya-ს მხარეში ყველაზე მეტი სირცხვილი ფულის შენახვა იყო. უნდა გეშოვა, როგორც გინდა ისე, მაგრამ შენახვა, აბა, რას ამბობ, ჟმოტობა იყო და დარჩა ისევ ეგრე. ქარის მოტანილი ქარმავე წაიღოო...

არ ვიცი, იბრალებენ თუ მართლა ეთქვა David Aya-ს თანამემამულეებზედ ებრაელსა – «შემოქმედო, დამბადებელო და გამჩენო, ეგე, მაგათი ჭკუა მომეც დაგენაცვლე, როცა რომა საკუთარი უჭკუობითა თავს გაჭირვებაში და გამოუვალ დღეში ჩაიგდებენ, ე მემრეოო.» შეიძლება იბრალებენ კიდევაც. როგორც ყველა დამარცხებულსა და გაჭირვებულს, ამათაც უყვართ რაღაც ამბების მოგონება საკუთარ თავზე. ვითომ მაგარი ამბებისა. David Aya-მ კი ეგ მოიფიქრა და მღებავობა დაიბრალა. და იჯდა ახლა ერთი ჰალალი აღმოსავლეთ ლონდონელი, მუშა ბიჭისა და ამ ჭკუიდან შეშლილი «West Ham United»-ის სიკვდილამდე ერთგული Duncan Barnsley-ს გახუნებულ, საღებავებაქერცლილ ავეჯის საწყობზე ზურგით მიყრდნობილი, პატარა გატანჯული, ბავშვური სახე ინგლისური გაზაფხულის მზისკენ მიეშვირა და ცდილობდა, ცოტა ხანს დაესვენა და აღარაფერზე ეფიქრა.

რაიმე შეუღებავს კი არა, სიცოცხლეში ფანქარი არ სჭერია ხელში, ბავშვობაშიც კი მიკი მაუსი, ყვავილი, სახლი და ცხრათვალა მზეც კი არ დაუხატავს.

იჯდა, შეუღებავ ავეჯის საწყობს ზურგით მიყრდნობოდა, ხის გაურანდავი ფიცრის კედელი გამხდარ, მალებამოჩრილ ხერხემალს სტკენდა, სახე მზისთვის მიეშვირა და დახუჭული თვალების ქუთუთოებს შიგნით ცეცხლისფერ რგოლებს ხედავდა.

ახსენდებოდა დედა, უფროსი ძმა, მშობლიური უბანი, ძმაკაცები, თავანი, კინოსტუდიის ეზოში ლუდის სმა და ქაქანი, ლექსო, საბურთალოს სასაფლაოზე მამამისის საფლავი, რომლის წინაც, რაღაც უცნაური დამთხვევით, პოეტ ზაზა თვარაძის საფლავი იყო, რომელიც ზუსტად იმ წელს და იმ დღეს დაიბადა, როდესაც მამამისი, და ერთსა და იმავე წელს და თვეს გარდაიცვალნენ და ახლა საუკუნოდ იწვნენ ერთმანეთის პირისპირ, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეში თვალითაც არ ენახათ ერთმანეთი.

ახსენდებოდა თავისი სოფელი ონტოფო აბაშაში, ძველი ოდა სახლი, ულამაზესი აბიბინებული კოინდარი და კოინდარზე მხარ-თეძოზე წამოკოტრიალებული, მხცოვანი და უზარმაცესი ცხენი, რომელიც კაკლის ჩეროში გაფენილ ხალიჩაზე მოსვენებული, გრძელტარიან ჩიბუხმომარჯვებული დავით კლდიაშვილის იმერელი აზნაურიშვილივით იყო წამოწოლილი და ამ ჩვენი უმადური წუთისოფლის ამაო დღე და ღამე ბალახის წიწკნაში გაჰყავდა. ენატრებოდა თავისი ბებია, რომელსაც აბრაზებდა და ამწარებდა, ბებიას კი, მიუხედავად მისი წივილ-კივილისა, ჩხუბისა და ქოთქოთისა, ყველაზე მეტად სწორედ ის უყვარდა. ენატრებოდა თავისი პროსპექტი, პროსპექტზე არეულ მანქანებს შორის გადარბენა და ამ პროსპექტზე ჩამწკრივებული, წინ ნათურაჩამოკიდებული წითელი ჯიხურები, სადაც საჭმელ-სასმელის სახით ათასნაირი საწამლავი იყიდებოდა.

საღამომდე რამეს მოიფიქრებდა.

იჯდა და ამაოდ ცდილობდა, არაფერზე არ ეფიქრა. დროდადრო ცალი თვალით გახედავდა გრძელტარიან ჯაგრისს და ლურჯი საღებავის ყუთს.

საღამომდე ჯერ კიდევ დრო იყო, საღამომდე რამეს მოიფიქრებდა.

ძალიან დაიღალა და უკვე ყველაფერი სულერთი იყო.

მაგრად შიოდა და სახლში უნდოდა, სადაც რაც უნდა დაეშავებინა და როგორც არ უნდა ეჩხუბა, საჭმელს მაინც აჭმევდნენ.

მერე ადგა, ლურჯი საღებავის ყუთი გახსნა, გრძელტარიანი ჯაგრისი მოიმარჯვა და დანქან ბარნსლის ავეჯის საწყობის კედლის ღებვა დაიწყო. თან ნახევარ საღებავს ზედ ისხამდა.

ცოტა ხნის შემდეგ თვალმოჭუტულმა შეათვალიერა თავისი ნამუშევარი და იმის მიუხედავად, რომ საკუთარ თავზე და შესაძლებლობებზე ძალიან დიდი და ფანტასტიური წარმოდგენა ჰქონდა, მიხვდა, რომ დღის ბოლოსთვის აქედანაც მოუწევდა გაქცევა. მით უფრო, რომ 25 ფუნტი სტერლინგი წინასწარ ჰქონდა აღებული.

მექანიკურად უსვამდა ლურჯ საღებავში ამოვლებულ გრძელტარიან ჯაგრისს დანქან ბარნსლის ავეჯის საწყობის კედლებს და ალაგ-ალაგ ალაქავებდა.

ფიქრობდა.

საღამომდე რამე უნდა მოეფიქრებინა.

თანდათან ეშხშიც კი შევიდა. მარტო «მაზავიკობაში» არა, ყველაფერში აზარტული იყო, მაგრამ «მაზავიკობაში» იღბალი და ჭკუა ღალატობდა და «მაზოკებში» ნიჭი. ძალიან უნდოდა მორიგ შარს გადარჩენილიყო და ამიტომ სულ უფრო და უფრო მონდომებით უხახუნებდა ჯაგრისს ავეჯის საწყობს, მაგრამ ცხადი ხდებოდა, რომ მისგან ბოსხი და ბრეიგელი კი არა, შიშკინიც კი ვერ დადგებოდა. არადა, გაცილებით უფრო ადვილი ეგონა. თითქოს რა უნდა, რა? აიღე, წაუსვი, აიღე, წაუსვი – თურმე სადა ბანაობ. დაიღალა, გაიხვითქა, ლამის მარჯვენა მხარი ამოუვარდა, მოშივდა. წავიდა, იქვე გზის გადაღმა ჰამბურგერი და კოკა-კოლა იყიდა, სულმოუთქმელად გადასანსლა და სიგარეტს მოუკიდა. თითქოს დანაყრდა, მაგრამ თავისი მოქოთქოთე ბებიის ფუმფულა ხაჭაპურები გაახსენდა და ლამის ტირილი დაიწყო. ადგა და ისევ ჯაგრისს მოკიდა ხელი. სხვა რა გზა ჰქონდა, საჭმელიც, კოკა-კოლაც და სიგარეტიც ავეჯის საწყობის პატრონის მიერ წინასწარ მოცემული 25 ფუნტი სტერლინგით იყიდა. მისტერ Duncan

Barnsley კი საკმაოდ სერიოზული და რაც მთავარია, მკვიდრად ჩამდგარი და ჯანიანი ბიძის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საჭმლის ჭამის შემდეგ კიდევ უფრო დაეზარა ღებვა, ქაღალდივით მსუბუქი ჯაგრისიც რაღაც მოულოდნელად და აუტანლად დამძიმდა. და არც ტომ სოიერი ჩანდა არსად, რომ მისისიპზე გადაგდებული სანკტ-პეტერბურგელი ბიჭებივით გაებითურებნა East End-ელი ჯიგრებიც, მესერების და კედლების ღებვაზე დიდი სიამოვნება ამქვეყნად არაფერიაო. რაიმე უნდა მოეფიქრებინა.

საღამომდე. საღამომდე კიდევ იყო დრო ან ხელობის შეცვლაზე უნდა ეფიქრა. ან ტემზაში გადავარდნილიყო. ან სახლში დაბრუნებულიყო, მაგრამ სახლში, თავის ძველ და მრავალგზის დამხობილ ქვეყანაში, რომელიც ბოლოს მის თვალწინ დამარცხდა. ასე დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზაფრავდა. უკანასკნელი თავანის ჩაბარების შემდეგ, თავის ოჯახის წევრებს, მეგობრებს და, რაც მთავარია, საკუთარ თავს შეპირდა, რომ ლონდონიდან მხოლოდ ზღაპრულად გამდიდრებული და ბრუნეის სულთანივით ბრწყინვალე და აღზევებული დაბრუნდებოდა, ყველას მიხედავდა და უპატრონებდა, ახლა კი ვიღაც ლონდონელი გოიმი Duncan Barnsley-სგან სამადლოდ გამოტყუებული ფულის ანაბარა ვერაფრით დაბრუნდებოდა თავის მზიურ, თუმცა რატომღაც მუდამ ჩაბნელებულ სამშობლოში...

ღებავდა David Aya და თან ფიქრობდა. ცდილობდა, გამოსავალი ეპოვა.

* * *

მეორე დღეს ლონდონურ, ცრიატ, ნისლიან დილას, როდესაც გულისგამაწვრილებლად წინწკლავდა, წითურ, ნაცრისფერთვალებიან მძღოლს რომელიღაც მეტალოპლასტიკატი, ავეჯი და ფიცრები გადაჰქონდა და თავისი წითური თავ-პირის მიუხედავად, საოცრად ჰგავდა მისტერ პიტკინს, თავს მაღალი, გამხდარი ტიპიც დასდგომოდა, ლურჯი, ლურჯი საღებავით

დალაქავებული კომბინიზონით და ხელში გრძელტარიანი ჯაგრისით.

Y – Yes, I am... a... a... very good painter! Really... good... house painter... [15]

– What do you want, man? I don’t understand...[16] – მისტერ პიტკინი აშკარად არ ენდობოდა East End-ის ყველაზე მაგარ და ცნობილ მღებავს... ნუ, თუ არა და, რამდენიმე ცდის მერე მაინც ხომ გახდებოდა, მანამდე კი 25 ფუნტი სტერლინგიც ფული იყო. ამასობაში «West Ham United»-ის უბნის მუშა ბიჭებსაც ეშველებოდა. David Aya ან მართლა ისწავლიდა ღებვას, ან სხვა რაიმე ოინს მოიგონებდა, ან საბოლოოდ აიღებდა ხელს ზღაპრულად გამდიდრებაზე და ქვეყნიერების გადარჩენაზე და თავის ჩაბნელებულ ქვეყანაში დაბრუნდებოდა, სადაც თავისი ონტოფელი ბებოს შეკივლებები და ფუმფულა ხაჭაპური ელოდა.

# 4. მწერლის ცხოვრება

# კონსტანტინე კიკნაძე

## იმედგაცრუება

ვლადიმირ მაიაკოვსკის ლექსი, «წერილი ტატიანა იაკოვლევას» პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ტატიანას არ მოსწონდა ის ფაქტი, რომ პოეტი ლექსს პარიზის რუსულ წრეებში კითხულობდა. მეორე პარიზული ლექსი «წერილი ამხანაგ კასტროვს პარიზიდან, სიყვარულის არსის შესახებ» ჟურნალ «მოლოდაია გვარდიაში» დაიბეჭდა. ჟურნალის მთავარი რედაქტორი ტარას კასტროვი იყო. ლექსმა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის, РАПП-ის წევრთა სერიოზული აღშფოთება გამოიწვია. ისინი თვლიდნენ, რომ მწერალი და პოეტი, რომელიც თავს კომუნისტად მიიჩნევს, ასეთ თემებზე არ უნდა წერდეს. ლილის პროტესტი ღიად არ გამოუხატავს, მაგრამ, ბუნებრივია, მის თავმოყვარეობას საშინელი დარტყმა მიაყენა შემდეგმა სტრიქონებმა:

*ჩვენთვის სიყვარული*
*არაა სამოთხე,*
*არც ფუფუნებაა – ხმაურის ზვავია,*
*გვეძახის დაღლილებს*
*ხელახლა ჩამოვდგეთ,*
*გულები ასეთ დროს*
*ჩამქრალი ძრავია.*

*(«წერილი ამხანაგ კასტროვს პარიზიდან სიყვარულის არსის შესახებ»)*

*მთარგმნელები ზაალ ებანოიძე და კონსტანტინე კიკნაძე*

ლილისთვის გულსაწყვეტი იყო ლექსის დაწერის ფაქტი, რომლის პუბლიკაციამაც დაადასტურა, რომ ის აღარ იყო პოეტის ერთადერთი მუზა. ცხადი გახდა, რომ მაიაკოსკის გულს სხვა სიყვარული ეწვია. ეს ლექსი ერთ-ერთი უძლიერესია რუსულ პოეზიაში სიყვარულზე შექმნილ შედევრებს შორის, თუმცა მისი

გამოქვეყნებით საფრთხე ექმნებოდა მაიაკოვსკის, როგორც პროლეტარული პოეტის რეპუტაციას. ვლადიმირი ყოველთვის ავადმყოფურად რეაგირებდა კრიტიკოსების შენიშვნებზე, რომ ის არ ცხოვრობდა ისე, როგორც ყველა; ხოლო რომანი «თეთრ ემიგრანტთან» ღია სამიზნედ აქცევდა მას. პარიზში ყოფნის დროს ლილისთვის მანქანის ყიდვა ასევე საჩოთირო საქმე იყო ქვეყანაში, სადაც თითზე შეიძლებოდა ჩამოგეთვალა კერძო ავტომობილები.

1929 წელი დიდი გარდატეხის წლად გამოცხადდა. ქვეყანა ენთუზიაზმით აშენებდა კომუნიზმს. იდეოლოგიური აპარატი მთელი დატვირთვით მუშაობდა; იბეჭდებოდა სტატიები საბჭოთა ხალხის მიღწევებზე; კოლექტივიზაცია საკმაოდ სისხლიანი გამოდგა, შეფერხებებით მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაცია. საბჭოთა სისტემა სახელმწიფოს მშენებლობაში ეგრეთ წოდებულ «ბურჟუაზიულ» კადრებს იყენებდა. ძირითადად სწორედ მათ ბრალდებოდათ წარუმატებლობები, ხალხის მტრობა, კონტრრევოლუციურ ძალებთან კავშირი და ასე შემდეგ... ბოლშევიკებს ოციანი წლების დასაწყისში არ ჰყავდათ პროლეტარული წრეებიდან გამოსული, სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის საკმარისი ინტელექტუალები.

1929-30 წლებში დაიწყო საბჭოთა აპარატის მასობრივი წმენდა, რაც «საეჭვო სოციალური წარმოშობის კადრებისა» და «უცხო ელემენტების» წინააღმდეგ იყო მიმართული. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე სპეციალისტებს სახელმწიფო სამსახურებიდან ათავისუფლებდნენ. მთავარი კრიტერიუმი არა პროფესიონალიზმი, არამედ პარტიის ერთგულების ხარისხი გახდა.

წმენდა დაიწყო კულტურის და მეცნიერების სფეროშიც. 1929 წლის გაზაფხულზე გაჩაღდა კამპანია მეცნიერებათა აკადემიის წინააღმდეგ. ბევრ ცნობილ მეცნიერს ბრალი დასდეს «მავნებლობაში». მსგავსი რეფორმები გატარდა ფორმალისტების ერთ-ერთი უკანასკნელი ბასტიონის, ხელოვნების ისტორიის

ინსტიტუტის წინააღმდეგაც. მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელობა შეცვალეს. პუშკინის სახლის დირექტორი გაათავისუფლეს და ქვეყნიდან გააძევეს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო, იმ პერიოდისათვის, საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც კრძალავდა ახალი ლიტერატურული, მხატვრული და სამეცნიერო გაერთიანებების ჩამოყალიბებას.

1929 წლის აგვისტოში, როდესაც იდეოლოგიურმა წმენდამ კულმინაციას მიაღწია, ლიბერალი ლუნაჩარსკი უკვე გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან. დაიწყო რიგი მწერლების მიმართ კოორდინირებული კამპანია. ბორის პილნიაკსა და ევგენი ზამიატინს თავიანთი ნაწარმოებების საზღვარგარეთ დაბეჭდვისთვის ბრალი წაუყენეს. ერთდროულად რამდენიმე გაზეთში იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები. ოფიციალურად ამ ყველაფრის უკან რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია იდგა, მაგრამ ინიციატივა უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობას ეკუთვნოდა.

მალე შეტევა დაიწყო მწერალთა იმ კატეგორიაზეც, რომელთაც РАПП-ი განიხილავდა, როგორც «попутчик»-ებს. ესენი იყვნენ მიხეილ ბულგაკოვი, ანდრეი პლატონოვი, ილია ერენბურგი, ვლადიმირ მაიაკოვსკი და სხვები. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში თვლიდნენ, რომ თავად იყვნენ ჭეშმარიტი რევოლუციური მწერლები, ზემოთ მოყვანილ კატეგორიას კი მიტმასნილებად მიიჩნევდნენ.

* * *

მაიაკოვსკის პირადი ურთიერთობები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პარალელურად რთულდებოდა. მას გულის სიღრმეში ესმოდა, რომ ვერ შეძლებდა ტატიანას დათანხმებას საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე. მით უფრო მაშინ, როცა ულამაზეს ვერონიკა პოლონსკაიასთან მისი რომანის შესახებ ალბათ უკვე იცოდნენ პარიზში.

მაიაკოვსკი ძველებურად ამტკიცებდა, რომ ტატიანა უყვარდა, მაგრამ იყო ძალიან ბევრი პრობლემა. ტატიანა თავის მოგონებებში ამბობს: «მე ვფიქრობ, რომ ის გაურბოდა პასუხისმგებლობას და არ უნდოდა, თავზე დაესვა ქალიშვილი. თუ მე ჩამოსვლაზე დავთანხმდებოდი, იძულებული გახდებოდა, ჩემზე დაქორწინებულიყო. არჩევანი არ ექნებოდა. ვფიქრობ, მას უბრალოდ შეეშინდა.» თუ ვალოდიას ტატიანაზე დაქორწინების იმედი კიდევ ჰქონდა, მაშინ, 1929 წლის შემოდგომაზე, პარიზში უნდა წასულიყო, მაგრამ არ წავიდა. ოქტომბრის წერილში ის წერს: «შეუძლებელია, გადმოვცე ყველა ის ნაღველი და სევდა, რომელიც მაიძულებს, კიდევ უფრო ჩუმად ვიყო.» მისი სიჩუმე თვალში ეცა ვერონიკასაც: «მაიაკოვსკი კავკასიიდან უკიდურესად ცუდ გუნებაზე მყოფი ჩამოვიდა. ის შეფიქრიანებული იყო და ხშირად დუმდა. დუმილის მიზეზთან დაკავშირებულ ყველა ჩემს შეკითხვაზე სიტყვას ბანზე მიგდებდა.»

რა ხდებოდა ისეთი, რის გამოც მაიაკოვსკი დუმილს ამჯობინებდა?

ყველაზე გაურკვეველი მომენტები მისი ბიოგრაფიიდან პარიზში გამგზავრებასთანაა დაკავშირებული.

ერთი რამ უდავოა, ლილის არ სურდა, მაიაკოვსკი დაქორწინებულიყო და ყველანაირად ცდილობდა, მისთვის ხელი შეეშალა. მაინც, რას აკეთებდა? შემოიფარგლებოდა მკაცრი საუბრებით ვალოდიასთან? ხმებს ავრცელებდა, რომ ტატიანამ ის მიატოვა, თუ უფრო სერიოზულ ზომებს მიმართავდა?

დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მაიაკოვსკის პარიზში არწასვლის მიზეზი მისთვის სავიზო დოკუმენტების გაფორმებაზე უარის თქმა იყო. თუმცა უარი რომ გითხრან, ჯერ უნდა მიმართო თხოვნითა და განცხადებით შესაბამის სტრუქტურებს. საბჭოთა არქივებში კი არ მოიძებნება ისეთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ პოეტს უარი უთხრეს. «მას შეეძლო იქ წასულიყო, სადაც უნდოდა, არასოდეს უთქვამთ მისთვის უარი საზღვარგარეთ გამგზავრებაზე.» – ირწმუნებოდა შემდგომში ლილი, როდესაც ამ საკითხზე უსვამდნენ კითხვებს.

ამრიგად, ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ მაიაკოვსკის საზღვარგარეთ გასამგზავრებელ პასპორტზე მოთხოვნა არ გაუკეთებია და გადაწყვიტა, რომ არ წასულიყო პარიზში. მაგრამ რა გახდა ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი? როგორც ჩანს, ვიზის გაფორმებაზე უარი უთხრეს, მაგრამ უთხრეს სიტყვიერად. მიახვედრეს, რომ დოკუმენტებზე ზრუნვას აზრი არ ჰქონდა. გალინა კატანიანი იგონებს: «უარი ძალზე დამამცირებელი ფორმით იყო ნათქვამი. ის ჯერ ატარეს, და ბოლოს უარი უთხრეს მიზეზების აუხსნელად, ზუსტად ისე, როგორც ბევრ სხვა საბჭოთა მოქალაქეს.»

«Медицинский вестник»-ის 2008 წლის 38-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში «ეძებეთ ქალი», მიხაილ დავიდოვს მოჰყავს მაიაკოვსკის ზოგიერთი ბიოგრაფის მოსაზრება პოეტის სიკვდილის მიზეზებთან დაკავშირებით. «ბრიკების მრავალრიცხოვან გარემოცვას შეეძლო ხელი შეეწყო მათთვის, რომ პოეტისთვის სუიციდისკენ ებიძგებინათ. ცნობილია შემთხვევა, რომელსაც იხსენებს მწერალი ა. ვინოგრადოვი. ეს უკანასკნელი შეხვდა ბრიკების მეგობარ ი. ს. აგრონოვს, ОГПУ-ს (მთავარი პოლიტიკური სამმართველოს) განყოფილების უფროსს და მის კაბინეტში დახვდა მაიაკოვსკიც. «აგრონოვი ავად, დამამცირებლად, დაცინვით ესაუბრებოდა პოეტს: აი, შენ «ხერხემლის ფლეიტაში» ამბობ: «ხომ არ დავუსვა ჩემ სიცოცხლეს

ტყვიის წერტილი», მაგრამ თქვენ, პოეტებს, გიყვართ სიტყვით ტრაბახი, საქმეში კი მხდლები ხართ.» მაიაკოვსკიმ რაღაც ჩაიბუტბუტა პასუხად, უკმაყოფილომ და ნაწყენმა. აგრონოვი იგივე სულისკვეთებით აგრძელებდა პოეტის გაღიზიანებას, შემდეგ ამოიღო რევოლვერი და გაუწოდა მაიაკოვსკის სიტყვებით: «აჰა, ვნახოთ როგორი გულადი ხარ, გეყოფა თუ არა ვაჟკაცობა, დაუსვა შენს სიცოცხლეს ტყვიის წერტილი.» მაიაკოვსკიმ აიღო რევოლვერი და წავიდა.» – იხსენებს ვინოგრადოვი. დღეს შეუძლებელია გავიგოთ, რა მიზეზის გამო «ურჩევს» უშიშროების მაღალჩინოსანი პოეტს ასეთი ნაბიჯის გადადგმას. თანაც ეს ის აგრონოვია, რომელიც ხელმძღვანელობს შემოქმედებითი ინტელიგენციის განყოფილებას მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში. 1921 წელს მას მიჰყავდა პეტროგრადის სამხედრო ორგანიზაციის საქმე, რომლის დროსაც დახვრიტეს ათობით ინტელექტუალი, მათ შორის პოეტი გუმილიოვი. სწორედ აგრონოვი ამზადებდა, 1922 წელს, მემარჯვენე ესერების საქმეს, ადგენდა მწერლებისა და პოეტების სიებს, რომლებიც იმავე წლის შემოდგომაზე გააძევეს ქვეყნიდან. ამ ეპოქიდან ბევრი ფაქტი, ალბათ, საერთოდ იდუმალებით დარჩება მოცული. ზემოთ მოყვანილი საუბრის თაობაზე თავად მაიაკოვსკიც დუმილს ამჯობინებდა. ჩნდება კითხვები: შეეფერება ეს მონათხრობი სინამდვილეს? იყო კი რაიმე ამის მსგავსი? ეს ამბავი, საერთოდ, შეთხზული ხომ არ არის?

1938 წელს აგრონოვი დახვრიტეს. ამიტომ ძნელია დაადასტურო ფაქტის რეალურობა. დააბრალეთ რაც გინდათ, მაგრამ საბჭოთა უშიშროების თანამშრომლებსა და მაიაკოვსკის შორის მძიმე საუბარს ნამდვილად რომ ჰქონდა ადგილი, ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ. გალინა კატანიანი იგონებს ერთ-ერთი პიროვნების ნაამბობს, რომელიც მაიაკოვსკის შემთხვევით შეხვდა, როცა ის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს შენობიდან გამოდიოდა. «პოეტს საშინელი სახე ჰქონდა და თუმცა კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, არ მომესალმა.» მიხაილ გორბი დიდი ხნის

განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა სპეცსამსახურებში. როგორც ჩანს, მათ ერთმანეთი ბერლინში გაიცნეს, სადაც გორბი 1926-28 წლებში იმყოფებოდა, როგორც საბჭოთა აგენტი. 1929 წლის შემოდგომაზე ის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში, საზღვარგარეთის განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა და საფრანგეთში საბჭოთა აგენტურაზე იყო პასუხისმგებელი. თუ ვინმემ იცოდა, რატომ არ გაუშვეს მაიაკოვსკი პარიზში, ალბათ, ეს იყო სწორედ გორბი და ОГПУ.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კონსტანტინ კედროვი, სტატიაში «მაიაკოვსკის ღვთაებრივი კომედია», რომელიც 2013 წელს «журнал поэтов»-ის მე-6 ნომერში დაიბეჭდა, ამბობს: «ჯერჯერობით უცნობია, ვისმა ტყვიამ შეწყვიტა 37 წლის ასაკში მაიაკოვსკის სიცოცხლე, მაგრამ ცნობილია, რომ ოპერაციას გამოცდილი ჩეკისტი აგრონოვი ხელმძღვანელობდა. ასეთივე სპეციალისტი საიდუმლო ტერაქტებში იყო ლევ ელბერტი, რომელიც მონაწილეობდა თეთრგვარდიელი გენერლის, კუტეპოვის გატაცებასა და მკვლელობაში. ბრიკები მოულოდნელად გაუშვეს საზღვარგარეთ. მაიაკოვსკი ასევე მოულოდნელად არ გაუშვეს, ხოლო გენდრიკოვის შესახვევში, პოეტის ბინასთან გამოჩნდა ელბერტი.

მაიაკოვსკიმ, რა თქმა უნდა, იცის რომ ყველა მხრიდან ალყაშია მოქცეული. რად ღირს, დილის ჩაის დროს მისი პირქუში ხუმრობა, როცა პოეტი გამოცდილ მკვლელს სთავაზობს, გაგზავნოს ის საზღვარგარეთ, რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის ფიზიკური განადგურების დავალებით – ხუმრობა საკმაოდ ბნელი ქვეტექსტით. ეს იყო მინიშნება იმ ფაქტზე, რომ მაიაკოვსკი საზღვარგარეთ არ გაუშვეს და არაორაზროვანი შეხსენება იმისა, რომ პოეტმა იცის მიჩენილი ჩეკისტის ძირითადი პროფესიის შესახებ – გატაცება და მკვლელობა... ამ დროს ვლადიმირს ჯიბეში აქვს უბის წიგნაკი დაუსრულებელი ლექსებით, რომლებიც მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.

*ვუყვარვარ? არა? – ვემკითხავები ჩემს თავს*
*და ვიმტვრევ თითებს და იქით-აქეთ ვისვრი;*
*და მიხაკები მაისის თვეში თენთავს*
*ვარდის გვირგვინებს შეტბორებულებს ნისლით.*
*მინდა ჭაღარა აღმოაჩინოს ჩემი*
*დალაქის ხელმა – დგას საამისო ჟამი,*
*ვინ მომაშავებს ახლა ამნაირ ზეიმს*
*და საორჭოფო გონიერების ამინდს.*

მთარგმნელები ზაალ ებანოიძე და კონსტანტინე კიკნაძე

* * *

ვლადიმირ მაიაკოვსკი დაასაფლავა ჯალათმა აგრონოვმა, რომელსაც უმღეროდა ლექსებში «დერჟენსკის ჯარისკაცები». აგრონოვი ლილის საყვარელი, უფრო სწორად კი, უკეთესი იქნებოდა გვეთქვა, რომ მაიაკოვსკის მეტოქე იყო. ხომ არ იყო აქ ჩარეული ეჭვიანობა? აგრონოვი არა მხოლოდ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოშორების სპეციალისტი იყო, არამედ ხელმძღვანელობდა შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის განყოფილებასაც. იმუშავა სასახელოდ! მხატვარი ლავინსკაია იგონებს, რომ აგრონოვის ხელში მკვდარი პოეტის ფოტოსურათი ნახა «ხელებგაშლილი, როგორც ჯვარზე გაკრული, იატაკზე გაშხლართული, გაშლილი ხელებითა და ფეხებით, ფართოდ გაღებული პირით, რომელზეც განწირული ყვირილი შერჩენოდა. მე შიშისგან გავშეშდი.»

«მე ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ ამქვეყნად და მმართებს თავი მოვიკლა» – თქვა პოეტმა საბედისწერო გასროლამდე ცოტა ხნით ადრე. მიაქციეთ ყურადღება სიტყვას «მმართებს» (я должен), ეს აშკარად არ ესადაგება უიღბლო სიყვარულის ვერსიას თვითმკვლელობაზე. სამაგიეროდ, ძალიან კარგად ხსნის ერთ საიდუმლოებით მოცულ ეპიზოდს. მაიაკოვსკის გასაკვირად, პოეტის წინააღმდეგ აგორებული კამპანიისა და დევნის

პირობებში, მას გადასცემენ ლუბიანკიდან იარაღს... ეუბნებიან, რომ ასეა საჭირო...

სტალინს ერთი ახირება ჰქონდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ცხენოსანთა პირველი დივიზიის მეთაური უნდოდა ყოფილიყო. რატომ? ძნელი სათქმელია, მაგრამ, ცხადია, რომ ისტორიის ჭეშმარიტი გაყალბება ხდებოდა ამ ამბის რეალურ მონაწილეთა თვალწინ. ამბები კი საკმაოდ ახალი იყო. როგორაც არ უნდა ეცრუა ვოროშილოვს, რომ სტალინი მეთაურობდა ცხენოსანთა პირველ დივიზიას, ყველამ იცოდა, რომ ხელმძღვანელობდნენ სხვები. თითქმის ყველას დახვრეტენ შემდგომ. დახვრეტენ ძველ ბოლშევიკებს, რომლებიც სტალინთან ერთად ტურუხანსკის გადასახლებაში იყვნენ, ხოლო შემდეგ სტალინი დახურავს ჟურნალს «Тюрма и ссылка» (ციხე და გადასახლება), სადაც მას საკმაოდ მცირე ადგილი დაუთმეს სხვა გმირებთან შედარებით და აი, 1929 წელს, პიესაში, «აბანო», ჩნდება ასეთი ეპიზოდი:

«**ბელვედონსკი:** ამხანაგო პობედანოსნიკოვ, ნება მომეცით, გავაგრძელო თქვენი პორტრეტი. გამოგსახოთ თქვენ, როგორც ნოვატორი-ადმინისტრატორი და ასევე, კრედიტების გამანაწილებელი. ციხე და გადასახლება თქვენს გამო ტირის, ჟურნალიც, რასაკვირველია. რევოლუციის მუზეუმი თქვენს გამო ტირის...

**პობედანოსნიკოვი:** ასეთი სისულელეების გამო ხელისუფლების მესაჭეობას ვერ მოვწყდები, მაგრამ თუ ეს საჭიროა ისტორიის სრულყოფისთვის, მე დავჯდები ჩემს საწერ მაგიდასთან, შენ კი გამომსახე რეტროსპექტიულად, ესე იგი, თითქოს ცხენზე.

**ბელვედონსკი:** მე სახლში უკვე დავხატე თქვენი ცხენი, ზეპირად... ახლა მხოლოდ მასზე უნდა შეგსვათ. ნება დამრთეთ გვერდზე გავწიო ქაღალდებით სავსე კალათა. რა თავმდაბლობაა ასეთი დამსახურებების დროს! დამანახეთ მეომრის ფეხი. როგორ ბრწყინავს ჩექმა, პირდაპირ ალოკვა მოგინდება.»

შეუძლებელია, ვერ ამოვიცნოთ ამ სურათში «ცხენოსანთა პირველი დივიზიის აღლუმი» და სხვა ტილოები, სადაც ბელადის ჩექმებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს...»

პიესაში სხვა ეპიზოდებიც არის, რომლებიც აფიქრებინებენ კედროვს, რომ სტალინს მაიაკოვსკის დევნის დასაწყებად საკმარისი მიზეზი ჰქონდა. ეს კედროვის მოსაზრებაა, ზოგიერთი რამ შეიძლება სადაოც იყოს, მაგრამ მაიაკოვსკის განადგურების მიზეზები გაცილებით უფრო ბევრია და მასშტაბური.

1930 წლის 21 იანვარს დიდ თეატრში ლენინის გარდაცვალების მეექვსე წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. დამსწრეთა შორის იყო სტალინი მეუღლესთან ერთად და პოლიტბიუროს სხვა წევრები. ღონისძიებაში მონაწილეობდა მაიაკოვსკი, რომელიც ამ რანგის შეხვედრებზე სხვა დროს არასდროს ყოფილა მიწვეული. მან წაიკითხა პოემა «ვლადიმირ ილიას ძე ლენინის» მესამე თავი. გამოსვლა რადიოთი გადაიცემოდა და ყველა მისი მეგობარი ტრანსლაციას სახლიდან უსმენდა. ლილიმ ნაცნობებისგან შეიტყო, რომ მაიაკოვსკი გასაოცრად კითხულობდა. სამთავრობო ლოჟაში შთაბეჭდილება იყო გრანდიოზული. გამოსვლამ განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება სტალინსა და მის მეუღლეზე, ნადეჟდა ალილუევაზე მოახდინა. თავად მაიაკოვსკი საკუთარ წარმატებებთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ხმაურს არ ტეხდა, ხოლო წარუმატებლობებზე საერთოდ არ ლაპარაკობდა.

1930 წლის დასაწყისი საკმაოდ დატვირთული იყო მაიაკოვსკისათვის. ის ერთდროულად სამ დიდ პროექტზე მუშაობდა. ეს იყო გამოფენა, პოემა «მთელი ხმით» და «აბანო».

«აბანო», თავისთავად, «ბაღლინჯოს» გაგრძელება იყო, მაგრამ საჭოთა სისტემის ბიუროკრატიზაციის გაცილებით უფრო ღია კრიტიკა და ახალი პრივილეგირებული კლასის, პარტბილეთების მქონე მაღალი რანგის ჩინოვნიკების მხილება. პიესას ეწოდა «აბანო» იმიტომ, რომ მას უნდა ჩაერეცხა ბიუროკრატები. მაიაკოვსკიმ მაღალი რანგის ჩინოვნიკების მიმართ ასე მკაცრად

გაილაშქრა ლექსში «სხდომა სხდომების საპირისპიროდ», 1922 წელს და «IV-ინტერნაციონალის» მონახაზში, სადაც პირადი მდივნებისა და ჩინოვნიკების კორდონები იცავდნენ ლენინს.

მეიერჰოლდი ამბობდა პიესასთან დაკავშირებით: «ეს უდიდესი მოვლენაა რუსული თეატრის ისტორიაში, მან (მაიაკოვსკიმ) ისე გაითავისა დრამატურგიის ხერხები, უნებლიეთ გახსენდება ისეთი ოსტატი, როგორიცაა მოლიერი. მაგრამ პიესა ჩავარდა. როგორც ჩანს, ნაწარმოების ძირითადი არსი გასაგები გახდა იმათთვის, ვისთვისაც «შეათბეს აბანო». ცენზურამ ორთვენახევრით შეაჩერა პიესა და მხოლოდ მას შემდეგ დართეს ნება, როცა ავტორმა შეარბილა, ან საერთოდ ამოიღო განსაკუთრებით კრიტიკული ადგილები. ამ დროისათვის უკვე აკრძალული იყო ნიკოლაი ერდმანისა და მიხაილ ბულგაკოვის პიესები.

რაც შეეხება 20 წლის იუბილეს, ეს იყო მაიაკოვსკის კიდევ ერთი მცდელობა, პასუხი გაეცა კრიტიკოსებისა და ბიუროკრატებისათვის, რომელთა მზარდი ზეწოლა სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. «მე ეს მოვაწყვე, რადგან ჩემი კონფლიქტური ხასიათის გამო იმდენი ძაღლი ჩამომკიდეს კისერზე (კალკაა) და იმდენ ცოდვაში დამდეს ბრალი, რომელიც მაქვს და არ მაქვს, რომ ხანდახან ვფიქრობ, წავიდე სადმე ერთი-ორი წლით, ოღონდ ლანძღვა-გინება აღარ გავიგონო.» – ამბობდა ის და ცდილობდა ეჩვენებინა ხელისუფლებისათვის, რომ ისინი არ იყვნენ მართლები, როდესაც ეჭვქვეშ აყენებდნენ მის პატრიოტიზმსა და ლოიალურობას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. შესაძლოა, კიდევ ჰქონდა იმედი, რომ გააუქმებდნენ აკრძალვას და საზღვარგარეთ წასვლის ნებას დართავდნენ.

როგორც ჩანს, მაიაკოვსკი ცდილობდა ოფიციალური აღიარება მოეპოვებინა. ამას მოწმობს მიწვეულ სტუმართა სია, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი საბჭოთა მწერლები, პარტიის და სახელმწიფო აპარატის მაღალი თანამდებობის პირები: მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი და სხვები.

სტალინი პერსონალურად არ მიუწვევიათ. კანცელარიაში მხოლოდ ორი ბილეთი გაიგზავნა.

გამოფენაზე არ გამოჩენილა პარტიული და საბჭოთა ელიტის არც ერთი წარმომადგენელი. მიწვეული მწერლებიდან მხოლოდ ბეზიმენსკი და შკლოვსკი მივიდა. იყო ახალგაზრდობა.

მწერლების ბოიკოტი იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მაიაკოვსკიმ ამას გვერდი ვერ აუარა თავის მისასალმებელ სიტყვაში: «მე მოხარული ვარ რომ აქ არ არიან ეს პირველები, ნალანძღი ესთეტები. მათთვის სულერთია, სად წავლენ და ვის მიესალმებიან, ოღონდ იუბილე იყოს. არ არიან მწერლები! ეს კარგია!» რაც შეეხება, პარტიული ფუნქციონერების არმისვლის ფაქტს, მაიაკოვსკი აქაც გამომწვევი იყო: «რას იზამ, «წვერები» არ მოვიდნენ. მაგათ გარეშეც გავალთ. რომ ყოფილიყვნენ, მოუწევდათ პოემიდან «მთელი ხმით» პირველი სტრიქონების მოსმენა: «...Роясь в сегодняшнем окаменевшем говне...»

1935 წელს, პოეტის სიკვდილიდან ხუთი წლის შემდეგ, სტალინმა თქვა: «მაიაკოვსკი იყო და დარჩება საბჭოთა ეპოქის უნიჭიერეს პოეტად». ამან ასოთხმოცი გრადუსით შემოატრიალა მტრები და ვლადიმერ მაიაკოვსკი სიკვდილის შემდეგ საბჭოთა რეჟიმის ყველაზე დიდ პოეტად იქცა, მაგრამ 1929-30 წლებში დამოკიდებულება სხვაგვარი იყო.

მაიაკოვსკი ყველანაირად ცდილობდა, დაერწმუნებინა ხელისუფლება, რომ ის საჭირო იყო, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ერთ-ერთ ტომში, რომელიც 1930 წლის იანვარში გამოვიდა, არის ასეთი ჩანაწერები: «მაიაკოვსკის ბუნტი ანარქისტული, ინდივიდუალისტური და ვიწრობურჟუაზიულია»; «ოქტომბრის შემდეგ მაიაკოვსკისათვის უცხოა პროლეტარიატის ინტერესები.»

მაიაკოვსკი ამ ჩიხიდან გამოსვლისა და თავის გადარჩენის მიზნით შედის РАПП-ში. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მაიაკოვსკისა და

მის მეგობრებზე განსაკუთრებული თავდასხმებით გამოირჩეოდა, ხოლო მისი ლიდერი, ლეოპოლდ ავერბახი პოეტის დაუძინებელი მტერი იყო.

«ЛЕФ-ის გარდაქმნა შეუძლებელია, ის უნდა განადგურდეს», «ოქტომბერს არაერთხელ მიუქცევია მაიაკოვსკის ყურადღება... მაგრამ ყველა ამ ნაწარმოებში ის შორს იყო ოქტომბრის შინაარსისა და არსის გაგებისაგან», «უგემოვნო, დაცარიელებული და მოსაწყენი გამოდის სამყარო მაიაკოვსკის კალმისაგან» და ასე შემდეგ.

რასაკვირველია, მან ეს ნაბიჯი არა შინაგანი რწმენის, არამედ იმ ზეწოლის გამო გადადგა, რომელსაც ყოველდღიურად, სულ უფრო და უფრო გრძნობდა. 1929 წლის 4 დეკემბერს, პრავდამ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია სათაურით: «პროლეტარული ლიტერატურის ყველა ძალის კონსოლიდაციისთვის», სადაც РАПП-ი გამოცხადდა პარტიის იარაღად ლიტერატურის სფეროში. სტატია, რომელსაც დირექტივის ხასიათი ჰქონდა, მთელმა რიგმა ლიტერატურულმა გამოცემებმა გადაბეჭდეს. 1930 წლის 31 იანვარს გამოქვეყნდა კიდევ ერთი მოწინავე იმავე თემაზე, შემდეგი ფორმულირებით: «სიტუაციის დაძაბულობა გვაიძულებს, გავაკეთოთ არჩევანი, ან საბოლოოდ გადავიდეთ პროლეტარიატის პატიოსანი მოკავშირეების მხარეზე, ან ბურჟუაზიულ მწერალთა რიგებში ვიქნეთ მოსროლილი...» ამ პერიოდიდან პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ლიტერატურულ სამყაროში თამაშის წესების განმსაზღვრელი გახდა. მათ ხელში მოიყარა თავი უზარმაზარმა ადმინისტრაციულმა რესურსმა.

მართალია, მაიაკოვსკი ფიქრობდა, რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრობა დაიცავდა მას და მეგობრებსაც მოუწოდებდა ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისაკენ, მაგრამ ის ცდებოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ძველმა მეგობრებმა თავი მიტოვებულად იგრძნეს და განაწყენდნენ. ასეევი ამბობდა: «...სიმართლე უნდა ითქვას, ჩვენ თავი მიტოვებულად ჩავთვალეთ, წინააღმდეგობების

ტყეში. საით წავსულიყავით? რა გვექნა შემდგომ?.. შევსულიყავით ასევე РАПП-ში? მაგრამ იქ ხომ არამეგობრული, მტრული დამოკიდებულებაა არაპროლეტარული წარმოშობის მწერლების მიმართ.»

РАПП-ის ერთ-ერთი ლიდერი, ალექსანდრ ფადეევი ამბობდა: «თუმცა მაიაკოვსკიმ თავისი პოლიტიკური შეხედულებებით გვაჩვენა სიახლოვე პროლეტარულ მწერლობასთან, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის მივიღეთ მთელი თავისი თეორიული მარაგით... ჩვენ მივიღებთ მას იმდენად, რამდენადაც ის ამ მარაგისაგან გათავისუფლდება. ჩვენ მას ამაში დავეხმარებით.» РАПП-ის ჟურნალმა «ლიტერატურის საგუშაგოზე» პირველ გვერდზე გააკეთა განცხადება, რომ მაიაკოვსკის ორგანიზაციის წევრობა ავტომატურად ვერ აქცევდა პროლეტარულ მწერლად.

«აბანოს» პრემიერამდე ერთი კვირით ადრე, კრიტიკოსმა და РАПП-ის წევრმა, ვლადიმერ ერმოლოვმა, გამოაქვეყნა «პრავდაში» სტატია სათაურით: «წვრილბურჟუაზიულ მემარცხენე განწყობათა შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში», სადაც თავს ესხმოდა მაიაკოვსკის იმის გამო, რომ მის შემოქმედებაში ისმოდა ძალიან ყალბი მარცხენა ნოტა, რომელიც ჩვენთვის ნაცნობია არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურიდან. ამგვარად, ირიბად დააკავშირა ის ტროცკისტულ ოპოზიციასთან, ხოლო პიესის პრემიერის შემდეგ РАПП-ის გაფართოებულმა პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ პიესის ცალკეული ფრაგმენტების პუბლიკაცია ჟურნალ «ოქტომბერში» მიმართული იყო არა ბიუროკრატიის, არამედ პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში ერმოლოვის სტატია დაბეზღება იყო და მაიაკოვსკის ეს კარგად ესმოდა.

თუ აქამდე ბოლშევიკური მთავრობა ოპოზიციასთან ბრძოლაში შემოიფარგლებოდა ისეთი ზომებით, როგორიცაა ქვეყნიდან გაძევება, კადრების წმენდა, პუბლიკაციების აკრძალვა, 1929-30 წლიდან ბრძოლის ხასიათი შეიცვალა. 1929 წელს დააპატიმრეს და

დახვრიტეს ბლუმკინი. ის რევოლუციონერი იყო, ხშირად ჩანდა ლიტერატურულ კაფეებში, მეგობრობდა მწერლებთან და პოეტებთან, მათ შორის ესენინთან, მანდელშტამთან და მაიაკოვსკისთან. 1918 წელს გერმანიის ელჩის მკვლელობის შემდეგ გაიქცა მოსკოვიდან, მაგრამ ერთი წლის შემდეგ შეიწყალა დერჟინსკიმ. ოციან წლებში ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა უშიშროებაში. გარდა ივრითისა, ფლობდა ბევრ აღმოსავლურ ენას, ასრულებდა დავალებებს პალესტინაში, ავღანეთში, მონგოლეთში, ჩინეთსა და ინდოეთში, აჯანყებდა ხალხს ინგლისის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ.

მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში მუშაობის გარდა, დაინტერესებული იყო მასებზე ზემოქმედების სწავლებით. მას იყენებდნენ პეტროგრადის ოკულტურ წრეებში შესაღწევად. 1926 და 1928 წლებში მოაწყო ორი ექსპედიცია ტიბეტში, რომლებიც ორგანიზებული იყო მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მიერ, მითიური შამბალას აღმოჩენის მიზნით, რომლის მოსახლეობასაც ჰქონდა ტელეპათიის უნარი. ექსპედიციას ფორმალურად თეოსოფი ნიკოლაი რერიხი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მთავარი მოქმედი პირი აღმოსავლურ მისტიკაში კარგად გარკვეული ბლუმკინი იყო. ის ხელმძღვანელობდა საბჭოთა აგენტურას ახლო აღმოსავლეთში. აგენტურული ქსელის დაფინანსების მიზნით კონსტანტინეპოლში გახსნა ბუკინისტური მაღაზია, სადაც ყიდდა ძველ ებრაულ ხელნაწერებს, რომლებიც გატაცებული ან კონფისკაციის გზით ამოღებული იყო ებრაული სინაგოგებიდან. დადიოდა ევროპაში და წიგნებს რაც შეიძლებოდა ძვირად ყიდდა. როგორც ჩანს, ის დააპატიმრეს ლუნაჩარსკის ბინაში და 1929 წლის 3 ნოემბერს სტალინის ბრძანებით დახვრიტეს. ეს შოკისმომგვრელი იყო მისი კოლეგებისა და ნაცნობებისათვის. თუ ასეთი «საბჭოთა და ჩეკისტური» წარსულის კაცი დახვრიტეს, რა დღე ელოდა სხვას? დაიწყო მწერლების დაპატიმრებაც. მათ შორის იყო ვლადიმირ სილოვი, რომელიც წერდა სტატიებს მაიაკოვსკისა და ბურლიუკზე და ადგენდა ხლებნიკოვისა და მაიაკოვსკის

ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიას. 1930 წლის 8 იანვარს ის დაიჭირეს და «კონტრევოლუციური პროპაგანდისა და შპიონაჟისათვის» დახვრეტა მიუსაჯეს. სამი დღის შემდეგ განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. დაიწყო მასობრივი ტერორის ეპოქა და ხელშეუხებელი აღარავინ დარჩებოდა, მათ შორის არც მწერლები.

დაძაბული საზოგადოებრივი გარემო პირად ურთიერთობებზეც ახდენდა გავლენას. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვალოდიასა და ლილის შორის შეწყდა ფიზიკური ურთიერთობა. ვალოდია მზად იყო, უარი ეთქვა სასიყვარულო სამკუთხედზე იმისთვის, რომ შეექმნა საკუთარი ოჯახი, მაგრამ ლილი ბრიკი სხვადასხვა გზებით უშლიდა ხელს. ეს არც მაიაკოვსკისთვის იყო საიდუმლო. იგივე ხდებოდა ნატალია ბრუხანენკოსა და ტატიანა იაკოვლევას შემთხვევაშიც. 1930 წლის 18 თებერვალს ლილი და ოსიპი საზღვარგარეთ გაემგზავრენ და ვალოდიამ ვერონიკა პოლონსკაიას, უკანასკნელ საყვარელ ქალს ცოლობა შესთავაზა. უნდოდა ლილის ჩამოსვლამდე მოესწრო ოჯახის შექმნა, რათა ის ფაქტის წინაშე დაეყენებინა. ნორა ამ დროს მაიაკოვსკისგან ფეხმძიმედ იყო. მძიმე აბორტი გადაიტანა, ცდილობდა ვალოდიასთან სიახლოეზე უარის თქმას, რაც აღიზიანებდა ვალოდიას. მას არ ესმოდა ქალის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ვერონიკა ცდილობდა აეხსნა, რომ ასეთი გულგრილობა მისი მხრიდან დროებითი იყო და მალე ყველაფერი ძველებურად იქნებოდა, მაგრამ ეს კიდევ უფრო ართულებდა მათ ურთიერთობას.

მაიაკოვსკიმ დაიწყო ისეთი ბინის ძებნა, სადაც ვერონიკასთან ერთად ცხოვრებას შეძლებდა. საბჭოთა მწერლების ფედერაცია აშენებდა სახლს სამხატვრო თეატრის წინ. ვალოდია დაუკავშირდა ვლადიმირ სუტირინს, РАПП-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რომელიც ფედერაციაში სამეურნეო საკითხებს წყვეტდა. ის იგონებს, რომ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ვალოდია მივიდა მასთან დაჟინებული თხოვნით, მიეცა ბინა, რადგან აღარ

შეეძლო გენდრიკოვოზე დარჩენა. ისინი ერთად იყვნენ პრესტიჟულ კინოთეატრში, დიმიტროვკაზე. სუტირინი მეუღლესთან და ვალოდია პოლონსკაიასთან ერთად. მაიაკოვსკიმ მათ ვერონიკა წარუდგინა, როგორც მეუღლე. სუტირინი წერს: «მე მივუხვდი ნააზრევს. იმ დროს ბრიკები საზღვარგარეთ იყვნენ. მან მხოლოდ ერთი ფრაზა თქვა: «მინდოდა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, აქედან მათ დაბრუნებამდე გადავსულიყავი.»

– მე ვუთხარი, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ის შემოდგომამდე ბინას ვერ მიიღებდა.

– რას ვიზამთ, მაშინ მე სხვაგვარად მოვიქცევი, რაღაცას ვიქირავებ, ხოლო შემოდგომისათვის, შევთანხმდეთ, რომ მომცემ ბინას.

ეს თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე იყო. ადამიანს, რომელიც შემოდგომაზე ბინის მიღებას გეგმავდა, არ შეიძლებოდა თვითმკვლელობა ჰქონოდა განზრახული» (სუტირინი, «მოგონებები. ჩემ სიკვდილში გთხოვთ ნუ დაადანაშაულებთ» გვ. 614)

ლილის და ოსიპის გამგზავრების შემდეგ მათ ბინაში მაიაკოვსკისთან ერთად გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა ლევ ელბერტი. რატომ? მაიაკოვსკის რომ არ მოეწყინა? პოეტმა კარგად იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და საეჭვოა, მის სიახლოვეს ელბეტის ყოფნით კარგ ხასიათზე დამდგარიყო იმ მძიმე შემოტევების დროს. სპეცსამსახურებში ელბერტის საქმიანობა ტერორისტული აქტები, გატაცებები და მკვლელობები იყო.

დაიწყო თავდასხმები მაიაკოვსკის გამოსვლების დროს. ერთხელ მასთან მივიდა ახალგაზრდა კაცი და ჰკითხა: «ამხანაგო მაიაკოვსკი, ისტორიიდან ცნობილია, რომ ყველა კარგი პოეტი ცუდად ამთავრებს, მათ ან კლავენ, ან ისინი თვითონ... თქვენ როდის მოიკლავთ თავს?» მაიაკოვსკიმ დაუფიქრებლად უპასუხა «თუ სულელები ხშირად შემეკითხებიან ამის შესახებ, აჯობებს მალეო».

ბოლო დღეებში მის გამოსვლებზე გახშირდა ისეთი ადამიანების გამოჩენა, რომელთა მიზანი პოეტის წონასწორობიდან გამოყვანა იყო. მაგალითად 1930 წლის 8 აპრილს, პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში გამოსვლის დროს, უკვე გამოიკვეთა ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა ერთადერთი ამოცანა ღონისძიებაში არეულობის შეტანა იყო. ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ ჯგუფებს გარკვეული ძალები მართავდნენ. კერძოდ კი ისინი, ვინც მაიაკოვსკი მტრად მიიჩნია და რომელთა ხელშიც აღმოჩნდა უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსი მწერლთა მართვისა და მანიპულირების მიზნით.

ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე მაიაკოვსკიმ შეიტყო, რომ ჟურნალი «Печать и революция» აქვეყნებდა მისალმებას. ჟურნალის პირველ გვერდზე პოეტის სურათს ექნებოდა ასეთი მინაწერი; «ვ. ვ. მაიაკოვსკის – დიდ რევოლუციონერ პოეტს, პოეტური ხელოვნების შესანიშნავ რევოლუციონერს... «Печать и революция» მიესალმება მხურვალედ შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით.» იმდენად, რამდენადაც მთელმა საბჭოთა პრესამ ბოიკოტი გამოუცხადა ამ ღონისძიებას, აღნიშნული ინფორმაცია სასიამოვნო სიურპრიზი გახდა პოეტისათვის. მან გადაწყვიტა პირადად მისულიყო რედაქციაში მადლობის სათქმელად, მაგრამ როცა ჟურნალი გამოვიდა, მისალმება ამოჭრილი აღმოჩნდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს მოხდა არტემ ხალატოვის, სახელმწიფო გამომცემლობის ხელმძღვანელის პირდაპირი ბრძანებით, რომელმაც წერილობითი ფორმით ბრალი დასდო რედაქციას იმაში, რომ მათ გაბედეს და ე.წ «попутчик» მაიაკოვსკის უწოდეს რევოლუციური პოეტი. მან მოითხოვა ეცნობებინათ იმ ადამიანის ვინაობა, ვინც გაბედა და ასეთი აღმაშფოთებელი მისალმება მოამზადა.

თუ ეს ფაქტი, გამოფენის იგნორირება და «აბანოს» კრიტიკა საკმარისი არ აღმოჩნდა, დაერწმუნებინა მაიაკოვსკი, რომ პარტიული ფუნქციონერები და იდეოლოგები მას ეჭვის თვალით

უყურებდნენ, გაზეთ «იზვესტიას» რედაქტორის, ივან გრონსკის სიტყვებმა საბოლოოდ დაარწმუნა ამაში. ერთ-ერთი მეგობრული საუბრის დროს მან თქვა: «ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, საქმე იმაშია, რომ პარტიასთან თქვენი წინააღმდეგობები არა მხოლოდ მხატვრულ საკითხებში, არამედ ფილოსოფიურ-ეთიკურში უფრო ღრმაა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ.»

მაიაკოვსკის მტრებმა, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში ბევრი გავლენიანი პირი დაარწმუნეს, რომ უმჯობესი იქნებოდა მაიაკოვსკის მოშორება. ბევრი პარტიული ფუნქციონერი და მაღალჩინოსანი უკვე ღიად ლაპარაკობდა რომ, ის უკვე ყველას ყელში ამოუვიდა.

* * *

1930 წლის 14 აპრილს ლუბიანკაზე, პოეტის სამუშაო ოთახში გასროლა მოხდა. შემთხვევის ადგილას ძალიან მალე მივიდნენ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მაღალჩინოსნები, რომ იტყვიან, შესაშური ოპერატიულობით. იაკოვ აგრონოვის გარდა, რომელიც 1929 წლის ოქტომბრიდან მთავარი პოლიტიკური სამმართველოს საიდუმლო განყოფილების ხელმძღვანელის პოსტს იკავებდა, მივიდნენ კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი სემიონ გენდინი, ოპერატიული სამმართველოს ხელმძღვანელები: ალიევი და რობკინი. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილესთან, სტანისლავ მესინგთან ტელეფონით მოთათბირების შემდეგ, აგრონოვმა გასცა ბრძანება, გარდაცვლილი პოეტის ცხედარი გადაესვენებინათ გენდრიკოვოზე. ამ დროიდან მაიაკოვსკის ბიოგრაფია სახელმწიფოს, კერძოდ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ხელში აღმოჩნდა. იმავე დღეს ყველა გაზეთში გაიგზავნა შეტყობინება, რომ ინფორმაცია მხოლოდ ოფიციოზთან შეთანხმებით შეეძლოთ დაებეჭდათ.

მოსკოვის მილიციის თანამშრომლის, ვოლკოვის მიერ, 1930 წლის 14 აპრილს შედგენილ პატაკში ვკითხულობთ: «სასამართლო

სამედიცინო ექსპერტიზით დადგინდა, რომ მოქალაქე მაიაკოვსკიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა «მაუზერის» სისტემის რევოლვერიდან გულში ნასროლი ტყვიით».

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მაუზერის წარმომავლობა გაურკვეველია და ტყვია გულში მარცხენა მხრიდანაა მონახვედრი, ეს ერთ-ერთი საფუძველი იქნება მრავალთაგან, რომ სულაც მკვლელობასთან გვქონდეს საქმე.

საბედისწერო გასროლიდან რამდენიმე საათის შემდეგ მაიაკოვსკი იწვა თავის ბინაში, გენდრიკოვოზე. პატარა ოთახი სავსე იყო ახლობლებით, ტიროდნენ პასტერნაკი, შკლოვსკი, ასეევი, კირსანოვი. დედა ჩუმად გლოვობდა. ლუდა კოცნიდა ძმას და მისი ცრემლები სახეზე ეწვეთებოდა გარდაცვლილს, ოლია ფეხებთან ეჯდა ცხედარს და ხმამაღლა მოთქვამდა.

18 საათსა და 30 წუთზე სკულპტორმა კონსტანტინ ლუცკიმ პოეტის სახის ნიღაბი დაამზადა. ნახევარი საათის შემდეგ მივიდნენ ტვინის ინსტიტუტის დირექტორი და თანამშრომლები (ინტიტუტი 1928 წელს, გენიალური ადამიანების ტვინების შესწავლისა და გენიალობის მიზეზების საფუძვლების დადგენის მიზნით შეიქმნა. დაწესებულების სიამაყე იყო 6 წლის წინათ ამოღებული ლენინის ტვინი, რაც, ფაქტობრივად, ინსტიტუტის შექმნის მიზეზი გახდა). მოვიდა მაიაკოვსკის ჯერიც. ნიკოლაი დენისოვი, რომელიც ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა, იგონებს: «ამოიღეს ტვინი და თქვეს, რომ ის ძალიან დიდი იყო...»

ტვინი 1700 გრამს იწონიდა. ის ლენინისაზე 350 გრამით მეტი იყო, რამაც ინსტიტუტის იდეოლოგებს გარკვეული უხერხულობა შეუქმნა. ისინი ადრეც შეეჩეხნენ ანალოგიურ პრობლემას. კერძოდ მაშინ, როცა გაირკვა, რომ ბელადის ტვინი ნორმაზე პატარა იყო და იძულებული გახდნენ, ნორმა 1400 გრამიდან 1300 გრამამდე შეემცირებინათ.

იდეოლოგიური თვალსაზრისით, მაიაკოვსკის სიკვდილი ხელისუფლებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ისინი ღელავდნენ იმაზე, თუ როგორ აღიქვამდა საზოგადოება მაიაკოვსკის სიკვდილს, ან რას იტყოდნენ საზღვარგარეთ. აგენტების საშუალებით დაიწყეს ხმების გავრცელება, რომ პოეტმა უიღბლო სიყვარულის გამო თავი მოიკლა. ასეთი შინაარსის შემცველი ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ «პრავდაში» 15 აპრილს. პირად მოტივებს გაესვა ხაზი ნეკროლოგში «მეგობრის ხსოვნას», რომელიც დაიბეჭდა გაზეთის იმავე ნომერში. ხელის მომწერთა შორის იყვნენ მწერლები და სამი ჩეკისტი: აგრონოვი, გორბი და ელბერტი. თუმცა «მეგობრებმა» კარგად იცოდნენ, რას ფიქრობდნენ ლიტერატურულ წრეებში. უშიშროების, 1930 წლის 18 აპრილის №45 აგენტურულ კრებსში, რომელსაც ხელს აწერს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი პეტროვი, ვკითხულობთ:

«...საუბრები და ჭორები ხალხში გულუბრყვილო, ბილწი და უაზროა, ამიტომ მათზე შეჩერებას აზრი არა აქვს».

საუბრები ლიტერატურულ მხატვრულ წრეებში უფრო მნიშვნელოვანია.

აქ რომანტიკული სარჩული საერთოდ უარყოფილია და ამბობენ, რომ მიზეზი უფრო ღრმა და სერიოზულია. მაიაკოვსკიში დიდი ხნის წინ მოხდა გარდატეხა. მას თვითონ აღარ სჯეროდა იმის, რაც დაწერა და შესძულდა თავისი ნაწერები. განსაკუთრებით დამახასიათებლად მიიჩნევენ სტრიქონებს მისი ახლადგამოსული ლექსიდან «მთელი ხმით», რომელიც სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწერა.

1) Роясь в сегодняшнем окаменевшем говне
2) Наших дней изучал потемки
3) Мне агитпром в зубах навяз
4) Я себя смирял, становясь на горло, собственной песне და ა.შ.

თუ ლექსის ბოლოს ის კვლავ გადაიქცევა რევოლუციურ პოეტად, ეს აშკარად ყალბი სტრიქონები გამოწვეულია პანიკური შიშით, რომ საბჭოთა ხელისუფლება მის ხსოვნას თანამედროვეთა მეხსიერებიდან წაშლიდა.

საგაზეთო ხმაურს მაიაკოვსკის შესახებ სულელებისათვის მოხერხებულ კომედიას უწოდებენ. საჭირო იყო საზღვარგარეთის თვალში მაიაკოვსკის სიკვდილი ისე წარმოეჩინათ, თითქოს რევოლუციონერი პოეტი პირადი დრამის გამო დაიღუპა. სწორედ ამიტომ ატეხეს წარმოუდგენელი ხმაური, მასების დინამიური მზარდი დაინტერესებით სენსაციური თვითმკვლელობის გამო...

«...ლაპარაკობენ, რომ ახლა ბულგაკოვის თვითმკვლელობის ჯერი დგება, რომელიც ეს ბოლო დღეებია მოღუშული დაიარება პოვარსკაიაზე. მას არ უშვებენ საზღვარგარეთ, სულს ხდიან, მის ბოლო ნამუშევრებს არ აქვეყნებენ და მლიქვნელურად საუბრობენ, ბულგაკოვი ჩვენ გვჭირდება, ჩვენ დავდგამთ ბულგაკოვის ნაწარმოებებს სცენაზეო. ამ დროს თეატრებს ბულგაკოვის ჩრდილისაც კი ეშინიათ, გაურბიან მას, რომ ეჭვი არ გამოიწვიონ».

მთავარი პოლიტიკური სამმართველოს სხვა მასალებში ვკითხულობთ, რომ მწერალთა უმრავლესობა თვითმკვლელობას ისე აფასებს, როგორც პოლიტიკურ პროტესტს, გამოწვევასა და მთავრობის პოლიტიკის დაგმობას ლიტერატურის სფეროში. ამბობდნენ: «თუ მაიაკოვსკიმ ვერ გაუძლო, ესე იგი, ლიტერატურის მდგომარეობა, მართლაც საშინელია». ალექსეი ტოლსტოი, რომელიც ექვსი წლის წინ დაბრუნდა ბერლინიდან, ამბობს: «მას რცხვენია, რომ წერს» და ა.შ.

ისტორიას დიდი ადამიანების ბევრი საიდუმლოებით მოცული მკვლელობა და თვითმკვლელობა ახსოვს. დრომ ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა შემოინახა. ერთი რამ ცხადია: როგორც ეიზენშტეინმა თქვა: «ის უნდა მოეშორებინათ და მოიშორეს კიდეც».

# 5. ნოზელი – 2016

# ლელა კოდალაშვილი

# გამოთავისუფლებული ფიქრები ბობ დილანთან

გასული წლის ბოლოს კულტურის სფეროში სკანდალი იყო – როკ-მუსიკის საკულტო ფიგურას, ამერიკულ ლეგენდას – ბობ დილანს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მისცეს. «For having created new poetic expressions within the great American song tradition» – იმისათვის, რომ დიდ ამერიკულ სასიმღერო ტრადიციებს ახალი პოეტური ფორმები შესძინა.

ნობელის კომიტეტის წესდებაში აღნიშნულია, რომ ლიტერატურა ბელეტრისტიკის გარდა სხვა ნაწარმოებებითაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რომლებიც ფორმით ან სტილით ლიტერატურულ ღირებულებას წარმოადგენენ. მაგრამ ბევრს გაუჩნდა გაურკვევლობის განცდა, რადგან თავის დროზე ლიტერატურული ნობელი თვით ჯონ ლენონს ან ჯიმ მორისონსაც არ მიუღია და მაინც, ფაქტი, რომ როგორც იქნა, მუსიკაში «დამალული» ლიტერატურა დაფასდა, უდავოდ სასიხარულოა. ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ ლიტერატურულ ამ პრემიას იღებენ მწერლებად და პოეტებად აკადემიურ რანგში აღიარებული ავტორები. თუმცა, ხშირად ხდება, რომ ფართო საზოგადოება მხოლოდ ნობელის შემდეგ გაიცნობს ხოლმე მათ. ამ შემთხვევაში კი სხვაგვარად მოხდა.

ბობ დილანს ყველა იცნობს — ჩვენი მამების თაობიდან მოყოლებული, დღევანდელ თინეიჯერებამდე. მაგრამ არასოდეს გაკეთებულა აქცენტი მისი შემოქმედების პოეტურ მხარეზე. ეს იმიტომ, რომ საზოგადოებას ახსოვს მხოლოდ მუსიკა და ცალკეული ფრაზები მისი სიმღერებიდან. მაგრამ დამოუკიდებლად, როგორც პოეზიას, არ აღიქვამს. სწორედ ამიტომ მოხვდა ბევრს უხეშად მისი ლიტერატურული ნობელი. ამას წინათ ფრანგულ შანსონისტებზე და ბაჩანა ჩაბრაძის მიერ თარგმნილ მათ ლექსებზე მქონდა ლექცია, სადაც სწორედ იგივე სათქმელი გავაჟღერე — მუსიკა ყლაპავს ლექსს, არადა, ხშირად

ტექსტი გაცილებით უფრო საინტერესო კულტურული ნუგბარია, ვიდრე სიმღერა. იგივე ხდება როკისა და პოპის შემსრულებელთა შემთხვევაში. ამერიკას რომ თავი დავანებოთ, და ჩვენთვის, საბჭოთა მოქალაქეებისთვის მშობლიური ანდრეი მაკარევიჩი, იური შევჩუკი, ვიქტორ ცოი ან ბორის გრებეშჩიკოვი ავიღოთ, მაინც მოგვიწევს იმის აღიარება, რომ მუსიკა იპყრობს მსმენელს და მხოლოდ გამორჩეული მელომან-გურმანები ინტერესდებიან ტექსტით.

თუ ელვის პრესლიმ ადამიანები გაათავისუფლა შებოჭილობისგან და მოძრაობაში მოიყვანა სხეულები, ბობ დილანმა გამოათავისუფლა გონება, ხედვა და მოძრაობაში მოიყვანა ფიქრი, ასოციაცია, მიგნება.

მისი ტექსტები ცხოვრებისეულია და ერთი შეხედვით მარტივ ფილოსოფიურ სიბრძნეებზე მოგვითხრობს. გვხვდება ქრისტიანული ლექსებიც მას მერე, რაც დილანში ერთგვარი მეტამორფოზა მოხდა რწმენასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ აირია თემატიკა, მსოფლმხედველობა, განწყობილებები, პროტესტი. თუმცა კი უმთავრესი იმიჯი – მუსიკალურ-ლიტერატურული რევოლუციონერისა და როკ-პოეტის — უფრო და უფრო გამოიკვეთა მიუხედავად რამდენიმე დეპრესიული და შემოქმედებითად პასიური პერიოდისა. როცა მას უსმენთ, ხანდახან გრძნობთ, რომ მელოდია იმდენად მდიდარია ტექსტით, რომ მუსიკა უკანა პლანზე გადადის და მხოლოდ სიტყვებზეღა რჩებით მიყურადებული. თითქოს ავტორის ჯადოსნური ნება განაგებს ამ ურთიერთუკანდახევის მომენტს, როცა მელოდია საჭირო მომენტში იხევს უკან, რათა გამოათავისუფლოს ტექსტი სწორედ იმისთვის, რომ შემდეგი ტაქტიდან თავისი ძალა გვაგრძნობინოს და მეტად დაიპყროს მსმენელის ემოცია. მე ვფიქრობ, ბობ დილანის ზემოქმედების ერთ-ერთი მაგიური უნარი ესეც არის.

ალენ გინსბერგთან ერთად

2008 წელს დილანს პულიცერის პრემია მისცეს პოპ მუსიკაზე უდიდესი ზეგავლენის მოხდენისა და მაღალპოეტური ტექსტების გამო. ასე რომ, ამ კუთხით ის რამდენადმე მაინც იყო დაფასებული. თუმცა კი, მისი იმიჯი — ინტელექტუალი, პოეტი, როკერი, რევოლუციონერი, რომელსაც არ ეშინოდა ახლის, ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჩამოყალიბდა, როცა თავის საუკეთესო ლექსებს წერდა სიმღერებისთვის. სწორედ იმ პერიოდში, 1965 წელს გამოვიდა მისი წიგნი, «ტარანტული» — ესაა ექსპერიმენტული პროზა, სადაც ავტორი თავის ნებაზე უშვებს ცნობიერის ნაკადს კერუაკის, გინსბერგის, ბეროუზის სტილში. ხოლო პარალელურ რეჟიმში შექმნილი მისი ლექსები სავსეა რომანტიკით, მაგალითად, აი, ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული «Blowin’ in the Wind»-დან:

«...ასწლეულობით დგანან ეს მთები,
ძირს რომ ურეცხავენ ტალღები.
ასწლეულობით თავისუფლების
მოლოდინი არის მტანჯველი.
თვალს ვხრით, თითქოს ვერ ვამჩნევთ შეცდომებს,
თითქოს დანაშაულს არ ველით.
...
და ჩვენი პასუხები ქარს მიაქვს
დიახ, მეგობარო, ქარს მიაქვს...»

«Blowin’ in the Wind» მისი ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ნამუშევარია. პაციფისტები და სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლები მას მუდამ თავის ჰიმნად მიიჩნევდნენ. ამ სიმღერას იმდენი გადაკეთებული ვარიანტი აქვს, რომ ბევრმა არც კი იცის, ვინაა მისი პირველი ავტორი. არადა, თავად დილანმა თავის

დროზე აღიარა, რომ მელოდიას საფუძვლად კანადელი შავკანიანების მელოდია დაედო. თავად მან კი თავისი ვერსია სულ რაღაც ნახევარ საათში დაწერა. ხოლო თვითონ ლექსი არის ქარზე, რომელიც ქაღალდს დააფრიალებს, ოდესმე მიწაზე რომ დააგდებს და სწორედ ამ ფურცელზე წერია პასუხი შეკითხვებზე, რომელსაც ამ ლექსში სვამს. პრობლემა კი ისაა, რომ ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელიც ამ დაგდებულ ნაგლეჯს დაინახავს და მასზე პასუხებს ამოიკითხავს. ფურცელი კი მალე ისევ გაფრინდება და ქარი კიდევ დიდხანს, დიდხანს არ დაუშვებს მიწაზე. აი, ესაა ამ ტექსტის იდეა, რომელიც იმდენად პოპულარული იყო ყველა დროში, რომ თავის დროზე შეასრულეს ელვის პრესლიმ, დიუკ ელინგტონმა, მარლენ დიტრიხმა და ბევრმა სხვა ბრწყინვალე მუსიკოსმა... შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი ერთგვარად საეტაპო იყო მის შემოქმედებაში, რადგან სწორედ ამის მერე ჩათვალა, რომ ძალიან საინტერესო გამოდგა პირადული თემებიდან საზოგადოებრივზე გადასვლა.

კიდევ ერთი ლეგენდარული ჰიტი – «like a rolling stone», რომელიც ნამდვილი ბალადაა ქალზე, სიმდიდრიდან ნეხვში რომ აღმოჩნდა. თავად ამბობდა, რომ ესაა მისი საუკეთესო სიმღერა, რაც კი ოდესმე დაუწერია. ამ სიმღერის ტექსტი დაიწერა მაშინ, როცა დილანი დეპრესიაში იყო და აპირებდა, საერთოდ დაენებებინა თავი მუსიკისთვის. ამის შესახებ იგონებს: «ამ სიმღერასა და ტექსტში იყო რაღაც ისეთი, რასაც მე თვითონ მოვყავდი აღფრთოვანებაში. ძალიან მოსაწყენია, როდესაც ადამიანებს მუდმივად მოსწონხარ, შენ კი ვერაფრით ვერ ხვდები მათ ამ განცდას. და აი, როგორც იქნა, ეს ყველაფერი ამ სიმღერის შექმნის შემდეგ ვიგრძენი.» თავიდან ეს იყო უზარმაზარი ტექსტი, ასე, ათიოდე გვერდი, რომელიც, უბრალოდ, რიტმულად იკითხებოდა. აქ გადმოცემული იყო ბრაზი და ზიზღი, მერე კი დარჩა მონათხრობი გოგონას შესახებ, რომელიც გაიზარდა მაღალ და მდიდარ საზოგადოებაში, მაგრამ ნელ-ნელა მაწანწალად

გადაიქცა... ერთხელაც, როცა დილანი ვაშინგტონში, სასტუმროში, როიალთან იჯდა, წაიმღერა სტრიქონები ამ ტექსიდან...

*«როგორია,*
*როგორია –*
*ეგდო შენთვის,*
*არ გაგაჩნდეს მისამართი*
*როგორც ყველასათვის უცხო,*

*მარტოხელა მაწანწალას...»* და ამის შემდეგ დაიწნეხა და შემოკლდა ის უშველებელი ლექსი. გაჩნდა მეტი რიტმი. საბოლოოდ კი დარჩა ოთხი კუპლეტი და მისამღერი. თავიდან მოგეჩვენებათ, რომ ავტორი ირონიულია გოგონას მიმართ, მერე ებრალება. ბოლოს კი თითქოს შურს კიდეც მისი, რადგან გოგონა, როგორც იქნა, თავისუფალ ადამიანად გადაიქცა და შეუძლია, იაროს ამ ცხოვრების გზაზე როგორც მაწანწალამ და ყველა პრობლემა და ბარიერი გადალახოს. ერთ-ერთ შეხვედრაზე ბობ დილანს ჟურნალისტებმა უთხრეს კიდეც, რომ ის ძალიან მკაცრად განიხილავს გოგონას. ამაზე მან უპასუხა, რომ ეს ასე არაა. რომ მან უბრალოდ უბწკინა მას. ეს სიმღერა სხვადასხვა დროს დასახელებულ 500 საუკეთესო სიმღერათა შორის მუდამ პირველ ადგილზე იდგა და მას, გარდა ბობ დილანისა, ჯიმი ჰენდრიქსი, დევიდ ბოუი და სხვა შემსრულებლები ასრულებდნენ.

ბობ დილანმა დაამტკიცა, რომ როკ-პოეზია შესაძლებელია, იყოს მეტაფორული, ინტელექტუალური და რთული. მანამდე კი არსებობდა ე. წ. ამერიკული ბარდი, მასკულტურისთვის განკუთვნილი სიმღერები და მრავალი სხვა. ამ ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ დილანმა ინტელექტუალური პოეზიიდან როკ და პოპ მუსიკაში გააკეთა ნახტომი და ეგრეთ წოდებული რთული ტექსტები მუსიკად აქცია. და მაინც, ნობელის მესვეურების შარშანდელი არჩევანი საბოლოოდ მაინც ყველაზე ჰიპსტერული მოვლენა მგონია, რაც კი ბოლო წლებში ხელოვნების სფეროში

მომხდარა. ეს კი იმედს იძლევა, რომ სხვა თუ არაფერი, კულტურა მაინც აღმოჩნდეს კონიუნქტურასა და ჩარჩოებს გარეთ...

```
Blowin' In The Wind(ppm)

E         A             E         E      E         A           E   B7
How Many Roads Must A Man Walk Down Before You Call Him A Man?
E         A           E           E      E         A              B7 B7
How Many Seas Must A White Dove Sail Before She Sleeps In The Sand?
E         A               E             E     E            A       E   E
How Many Times Must The Cannon Balls Fly Before They're Forever Banned?
          A           B7          E              E
     The Answer, My Friend, Is Blowin' In The Wind,
          A          B7              E     E
     The Answer Is Blowin' In The Wind.
E         A             E         E    E            A        E    B7
How Many Times Must A Man Look Up Before He Can See The Sky?
E         A          E       E      E          A           B7   B7
How Many Ears Must One Man Have Before He Can Hear People Cry?
E         A               E             E
How Many Deaths Will It Take 'till He Knows That
E         A           E     E
Too Many Pe Ople Have Died?
          A           B7          E              E
     The Answer, My Friend, Is Blowin' In The Wind,
          A          B7              E     E
     The Answer Is Blowin' In The Wind.
E         A            E         E      E         A              E    B7
How Many Years Can A Mountain Exist Before It's Washed To The Sea?
E         A               E       E     E                A            B7 B7
How Many Years Can Some People Exist Before They're Allowed To Be Free?
E         A            E           E        E          A            E E
How Many Times Can A Man Turn His Head Pretending He Just Doesn't See?
          A           B7          E              E
     The Answer, My Friend, Is Blowin' In The Wind,
          A          B7              E     E
     The Answer Is Blowin' In The Wind.
          A          B7    B7          E     E
     The Answer Is Blowin' In The Wind.
```

# 6. ახალი თარგმანები

# ვერგილიუსი

# ენეიდა

**(ლათინურიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა)**



## მესამე სიმღერა

**1-18** ენეასი თრაკიაში ჩადის; **19-68** პოლიდოროსის საფლავი; **69-120** ტროელები მიაღწევენ დელოსს; **121-171** შავი ჭირი და ხილვა; **172-208** ტროელები ტოვებენ კრეტას და მიიწევენ იტალიისკენ; **209-277** ჰარპიები; **278-293** თამაშები აქტიუმზე; **294-355** ანდრომაქე ქაონიაში; **356-462** ჰელენოსის წინასწარმეტყველება; **463-505** წამოსვლა ქაონიიდან; **506-547** იტალიის გამოჩენა; **548-587** სიცილიასთან მიახლოება; **588-654** აქემენიდები; **655-691** პოლიფემუსი; **692-718** ანქისესის სიკვდილი

მას შემდეგ, რაც უზენაესმა ღმერთებმა აზიის დაქცევა, პრიამოსის უდანაშაულო ხალხის დაცემა და ამაყი ილიონის დამხობა იხილეს, როდესაც ნეპტუნუსის მთელი ტროა დაიწვა, როდესაც დევნილობისა და დაუსახლებელი მიწების ძებნისკენ რამდენჯერმე მოგვიხმო ღმერთების წინასწარმეტყველებამ, ფლოტის აგება დავიწყეთ ანტანდროსის[17] მახლობლად, ფრიგიული იდის მთის ძირას, თუმცა არ ვიცოდით, სად წაგვიყვანდა ბედი და სად მოგვეცემოდა დაბინავების უფლება. თავი მოვუყარეთ უკანასკნელ ძალებს. როგორც კი დადგა გაზაფხული, მამა ანქისესმა ბრძანა, ბედისთვის მიგვენდო იალქნები; [10] თვალცრემლიანმა დავტოვე მშობლიური ნაპირები,

ნავსაყუდელი და მინდვრები, სადაც ოდესღაც ტროა იყო. დევნილი გავხდი და ზღვას მივენდე თანამგზავრებთან, შვილთან, პენატებთან და დიდ ღმერთებთან ერთად.

შორს არის მარსისადმი მიძღვნილი, თრაკიელებით დასახლებული ვრცელი მხარე, რომელიც ოდესღაც დაუმორჩილებია სასტიკ ლიკურგოსს, ტროის ძველ მეგობარსა და, სანამ ბედი გვწყალობდა, პენატების თანამებრძოლს. იქ მივედი და რკალისებრ ნაპირზე, ბედის მუხთლობის მიუხედავად, ჩემი პირველი ქალაქი ავაგე და მას ჩემი სახელი, ენეადა, დავარქვი. დედაჩემს, წმინდა დიონეასა[18] და ღმერთებს [20] საქმის დასაწყებად მსხვერპლი გავუმზადე; ზეცის ბინადართა უზენაეს მეუფეს მსუქან ხარს ვწირავდი სანაპიროზე. შემთხვევით, ახლოს აღმოჩნდა ბორცვი, რომელიც დაფარული იყო შინდის ბუჩქებითა და ხშირბუსუსიანი მურტის ტოტებით. მივუახლოვდი და როდესაც ვცადე, მიწიდან ამომეთხარა ბუჩქი, რომ ფოთლოვანი ტოტებით მომერთო საკურთხეველი, საშინელი და სათქმელად საოცარი სასწაული ვიხილე: როგორც კი მიწიდან ძირფესვიანად ამოვთხარე პირველი ბუჩქი, მუქი სისხლის წვეთები დაიღვარა და მიწა მოითხვარა ირგვლივ. ცივი ძრწოლა დამეუფლა [30] მთელ სხეულში და შიშისგან სისხლი გამეყინა. ისევ ვცდილობ სხვა დრეკადი წკნელის ამოთხრას და ღრმად დაფარული საიდუმლოს ამოხსნას; ისევ და ისევ მოწვეთავს ტოტის კანიდან სისხლი. სრულად შეძრული სულით მივმართე ველურ ნიმფებსა და მამა გრადივუსს, რომელიც გეტების ყანებს[19] მფარველობს, რომ წესების დაცვით დაგვხმარებოდა და ამ ხილვის ნიშანი შეემსუბუქებინა; მაგრამ როდესაც მესამე რტოს დავეჭიდე მეტი ძალით, ქვიშას კი მუხლით დავეყრდენი — ვთქვა თუ დავდუმდე? — ბორცვის სიღრმიდან [40] საბრალო ოხვრა გაისმა და ეს ხმა მისწვდა ჩვენს სმენას:

«რატომ მაწამებ საბრალოს, ენეას? დამინდე დაკრძალული; არ წაიბილწო ღვთისნიერი ხელები; უცხო არ ვარ შენთვის: ტროამ მშვა მეც, ეს სისხლიც ღეროდან არ მოდის. ჰეი, გაიქეცი ამ სასტიკი მიწიდან, გაექეცი ამ ხარბ სანაპიროს, რადგან მე პოლიდოროსი

ვარ. აქ რკინის შუბების სიმრავლემ დაფარა ჩემი სხეული და ამოიზარდა ბასრი შუბები.»

მაშინ, მართლაც, ჩემს სულს ცივი შიში დაეუფლა და გავშეშდი, თმები ყალყზე დამიდგა და ხმა ჩამიწყდა. ეს პოლიდოროსი ოქროს უზარმაზარი მარაგით [50] უბედურმა პრიამოსმა მალულად გაგზავნა თრაკიის მეფესთან[20], როდესაც დარდანელების იარაღის იმედი დაკარგა და ალყაშემორტყმული ქალაქი დაინახა. მან კი, როდესაც ტევკრების ძალა დაეცა და ბედმა ზურგი შეგვაქცია, ღვთაებრივი კანონი დაარღვია, აგამემნონისა და გამარჯვებული ლაშქრის მხარე დაიჭირა; პოლიდოროსი აკუწა და მის ოქროს ძალით დაეუფლა. რას არ გააკეთებინებს მოკვდავის გულს ოქროს წყეული შიმშილი!

როდესაც შიშს თავი დავაღწიე, ამ ღვთაებრივი ხილვის ამბავი უპირველესად მამასა და ხალხის მეთაურებს ვამცნე და ვკითხე, რა აზრი ჰქონდათ ამაზე. [60] ყველა ერთსულოვანია, ეს წაბილწული მიწა, რომელმაც სტუმართმოყვარეობის წესი შებღალა, დავტოვოთ და ფლოტი სამხრეთის ქარებს მივანდოთ. ასე რომ, ხელახლა დავკრძალეთ პოლიდოროსი, ვეება ყორღანი აღვმართეთ, მანებს[21] აღვუმართეთ მუქი სახვევითა და შავი კვიპაროსით მორთული საკურთხევლები[22] და ირგვლივ დავუყენეთ ილიონელი ქალები, წესისამებრ გაშლილი თმებით; თასებით მოგვაქვს აქაფებული თბილი რძე და ჭურჭლით შესაწირავის სისხლი[23], სულს კი საფლავში ვმარხავთ და მაღალი ხმით ვაცილებთ უკანასკნელ გზაზე.

როგორც კი ისევ მივენდეთ ზღვას, ქარებმა [70] წყნარი ზღვა გვაჩუქეს და რბილი ავსტერი[24] მოიხმეს სიღრმიდან, წყალში ჩაუშვეს თანამგზავრებმა ხომალდები და ნაპირზე თავი მოიყარეს; მივატოვეთ ნავსაყუდელი, უკან გვრჩება მიწები და ქალაქები.

შუა ზღვაში წევს წმინდა კუნძული[25], რომელიც ძვირფასია ნერეისების დედისათვის და ეგევსის ნეპტუნუსისთვის, რომელიც ნაპირების გასწვრივ დიდხანს მოძრაობდა, სანამ ღვთისმოსავმა

მშვილდოსანმა არ დაუკავშირა მაღალ მიკონოსსა და გიაროსს[26] და უძრავი არ გახადა, დაასახლა და ქარები არად ჩააგდებინა. იქით გავეშურეთ; მან დაღლილები მიგვიღო მშვიდობიანად თავის წყნარ ნავსაყუდელში; ჩამოვედით, რომ პატივი მიგვეგო აპოლონის ქალაქისათვის. [80] ანიუსი, მათი მეფე, და სხივოსნის ქურუმი, სარქველითა და წმინდა დაფნის გვირგვინით შემკული, დაგვხვდა; თავისი მეგობარი, მოხუცი ანქისესი იცნო. მისასალმებლად ხელი ჩამოგვართვა და სასახლეში შეგვიძღვა. პატივი მივაგე ღვთის უძველესი ლოდებით ნაგებ ტაძარს.

«მოგვეცი საკუთარი სახლი, თიმბრელო[27], მოგვეცი გალავანი, დაქანცულ მოდგმას აგვაგებინე გამძლე ქალაქი, დაიცავი ტროის ახალი პერგამოსი, რაც გადაურჩა დანაელებსა და დაუნდობელ აქილევსს. ვის გავყვეთ? სად წასვლას გვიბრძანებ? სად დავმკვიდრდეთ? მოგვეცი, მამა, ნიშანი, ჩვენს სულებში შემოაღწიე.»

[90] ეს ვთქვი თუ არა, ყველაფერი თითქოს აცახცახდა უეცრად, შეიძრა ღვთის ზღურბლი და დაფნის გვირგვინი, შექანდა მთელი მთა ირგვლივ და აგუგუნდა წმინდა ადგილი და სამფეხა; მიწაზე დავემხეთ ყველა და ხმა მოსწვდა ჩვენს სმენას:

«მტკიცე დარდანელებო, რომელ მიწაზეც გაჩნდნენ თავიდან თქვენი წინაპრები, [95] ისევ იქ დაბრუნებულებს მიგიღებთ იგი. მოძებნეთ ძველი დედა[28]. ეს იქნება ყველა ნაპირის მბრძანებელი ენეასის, მისი შვილების, შვილთაშვილებისა და მათგან შობილების სახლი.»

ეს ბრძანა სხივოსანმა; აღიძრა სიხარულის ყიჟინა, შეზავებული გაუგებრობასთან; [100] მაინც სად არის ის ქალაქი, რომელსაც უნდა მივაშუროთ, საით მოგვიწოდებს სხივოსანი და სად დაბრუნებას გვიბრძანებს. მაშინ მამამ ძველი კაცების გადმოცემა გაიხსენა და თქვა:

«მისმინეთ, მეთაურებო, გაიგეთ, რისი იმედი შეიძლება გქონდეთ: ზღვის შუაგულში არის სახელოვანი კრეტა, დიდი იუპიტერის კუნძული[29], იქ არის იდის მთა[30], ჩვენი მოდგმის აკვანი. ასი დასახლებული ქალაქი და უმდიდრესი სამეფოებია იქ; ჩვენი უდიდესი წინაპარი იქიდანაა, თუ სწორად მახსოვს გადმოცემა — ტევკროსი რეტეუმის ნაპირებს[31] პირველად იქიდან მოადგა და იქ ისურვა სამეფოს დაარსება. ჯერ კიდევ არ არსებობდა ილიონი და [110] პერგამოსის ციხესიმაგრე, ხალხი ჯერაც ბარში ცხოვრობდა. იქიდანაა დედა კიბელეს კულტი და კორიბასების სპილენძი[32], იდის ჭალა; მისი რიტუალების წმინდა დუმილი[33] და დედოფლის ეტლში შებმული ლომები[34]. მაშ, წავედით, მივყვეთ ღმერთების ნებას; ქარების გული მოვიგოთ და გავეშუროთ კნოსოსის სამეფოში[35]. შორს არ არის ჩვენი გზიდან; თუკი იუპიტერის ნება იქნა, მესამე განთიადს კრეტის ნაპირთან შევხვდებით.»

ასე ბრძანა, ღირსეული პატივი მიაგო საკურთხევლებს: ნეპტუნუსს ხარი, შენც ხარი, მშვენიერო აპოლონ, [120] შავი ცხვარი ავდარს და თეთრი — ზურგქარის ძეფიროსს.

ხმა მოვიდა, რომ გააძევეს და მამისეული სამეფო დაატოვებინეს მეთაურ იდომენევსს[36] და ახლა უპატრონოა კრეტის სანაპირო, სახლები დაცარიელებულია და მიტოვებული სავანეები ახალ ბატონს ელოდება. ვტოვებთ ორტიგიის[37] ნავსაყუდელს, ზღვით მივისწრაფვით ბაკხი ქალების თაყვანსაცემი ნაქსოსის[38] ქედების, მწვანე დონისას[39], ოლეაროსის, თოვლივით თეთრი პაროსის[40], ზღვაში განთესილი კიკლადების ხშირი კუნძულების[41] გავლით. მეზღვაურების ყვირილის ხმა ერევა ნიჩბების მოსმის ხმას; თანამგზავრები გაიძახიან: «კრეტაში წინაპრებთან მივფრინავთ!» [130] ქარი აღიძრა, აფრებს დაეხმარა, და გზას დაგვაყენა. მალე მივადექით ძველი კურეტების[42] ნაპირებს. დაუყოვნებლივ ვიწყებ სასურველი ქალაქის გალავნის აგებას, პერგამონს ვარქმევ და ამ სახელით ბედნიერ ხალხს მოვუწოდებ, უყვარდეს კერა და ამაგრებდეს ციხესიმაგრეს.

ჩვენი ხომალდები უკვე ამოტანილი იყო მშრალ ნაპირზე; ახალგაზრდობა ქორწილებითა და ახალი ყანების დამუშავებით იყო გართული; სახლებს ვანაწილებდი და კანონებს ვადგენდი, მაგრამ მოულოდნელად ზეცის რომელიღაც სნეული მხრიდან მოვიდა აუტანელი ჭირი, რომელიც მოედო ხალხს, ხეებს, ნათესებს და სასიკვდილო ხანა მოგვიტანა. [140] ტკბილ სულს ეთხოვებოდნენ ან დაათრევდნენ სნეულ სხეულებს; სირიოსმა[43] გააჩანაგა ყანები; გამოშრა ბალახი, დაავადებული ნათესი ნაყოფს აღარ იძლეოდა. მამაჩემმა ზღვით ისევ ორტიგიაში დაბრუნება და სხივოსნისთვის წინასწარმეტყველების გამოკითხვა და შენდობის თხოვნა გვიბრძანა; უნდა გვეკითხა, სად დასრულდებოდა დაქანცულთა ხეტიალი, სად გვიბრძანებდა, ტანჯვა და დევნილობა დაგვესრულებინა, საით გაგვეგნო გზა.

ღამე იყო და მიწიერ არსებებს ძილი მოერია; ღმერთების წმინდა ქანდაკებები, ფრიგიული პენატები, რომლებიც ალმოდებული ქალაქიდან, ტროიდან, ჩემთან ერთად [150] გამოვიტანე, მეწვივნენ, თავთან დამიდგნენ ძილში, დიდი სინათლით გაბრწყინებულნი, სავსე მთვარის შუქი სარკმლიდან ეცემოდა მათ; მაშინ ეს ბრძანეს და თავიანთი სიტყვებით საზრუნავი გამიფანტეს:

«რასაც ორტიგიაში ჩასულს გეტყვის აპოლონი, აქ გიმღერის ახლა, მან გამოგვგზავნა შენს ზღრუბლთან. ჩვენ შენ და შენს იარაღს ცეცხლმოდებული დარდანიიდან მოვყვებით, ჩვენ შენთან ერთად გადმოვლახეთ გემებით ზღვის ტალღები, შენს შთამომავლებს ცამდე განვადიდებთ, იმპერიასა და ქალაქს მოგცემთ: შენ დიდი გალავნისა [160] და ხანგრძლივი დევნილობისთვის მოემზადე, არ მიატოვო გარჯა. საცხოვრისი უნდა გამოიცვალო: ეს ნაპირი არ ურჩევია შენთვის დელოსელს[44], კრეტაზე დასახლება არ უბრძანებია აპოლონს. არის ადგილი, რომელსაც ბერძნები ჰესპერიის სახელით მოიხმობენ, ძველი მიწა, იარაღით მძლავრი და ნაყოფიერი ნიადაგით; იქ სახლობდნენ ენოტრები, ახლა ახალი თაობა იტალიას უხმობს მოდგმის წინამძღოლის სახელის მიხედვით. ესაა თქვენი კუთვნილი სამკვიდრო, იქიდანაა

დარდანოსი წარმოშობით და მამა იასიოსი[45], ჩვენი მოდგმის მამამთავრები. ადექი და ეს სიმართლე მხიარულად უთხარი მხცოვან მამას, [170] ყოველგვარი ყოყმანის გარეშე: კორითუსი და ავსონია ეძებოს; დიქტეს ყანებს[46] კი არ გაძლევს იუპიტერი.»

გამაოგნა ამ სანახაობამ და ღმერთების ხმამ — ეს ზმანება არ იყო, პირისპირ ვხედავდი მათს გამომეტყველებას, დაწნულ თმებსა და ცოცხალ სახეებს; ყინულოვანი ოფლი მოედო მთელ სხეულს, ლოგინიდან წამოვდექი, ხელები გავიწოდე ცისკენ და საკურთხეველს წმინდა საჩუქრები აღვუთქვი[47]. როგორც კი წესი აღვასრულე, ყველაფერი ანქისესს დაწვრილებითა და მიყოლებით გადავეცი. [180] იგი ჩასწვდა ჩვენი წარმომავლობის ორმაგობასაც, ორ წინაპარსაცა და იმასაც, რომ ძველი ადგილის დასახელებისას მან შეცდომა დაუშვა. შემდეგ ბრძანა: «შვილო, ილიონის ბედით დევნილო, მხოლოდ კასანდრამ მიწინასწარმეტყველა ასეთი ხვედრი. ახლა ვიხსენებ, რომ იგი ამას წინასწარმეტყველებდა ჩვენს მოდგმაზე და ხშირად ახსენებდა ჰესპერიასა და იტალიის სამეფოს; მაგრამ რომელი ტევკრი წავიდოდა ჰესპერიის ნაპირებისკენ, ვინ დაუჯერებდა მისან კასანდრას? მივენდოთ სხივოსანს, მისი რჩევით საუკეთესო გზას დავადგებით.»

ეს თქვა და ყველანი ერთად დავეთანხმეთ ყიჟინით. [190] ასე დავტოვეთ სამკვიდრო, ცოტა ხალხი დავტოვეთ, იალქნები გავშალეთ და ვრცელ ზღვაში შევცურეთ ღრმამუცლიანი ხომალდებით.

როგორც კი შუაგულ ზღვაში შევედით და არსაიდან აღარ ჩანდა მიწა, იყო მხოლოდ ცა და მხოლოდ ზღვა; უეცრად შავი ღრუბელი დამადგა თავზე, რომელსაც მოჰქონდა ღამე და ავდარი. წყვდიადში წამოიმართა უზარმაზარი ტალღები. ქარმა დაჰბერა ზღვას და დიდად ააღელვა, დაგვიფანტა ხომალდები და ვეება მორევში ჩაგვითრია; ღრუბლებმა დაფარა დღე და სველი ღამე ჩამოწვა ცაზე; ჭექა-ქუხილისა და ელვის ცეცხლი თუ გაანათებდა ღრუბლებს. [200] გზას ავცდით და ბრმად ვიხეტიალეთ

ტალღებში. თვით პალინურუსიც ვერ არჩევდა, ცაზე დღე იყო თუ ღამე, ვერ იხსენებდა, სად იყო ამ ტალღებში გზა. სამი დღისა და სამი უვარსკვლავო ღამის განმავლობაში ბრმად ვიარეთ ზღვაში და მხოლოდ მეოთხე დღეს გამოჩნდა მიწა, შორს დაილანდა მთები და ცაში ასული კვამლი. აფრები დავუშვით, ნიჩბებს მოვუსვით; დაყოვნების გარეშე წყალს აქაფებენ მეზღვაურები და ცისფერ ზღვაში წინ მიიწევენ.

ტალღებისგან გადარჩენილი პირველმა სტროფადების ნაპირმა [210] მიმიღო; სტროფადები ამ კუნძულებს ბერძნებმა დაარქვეს, ესაა კუნძულები იონიის დიდ ზღვაში, სადაც საზარელი კელენო და სხვა ჰარპიები სახლობენ მას შემდეგ, რაც ფინევსის[48] სახლი დაიხურა მათთვის და მათ მიატოვეს შიშისგან ძველი მაგიდები. არ არსებობს მათზე შემზარავი ურჩხულები, სტიქსის წყლებიდან არ წარმოშობილა მათზე უფრო მძვინვარე ჭირი და ღმერთების რისხვა. ამ ფრინველებს ქალწულის სახეები და კაუჭისებრი ხელები აქვთ, სიბინძურით ბილწავენ არემარეს და შიმშილისაგან მუდამ დაკარგული აქვთ ფერი.

ამ ადგილს მივაღწიეთ და ნავსაყუდელში შევედით, [220] დავინახეთ, მსუქანი ძროხების ჯოგი თავისუფლად ძოვდა მინდორში, თხების ჯოგი მწყემსის გარეშე მიშვებული იყო ბალახზე. რკინით დავეცით თავს და თავად მოვუხმეთ ღმერთებს; ნაწილი შევწირეთ იუპიტერს; შემდეგ რკალისებრ ნაპირზე მოვეწყვეთ და ნადიმი გავმართეთ. უეცრად მთებიდან მოფრინდნენ საშინელი ჰარპიები, ფრთებს არხევდნენ დიდი წივილით, მოიტაცეს საჭმელი, საზიზღარი სიმყრალით დაწამლეს ყველაფერი; საზარელი ხმა ისმის და საშინელი სუნი დგას. ისევ უკან ვიხევთ კლდის დიდ ქვაბულში, [230] რომელიც ხეებითაა დაფარული და ჩრდილით გაგრილებული, აქ ვაწყობთ მაგიდებს და საკურთხეველზე ცეცხლს ვანთებთ. ისევ სხვა მხრიდან, ციდან, უხილავი სამალავიდან ხმაურიანი გუნდი მოფრინავს მოკაუჭებულ ფეხებით, პირით გვიწამლავენ სუფრას. მაშინ თანამებრძოლებს ვუბრძანე, იარაღი აესხათ და საზარელ

მოდგმასთან ომი გაგვემართა. სწორედ ამას აკეთებენ, საიდუმლოდ ბალახში მალავენ ხმლებს, აწყობენ შუბებს და ფარავენ ფარებს. ასე რომ, რომდესაც ხმაურით დაგვესხნენ თავს სანაპიროს რკალზე, მისენუსმა მაღალი საგუშაგოდან ნიშანი მოგვცა [240] ბრინჯაოს საყვირით. ბრძოლაში ჩაერთნენ თანამგზავრები და ახალი ომი გაიმართა. გვინდა, ხმლებით მივწვდეთ ფრინველებს, მაგრამ ძალას არ შეუძლია მათს ფრთებს რამე დაუშავოს, მათს ზურგს ჭრილობას ვერ მიაყენებ, სწრაფად აფრინდნენ ცაში და გაგვექცნენ, მიატოვეს ნახევრადშეჭმული საკვები და დატოვეს საზარელი კვალი. მხოლოდ კელენო დაჯდა მაღალ კლდეზე, უბედურებათა მისანი და ასეთი ხმა ამოიღო გულიდან: «მოკლული ძროხების გამო მზად ხართ, ომი გაგვიმართოთ, ლაომედონის შთამომავლებო[49], რომ უდანაშაულო ჰარპიები მამისეული ქვეყნიდან გააძევოთ? [250] გულში კარგად ჩაიბეჭდეთ, რასაც ახლა გეტყვით, რაც სხივოსანს ყოვლისშემძლე მამამ აუწყა და მე სხივოსანმა აპოლონმა მითხრა, მე კი, ფურიათაგან უდიდესი[50], თქვენ გიმჟღავნებთ. იტალიისკენ აიღეთ გეზი, მოუხმეთ ზურგქარს და ჩახვალთ იტალიაში, თავისუფლად შეხვალთ მის ნავსაყუდელში; მაგრამ მანამ ვერ შემოარტყამ გალავანს ქალაქს, სანამ სასტიკი შიმშილითა და ჩვენ მიმართ ჩადენილი უსამართლობით საკუთარ მაგიდებს არ დაღრღნით.»

ეს თქვა და ტყეში მიიმალა ფრთების ქნევით. ჩემს თანამგზავრებს შიშისგან სისხლი გაეყინათ, [260] სულით დაეცნენ, ბრძოლა აღარ სურთ, ხვეწნა-მუდარით ითხოვენ მშვიდობის დამყარებას, აღარ ადარდებთ, მტრები ქალღმერთები არიან თუ საძულველი ფრინველები. მამა ანქისესმა სანაპიროზე ხელები აღმართა და დიდ ღმერთებს მოუხმო, ღირსეული პატივი მიაგო: «ღმერთებო, აგვარიდეთ უბედურება, გვიხსენით საფრთხისგან და გადაგვარჩინეთ ღვთისმოსაობის სახელით!» შემდეგ ნაპირიდან გაჭიმული ბაგირების ახსნას ბრძანებს. სამხრეთის ძლიერმა ქარმა დაჭიმა იალქნები; გავრბივართ აქაფებულ ტალღებში, იმ გზით

მივდივართ, რომელსაც ქარი და მესაჭე გვკარნახობს. [270] უკვე ტალღებში გამოჩნდა ტყიანი ძაკინთოსი, დულიქიონი[51], სამე და ნერიტოსის[52] ციცაბო კლდეები. გავურბივართ კლდოვან ითაკას, ლაერტესის[53] სამეფოს და მიწას, რომელმაც სასტიკი ულიქსესი აღზარდა. მალე გამოჩნდა ლევკატის[54] ნისლიანი მთების მწვერვალები და მეზღვაურთათვის ძრწოლისმომგვრელი აპოლონის ტაძარი. დაღლილები იქით მივისწრაფვით და ვუახლოვდებით პატარა ქალაქს, ღუზა ჩამოეშვება გემის ჭვინტიდან და ნაპირთან დგება გემები. ამრიგად, როდესაც მოულოდნელ მიწას მივაღწიეთ, განვიწმინდეთ იუპიტერისთვის, სამსხვერპლოდ დავანთეთ საკურთხეველი [280] და აქტიუმის მიწაზე ილიონური თამაშები მოვაწყვეთ[55]. როგორც სამშობლოში, ისე შეეჯიბრნენ ერთმანეთს ზეთწასმული ჩემი შიშველი თანამგზავრები, ხარობდნენ, რომ ამდენ ბერძნულ ქალაქს დააღწიეს თავი და მტრის შუაგულში გამოიგნეს გზა. ამასობაში მზემ გრძელი წელიწადი შემოიარა და ყინულოვანმა ზამთარმა აკვილონით აღძრა ტალღები. ამოზნექილ სპილენძის ფარს, დიდი აბასის იარაღს კარის პირდაპირ ვკიდებ[56] და საქმეს სიმღერით აღვნიშნავ: ენეასი გწირავს დამპყრობელი დანაელების იარაღს. შემდეგ ნავსაყუდელის დატოვებასა და სანიჩბე მერხების დაკავებას ვბრძანებ, [290] მიყოლებით დასცხეს თანამგზავრებმა და გავიჭერით ზღვაში. მალე მოეფარა თვალს ფეაკების მაღალი სიმაგრეები[57], გავცდით ეპიროსის ნაპირებს, ქაონიის[58] ნავსაყუდელში შევედით და მივუახლოვდით ბუთროტოსის[59] მაღალ ქალაქს.

დაუჯერებელი ამბები მოაქვთ და გვატყობინებენ, პრიამოსის ძე ჰელენოსი[60] მართავს ბერძნულ ქალაქებს, ცოლი და კვერთხი წაართვაო აიაკოსის შთამომავალ პიროსს და ანდრომაქე ისევ ტროელ ქმარს გადაეცაო. გავოგნდი, გული სურვილის ცეცხლით ამენთო, რომ მენახა ეს კაცი და ეს ამბები გამომეკვლია. [300] გავედი ნავსადგურიდან, მივატოვე გემები და ნაპირი, შემთხვევით გადავაწყდი ანდრომაქეს, რომელიც ყოველწლიურ საკურთხსა და

სევდიან საჩუქრებს ქალაქის წინ, წმინდა ჭალაში, ყალბი სიმოისის ტალღებთან მსხვერპლად სწირავდა და მოუხმობდა ჰექტორის მანებს ცარიელ ყორღანთან, მწვანე კორდთან და ორმაგ საკურთხეველზე სწირავდა მსხვერპლს ცრემლების მფრქვეველი. როგორც კი შემამჩნია, რომ მივედი და ირგვლივ ტროული იარაღი დაინახა განცვიფრებულმა, ამ დიდი საოცრების ხილვით თავზარდაცემულს მზერა გაუხევდა და სითბომ დატოვა ძვლები; კინაღამ წაიქცა და დიდი ხნის შემდეგ ძლივს წარმოთქვა: [310] «ნამდვილად შენ გხედავ, მართლა მაცნედ მოდიხარ ჩემთან, ქალღმერთს ძეო? ცოცხალი ხარ? ხოლო თუ მკვებავი სინათლე ჩაგიქრა და აჩრდილი ხარ, ჰექტორი სადღა არის?» თქვა, ცრემლები დაღვარა და იქაურობა ქვითინის ხმით დაფარა. მას, გამწარებულს, ძლივს ვუპასუხე და აღელვებულმა ჩამწყდარი ხმით წარმოვთქვი:

«ნამდვილად ცოცხალი ვარ და მივათრევ უკიდურესობებით სავსე სიცოცხლეს; ეჭვი ნუ გაქვს, მართლა მხედავ. შენ თავად რა ბედი გერგო? ასეთი მეუღლე რომ დაკარგე, მოიხედა თუ არა ბედისწერამ ჰექტორის ანდრომაქესკენ? პიროსის მეუღლე ხარ ისევ?»

[320] თვალები დახარა და ხმადაბლა თქვა: «ყველაზე უფრო ბედნიერია პრიამოსის ქალწული[61], რომელსაც ებრძანა, მომკვდარიყო ტროის მაღალი გალავნის ქვეშ ყორღანთან, რომელიც წილისყრით არ ერგო ვინმეს და რომელმაც, დატყვევებულმა, არ გაიზიარა გამარჯვებულის სარეცელი! ჩვენ სამშობლო გადაგვიბუგეს და სხვადასხვა მხარეს წაგვიყვანეს ზღვით, აქილევსის ტოტის ქედმაღლობასა და ზვიად სიყმაწვილეს ვიტანდი მონობაში და შვილებს ვუჩენდი; შემდეგ ისურვა, ცოლად მოეყვანა ლედას შთამომავალი ჰერმიონე[62], მე კი, მონაქალი, ასევე მონას, ჰელენოსს, გადამცა მფლობელობაში; [330] შემდეგ იგი საცოლის მოტაცების გამო გულმოკლულმა და დანაშაულისთვის ფურიების მიერ დევნილმა ორესტესმა[63] შეიპყრო და მამისეულ საკურთხეველზე მოკლა. ნეოპტოლემოსის სიკვდილის შემდეგ

სამეფოს ნაწილი კანონით ერგო ჰელენოსს, რომელმაც ქაონიის სახელი მისცა მიწებს, ქვეყანას კი უწოდა ქაონია ტროელი ქაონის[64] მიხედვით, და მთაზე ააგო პერგამოსი, ილიონის ციხესიმაგრე. შენ კი რომელმა ქარმა, რომელმა ბედისწერამ გადმოგაგდო აქ? ჩვენი ამბების არმცოდნე რომელმა ღმერთმა მოგიყვანა ჩვენს ნაპირთან? რა მოუვიდა ბიჭს, ასკანიუსს? ცოცხალია და სუნთქავს [340] შვილი, რომელიც ტროაში გიშვა კრეუსამ? აქვს თუ არა ბავშვს შერჩენილი დაკარგული დედის სიყვარული? აღძრავენ თუ არა მის სულში სიმამაცესა და ვაჟკაცობას მამა ენეასი და ბიძა ჰექტორი?»

ამას ამბობდა და თან ცრემლად იღვრებოდა ხანგრძლივი გოდებით, როდესაც გალავნიდან გამოვიდა მრავალრიცხოვანი ამალით ჰელენოსი, პრიამოსის ძე; იცნო თავისიანები და გახარებულმა ზღურბლთან მიიყვანა, ცრემლი ღვარა, ძლივს უკავშირებდა სიტყვებს ერთმანეთს. მივყვები და ვხედავ დიდს მიმსგავსებულ მცირე ტროას, [350] პერგამოსს, პატარა ნაკადულს, რომელსაც ქსანთოსის სახელი აქვს, ვცნობ, სკაიის კარიბჭეს ვეხუტები. ჩემს თანამგზავრ ტევკრებსაც მოეწონათ მეგობრული ქალაქი: მეფემ ისინი ვრცელ კოლონადაში მიიღო; ეზოს შუაგულში შეავსეს თასები ღვინით, ოქროს ჭურჭლით მოგვართვეს საჭმელ-სასმელი.

დღე დღეს მიჰყვა, ჩაიარა დღეებმა და ქარებმა მოუხმეს იალქნებს და სამხრეთის ქარით გაივსო იალქნის ტილო. მაშინ მისანთან მივედი და ასეთი სიტყვებით ვკითხე:

«ტროაში შობილო, ღმერთების სიტყვათა ამხსნელო, რომელიც სხივოსნის ნებას, [360] სამფეხებს, კლაროსულ დაფნას[65], ვარსკვლავებს გრძნობ, იცი ჩიტების ენა და სწრაფ ფრთოსანთა ნიშნები[66], მოდი, მითხარი, რადგან ყველა წინასწარმეტყველება გზას მისახავს, ღმერთების ყველა ნება მარწმუნებს, იტალიას მივაშურო და შორეული მიწები მოვსინჯო. მხოლოდ ჰარპია კელენომ, თქმაც ბოროტებაა, მიწინასწარმეტყველა სასწაული და

სევდიანი სასჯელი — საძაგელი შიმშილი. რომელ განსაცდელს უნდა ავარიდო თავი? საით წავიდე, რომ დავძლიო ეს გართულებანი?»

მაშინ ჰელენოს, რომელმაც წესისამებრ შესწირა ხბორები, [370] წყალობას სთხოვს ღმერთებს, იხსნის სარქველს წმინდა თავიდან, მე კი, აღელვებული, შენს ზღურბლთან, სხივოსანო, საკუთარი ხელით, შენს ძალასთან მოვყავარ და ღვთაებრივი ბაგეებით ასე მეტყველებს ქურუმი:

«ქალღმერთის ძეო, უზენაესთა ნებით შენ გაივლი ზღვას, მისნობა ცხადად მიგვანიშნებს, ასეთი ბედი განგისაზღვრა ღმერთების მეუფემ, ასე მობრუნდა ბედი; ასე მოეწყო წესრიგი — ბევრიდან ცოტას აგიხსნი, რომ შეგეძლოს, უსაფრთხოდ გადალახო უცხო ზღვა და ავსონიის ნავსაყუდელს მიაღწიო; დანარჩენის ცოდნას უკრძალავენ პარკები [380] ჰელენოსს და თქმის ნებას არ რთავს სატურნია იუნო. უპირველეს ყოვლისა, იტალიასთან, რომელიც უკვე ახლომდებარე მეზობელი გგონია[67] და აპირებ მის ნავსაყუდელში შეხვიდე, გაშორებს დიდი გზა და სავალი მიწები. მანამდე მოგიწევს, შემოუარო ტრინაკრიის ტალღებს და ავსონიის გადაკვეთა მოგიხდება ხომალდებით, საიქიოს ტბების, კირკეს[68] კუნძულ აიაიას ნახვა, სანამ უსაფრთხო მიწაზე შეძლებ ქალაქის დაფუძნებას, მოგცემ ნიშანს და შენ იგი მეხსიერებაში შეინახე; როდესაც აღელვებულს იდუმალი მდინარის ტალღებთან [390] ნაპირზე უზარმაზარი ნეზვი შეგხვდება მუხნარის ქვეშ, რომელიც, დაწოლილი, ოცდაათ გოჭს აწოვებს ძუძუს, თეთრი, მარტო წევს ზურგზე, ირგვლივაც თეთრი ძუძუთა გოჭებითაა შემოხვეული, იმ ადგილას იქნება ქალაქი, იქ დაისვენებ აშკარად ტანჯვისგან. მაგიდის დაღრღნა და შიმშილი ნუ დაგაფიქრებს, ბედი გზას გამოძებნის, აპოლონი იქ იქნება შენს მოხმობაზე. იმ მიწას, იტალიის უახლოეს სანაპიროს, რომელსაც ეს ზღვა ესაზღვრება, მოერიდე; იქ ერთად სახლობენ ქალაქებში ბოროტი ბერძნები. იქ ნარიქსელმა ლოკრებმა[69] აღმართეს გალავანი [400] და სალენტინური მინდვრები[70] მეომრებით გაავსო ლიქტოსელმა[71]

იდომენევსმა; აქვე მელიბეელთა წინამძღოლმა ფილოქტეტესმა[72] მცირე ქალაქი პეტელია[73] გალავნით შემოსაზღვრა. შემდეგ, როდესაც შენი გემები გადაკვეთს ზღვას და ღუზას ჩაუშვებს, როდესაც საკურთხევლებს დადგამთ სანაპიროზე, თმა უნდა დაიფარო მეწამული თავსაბურით[74], რომ ღმერთების საპატივცემულო წმინდა ცეცხლში ვინმეს მტრული სახე არ წარმოდგეს და არ ჩაგიშალოს წეს-ჩვეულება. ეს წესი შეინარჩუნე შენც და შენმა თანამგზავრებმაც და ეს ჩვეულება შეინახონ რელიგიაში შენმა შთამომავლებმაც. [410] გამგზავრების შემდეგ ქარი მიგაყენებს სიცილიის ნაპირებს, სადაც ფართოვდება ვიწრო პელორუსი[75], მარცხნივ აიღე მიწისკენ და გრძლად იცურე მარცხნივ, შემოუარე ნაპირს, მოერიდე მარჯვენა ნაპირსა და ტალღებს. ამბობენ, რომ მიწა იქ ერთი იყო და ნაპრალი გაუჩნდა[76], ორად გაიყო, ეს ხდებოდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, გამოეყო ერთმანეთს, რაც ოდესღაც ერთი იყო; შუაში შემოიჭრა ზღვა და ტალღებმა ჰესპერია და სიცილია გაყო, ყანები და ქალაქები აქეთ-იქით ნაპირებზე დარჩა. [420] მარჯვენა მხარეს სკილა გელოდება და მარცხნივ დაუოკებელი ქარიბდისი სახლობს, რომელიც დღეში სამჯერ უფსკრულის მორევით შთანთქავს უძირო სტომაქით და სამგზის ამოანთხევს ჰაერში და ვარსკვლავებამდე ამაღლებს ტალღებს. სკილა კი იმალება გამოქვაბულის ბნელ სამალავში, თავს გამოყოფს და ხომალდებს კლდეებს ახეთქებს. ზემოთ მას ადამიანის სახე და და ქალწულის ლამაზი მკერდი აქვს, ქვემოთ კი უზარმაზარი ზღვის ურჩხულია, დელფინის კუდი აქვს და მგლებისგან შემდგარი მუცელი. უმჯობესია, ტრინაკრიას შემოუარო პაქინუსის[77] წერტილიდან, [430] მეტი იცურო ზღვით, გაიარო გრძელი და მრუდე გზა, ვიდრე თუნდაც ერთხელ იხილო უმსგავსი სკილა ვრცელ გამოქვაბულში და მისი ზღვისფერი ძაღლებისთვის ექოთი მოპასუხე კლდეები. გარდა ამისა, თუკი რამ სიბრძნე აქვს ჰელენოსს, თუკი მისანს შეგიძლია, დაუჯერო, თუ მის სულს ჭეშმარიტებით აღავსებს აპოლონი, მხოლოდ ამ ერთს, ქალღმერთის შვილო, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს, ამ ერთს გიწინასწარმეტყველებ და ამას

გაგიმეორებ ისევ და ისევ: უპირველეს ყოვლისა, დიდი იუნოს ღვთაებრივ ძალას შეევედრე, იუნოს უმღერე, მასზე ილოცე, მძლავრ დედოფალს მოუტანე საჩუქრები, დააცხრე მისი მრისხანება, ასეთ შემთხვევაში გამარჯვებული [440] დატოვებ ტრინაკრიას და მიაღწევ იტალიის სანაპიროს.

ამის შემდეგ მიადგები ქალაქ კუმას[78], იქ, ღვთაებრივ ტბებთან, ხმაურიანი ჭალების ავერნაში იპოვი გონებამიხდილ მისანს, რომელიც კლდის ქვეშ ამცნობს ბედისწერას, სახელებსა და ნიშნებს კი ფოთლებს მიანდობს. ფოთლებზე წერს ქალი თავის წინასწარმეტყველებას, დააწყობს სწორი რიგით და ტოვებს ღრმა გამოქვაბულში. ასე აწყვია უძრავად და მოწესიგებულად, სანამ კარი არ გაიღება, სიო არ შემოიჭრება და ფოთლებს აურ-დაურევს; არ ფიქრობს, რომ დაიჭიროს ფოთლები და ისევ იმ წესრიგით დააწყოს, [450] ასე რომ, კლდოვან გამოქვაბულში აღარ აღდგება ფოთლების რიგი და მთელი წინასწარმეტყველება. ხალხი მიდის, რჩევის გარეშე, და სიბილას სავანეს სიძულვილით მოიხსენიებს. იქ დაკარგულ დროს ნუ იდარდებ, თუნდაც გაგინაწყენდნენ თანამგზავრები და თუნდაც გზად დაუყოვნებლივ მოგიხმონ იალქნებმა და ზურგქარმა გაავსოს ისინი, შენ მაინც ეწვიე მისანს და ვედრებით გამოსთხოვე წინასწარმეტყველება, ოღონდ თავად გიმღეროს, პირი გააღოს და ხმა ამოიღოს. მოგითხროს იტალიის ხალხებსა და გადასატან ომებზე და როგორ უნდა შეძლო, თავი აარიდო ამა თუ იმ განსაცდელს, [460] რაც მოგელის, და დაგისახოს უსაფრთხო გზა. ესაა, რასაც ჩემი ხმით გიმხელს ღმერთი. ახლა კი წადი და საქმეებით ცამდე აზიდე ვეებერთელა ტროა.»

ეს თქვა მისანმა და ასე აუხსნა ბედი თავის მეგობარს. შემდეგ ბრძანა, ხომალდებზე აეტანათ ოქროსა და სპილოს ძვლის მძიმე საჩუქრები, გაევსოთ გემები აურაცხელი ვერცხლეულით, გვაჩუქა დოდონას თასები[79] და ნეოპტოლემოსის აღჭურვილობა — ოქროს სამმაგი მოხრილი ჯავშანი, კონუსისებრი ბრწყინვალე ჯიღიანი მუზარადი; ცალკე იყო მისი საჩუქრები მამაჩემისათვის. [470] ამას

დაუმატა ცხენები და მეეტლეები; მენიჩბეები შეგვივსო და იარაღით აღჭურვა ჩემი თანამგზავრებიც.

ამასობაში ანქისესმა ბრძანა, აღგვემართა აფრები ხომალდებზე, რომ არ დავყოვნებულიყავით, როგორც კი ზურგქარი ამოვარდებოდა. სხივოსნის განმმარტებელმა მას მიმართა დიდი მოწიწებით: «შენ პატივად გერგო ვენუსის ქმრობა, ანქისეს, ღმერთები ზრუნავდნენ შენზე და ორგზის გადარჩი პერგამოსის ნანგრევებში[80], აი, შენ წინაშეა ავსონიის მიწა; იქით მიმართე იალქნები და მაინც, კიდევ უნდა იხეტიალო ზღვაზე; შორსაა ავსონიის ის ნაწილი, რომელიც აპოლონმა დაასახელა. [480] წადი, შვილის ღვთისმოსაობით ბედნიერო! რა საჭიროა, გრძელი სიტყვით შევუშალო ხელი ამოვარდნილ ავსტერს?».

ამ საბოლოო განშორებით დამწუხრებული ანდრომაქეც არ ჩამორჩა მეუღლეს, ასკანიუსს მოართვა ოქროთი გაწყობილი სურათოვანი სამოსი — ფრიგიული მოსასხამი, სხვა ნაქსოვი საჩუქრები და ასე უთხრა: «მიიღე ეს, შვილო, ამას სახსოვრად გაძლევს და ხანგრძლივ სიყვარულს გიდასტურებს ანდრომაქე, ჰექტორის ყოფილი მეუღლე. მიიღე ჩემი საჩუქარი. შენში ვხედავ მე ასტიანაქსის სახეს, [490] იმავე თვალებს, იმავე ხელებს, იმავე სახეს! შენი ტოლი იქნებოდა, რომ გადარჩენილიყო.»

მას მივმართე თვალცრემლიანმა და ეს ვუთხარი: «ბედნიერად იცხოვრეთ, თქვენი ბედი უკვე გადაწყდა; ჩვენ კი უბედურებიდან უბედურებაში გვისვრის ბედისწერა. თქვენ უკვე მიაღწიეთ სიმშვიდეს; არც ზღვის გადაკვეთა გიწევთ, არც მუდამ მოუხელთებელი ავსონიის მინდვრების ძებნა. საკუთარი ხელით აგებული ქსანთოსისა და ტროის მსგავსებას უყურებთ, იმედი მაქვს, უკეთესი ხვედრი ექნება აქაურობას, რადგან ბერძნებთან შეხვედრა აღარ უწერია. [500] თუკი ოდესმე ტიბერსა და ტიბერის მეზობელ ყანებს მივაღწევ და ვიხილავ იმ ქალაქის გალავანს, რომელიც ჩემს ხალხს მიეცემა, ნათესავ ქალაქებს დაასახლებენ ეპიროსისა და ჰესპერიის ხალხები, რომელთაც საერთო

დარდანოსი ეყოლებათ წინაპრად და იგივე ისტორია ექნებათ, ისევ ერთ ტროას შევქმნით. დაე, ეს საზრუნავი არ დაივიწყოს შთამომავლობამ.»[81]

ისევ ზღვაში გავდივართ მეზობელი კერავნიის[82] ახლოს, საიდანაც ზღვით უმოკლესი გზაა იტალიისკენ. ამასობაში მზე ჩავიდა და ჩრდილოვანი მთები დააბნელა; წამოვწექით ტალღების მახლობლად სასურველ მიწაზე, [510] მენიჩბეები წილისყრით ავირჩიეთ და ყველამ მშრალ ნაპირზე მოასვენა სხეული; დაღლილ ასოებს ღრმა ძილმა სიცოცხლე დაუბრუნა.

ჰორების მართულ ღამეს ჯერ კიდევ ნახევარი ღამის გზა არ ჰქონდა გავლილი, როცა პალინურუსი წამოდგა ლოგინიდან, ყველა ქარი შეისწავლა და ჰაერის ყველა მოძრაობა დაიჭირა; აღნიშნა მდუმარე ცაზე მოსრიალე ყველა ვარსკვლავი, არქტურუსი, წვიმიანი ჰიადები, ორმაგი ტრიონები, ოქროთი შეიარაღებული ორიონი, რომელიც ყველას ზედამხედველობს. შემდეგ, როდესაც დაინახა, რომ ყველაფერი ადგილზეა უშფოთველ ცაზე, ცხადი ნიშანი მოგვცა ხომალდიდან. ჩვენ ავყარეთ ბანაკი, [520] გზას დავადექით და მოვხარეთ იალქნების ფრთები. უკვე გააქცია ვარსკვლავები და გაწითლდა ავრორა, როდესაც შორს გამოჩნდა ბნელი ბორცვები და იტალიის დაბლობი. «იტალია!» — აქატესმა შეჰყვირა პირველმა, «იტალია!» — მხიარული ყიჟინით მიესალმნენ თანამგზავრები. მაშინ მამა ანქისესმა გვირგვინი დაიხურა, დიდი კრატერი გაავსო სუფთა ღვინით, დადგა მაღალ კიჩოზე და ღმერთებს მოუხმო: «ზღვისა და მიწის ღმერთებო, ავდრის შემძლენო, გვაჩუქეთ იოლი გზა და მოგვეცით ზურგქარი!» [530] გახშირდა სასურველი ქარი, გაიხსნა უკვე ნავსაყუდელი და მინერვას ტაძარი[83] გამოჩნდა ბორცვზე. იალქნები ჩამოხსნეს თანამგზავრებმა და გემის ცხვირები ნაპირისკენ მიმართეს. ნავსადგური რკალად არის მოხრილი და აღმოსავლეთიდან სცემს ტალღები, მოპირისპირო კლდეები სველდება აქაფებული მლაშე წყლით, თავად კი დამალულია; ორმაგი კედლით გარს ერტყმის კოშკივით კლდეები.

თვალთახედვიდან გაგვექცა ტაძარი. იქ დავინახე პირველი ნიშანი — ოთხი თოვლივით თეთრი ცხენი მწვანე ბალახს ერთად ძოვდა ვრცელ მინდორში.

მაშინ მამა ანქისესმა თქვა: «მასპინძელო მიწავ, ომი მოგაქვს, [540] საომრადაა გამზადებული ცხენები, ეს რემა ომით იმუქრება. თუმცა, იგივე ოთხფეხები, ერთხელაც შეიძლება, ეტლში შეებან და უღელი აიტანონ, ესაა მშვიდობის იმედი.» მაშინ ჩვენ იარაღის მოჟღარუნე იმ პალასის წმინდა ძალას მივმართეთ ლოცვით, ვინც პირველმა მიიღო ჩვენი ვედრება და თავები საკურთხევლის წინაშე ფრიგიული საბურავით დავიფარეთ; როგორც გვიბრძანა ჰელენოსმა, უპირველესად, არგოსელ იუნოს მივაგეთ პატივი. დაყოვნების გარეშე, როგორც კი ჩვენს ლოცვა-მუდარას მოვრჩით, იალქნის კალთები შემოვაბრუნეთ [550] და ბერძნადშობილთა სახლები და საეჭვო ყანები დავტოვეთ. იქიდან დავინახეთ ტარენტუმი, ჰერკულესის ქალაქი, თუ მართალია გადმოცემა; მის საწინააღმდეგოდ აღიმართა ღვთაებრივი ლაკინია[84], კავლონის ციხესიმაგრე და ხომალდმლეწველი სკილაკეუმი[85]. შემდეგ შორს, ზღვიდან ამოიმართა ტრინაკრიული ეტნა, კლდეზე ზღვის მიხეთქებით გამოწვეული საზარელი ხმაური და ნაპირზე ტალღის მსხვრევის გუგუნი მოგვესმა, წყალი ბობოქრობს და მღელვარებას ურევს ქვიშას. მამა ანქისესი ამბობს: «ეჭვი არ არის, ეს არის ქარიბდისი: ეს კი ის კლდეები და ქარაფებია, რომლებიც ჰელენოსმა გვიწინასწარმეტყველა. [560] დაიძარით, მეგობრებო, თანაბრად ასწიეთ ნიჩბები!»

ყველა ასრულებს ბრძანებას. უპირველესად, ჭრიალით, მარცხნივ, ტალღებისკენ მოაბრუნა ხომალდი პალინუროსმა. გემების მთელმა წყებამ ნიჩბებითა და იალქნებით იგივე გაიმეორა. ზეცამდე აგვამაღლა მორევმა და ისევ საიქიოში დაგვნთქა უღრმესმა ტალღებმა. სამგზის გაისმა კლდეებსა და ქარაფებს შორის წყლის ბღავილის ხმა, სამგზის აქაფდა წყალი და დავინახეთ, ვარსკვლავებს როგორ მისწვდა. ამასობაში დაქანცულები

მიგვატოვა ქარმა და მზემ, აღარ ვიცოდით, სად მივცურავდით და კიკლოპების ნაპირთან აღმოვჩნდით.

[570] უზარმაზარი ნავსაყუდელია იქ, რომელსაც თავად არ ეხება ქარები და მშვიდია, მაგრამ იქვე შიშისმომგვრელი ხმით გრგვინავს ეტნა. ახლა იგი შავ ღრუბელს ისვრის ჰაერში, ბოლავს და მშფოთვარედ ისვრის გავარვარებულ ფერფლს, ცეცხლის ბურთებს ამოხეთქს და ვარსკვლავებს უწვდენს; ხან თავისი წიაღიდან ისვრის უზარმაზარ ლოდებს, ხან ზათქით ამოანთხევს თავისი სიღრმიდან გავარვარებულ ლავას. გადმოცემის მიხედვით, იქ წევს ენკელადოსის[86] ელვით დანაცრული სხეული, დამარხულია მთის მასით და გასრესილია ვეება ეტნის მიერ. [580] ზედ დადგმულია მთა და ნაპრალებიდან ღუმლებივით სუნთქავს გიგანტი. თუკი დაღლილი გვერდს შეინაცვლებს, მთელი კუნძული ტრინაკრია კვნესის და ცახცახებს და ზეცა ბოლით იფარება. მთელი ღამე ტყეებში დამალულებმა გავატარეთ, ვერ ვხედავდით ხმაურის მიზეზს, რადგან ცაზე არ იყო ვარსკვლავების ცეცხლი, არც ეთერში იყო დაღვრილი ნათელი ვარსკვლავებიანი ზეცისა, ბნელი ზეცა ფარავდა მთვარესაც მჭიდრო ღრუბლით.

შემდეგი დღის დადგომა გვაუწყა ცისკრის ვარსკვლავმა, ავრორამ გარეკა ნისლიანი ღრუბლები ციდან; [590] უეცრად ტყიდან, გაფითრებული და შიმშილისაგან უკიდურესად გამხდარი, საცოდავად ჩაცმული უცნობი კაცი გამოვიდა და ხელები გაიწვდინა ნაპირისაკენ. რას ვხედავთ? საძაგელ სიბინძურეს, მოშვებულ წვერს, კვრინჩხებით დაფარულ მოსასხამს; აშკარად ბერძენია, რომელიც ოდესღაც სამშობლომ შეიარაღებული გამოგვიგზავნა ტროაში. როდესაც შორიდან დარდანული ტანსაცმელი და ტროული იარაღი დაინახა, ოდნავ შეყოვნდა, ნანახმა შეაშინა, მაგრამ მაინც განაგრძო სვლა, შემდეგ გამოიქცა ნაპირისკენ ცრემლით და მუდარით: «ვარსკვლავებს გაფიცებთ, [600] უზენაესებსა და სინათლის მომცემ ამ ზეცას გაფიცებთ, ტევკრებო, წამიყვანეთ, საითაც უნდა მიდიოდეთ, ჩემთვის სულერთია. ვიცი, რომ დანაელთა ლაშქრიდან ვარ ერთ-ერთი,

ვაღიარებ, რომ ომით ვუტევდი ილიონის პენატებს; თუ ჩვენი დანაშაული ასე საზარელია, გადამაგდეთ ტალღებში და დამახრჩვეთ ზღვაში. თუ დავიღუპე, ბარემ ადამიანის ხელით დავიღუპო.»

თქვა და მუხლებზე დაეცა, ჩემს მუხლებს შემოეხვია და დიდხანს იყო ასე. ვთხოვთ, გვითხრას, ვინაა, რა სისხლისაა და გაგვიმჟღავნოს, რა ბედისწერა მოსდევს. [610] თავად მამა ანქისესმა გაუწოდა მარჯვენა დაყოვნების გარეშე, მეგობრობის საწინდრით გაუმაგრა გული; მანაც მოიშორა შიში და ეს გვითხრა:

«ჩემი სამშობლო ითაკაა, მე ვარ უბედური ულიქსესის თანამგზავრი, სახელად აქემენიდესი, [615] ღარიბმა მამაჩემმა, ადამასტოსმა (ნეტა მისი ბედი მქონოდა!) ტროაში გამგზავნა. აქ მე თანამგზავრებს[87], როდესაც სასტიკი ზღურბლი დატოვეს აკანკალებულებმა, ჩამოვრჩი, მიმატოვეს კიკლოპის ვრცელ გამოქვაბულში. ეს სახლი მიმხმარი სისხლითა და საზარელი ნადიმებით შიგნიდან უზარმაზარი და ბნელია; თვითონ კიკლოპი კი მაღალია, თავით [620] ვარსკვლავებს სწვდება — ღმერთებო, ეს ჭირი მოაცილეთ დედამიწას! — სანახავად იოლი არ არის და არავის მიმართ არ არის მოწყალე. საბრალო ხალხის შიგნეულითა და შავი სისხლით იკვებება. თვითონ დავინახე, ორი ჩვენგანი დიდი ხელით რომ აიყვანა გამოქვაბულის შუაგულში, კლდეს მიანარცხა, ზღურბლი სისხლით მოთხვარა და დასისხლიანებულები გადასანსლა; ვხედავდი, ადამიანის სხეულის ნაწილებს როგორ მუსრავდა და როგორ ცახცახებდა მის კბილებში მსხვერპლი; მაგრამ ის დაუსჯელი არ დარჩენილა; ასეთ ამბავი ვერ გადაიტანა ულიქსესმა, საკუთარი თავის ერთგული დარჩა ითაკელი ამოდენა განსაცდელში. [630] როგორც კი ნადიმით მუცელი ამოიყორა და სუფთა ღვინო დალია, თავი ჩამოუვარდა, წამოწვა უზარმაზარ გამოქვაბულში, ძილში სისხლსა და ღვინიან ხორცს არწყევდა, ჩვენ დიდი ღმერთების ძალაზე ვილოცეთ, წილისყრით დავადგინეთ, ვის რა უნდა გაგვეკეთებინა. ერთად შემოვერტყით და დავესხით თავს, ბასრი შუბით დავუვსეთ

სინათლე, უზარმაზარი და ულმობელი თვალი, რომელიც ერთი ჰქონდა წარბის ქვეშ, არგოსული ფარის ან სხივოსნის მზის დისკოს მსგავსი, — და ასე სიხარულით ვიძიეთ შური ჩვენი მეგობრების აჩრდილებისთვის. თქვენ კი გაიქეცით, საბრალონო, გაიქეცით და ნაპირთან ბაგირები [640] გადაჭერით! როგორც პოლიფემოსს ჰყავს კლდოვან გამოქვაბულში მატყლიანი ცხვრის ფარა, რომელსაც რძეს წველის, ენით უთქმელი საშინელების ასი სხვა კიკლოპიცაა მოხრილ ყურეში და სხვები მაღალ მთებში სახლობენ. უკვე სამჯერ გაივსო მთვარე სინათლით, რაც მე ტყეში ვცხოვრობ მხეცების მიტოვებულ ბუნაგებში, უზარმაზარ კიკლოპებს ვაკვირდები და მათს ხმაურსა და ფეხის ხმაზე ვცახცახებ. საცოდავი საკვები მაქვს — კენკრა და ქვასავით მაგარი შინდი, [650] რასაც ტოტი იძლევა და ფესვიანად ამოთხრილი ბალახი. ყველაფერს ვათვალიერებ და პირველად დავინახე, ნაპირს გემები რომ მოადგა. ახლა რაც უნდა მომივიდეს, სულერთია, რაკი გავექეცი საზარელ ურჩხულებს. უმჯობესია, თქვენ ამომხადოთ სული, როგორც გაგიხარდებათ.»

ეს თქვა თუ არა, მთის მწვერვალზე დავინახეთ თავად ისიც, ცხვრის ფარასთან ერთად მოდიოდა ვეებერთელა მწყემსი პოლიფემოსი, საზარელი ურჩხული, უფორმო, უზარმაზარი, სინათლედავსებული. ფიჭვის ხის ტანი ეჭირა ხელში ჯოხად და იმით გზას სინჯავდა; [660] მატყლიანი ფარა მოჰყვებოდა — მისი ერთადერთი სიხარული და უბედურების ნუგეში. როგორც კი მიაღწია მაღალ წყალს და ზღვაში შევიდა, სისხლი ჩამოიბანა თავისი მოთხვრილი თვალის ბუდიდან; კვნესოდა და კბილებს აკრაჭუნებდა, შუა ზღვაში შევიდა, თუმცა წყალი მუხლებამდე სწვდებოდა. ჩვენ იქიდან შეშინებულნი გამოვიქეცით, გამოვიყოლეთ მავედრებელი, რომელმაც ეს დაიმსახურა, ჩუმად გადავჭერით ბაგირები, მოვბრუნდით და გემების ცხვირი ზღვაში შევაცურეთ, ნიჩბებს მიმსხდრებმა. იგრძნო და ხმაურისკენ დაიძრა, [670] მაგრამ როცა მიხვდა, რომ მარჯვენათი ვეღარ მოგვწვდებოდა და იონიის ზღვაში შეჭრილ გემებს ვეღარ დაეწეოდა, უზარმაზარი ხმა გამოსცა, რომლისგანაც ზღვა და

ტალღები აღიძრა, იტალიის მიწა შეირყა და საპასუხოდ ეტნამაც დაიღრიალა. ტყეებიდან გამოცვივდნენ სხვა კიკლოპები, გაავსეს მთელი ნავსადგური და სანაპირო. დავინახეთ, რომ იქ იდგნენ, უძლურნი, მძვინვარე თვალებით გვიმზერს ეტნას საძმო, თავებით ზეცას ებჯინებიან. ასე მაღალი კენწეროებით [680] დგას მუხები ან გირჩიანი კვიპაროსები იუპიტერის მაღალ ტყესა და დიანას წმინდა ჭალაში.

თავქუდმოგლეჯით გავრბივართ, მძაფრი შიშით ატანილნი ბაგირებს ვჭრით, იალქნებს ვშლით, რომ ზურგქარმა წაგვიღოს. გვახსოვდა, რომ ჰელენოსმა გვიბრძანა, სკილასა და ქარიბდისს მოვრიდებოდით, რადგან როგორც ერთ, ისე მეორე გზას სიკვდილისკენ მივყავდით, გადავწყვიტეთ, იალქნები უკან მოგვებრუნებინა. აქ ჩრდილოეთის ქარმა დაუბერა პელორუსის ვიწრო სამყოფლიდან, სწრაფად გამოვიარეთ პანტაგიის[88] კლდოვანი პირი, მეგარის უბე და მწოლიარე თაფსუსი. [690] გზას გვაჩვენებდა აქემენიდესი, ულიქსესის უბედური თანამგზავრი. სიკანიურ კონცხთან, მღელვარე პლემირიუმის[89] პირდაპირ არის კუნძული, სახელად ძველებმა მას მისცეს ორტიგია[90]. ამბობენ, რომ ალფევსის, ელისის მდინარის, ნაკადი ზღვის ქვემოდან აქ მოედინება საიდუმლო გზით, რომელიც ახლა შენს სიცილიურ ნაკადს შეერთვის, არეთუსა[91].

როგორც ნაბრძანები იყო, ვილოცეთ ამ მიწის უდიდეს ღმერთებზე და აქედან წავედით ჭაობიანი ჰელორუსის[92] სასწაულებრივად ნაყოფიერ ნიადაგზე. შემდეგ ჩვენ გავიარეთ მაღალი რიფები და პაქინუსის წინწამოწეული კლდეები. [700] შორს გამოჩნდა უძრავი კამერინა, გელას მინდვრები[93], და ვეებერთელა გელა, რომელსაც სახელი მდინარისგან დაერქვა. იქიდან მოჩანს ციცაბო აკრაგასი[94], რომელიც გარშემორტყმულია მაღალი გალავნით, ოდესღაც დიდგულოვანი ცხენების მშობელი მხარე; შენ დაგტოვე და ქარებით გაძლიერებულმა, პალმიანი სელინუსისა[95] და ლილიბეიის[96] მეჩეჩებს შორის გავცურე. აქ მივაღწიე დრეპანუმის[97] ნავსადგურსა და მის უსიხარულო ნაპირს. აქ,

ამდენი ზღვაზე ხეტიალისა და გრიგალის შემდეგ, მშობელი, ყველა უბედურებისა და განსაცდლის ნუგეში, [710] ანქისესი დავკარგე. აქ მიატოვე დაქანცული შვილი, საუკეთესო მამა, ამდენ განსაცდელს ამაოდ გადარჩენილმა. არც მისანმა ჰელენოსმა, რომელმაც ბევრი საშინელება მიწინასწარმეტყველა, არ მითხრა ეს უბედურება, არც სასტიკმა კელენომ. ეს იყო ბოლო განსაცდელი, გრძელი გზის მიχნა. იქიდან რომ გამოვცურე, ღმერთმა თქვენს ნაპირებს მომაყენა.

ასე ჰყვებოდა მამა ენეასი, რომელსაც ამდენი ხალხი უსმენდა, ღმერთების მიერ მოვლენილ ბედისწერას და აღწერდა თავის მოგზაურობას. ბოლოს სათქმელი დაასრულა და დადუმდა.

# ნიკოლაუს ლენაუ

## ლექსები

**(გერმანულიდან თარგმნა დათო ბარბაქაძემ)**

**ნიკოლაუს ლენაუ** (1802-1850) გერმანულენოვანი რომანტიზმის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. ბიდემაიერის ეპოქის გერმანულენოვან ლირიკაში მისი ლექსების იშვიათი კეთილხმოვანება, მდიდარი პოეტიკა და ყველა სხვა პოეტისგან განსხვავებული მელანქოლიური ტონალობა ის მახასიათებლებია, რომლებმაც პოეტის არაერთი შედევრი აქცია სასიმღერო ტექსტად და ინსპირაციის წყაროდ ისეთი დიდი კომპოზიტორებისთვის, როგორებიც რობერტ შუმანი, ფელიქს მენდელსონი, ფრანც ლისტი თუ რიხარდ შტრაუსი იყვნენ. წინაპრებისგან ნამემკვიდრევმა სიმდიდრემ ლენაუს კარგი განათლების მიღების შესაძლებლობაც მისცა (ის ვენისა და პრესბურგის უნივერსიტეტებში სწავლობდა ფილოსოფიას, სოფლის მეურნეობას და მედიცინას) და მისი პოეტური თავისუფლებაც უზრუნველყო, მაგრამ ვერ დაიცვა იგი მძიმე ფსიქიკური პრობლემებისგან. მელანქოლიის უმწვავესმა შეტევებმა ერთი მხრივ თუ მისი საუკეთესო ლექსების შექმნას შეუწყო ხელი, მეორე მხრივ პოეტს პირადი ცხოვრება მძიმე სატანჯველად გადაუქცია, 1844 წელს კი საბოლოოდ დაუბინდა გონება. ლენაუ ბუნების ლირიკის დიდოსტატია, ოღონდ მისი ყველაზე «უწყინარი», ერთი

შეხედვით განყენებული ლექსებიც კი ღრმა სოციალური სიმბოლიკით არის დატვირთული. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ეპიკური პოეზია. 1836 წელს გამოიცა მისი დრამატული პოემა «ფაუსტი», 1837 წელს კი «სავონაროლა». ლენაუმ დონ ჟუანის საკუთარი ვერსიის შექმნაც სცადა, მაგრამ პოემა დაუსრულებელი დარჩა. «მსოფლიო სევდის» ტიპური რომანტიკული განწყობილების გამომხატველმა მისმა პოეზიამ ავტორის სიცოცხლეშივე ჰპოვა აღიარება და დაფასება.

*მთარგმნელი*

## მგლოვიარე ცა

ცის პირისახეს აღუბეჭდავს ფიქრი ეული,
შემოჯარვია ქუფრ ღრუბელთა ტვირთმძიმე წყება,
და როგორც საწოლს მისაბლული სულით სნეული,
ქარს შერჩენილი ბუჩქი ალაგს მიმოაწყდება.

ისმის მწუხარედ მოგუდული ქუხილის ხმები,
ბნელი ნათება იელვებს და ცას მსჭვალავს ამ წამს, –
ასე ხამხამებს თვალი, როცა ცრემლით ივსება, –
და მცხრალი სხივის ნაპერწკალი მოსწყდება წამწამს.

მოიპარება ჭაობიდან საავდრო სუსხი,
ნისლი ტრამალის არნასურვებ სუდარად იქცა;
და ცისვე ნებით, მწუხარებით გულდანასუსხის,
მისი ხელიდან ნება-ნება მზე გადმოიქცა.

## გაზაფხული

აი, მოვიდა გაზაფხული, პირმშვენიერი
ჭაბუკი, ყველას მეტრფე ქებული,
ღიმილიანი სალამი აქვს და – ნებიერი
ნაბიჯი, ლაღად აცეკვებული.

ყველა გულს მკვირცხლად დაურბინა, არ უმკითხავა,
დიდიც და მცირეც აიყოლია,
როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაუკითხავად
დააცხრა ზამთარს, ბებერ გოლიათს.

ჩამოუქროლა ნაკადულებს, ყურად არ იღო
ბებრის ბებრული წყევლა და კრულვა;
ყინულის მკაცრი საპყრობილეც უმალ გაიღო,
რაკი ჭაბუკმა ასე ისურვა.

და არაკრაკდნენ წყლის ჩქერები და აჩქარებით
მიმოიფანტნენ, ცელქობენ, ხლტიან,
გალეულ ტირანს ამწარებენ მალი თვალებით,
მის გამდნარ კანონს გამოსცინიან.

ხარობს ყმაწვილი, ონავარი ნაკადულებით
მოჩუქურთმებულ ველად ხალისობს:
ემალებიან ერთმანეთში დაკარგულები,
კვლავ უჩნდებიან მერე ძამიკოს.

წარსულს ჩაბარდა დედამიწის დარდი და ურვა,
ტკბილად იღიმის ახლა მშობელი;
უძვირფასესი ვაჟიშვილი გულში ჩაუკრავს
და ისმის მისი საგალობელი.

მერე ყრმა დედის მკლავებიდან თავისუფლდება,
რათა შემართოს კოხტა თავი და

უფაქიზესი იების და ვარდების წყება
ამოარიდოს სამალავიდან.

მთებს და ხეობებს მწუხარების გასაქარვებლად
უგზავნის თავის ერთგულ მსახურებს:
«დაე, იცოდნენ მეგობრებმა, ჩემო ქარებო,
რომ ჩემი ტრფობა დაიმსახურეს».

სიყვარულისთვის ხსნის ჩარაზულ გულთა საკეტებს,
ყველას მოელის ოცნების რაში;
მერე კი თავის სასიმღეროდ რჩეულ რაკეტებს,
ტოროლების გუნდს, ტყორცნის ზეცაში.

## საშემოდგომო გადაწყვეტილება

შემოდგომის დღე, ცა – შავოსანი,
დავალ ქუჩებში კვლავ მარტოსული,
გახმა ფოთოლი, არ ხმობს ფრთოსანი,
რა სიჩუმეა! ობლობა სრული!

ახლოა ზამთრის სიცივე მკვდრული;
ტყეო, სად გაქრა შენი სიამე?
მძიმე თავთავთა აწ გარდასული
ოქროს ტალღების ვარ მოზიარე.

უკვე აცივდა და ჩამობნელდა,
ლაღობს ბურუსი ველად, და მწირი
კორომი მიხმობს და სამშობლოდან
შორს ყოფნის დარდით ვარ განაწირი.

კლდიდან გადმომსკდარ ნაკადულების
გესმის თუ არა, გულო, რაკრაკი?
ყოველთვის მწადდა, საგულდაგულოდ
ჩვენ ერთმანეთთან გველაპარაკა.

ხშირად ვნებულხარ, გულო, შენგანვე,
და ტანჯვა სხვებსაც ვერ აარიდე,
რადგან ტრფობით და იმედით განვლე
ცხოვრება; მორჩა, უნდა წავიდეთ!

და მსურს, რომ მცველად გადაგეფარო,
გამოგკეტო და არვის გაგანდო,
ყველგან მიმოქრის ნაზი ზეფირი
და ქარიშხალიც არ არის სანდო;

რომ ყარიბობის ბოლო აღმართი
ავლიოთ უტყვად და მარტოდმარტო,

რომ მხოლოდ წვიმამ და სხვამ არავინ
ჩვენი სამარე ცრემლით დაალტოს.

## ნისლი

თალხო ნისლო, ხეობასაც,
მდინარესაც ექეც რიდედ,
მზის სხივებსაც, ტყესაც, მთასაც
ჩემი მზერა გაარიდე.

გადახვეწე ჩემგან მიწა,
რძისფერ ღამეს შეურიე!
გადაკარგე, დაამიწე
წარსული და დარდი მღვრიე.

## გაზაფხულის მზერა

როს გაზაფხულის გალეულ ბნელში
რიჟრაჟს ცისკარი შემოუძღვება,
ჩამოიქროლებს ზეციდან ტყეში
მოკრძალებული ტრფობის უწყება.

ხე მიმორხევით უსმენს და ტკბება
და მინებდება, ტოტებგაწვდილი,
სიცოცხლის ფერხულს, ლამაზ ოცნებას,
ლაღად რომ სტუმრობს მასაც ამ დილით.

ჰყვავის თავისთვის ციცქნა ყვავილი,
დარწყულებულა კამკამა ნამით,
თრთის მარტოსული და ღეროჩვილი,
ცას შესციცინებს დღისით თუ ღამით.

ჩიტსაც, განაბულს ბნელ ფოთლეულში,
ტრფობის მხურვალე ამბორმა სძლია;
წკრიალა ჰანგი აენთო გულში,
უგალობს იმედს, ტკბილსა და ძლიერს.

მაგრამ სინათლედ რაც გადაიქცა,
არ იყო სიტყვა ზეცისმიერი;
ბედნიერების უწყებად იქცა
მისი მდუმარე, თბილი იერი;

მეც ასე ვიყავ სულდანასერი,
როცა ეკვეთა ზამთარს და სძლია
წყნარი და თბილი ისეთი მზერით,
მხოლოდ გაზაფხულს რომ შეუძლია.

## წარსული

დარდით დაგვნათის იალკიალში
მწუხრის ვარსკვლავის მკრთალი ჩვენება.
ეს დღეც, ჩამდგარი სხვა დღეთა კვალში,
ჩუმ სამარეში ჩაესვენება;

დაისის მლივი ღრუბლის ფთილები
მთვარის ნაზ ნათელს ლივლივით რთავენ,
და ფერმიხდილი ვარდ-ყვავილებით
განსვენებულ დღეს გვირგვინს უწნავენ.

ო, სასაფლაოვ დაკრძალულ დღეთა,
შენ წარსული ხარ დადუმებული!
ჩივილს იმარხავ მოვაგლახეთა
და – ნეტარებას ვნებული გულის!

## ხისადმი

ხეო, ხმელო და ძალამიხდილო,
თუნდაც ფუტურომ, გულგასახარი
მითხარ სალამი, როს სასიკვდილო
ჭრილობებს გიმკობს ფუტკრის ნაყარი!

ქრიან მუშაკნი მთათა და ველთა,
რომ დაგიბრუნდნენ ყოველდღიური
ლაღი ზუზუნით და შორ ყვავილთა
გიბოძონ განძი – თაფლი მზიური.

ო, გიმზერ, ხეო, და სერავს ჩემს გულს
ერთი კეთილი მოხუცის ხსოვნა;
ცოცხალი დამხვდეს ზღვით უკუქცეულს,
ღმერთმა ისმინოს ეს წრფელი თხოვნა.

კარგი ხარ, ხეო, დროით ვნებულიც,
გამომხმარ ტოტებს თაფლი გიფარავს,
თავის ძველ მკერდში მოხუცებულიც
ასე ინახავს სიბრძნის ძვირფას ქვას.

მისი ფიქრები – ბალღამს ნარიდი
ფუტკრების გუნდი – კვლავ დაფარფატებს
და ტყე-ველს უხვად ამონარიდი
თაფლი მწიფეა და ნათელს ბადებს;

იმ შორ ყვავილებს ესწრაფის გული,
შემოდგომა რომ ვერასდროს გვტაცებს;
მარადისობის ქრის გაზაფხული;
მოხუცი თავს ხრის, დროისგან ნაცემს.

## თხოვნა

ჩემთან დაყოვნდი, ცდა არ დააკლო
შენს ძლიერებას, შავბნელო თვალო,
მკაცრო, სათუთო და მეოცნებე
ღამევ, ტკბილო და ვერგანათვალო!

ჯადომისნურმა შენმა სიბნელემ
სრულად წარხოცოს საწუთრო ჩემგან,
რომ ჩემს სიცოცხლეს თავს ევლებოდე
შენ, ერთადერთი, მარად და ყველგან.

## ავდარი

ქუფრი ფიქრებით დამძიმებულა
კრიალა ზეცის სული,
რამდენ სნეულ მკერდს აჩნია წყლულად
გოდება განწირული!

ელვა ბობოქრობს თვალის გუგაში,
მიზანს ამაოდ ეძებს.
კმარა! მე ვიცი, თავს სანუგეშოდ
მიანებებდი ცრემლებს.

აღარ ბრწყინავენ თუმც ის ცრემლები
და გულიც აღარ ჩივის,
თუ ლაღობს მკერდი გაუნელები
ნებით – გაექცეს ტკივილს?

თვალი, ზიარი დაისის ცეცხლის,
უმზერს დაძენძილ ღრუბლებს.
რას მოასწავებს: სიკვდილს? სიცოცხლეს? –
მკერდს შიში დაიუფლებს.

იქნებ, ღრუბელთა ცვლილი იერი
სიკვდილს ქსოვს თვალთა ჩემთა?
იქნებ, მაცნეა არაცბიერი
ქვეყნად მშვენიერ დღეთა?

ტკბილი სიცოცხლის! ქრება ღადარი,
არც რა უვნია ჩვენთვის;
რაკიღა ცრემლთა მსუბუქი ცვარი
ახალ სიხარულს ერთვის.

## მუხნარი

მე შევაბიჯე წმინდა ბინდით მოცულ მუხნარში,
ყვავილებს შორის იქ კამკამა და გულთმისანი
მოჩურჩულებდა ნაკადული, და მის ყუჩ ხმაში
ღვთის მოიმედე ბავშვის ლოცვა ამოვიცანი;

და თავს დამატყდა ტკბილი შიში, არა მცირედი,
როს ირგვლივ ქარი იდუმალი შრიალით ქროდა,
თითქოს ცდილობდა, გაემხილა რაღაც ისეთი,
ჩემს გულს რომ უნდა შეეგრძნო და ჯერ არ სცოდნოდა.

მას თითქოს სურდა, დაფარული ექცია ჩემად, –
ღვთის სიყვარულმა თუ რა განბჭო, თუ რა ინება:
მაგრამ ჩანდა, რომ შეაშფოთა მოულოდნელად
ღვთის სიახლოვემ – და უმალვე დუმილს მინებდა.

## სიჭაბუკის მეგობარს

გარდასულია გულმოწყალე ხიბლი სიცოცხლის.
რარიგ განქარდა სიჭაბუკე, მიკვდება გული;
მაგრამ მიზეზი სხვაა ჩემი მტანჯველი ცეცხლის:
ფიცი გატეხე ერთგულების, ოდესღაც თქმული.
რას ვიფიქრებდი, გაზაფხულს თუ სამარის ლოდად
ჩვენი ურღვევი მეგობრობა დაედებოდა.

შენ დავიწყებას ესწრაფოდი! ცხელი მკერდიდან
მოიგლიჯე და სიკვდილს სტყორცნე, მისმა მნახველმა,
ის გულისფეთქვა, სიცოცხლეს რომ გამოერიდა
და სამუდამოდ მიითვისა ბნელმა ნაღველმა.
შენ არ ინებე, უბატონო შენს ერთგულებას
დაუფლებოდა მბრძანებელი ყინულის ნება.

ახლა მიწაში მშვიდად გძინავს, არასდროს კრთები,
აღარ გრძნობ, როცა გაზაფხული თვალს სათნოდ ახელს,
თბილი ქარები ვარდის ალმურს მსუბუქი ფრთებით
ბუჩქებში როცა ანთებენ და უცვლიან სახეს;
მწვანე თაღებქვეშ სურნელებით გაბრუებული,
რარიგ საამოდ გალობს მაშინ ყველა ბულბული:

ვის იდეალსაც არ ეწერა თურმე ზეობა
და ვინც დადუმდა და შეწყვიტა ჟღერა ბუკისა,
რომ არა ასე, მას დიახაც დაერქმეოდა
დავიწყებული მეგობარი სიჭაბუკისა.
არ დაუთმია არც ოცნება, არც – სიყვარული,
ორივ განებნა, ვით ზღაპრული ხილვა ფარული.

ყვავილნარებს რომ ესტუმრება ღამით ნიავი,
ააცახცახებს, მაგრამ ყვავილს როდი იტაცებს;
სულაც არ არის ვარდებისთვის გულგამგმირავი,
ბულბულის სტვენა მათ ფიქრებს რომ ცად აიტაცებს:

ასე უსმენდე, როცა მოთქვამს ეს ჰანგი შორი,
შენი მდიდარი სიხარულის ყვავილთა შორის.

მაგრამ სიმღერას ვერ უბრძანებს ნება უხეში,
თუ თავად არ სურს, სივრცე მორთოს ნაზი ბგერებით
ან სალამურის რაკრაკს ჰგავდეს ტყეთა უბეში;
მის მკაცრ ჰანგს ეს სურს: წარგიხოცოს ლაღი ფერები.
მრავლად წამართვა სხივი შენგან მოსულმა სუსხმა
და მრავალ ყვავილს ნაადრევად ფესვიც გაუხმა.

როცა კვლავ მიხმობს მეგობარი უძვირფასესი,
ნატიფი ბგერა მძაფრდება და გახანგრძლივდება,
და როცა ელტვის ჩემი გული მზით განაწესი
წარსულის დღეებს, სიამაყის ცეცხლი ღვივდება.
ეს გული ხშირად ანთებულა ღვთიური ალით
და ფერფლში დაფლულს ვერასოდეს იხილავს თვალი.

ვერ ავუკრძალავ ჩემს გოდებას, უკვე გადაშლილ,
ძეძვით დაფარულ ბილიკს შენთან ერთად ეწიოს,
და, იქნებ, ჩემებრ მოტირალი, მიმწუხრზე გაშლილ,
გამოსათხოვარ თალხ ზეიმზე შენც დამეწვიო;
რათა სუფევდეს მეგობრობა ჩვენივ ნებისად
სანდო ჩეროში სამუდამო მწუხარებისა.

[1] ამერიკული სლენგი ფენილციკლიდინის, ძლიერი ჰალუცინოგენის აღსანიშნავად.

[2] დარწმუნებული ხარ, რომ მალიარი ხარ? (ინგლ.)

[3] კი, კი, მმმალიარი ვარ. (ინგლ.)

[4] ძა... ძალიან კარგი, მა... მალიარი ვარ, მართლა ძალიან კარგი მა... მალიარი. (ინგლ.)

[5] ებრაელი ხარ? (ინგლ.)

[6] «თოთენჰემ ჰოთსფურის» ფანი ხარ? (ინგლ.)

[7] რაა? რა გინდა? რას ამბობ? ვერ გავიგე. (ინგლ.)

[8] თქვენ თვითონ ხომ არ ხართ «თოთენჰემ ჰოთსფურის» ფ... ფ... ფანი? (ინგლ.)

[9] არა, რა თქმა უნდა, არა. ჩემი კლუბი «ვესტ ჰემია». მხოლოდ «ვესტ ჰემი» და მუდამ «ვესტ ჰემი»! და შენი კლუბი რომელია?

[10] რა? «დინამო თბილისი»? ეგ ხომ რუსული კლუბია? შენ რუსი ხარ?

[11] «დინამო თბილისი» ქართული კლუბია და ერთხელ 1981 წელს ჩემმა «თბილისის დინამომ» შენს «ვესტ ჰემ იუნაითედ»-ს დედა...

[12] არა, არა, შენმა «ვესტ ჰემ იუნაითედ»-მა ჩემს «თბილისის დინამოს»...

[13] არ მცალია, ა... არ მცალია გამანებე რა თ... თავი კაცო. (ინგლ.)

[14] მიდი, მიდი, დროზე მოიტანე რომ გეუბნებიან! (ინგლ.)

[15] კი, მართლა მღებავი ვარ, მართლა კარგი მღებავი ვარ. (ინგლ.)

[16] რა გინდა, კაცო? ვერ გავიგე...

[17] სტრ. 6. ანტანდროსი — ქალაქი ილიონის მახლობლად.

[18] სტრ. 19. დიონეა — დიონესა და ზევსის ასული, ვენუსი (ბერძნული მითოლოგიის აფროდიტე).

[19] სტრ. 35. გეტების ყანები — გეტები და თრაკიელები ცხოვრობდნენ მდინარე დანუბიუსის (დუნაის) ნაპირებზე და თაყვანს სცემდნენ მარს-გრადივუსს.

[20] სტრ. 50. თრაკიის მეფე — პოლიმესტორი, პრიამოსის სიძე, ილიონეას მეუღლე.

[21] სტრ. 63. მანები — გარდაცვლილ წინაპართა ნეტარი სულები, რომლებსაც ეტრუსკები და ძველი რომაელები თაყვანს სცემდნენ, როგორც საკუთარი მოდგმის მფარველ ღვთაებებს. მათი კულტი ნახსენებია უკვე თორმეტი დაფის კანონებში.

[22] სტრ. 64. მუქი სახვევითა და შავი კვიპაროსით მორთული საკურთხევლები — კვიპაროსი და მუქი სახვევები გლოვის სიმბოლოები იყო.

[23] სტრ. 66-67. აქაფებული თბილი რძე და ჭურჭლით შესაწირავის სისხლი — დაკრძალვის რიტუალის მიხედვით საფლავზე ღვრიდნენ რძეს, თაფლს, სამსხვერპლო ცხოველის სისხლსა და ღვინოს, რომ მანების გული მოეგოთ.

[24] სტრ. 70. ავსტერი (Auster) — სამხრეთის ქარი.

[25] სტრ. 73. წმინდა კუნძული — იგულისხმება კუნძული დელოსი, რომელზეც დაიბადნენ სხივოსანი აპოლონი და დიანა.

[26] სტრ. 76. მიკონოსი და გიაროსი — დელოსის მეზობელი კუნძულები.

[27] სტრ. 85. თიმბრელი — აპოლონის ერთ-ერთი მეტსახელი, ტროადის ერთ-ერთი დაბლობის სახელის მიხედვით; ამ დაბლობზე აგებული იყო აპოლონის სახელგანთქმული ტაძარი.

[28] სტრ. 86. მოძებნეთ ძველი დედა — იგულისხმება იტალია, საიდანაც მცირე აზიაში გადასახლდა ტროელთა წინაპარი

დარდანოსი, ზევსისა და ელექტრას, ატლასის ასულის, ძე; ზოგიერთი ვერსიით, ეტრუსკი კორითუსისა და ელექტრას ძე.

[29] სტრ. 104. კრეტა, დიდი იუპიტერის კუნძული — კრეტა, რომელიც იუპიტერის სამშობლოდ ითვლებოდა, ანქისესმა თავისი მოდგმის აკვნად მიიჩნია, რადგან პირველი ტროელი მეფე, ტევკროსი, კრეტელი იყო.

[30] სტრ. 105. იდის მთა — ფრიგიული იდის მთის გარდა არსებობს იდის მთა კრეტაზე.

[31] სტრ. 108. რეტეუმის ნაპირები — იგულისხმება ტროის სანაპირო. რეტეუმი კონცხი იყო ტროადაში.

[32] სტრ. 111. კორიბასების სპილენძი — იგულისხმება სპილენძის წინწილები, ანუ დასარტყამი თეფშები, რომლის თანხლებითაც კორიბასები კიბელეს ექსტატიკურ კულტს ემსახურებოდნენ.

[33] სტრ. 112. რიტუალების წმინდა დუმილი — კიბელეს კულტის მონაწილენი მის რიტუალებს არაზიარებულთაგან საიდუმლოდ ინახავდნენ.

[34] სტრ. 113. დედოფლის ეტლში შებმული ლომები — კიბელეს გამოსახავდნენ ლომებშებმული ეტლით.

[35] სტრ. 115. კნოსოსის სამეფო — კრეტა. კნოსოსი კრეტის მთავარი ქალაქი იყო.

[36] სტრ. 122. მეთაური იდომენევსი — კრეტის მეფე იდომენევსი, დევკალიონისა და კლეოპატრას ძე, მითის მიხედვით, ტროის ომიდან დაბრუნების შემდეგ კრეტელებმა კუნძულიდან გააძევეს. დაბრუნებამდე იდომენევსი საშინელ ქარიშხალში მოჰყვა და პოსეიდონს დაჰპირდა, თუ გადავრჩი, პირველსავე შემხვედრ ცოცხალ არსებას შემოგწირავო. პირველი ცოცხალი არსება, რომელიც შეხვდა, მისი ძე აღმოჩნდა. იდომენევსმა აღთქმა აღასრულა და შვილი პოსეიდონს შესწირა. განრისხებულმა ღმერთებმა კრეტას შავი ჭირი მოუვლინეს. საპასუხოდ

კრეტელებმა იდომენევსი კუნძულიდან გააძევეს. გაქცეულმა იდომენევსმა ჯერ იტალიაში კალაბრიას შეაფარა თავი, შემდეგ კი მცირე აზიის კოლოფონში აღმოჩნდა, სადაც გარდაიცვალა.

[37] სტრ. 124. ოტრიგია — დელოსის ძველი სახელი.

[38] სტრ. 125. ბაკხი ქალების თაყვანსაცემი ნაქსოსი — კუნძულ ნაქსოსის მთები სახელგანთქმული იყო ბაკხოსის თაყვანისცემით.

[39] სტრ. 125. დონისა — კუნძული ნაქსოსის აღმოსავლეთით.

[40] სტრ. 126. თოვლივით თეთრი პაროსი — პაროსი თოვლივით თეთრადაა მოხსენიებული, რადგან მარმარილოთი იყო სახელგანთქმული.

[41] სტრ. 128. კიკლადების კუნძულები — კუნძულების არქიპელაგი ეგეევსის ზღვაში; არქიპელაგის შუაგულში მდებარეობს კუნძული დელოსი.

[42] სტრ. 131. კურეტები — რეა-კიბელესა და ზევსის თანამგზავრები. როდესაც რეამ კუნძულ კრეტაზე გადამალა ახალშობილი ზევსი, კურეტები ხმამაღლა მღეროდნენ და ცეკვავდნენ, რათა კრონოსს არ გაეგო მისი ტირილი.

[43] სტრ. 141. სირიოსი — ქოფაკის თანავარსკლავედის ვარსკვლავი, ივლისში მის გამოჩენას გვალვასა და უჩვეულო სიცხეს უკავშირებდნენ.

[44] სტრ. 162. დელოსელი, დელიოსი — აპოლონი.

[45] სტრ. 168. იასიოსი — დარდანოსის ძმა.

[46] სტრ. 171. დიქტეს ყანები — იგულისხმება კუნძული კრეტა; დიქტე — ქედი კუნძულ კრეტის აღმოსავლეთ ნაწილში.

[47] სტრ. 178. საკურთხეველს წმინდა საჩუქრები აღვუთქვი — სახლის კერა, ამავე დროს, პენატების საკურთხევლად მიიჩნეოდა.

[48] სტრ. 213. ფინევსი — ბრმა ფინიკიელი წინასწარმეტყველი; მას ჰარპიები სდევნიდნენ, რადგან, თავისი შვილები, პირველი ქორწინებიდან დააბრმავა. ჰარპიები იტაცებდნენ მის საკვებს. ჰარპიები ითვლებოდნენ ქარიშხლის ქალღმერთებადაც. ვერგილიუსთან ქალწულისსახიანი ეს ფრთოსანი ურჩხულები შიმშილის გამოხატულებები არიან.

[49] სტრ. 248. ლაომედონის შთამომავლები — მინიშნება ლაომედონის ცოდვაზე, რომელმაც ჰერკულესს არ მისცა ტროის გალავნის აგების გამო დაპირებული ცხენები. შეურაცხყოფილი ჰერკულესი ტროას ომით მიადგა.

[50] სტრ. 252. ფურიათაგან უდიდესი — გვიანდელ გადმოცემებში ჰარპიები ფურიებს გაუთანაბრდნენ.

[51] სტრ. 270-271. ძაკინთოსი, დულიქიონი — იონიის ზღვის კუნძულები. პოეტურ ენაზე დულიქიოსი აღნიშნავს «ულიქსესისას» (ოდისევსისას).

[52] სტრ. 271. ნერიტოსი — კუნძულ ითაკის მთა.

[53] სტრ. 272. ლაერტესი — ულიქსესის (ოდისევსის) მამა.

[54] სტრ. 274. ლევკატა — კუნძულ ლევკადას კონცხი, საბერძნეთის დასავლეთ სანაპიროსთან.

[55] სტრ. 280. აქტიუმის მიწაზე ილიონური თამაშები მოვაწყვეთ — აქტიუმის კონცხზე აღმართული იყო სხივოსან აპოლონის ტაძარი, სადაც უძველესი დროიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ თამაშები ტარდებოდა. აქტიუმის სახელგანთქმული ბრძოლის შემდეგ (ძვ.წ. 31 წ.), რომელშიც ოქტავიანუსმა ანტონიუსი დაამარცხა, მან ეს თამაშები განაახლა.

[56] სტრ. 286-287. აბასის იარაღს კარის პირდაპირ ვკიდებ — იგულისხმება რომაელთა ჩვეულება, ტაძრის კარებთან დაეკიდათ საბრძოლო აღჭურვილობა გამარჯვებულისა და დამარცხებულის სახელის აღნიშვნით.

[57] სტრ. 291. ფეაკები — კუნძულ სქერიას (დღევანდელი კორფუს) მკვიდრი მითოსური ხალხი, რომლებსაც სტუმრობდა ოდისევსი ჰომეროსის «ოდისეაში».

[58] სტრ. 292. ქაონია — ეპიროსის ჩრდილო-დასავლეთი მხარე.

[59] სტრ. 293. ბუთროტოსი — ქალაქი ეპიროსში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით.

[60] სტრ. 295. ჰელენოსი — პრიამოსის ძე, წინასწარმეტყველი; ტყვედ ჩაუვარდა პიროსს (ნეოპტოლემოსს), რომელმა ეპიროსში წაიყვანა. ანდრომაქეს ამბის გადმოცემისას ვერგილიუსი მკაცრად მიჰყვება ევრიპიდეს ტრაგედია «ანდრომაქეს» სიუჟეტს.

[61] სტრ. 321. ყველაზე უფრო ბედნიერია პრიამოსის ქალწული — იგულისხმება პოლიქსენე, პრიამოსის ასული, რომელიც მსხვერპლად შესწირეს აქილევსის საფლავს ტროის დაცემის შემდეგ.

[62] სტრ. 328. ჰერმიონე — მშვენიერი ჰელენეს ასული, რომელიც ორესტესის, აგამემნონის ძის, საცოლე იყო.

[63] სტრ. 331. ფურიების მიერ დევნილი ორესტესი — ფურიები (ბერძნ. ერინიები) ორესტეს დაედევნენ მას შემდეგ, რაც მან, მამის მკვლელობისთვის შურისძიების მიზნით, დედა, კლიტემნესტრა, მოკლა.

[64] სტრ. 335. ქაონი — ჰელენოსის მეგობარი, რომელიც პრიამოსის ძეს ნადირობისას შემოაკვდა. სხვა ვერსიის მიხედვით, ტროელი, რომელიც ღმერთებს ნებაყოფლობით შეეწირა, თანამოქალაქეთა გადასარჩენად.

[65] სტრ. 360. კლაროსული დაფნა — იონიის ქალაქ კლაროსში იყო დაფნის წმინდა ჭალა, აპოლონის ტაძარი და სამისნო.

[66] სტრ. 361. ფრთოსანთა ნიშნები — მისნობას ფრინველთა ფრენის მიხედვით ბერძნებიც იცნობდნენ, მაგრამ განსაკუთრებულ პოპულარობას მან რომში მიაღწია.

[67] სტრ. 381. იტალიასთან, რომელიც უკვე ახლო და მეზობელი გგონია — ეპიროსის ახლოს (ადრიატიკის დასავლეთით) იტალიის აღმოსავლეთი სანაპიროა; მაგრამ ენეასს აქ ხმელეთზე გადასვლა არ შეუძლია, რადგან ეს სანაპირო ბერძენი ახალმოშენეებით არის დასახლებული. ტროელებმა ნახევარკუნძულს სამხრეთიდან უნდა შემოუარონ და მდინარე ტიბრის შესართავთან უნდა გადავიდნენ ნაპირზე, ქვეყნის დასავლეთ სანაპიროზე.

[68] სტრ. 386. კირკე — აიეტისა და პასიფაეს და, მედეას მამიდა; გრძნეული ქალღმერთი, რომელმაც, ჰომეროსის «ოდისეის» მიხედვით, ოდესღაც ოდისევსი დააყოვნა.

[69] სტრ. 399. ნარიქსელი ლოკრები — საბერძნეთის აღმოსავლეთ სანაპიროს მხარის, ლოკრისის ქალაქ ნარიქსის მკვიდრები, რომლებმაც სამხრეთ იტალიაში ქალაქი ლოკრი დააარსეს. ლოკრების ტომის მეფე იყო ტროის ომის ერთ-ერთი გმირი, აიას ოილევსის ძე.

[70] სტრ. 400. სალენტინური მინდვრები — ადგილია კალაბრიის მხარეში.

[71] სტრ. 401. ლიქტოსელი — კრეტის ქალაქ ლიქტოსის მკვიდრი.

[72] სტრ. 401-402. მელიბეელთა წინამძღოლი ფილოქტეტესი — ბერძენი გმირი ქალაქ მელიბეადან.

[73] სტრ. 402. პეტელია — ქალაქი სამხრეთ იტალიაში.

[74] სტრ. 405. ...თმა უნდა დაიფარო მეწამული თავსაბურით — ბერძნებისგან განსხვავებით, რომაელები თავდახურული ლოცულობდნენ; შავი თავსაბური განკუთვნილი იყო «ქვედა», მიწისქვეშა ღმერთებისათვის, მეწამული — «ზედა», ოლიმპოსელი ღმერთებისათვის. მეწამული ფერი მტრის საწინააღმდეგო თილისმადაც მიიჩნეოდა.

[75] სტრ. 411. პელორუსი — ვიწრო სრუტე იტალიის ნაპირსა და სიცილიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე პელორუსის კონცხს

შორის.

[76] სტრ. 416. მიწა იქ ერთი იყო და ნაპრალი გაუჩნდა — ძველებს მიაჩნდათ, რომ სიცილია იტალიას მიწისძვრის შედეგად გამოეყო.

[77] სტრ. 429. პაქინუსი — კონცხი, სიცილიის სამხრეთი ბოლო. ჰელენოსი ამბობს, რომ ენეასისთვის უმჯობესია სიცილიას (ტრინაკრიას) სამხრეთიდან და დასავლეთიდან შემოუაროს, ვიდრე მესინის სრუტე გაიაროს, სადაც მას სკილა და ქარიბდისი ემუქრებიან.

[78] სტრ. 441. კუმა — ზღვისპირა ქალაქი ნეაპოლის მახლობლად.

[79] სტრ. 466. დოდონა — იუპიტერის სამისნო. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, აქ წინასწარმეტყველება ხდებოდა იმ ხმების მიხედვით, რომელსაც მუხის ხეზე დაკიდებული სპილენძის თასები გამოსცემდა.

[80] სტრ. 476-477. ...ორგზის გადარჩი პერგამოსის ნანგრევებში — პირველად მაშინ, როდესაც ჰერკულესმა გაანადგურა ტროა და მეორედ — როდესაც აქაველებმა გაანადგურეს იგი.

[81] სტრ. 505. დაე, ეს საზრუნავი არ დაივიწყოს შთამომავლობამ — აქტიუმთან გამარჯვების შემდეგ ოქტავიანუს ავგუსტუსმა ქალაქი ნიკოპოლისი დააფუძნა ეპიროსში და ბრძანება გასცა, რომ მისი მოქალაქეები რომაელთა «ნათესავებად» მიეჩნიათ.

[82] სტრ. 506. კერავნია — მთის ქედი ეპიროსში.

[83] სტრ. 531. მინერვას ტაძარი — გადმოცემის მიხედვით, ეს ტაძარი დაფუძნებული იყო იდომენევსის, ტროელთა მტრის მიერ.

[84] სტრ. 552. ლაკინია — იუნოს ტაძარი ლაკინიის კონცხზე ბრუტიაში.

[85] სტრ. 553. კავლონი და სკილაკეუმი — ზღვისპირა ქალაქები.

[86] სტრ. 578. ენკელადოსი — ერთ-ერთი გიგანტი, რომელიც ოლიმპოსელ ღმერთებს აუმხედრდა. იუპიტერმა ელვა სტყორცნა

და ეტნის ვულკანით გასრისა.

[87] სტრ. 616. თანამგზავრები — ულიქსესის (ოდისევსის) თანამგზავრები, რომლებიც კიკლოპის გამოქვაბულში მოხვდნენ (ჰომეროსი, «ოდისეა», IX, 180-545).

[88] სტრ. 688. პანტაგია — მდინარე სიცილიაში.

[89] სტრ. 692. სიკანიური – სიცილიური; სიკანების ტომი ასახლებდა სიცილიას. პლემირიუმი — კონცხი სიცილიაში სირაკუზის მახლობლად.

[90] სტრ. 693. ორტიგია — მცირე კუნძული სირაკუზის ყურეში. კუნძული იმავე სახელს ატარებდა, რასაც დელოსი, რადგან ლატონასა და მისი შვილების, ფოიბოსის, სხივოსანი აპოლონისა და დიანას კულტთან იყო დაკავშირებული.

[91] სტრ. 694. ალფევსი და არეთუსა — ძველების წარმოდგენით, ალფევსი ზღვის ქვეშ აგრძელებდა თავის დინებას და სირაკუზის მახლობლად ერწყმოდა სიცილიის მდინარე არეთუსას.

[92] სტრ. 698. ჰელორუსი — სამხრეთ სიცილიის მდინარე.

[93] სტრ. 700-701. ...უძრავი კამერინა და გელას მინდვრები — კამერინა სამხრეთ სიცილიის ქალაქი იყო. ძველი წარმოდგენით, წინასწარმეტყველმა აკრძალა კამერინის ჭაობის ამოშრობა; მცხოვრებლებმა წინასწარმეტყველება არ გაითვალისწინეს და სწორედ ამოშრობილი ჭაობის მხრიდან მიადგა მტერი ქალაქს. გელა — სიცილიის ერთ-ერთი ქალაქი.

[94] სტრ. 703. აკრაგასი — მთა და სახელგანთქმული ქალაქი. განთქმული იყო თავისი ცხენებით, რომლებიც ხშირად იმარჯვებდნენ ოლიმპიურ თამაშებზე.

[95] სტრ. 705. სელინუსი — ქალაქი სიცილიის სამხრეთ-დასავლეთში.

[96] სტრ. 706. ლილიბეია — კონცხი და ქალაქი დასავლეთ სიცილიაში.

[97] სტრ. 707. დრეპანუმი — საპორტო ქალაქი დასავლეთ სიცილიაში.